ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით | ფასი 1,50 ლარი | 4 ოქტომბერი 2013 | №20 (202)

შინაარსი

მოგონებათა სკივრი	2	ტრიფონ ჯაფარიძე აკაკი წერეთელი
ექსპრეს-ინტერვიუ	7	გიორგი (კახა) კახაბრიშვილი „ჩემს გასაკეთებელს სხვა ვერ გააკეთებს!“ (მოამზადა ციცინო ხუციშვილმა)
პროზა	8	ლია მოლარიშვილი სამოთხის მინდვრები
პოეზია	18	ჯემალ ინჯია შენთან ერთად
პოეტის ერთი ლექსი	20	ნელი ბატიაშვილი სიკვდილზე წამსვლელმა იცის
კულტურის ხიდები	22	ეთერ მგალობლიშვილი ოსკარ უაილდი ქართულ ლიტერატურასა და თეატრში (1900-1925 წწ)
ბედი კაცისა	26	ბაკურ გეგია ამერიკული გალია და მოშუშებული ნატყვიარები
დაუვიწყარი სახელები	36	გურამ ბენაშვილი ლიტერატურული ვიტრაჟები (ივანე მაჩაბელი, კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე, პავლე ინგოროყვა)
წუთები და წლები	41	როსტომ ჩხეიძე დიდი გევურა (ბორის გაპონოვი და მისი ბიოგრაფოსი)
თეატრალური სიახლენი	46	ნინო ჩხიკვიშვილი „გრონჰოლმის მეთოდი“ ანუ დაბრუნება...
ფიქრი და განსჯა	48	გივი ალხაზიშვილი დანაშაულით მკვდარი
პოეზიის მერიდიანები	58	შეიმას ჰინი სურვილის ხე და სხვა ლექსები
კულტურული ცხოვრება	60	თამარ მიქაძე ჩვენს სამლერალს ვინ იმღერებს...
უცხოური ნოველა	62	ვარლამ შალამოვი ბუკინისტი
გამოხმაურება	67	ადა ნემსაძე პოეზია — „დუმილი, რომელიც ლაპარაკობს“ (მირიან ებანოიძის ახალი პოეტური რკალი)
ნაკვესები	69	მახვილსიტყვაობის ნიმუშები
მოზაიკა	71	კომუნიზმი მეჭეჭივით გაქრებაო

ჩვენი მწერლობა
ორკვირეული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62
რეკლამა: (995 93) 65 93 68
გავრცელება: (995 92) 25 94 94
ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge

www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 18 ოქტომბერს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი

დაბეჭდილია სტამბაში
ომეგა თეგი
პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ბორის გაპონოვი, მხატვარი კარლო ფაჩულია სერიიდან „ჩემი ებრაელი მეზობლები“

ტრიფონ ჯაფარიძე

აკაკი წერეთელი

ჟურნალ "მწვანეყვავილას" 2012 წლის №4 ვიუწყებოდით, რომ ამავე წელს ქუთაისის მუზეუმს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, ქალბატონმა **ნინო ჯაფარიძემ** გადმოსცა მისი ბაბუის — ცნობილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის **ტრიფონ ჯაფარიძის** პირადი არქივი. არქივში დაცულ მასალათაგან ერთ-ერთი — **„ტრიფონ ჯაფარიძის მოგონებები ილია ჭავჭავაძეზე"**, „მწვანეყვავილას" იმავე ნომერში დაიბეჭდა და მეტად საინტერესო გამოხმაურებებიც მოჰყვა. ჟურნალ **„ჩვენ მწერლობაში"** დაიბეჭდა **როსტომ ჩხეიძისა** და **ელგუჯა თავბერიძის** სტატიები, რომლებითაც კიდევ უფრო ნათელი გახდა, თუ რაოდენ მნიშვნელოვან დოკუმენტურ ცნობებს შეიცავდა დასახელებული პუბლიკაცია.

ამჯერად გთავაზობთ ტრიფონ ჯაფარიძის მოგონებებს აკაკი წერეთელზე. შეიძლება ითქვას, რომ ქართველი მკითხველი განებივრებულია აკაკის თანამედროვეთაგან მისი ცხოვრებისა თუ მოღვაწეობის ამა თუ იმ პერიოდის ამსახველი მოგონებებით და, ამდენად, ტრიფონ ჯაფარიძის მემუარებში შესაძლოა ზოგიერთი რამ მისთვის ცნობილი იყოს, თუმცა მასში ისეთ ნიუანსებსაც წააწყდება, რომელთა შესახებ დღემდე არაფერია გამოქვეყნებული.

უდავოდ საინტერესო ფაქტია ისიც, რომ „მოგონებები აკაკიზე" წარმოდგენილია ტრიფონ ჯაფარიძის არქივში დაცულ გამოსაცემად გამზადებულ წიგნში, რომლის სატიტულო გვერდზე წერია — **„აკაკი წერეთელი" /გამოუქვეყნებელი ლექსები, პოემები, სურათები, პირადი წერილები და მოგონებები/ ვ.კაკაბაძის, მ.დუდუჩავას, ტ. ჯაფარიძის** რედაქციითა და შენიშვნებით. 1937 წელი.

წიგნში უნდა შესულიყო აკაკი წერეთლის უცნობი მასალები, რომელთა დაბეჭდვაც, როგორც ტ. ჯაფარიძე წინასიტყვაობაში აღნიშნავს, „მეტად ძნელი იყო... ორი გარემოების გამო: ერთი ის, რომ ჩვენში მთელი საუკუნე არსებობდა სასტიკი ცენზურა და ამიტომ ჩვენი მწერლების ნაწერები ან სულ არ იბეჭდებოდა, ან იბეჭდებოდა მაგრამ დროისა და გარემოების მიხედვით ათასნაირად შეკვეცილი და შესწორებული, ამიტომაც ჩვენ საშუალება არ გვქონდა მწერლის შემოქმედება ნამდვილი (სრული) სახითა და შინაარსით დაგვენახა; მეორე ის, რომ ჩვენი მწერლები, როგორც სახელმწიფო სამსახურში მყოფი პირები, ზოგი შიშით ვერ აქვეყნებდა თავის ნაწერებს, ზოგი კი ფარული სახელით წერდა... აკაკის ნაწერების მთლიანად გამოქვეყნებას, ზემოთ აღნიშნულ გარემოების გარდა, არსებითად ხელს უშლიდა ის გარემოებაც, რომ აკაკის ჰქონდა სამწუხაროდ ერთი მავნე თავისებურება — სადაც დასწერდა ლექსს, იქ დასტოვებდა (ამიტომ ხუმრობით ამბობდნენ აკაკიზე: „ქათამივით სადაც დაჯდება, კვერცხს იქ დასდებსო"), ხან თავის ნაცნობსა და მეგობარს კერძო წერილში მისწერდა ლექსს. იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ აკაკის ხელთნაწერი (მესტვირული, შაირი) საზოგადოებაში კერძოთ ვრცელდებოდა და არ იბეჭდებოდა, ხან იმიტომ, რომ... ხუმრული კილო იყო ნახმარი და ხან შინაარსი პირადობას ეხებოდა... ამგვარად აკაკის სამწერლო კრებულში ბევრი მისი ლექსი ჩაუწერელი რჩებოდა, ამიტომაც აკაკის ნაწერები ბევრი დაიკარგა და ბევრი აქა-იქ მიტოვებული და გაფანტული დარჩა. ჩვენ ვიცოდით ეს გარემოება და ამიტომ მის ნაწერებს ყველგან ვეძებდით, სადაც კი მას მსვლელობა ჰქონდა და ვისთანაც კი მიწერ-მოწერაში იყო. ბევრი ვიპოვეთ და დაცული გვაქვს, მაგრამ ვინ იცის, რამდენი დაიკარგა. საერთოდ ჩვენ მოვაგროვეთ და გავეცანით ისეთ მასალებს და საარქივო ნაშთებს, რომელთაც ქართული ლიტერატურის მიმომხილველი ჯერ ან სულ არ გაცნობია, ან კერძო, კონკრეტული საკითხით დაინტერესებულს ზერელედ გადაუხედავს. ჩვენ სურვილი გვაქვს მკითხველთ გავაცნოთ ჩვენი მუშაობის შედეგი და გამოვაქვეყნოთ"...

1937 წლის რეპრესიათა მსხვერპლმა ტრიფონ ჯაფარიძემ ეს სურვილი ვერ აიხდინა. დასაბეჭდად გამზადებული წიგნი კი მის პირად არქივში დარჩა და დღემდე მკვლევარის ხელი არ შეხებია. უდავოა, რომ წიგნს /ხელნაწერი/ დიდი მნიშვნელობა აქვს აკაკის ნაწარმოებთა გამოცემის ისტორიის შესწავლისათვის და სრულიად ახალ მასალას წარმოადგენს აკაკის შემოქმედების გამოცემის საკითხით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

ცნობილია, რომ აკაკი წერეთლის თხზულებათა პირველი სრული გამოცემა ოთხ ტომად განხორციელდა 1925-28 წლებში სერგი გორგაძისა და ალექსანდრე აბაშელის რედაქტორობით. ამ პერიოდიდან 1940 წლამდე, აკაკის საიუბილეო გამოცემამდე, მისი თხზულებები აღარ გამოცემულა. ამდენად, ტ. ჯაფარიძის არქივში დაცულ წიგნს, რომელშიაც შეტანილია ის ნაწარმოებები და აკაკის პირადი წერილები, რომლებიც ვერ მოხვდა, ან შეკვეცილი სახით დაიბეჭდა 1925-28 წლების გამოცემაში, ცენზურის ან გამომცემელთა მოსაზრებების გამო, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ ხარვეზის შესავსებად.

წიგნის გამოცემა რომ ვერ მოხერხდა, ეს უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს 1937 წელს ტრიფონ ჯაფარიძის დაპატიმრების ფაქტს. „ხალხის მტრის" რედაქციით მომზადებული წიგნის გამოცემას, ბუნებრივია, ვერავინ იტვირთებდა. გამოსაცემ წიგნში, თვითონ ტრიფონის მოგონებების გარდა, შეტანილია მასალები ძირითადად ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულ კირილე ლორთქიფანიძის ლიტერატურული არქივიდან, ქართული პერიოდული გამოცემებიდან და საქართველოს ცენტრალური არქივისა და მუზეუმების საცავებიდან. როგორ მოხვდა გამოსაცემ წიგნში წარმოდგენილი მასალის გარკვეული ნაწილი 1940 წლის საიუბილეო გამოცემაში, ეს ჩვენი მომავალი კვლევის საგანია.

ციცინო მუმლაძე

ჩვენი ახალი ლიტერატურის დედაბოძი, ხელოვნების უდიდესი ქურუმი და ლირიკის გიგანტი აკაკი თავისი ბუმბერაზი სახით ღრმათ აღბეჭდილია ქართველი ერის შეგნებაში. მის შემოქმედებას ჩვენი ერის გათვითცნობიერებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. აკაკის პიროვნება სავსებით განსახებულია მის შემოქმედებაში. რაც უფრო ღრმად შევისწავლით აკაკის პიროვნებას, მით უფრო ნათლად ავითვისებთ მის შემოქმედებას.

აკაკი მეტად ორიგინალური პიროვნება იყო. მისი დახასიათება მეტად ძნელია, რადგან მისი სახე მრავალფეროვანია. ზოგიერთი მისი თვისება ცხადი და აშკარაა, მაგრამ ზოგიერთი ისე მიმალულია მისი ბუნების სიღრმეში, რომ დაკვირვების ობიექტად ვერ გადააქცევთ.

აკაკი ხან ზეცისაა, ხან მიწის, ხან არც ისაა, არც ისა. — და აი, სწორედ ამ მრავალფეროვნებაშია მისი პიროვნების საიდუმლოებაც. ამიტომ რაც მეტი მასალა გვექნება მის შესასწავლად მით უკეთესია. მე ჩემ მოგონებას გავუზიარებ მკითხველს და სხვის მოგონებასაც სიამოვნებით გავიზიარებ.

* * *

აკაკი დამოუკიდებელი აზროვნების ადამიანი იყო, ის არ ემორჩილებოდა სხვის გავლენას და ანგარიშს არ უწევდა საზოგადოების შეხედულებას, თუ კი ეს მას არ აკმაყოფილებდა. აკაკის არ ეპიტნავებოდა „დიდი" კაცები, „ბობოლები", ქონებით იყო ეს, ჩამომავლობით თუ სამსახურით. პირიქით ასეთ პირებს აკაკი მოურიდებლად ეცინოდა, ამხილებდა და კიცხავდა. აი რამდენიმე მაგალითი.

ქუთაისში ცხოვრობდა პრინცი ოლდენბურგსკი, რომელსაც მეფის ადგილი ეკავა და უხვი პურმარილით და ათასნაირი პროტექციებით საზოგადოება მოხიბლული ჰყავდა. პრინცს ტარიელ დადიანის ცოლი მოეწონა და ისე მოაწყო საქმე, რომ ის ცოლად შეირთო. ეს ძლიერ ულამაზო საქმე იყო და იმ დრო-

ში თითქმის შეუძლებელი, მაგრამ ძალა აღმართს ხნავსო ნათქვამია და პრინცმა კანონიც გადალახა, ეთიკაც გააქარწყლა და თავისი ჟინი გაიტანა. გაბრიელ ეპისკოპოსმა არ მისცა ჯვარისწერის ნება, მაგრამ ნებაც სინოდიდან მიიღო და ქუთაისში გადმოსახლებული რუსის კერძო ეკლესიაში დაიწერა ჯვარი.

საზოგადოება სიხარულით შეხვდა ამ ფაქტს, მაგრამ აკაკიმ კი აშკარად დაგმო პრინცის უმსგავსო მოქმედება და გაკიცხვის ლექსი გამოსთქვა:

აგრაფინა კვისკვისაო
დადიანმა პრინცს მიგცაო...

ბოლო ლექსის ასეთი იყო:

ბერი დარჩა გაბუტული
პრინცი გახარებულიო.

ეს ბერი გაბრიელი იყო.

ერთხელ ნესტორ წერეთელს თავადაზნაურობის მარშლად ირჩევდენ. საზოგადოების აზრი უნდოდათ გაეგოთ და წინასწარი კრება მოაწყვეს, რომელსაც აკაკიც დაესწრო. კრებაზე აკაკი ჩუმათ იყო და არაფერს ამბობდა. ნესტორის უახლოესმა პირმა აკაკის სთხოვა, თქვენს სიტყვას საზოგადოებაში გავლენა აქვსო, სთქვით რამეო. აკაკიმ სთქვა:

არ ვარგა, არ გამოდგება
ანწლის ძირი სტვირათაო,
დამიჯერეთ, არ ივარგებს,
არც ნესტორი მარშლადაო.

* * *

1914 წელს, დეკემბერში, აკაკი ჩამოვიდა ქუთაისში და ვკითხეთ, მეფე ნიკოლოზ მეორემ თუ ისურვა თქვენი ნახვა თბილისში ყოფნის დროს, რატომ არ ნახეთთქო. აკაკიმ გაკვირვებით შემოგვხედა და გვიპასუხა — რისთვის უნდა მენახა, მამას არ ვყვარებივარ მისას და ბაბუას და იმას შევუყვარდიო, რომ მენახა რა უნდა მეთქვაო? მართალს თუ ვეტყოდი, გაჯავრდებოდა, სასიამოვნოს თუ ვეტყოდი, სიცრუე იქნებოდაო. დიდი პირები თავიდან მძულდნენ და ახლა გაგონებაც კი მეზარებაო, ეგენი ერთი ხის ნაყოფია ყველაო, ენით გვეფერებიან და საქმით—სულით გვწამლავენო. 1888-ში მამა მაგისი საქართველოში რომ მოდიოდა, მე 3 თვით წინ გამგზავნეს აქედან და სანამ ის არ გაბრუნდა, სამშობლოში არ შემომიშვესო. ბოლოს საყვედურიც გვითხრა, არც მეგონა, თუ მაგას მკითხავდითო...

* * *

აკაკი თვითმპყრობელობის დაუძინებელი მტერი იყო. მეფის მთავრობა და მისი ჩინოვნიკები მას ძლიერ სძულდა. ეს მე ბავშვობაშივე მესმოდა ოჯახში და შემდეგ ჩემი თვალით ვხედავდი. მთავრობის რეჟიმი აკაკის სულს უხუთავდა, ამიტომაც აკაკი მას ებრძოდა, მისი ბრძოლის იარაღი მახვილი ენა იყო, რომელიც მისივე სიტყვებით რომ ვსთქვათ, „ხმალზე უფრო ძლიერად სჭრიდა“. აკაკის პატრიოტული ლექსები ახალგაზრდობის გულში რევოლუციონური სულისკვეთების ჩანასახს აჩენდა. სემინარიაში რომ ვსწავლობდით, აკაკის ლექსი:

დღეს მერცხალი შემოფრინდა,
ჭიკჭიკითა შემომძახა
გაზაფხული, გაზაფხული
გულს იმედი ჩამესახა...

რევოლუციონურ მრწამსათ გვქონდა გამოყენებული და უფროსი მოწაფეები უმცროსებს უთითებდნენ, რომ ეს 1881 წლის 2 მარტს არის დაწერილიო...

(მთაწმინდა?)

1893 წლის აპრილში განჯიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი გადმოასვენეს. ნეშტის შესახვედრად ქართული საზოგადოება სათანადოდ მოემზადა. სემინარიის მოსწავლეთა მთელმა შემადგენლობამ დემონსტრაციულად მივატოვეთ სასწავლებელი და წავედით სადგურზე, გამოგვყვენ რუსი ამხანაგებიც. ეს ფაქტი ძლიერ მოგვიწონა აკაკიმ...

იმავე წლის დეკემბერში მიხ. ცხაკაიას ხელმძღვანელობით სემინარიაში მოხდა ამბოხება, რომელმაც 87 მოსწავლე იმსხვერპლა, ამასთან დაკავშირებით მთავრობამ ილ. ჭავჭავაძეს შეუჩერა გაზეთი „ივერია“, იაკობ გოგებაშვილი პასუხისგებაში მისცა და მეტი შეწუხება აკაკის მიაყენეს, თუმცა გადარჩა. იმ რიცხვებში აკაკი ხარკოვში იყო და მართლაც ია ეკალაძის (მაშინ დაითხოვეს) წიგნაკი: „რას იცინი?“, სადაც „თხათ“ აშკარად ეგზარხოსი ვლადიმერი იყო გამოყვანილი, აკაკის ზეგავლენით დაწერილი იყო.

როცა შემთხვევა ეძლეოდა აკაკი, მთავრობის პირებს თავის შეხედულებას აშკარად ეუბნებოდა. 1912 წელს ქუთაისში ქალაქის საავადმყოფო ზეიმით გავხსენით. აკაკი გუბერნატორის ახლო იჯდა; როცა აკაკიმ სიტყვა წარმოსთქვა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღეს დაჩაგრული საქართველო თავის ბრწყინვალე სახეს კიდევ გამოაჩენსო... გუბერნატორს ეწყინა ეს სიტყვები და მალე ზეიმი მიატოვა. ჩვენ გვეგონა აკაკი უხერხულად იგრძნობს თავსთქო და მდგომარეობის შემსუბუქება მოვინდომეთ.

აკაკი მიხვდა და გვითხრა; — მე რასაც ვგრძნობ იმას ვამბობ, მისი სასიამოვნო რამე რომ მეთქვას, ის ჩემი არ იქნებოდაო.

* * *

აკაკიმ მეტად ორიგინალური ხუმრობა იცოდა. მისი მოსწრებული სიტყვები და ნაკვესები, მიუხედავად იმისა სად, როდის და ვისი მისამართით იყო ნათქვამი, ყოველთვის სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა — და აი სწორედ ამითი აიხსნებოდა ის გარემოება, რომ აკაკის ხუმრობა, ზოგჯერ მწარე და გესლიანი, არავის არ სწყინდა.

ქუთაისში გრიგოლ რობაქიძე ლექციებს კითხულობდა. სხვათა შორის წაიკითხა ლექცია აკაკის შემოქმედებაზე. ლექციას აკაკიც დაესწრო, ლექციის თემა იყო: „შეუცნობელი შემოქმედება“. ლექტორი ამტკიცებდა, რომ პოეტი უმაღლესი შემოქმედების პროცესში ისეთ მომენტს განიცდის, რომ არც იცის, რას ქმნისო. ამ სიტყვებმა მითქმა-მოთქმა გამოიწვია. აკაკის ვკითხეთ, თქვენ თვითონ გვითხარით, მართალია ლექტორის აზრი თუ არათქო. აკაკიმ ჩვეულებრივ გვერდზე გაიხედა და გვიპასუხა, — „მე რასაც ვქმნიდი, კიდეც ვიცოდი და ლექტორი ალბათ თავისთავზე ლაპარაკობსო“.

ერთ ლიტერატურულ საღამოზე, რომელსაც აკაკი დაესწრო, ახალგაზრდა მწერლებმა ლექსები წაიკითხეს. სხვათა შორის კარგათ წაიკითხა ლექსი .....ძემ. აკაკის ჰკითხეს, როგორ მოგეწონათ ეს ლექსიო, — ვუგდე ყური და

სამშაბათს, 8 ოქტომბერს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
წარდგინება

ოთარ ჩხეიძის
ბიოგრაფიული რომანისა

„იტალიური დღიურები ბაირონისა“

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

ბოლოს ჯიბეზე მოვიკიდე ხელი, შემეშინდა იქედანაც არაფერი წაიღოს, რადგან ყველაფერი ჩემი წაუღიაო.

ქუთაისის საავადმყოფოს გახსნაზე მე, როგორც საისტორიო, საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარემ, სიტყვა წარმოვთქვი და სხვათა შორის საავადმყოფოს აყვავება ვუსურვე. აკაკიმ სთქვა, ძალიან სცდება ორატორი, რომ საავადმყოფოს აყვავებას ნატრობს, პირიქით, საავადმყოფო უნდა ჩაქრეს და დაცარიელდეს, რომ მუშტარს ვერ ეღირსოსო. ამ სიტყვებმა საერთო სიცილი გამოიწვია და სხვათა შორის ექიმებიც იცინოდნენ. აკაკიმ იმათაც გადაკრა და სთქვა: „მესმის სხვების სიცილი, მაგრამ ექიმების სიცილი კი სიმწრის სიცილია, მართლა რომ ავადმყოფობა მოისპოს, მაგათ რა ეშველებათო“. ამაზე კიდევ უფრო სიცილი შეიქნა და ეს უცებ გამგე ექიმს როდზევიჩს გადაუთარგმნეს. როდზევიჩმა ღიმილით უპასუხა, მართალია, ჩვენ ექიმებს გვინდა ბევრი ავადმყოფი მოვიდეს, მაგრამ ისიც გვინდა, ყველა იმ კარებიდან გაბრუნდეს, საიდანაც შემოდიან და არა იქედანო, მიუთითა ეზოში პატარა შენობაზე, რომელიც მკვდართა დასასვენებლად არის დანიშნული. აკაკის ეს პასუხი მოეწონა და სთქვა, — „ეტყობა პოლონელია, მაგათ კაცი სიტყვაში ვერ დაიჭერსო“.

წამოსვლისას ეტლში, რომ ჩაჯდა კიდევ იხუმრა, „ღმერთმა მოგახმაროთ თქვენი საავადმყოფო, ისევ თქვენთვის იყოს და მე ნურც დამაჭირვოსო“.

* * *

ქუთაისის საადგილმამულო ბანკში არჩევნებზე კიტა აბაშიძემ ერთი საკითხის შესახებ, სადაც აკაკის პოზიცია მას არ მოსწონდა, აკაკის მიაძახა: — აკაკი! მე თქვენ მაგისთვის მიწასთან გაგასწორებთო.

— მე ზეცაში ვარ, მიწაზე არა ვარ და მიწასთან რანაირათ გამასწორებო, უპასუხა აკაკიმ.

* * *

სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების არჩევის დროს შორაპნის მაზრაში აკაკის კანდიდატურა იყო წამოყენებული. არჩევნებზე აკაკი გააშავეს და ახალგაზრდა მასწავლებელი აირჩიეს. ამის გამო ქუთაისში აკაკის კითხეს: ვინ არის ნეტავ ის ახალგაზრდა, რომელიც აირჩიესო. — არ ვიცი, მე ვიკითხე და მითხრეს, აკაკის ლექსებს კითხულობს საუცხოვოთო და მეტი რა ღირსება უნდაო... ასეა ახლანდელი სამართალი, წამკითხველს აწინაურებენ და დამწერს ივიწყებენო.

* * *

აკაკის მოხუცებულობაში გამყოლად და მომვლელად კოტე აბდუშელიშვილი მიუჩინეს. კოტე თავის მოვალეობას ასრულებდა, მაგრამ აკაკი სულ ეცინოდა პირშიდაც და ზურგს უკანაც.

ერთხელ აკაკი გვემუსაიფებოდა მთავრიშვილის გამომცემლობის ახლოს; აკაკიმ დაინახა, რომ კოტე აბდუშელიშვილი მოდიოდა ჩვენსკენ და გვითხრა: — „მოდის ჩემი მეფისტოფელიო“, ჩვენ სიცილი დავიწყეთ; კოტე მოვიდა, მიხვდა, აკაკი იტყოდა ჩემზე რამესო და ეჭვის თვალით ცქერა დაუწყო. აკაკიმ უთხრა; — „შეიწუხე თავი, ეტლი მოიყვანე და წავიდეთო“. კოტე ეტლზე წავიდა და აკაკიმ გვითხრა, — შეხედეთ თუ მართლა მეფისტოფელს არა ჰგავსო, გვარი თათრისა აქვს და სახე ლეკისო, რა ხეირი უნდა დამაყაროს მაგის მოვლამო.

* * *

აკაკის არ უყვარდა „პროტექცია“, მაგრამ როცა ზოგიერთი ჭირვეული ნაცნობი არ მოეშვებოდა, იძულებული შეიქნებოდა თხოვნა შეესრულებია ხოლმე. ასეთ შემთხვევაში აკაკი ძლიერ ორიგინალურად იქცეოდა და რომ იტყვიან „არც მწვადი დასწვა და არც შამფურიო“ ისე გამოდიოდა. აკაკი პროტექციას გაუწევდა შემაწუხებელ ნაცნობს, მაგრამ უხერხულ მდგომარეობაში არც იმას ჩააყენებდა, ვისთანაც სათხოვრად მივიდოდა.

ერთხელ აკაკი ქართულ გიმნაზიაში მივიდა და დირექტორს ი. ოცხელს უთხრა: „უნდა შეგაწუხოთ, მაგრამ რა გაეწყობა მეც შემაწუხეს თორემ არ მოვიდოდიო, ჩემი პირით გთხოვენ მოსწავლე , რომელიც წინათ დაგითხოვიათ, ისევ უნდა მიიღოთო“ — რა ვქნათ, ბატონო აკაკი, ის მოსწავლე სწავლაში ზარმაცია და ყოფაქცევით უდიერიო, უპასუხა ოცხელმა. — „გლახა რომ არის, კიდეც მიტომ მაწუხებენ, თორემ კარგი რომ იყოს, რაღა სათხოვარი იქნებაო.“ — უპასუხა აკაკიმ და განაგრძო, მე არ მიყვარს ასეთი საქმე, მაგრამ ხომ იცით იმერეთი ასეთია და გაჭირვებამო... დაიწყო ხუმრობა.

კარგი ბ-ნო, მოვილაპარაკებთ საბჭოშიო, უთხრა ოცხელმა. „ჰო, მოილაპარაკეთ და თუ ძალიან ძნელია, ნურც შეიწუხებთ თავს, მე რადგან მოვედი ჩემზე გული აღარ დაწყდებათ და სხვას რას დავეძებ, ის თვითონ წყეული კაცია, მისი შვილი სახეირო როგორ იქნება, მაგრამ ხომ იცით, ნათქვამია... „ავი კაცი აქე და ერიდეო“, და მეც ვერიდები, რაც გამეწყობაო“.

აკაკის იუბილე რომ მოაწყვეს ქუთაისში, ზეიმის შემდეგ ქვრივ ქალს აკაკისთვის თხოვნა მიეცა, იშუამდგომლეთ, რომ ჩემი ქალიშვილი, რომელიც კერძო სასწავლებელში იყო, საეპარქიო ქალთა სასწავლებელში თქვენ სახელზე აღიზარდოსო. აკაკიმ მთხოვა ამ საქმის შესრულება და დაუმატა: — ქალიშვილი ჩუმი არსებაა, მაგრამ დედა კი ისეთი ენის ყოფილა, რომ თვითონაც მოსულიყო თქვენთან ისე მოგინადირებდა, რომ უარს არ გათქმევინებდაო და ამიტომ მეტი გზა არა მაქვს საქმე უნდა მოაწყოო... შემდეგ აკაკიმ გვითხრა — ცუდი საქმეა პროტექცია, მაგრამ იმერეთში ძალიან ემარჯვებათო. იმერელი ყოველთვის ცდილობს შემთხვევით ისარგებლოსო, და ჩემი იუბილეც ზოგიერთმა გამოიყენაო, ასე იყო წინათაც და მოიყვანა მაგალითი. ალექსანდრე მეორე რომ მოდიოდა საქართველოში, ერთი აზნაური ჩამაცივდა, თხოვნა დამიწერე მეფესთანო. მე ვკითხე, რასა სთხოვთქო და მიპასუხა, რასაც მირჩევ იმას ვსთხოვო. მე სიცილით ვუთხარი, სათხოვარი თუ არა გაქვს, ან შენ თავს რაზე იწუხებ ან იმას რად აწუხებთქო. აზნაური გაკვირდა და მიპასუხა: „შე კაცო, მეფე მოდის და როგორ არაფერი ვსთხოვოთო, ვთხოვ, რა მენაღვლება, თუ არ მომცემს, ხომ არაფერს წამართმევსო“. მე ეს აზნაური უარით გამოვისტუმრე, რადგან ასეთ თხოვნებს მე არასოდეს არა ვსწერდი, მაგრამ იმან, როგორც გავიგე, თხოვნა სხვას დააწერია და ისიც ვიცით, რომ ბევრი ასეთი თხოვნა მისცეს მაშინ მეფესო.

* * *

აკაკის მეცნიერული მომზადება არ ჰქონდა, მაგრამ მსჯელობის დროს, ბუნებრივი ნიჭის საშუალებით, საფუძვლიანად აზროვნებდა ხოლმე და მოხერხებული სხარტი სიტყვებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ზოგიერთი ასეთი შემთხვევა პირდაპირ საისტორიოა.

როცა „დროების“ თანამშრომლებს დიდი კამათი ჰქონდათ ქართული ანბანის ზოგიერთი ასოს ხმარების შესახებ, გიორგი წერეთელი აკაკის უმტკიცებდა ასო „ჰ“-ს ხმარება საჭირო არ არისო. აკაკიმ მეცნიერული საბუთებით ვერ დაუმტკიცა ამ ასოს ხმარების საჭიროება და გაჩუმდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თავის ქანჩალით ჩაილაპარაკა — გავიგე, რომ „გიორგის ჭკუა ქონიაო“.

ფილოლოგებთან კამათში აკაკი არ იყო ძლიერი, მაგრამ ფილოლოგიის მერყეობას და არა მტკიცე ნიადაგს ხშირად აღნიშნავდა ხოლმე და ამ ნიადაგზე იხუმრა, რომ ფრინველი მალაღური რომ გაიძახის და ჰგონიათ „შვილო გოგია, შვილო გოგია“-ო, ბიჭო გოგია იძახის ფილოლოღია, ფილოლოღიაო, და ამით საბრალო ფილოლოგებსა სწუხსო.

აკაკი დიდი ყურადღებით ეპყრობოდა ხალხურ შემოქმედებას: ანდაზებს, არაკებს, ზეპირგადმოცემებს და ხშირად მისი ახსნა-განმარტება ზოგიერთ მოვლენას ნათლად არკვევდა.

საგულისხმოა აკაკის ცნობები ზოგიერთი ქართული გვარების წარმოშობის შესახებ. მაგ. **წერეთლები** სოფ. წარეთიდან გადმოსახლებული წინაპარის ჩამომავლობის არიანო.

აბაშიძის გვარის შესახებ ამბობდა. ოსეთში შვილს მოეკლა მამა **აბაჟა**. მკვლელი და უმცროსი ძმა, უფროსი ძმებისაგან დევნილნი, შიშით გამოქცეულიყვნენ და სოფ. ჭალაში (საჩხერის მახლობლად) დასახლებულიყვნენ. ეს **აბაჟისძეები** — ბოლოს აბაშიძეებათ იწოდებოდნენ. აგიაშვილი — **აგია შვილიო**; მამაცაშვილი — **მამაცას შვილიო**, დადიშკელიანი — **დადაშ გელიანიო** და სხვა.

* * *

პუბლიცისტიკაში აკაკი ძალიან მოისუსტებდა. ამ დარგში მას მომზადება არ ჰქონდა, მაგრამ აქაც ბუნებრივი ნიჭის საშუალებით ზოგიერთ საკითხს კარგად არკვევდა. აკაკის აზრი ხალხური შემოქმედების მნიშვნელობაზე, ქალთა განათლების შესახებ, ეროვნული აღზრდის საფუძვლებზე და სხვა სავსებით საღი და ჭეშმარიტი იყო. ზოგიერთ საკითხებში კი აკაკი აშკარად სცდებოდა და რაც უფრო სამწუხარო იყო, სამართლიან შენიშვნებსაც არ ღებულობდა, პირიქით კიდეც სწყინდა. ასეთი იყო აკაკის პოზიცია ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებში. მაგალითად საადგილმამულო ბანკის მუშაობა ჩვენში მას დიდმნიშვნელოვან საქმედ არ მიაჩნდა. ბანკის გარშემო მუშაობას დასავლეთ საქართველოში აკაკიმ „ბანკობია“ უწოდა და ათეული წლებით ეს მოძრაობა მას კინკლაობათ გამოჰქონდა.

როცა ბანკის საკითხების გარშემო ტფილისში ილია ჭავჭავაძესა და ოპოზიციის მეთაურის ივ. მაჩაბელს შორის შინაარსიანი ბრძოლა სწარმოებდა ქართული თეატრის დარბაზში, აკაკი ლოჟაში იჯდა დაახლოებულ პირებთან და დაინტერესებული მონაწილის შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა. მოღვაწეები კი არა მოსწავლეებიც ვატყობდით, რომ მას ასეთი გარეშე მაყურებლის როლში ყოფნა არ შვენოდა.

ქუთაისში ბანკის კრებაზე რამდენჯერმე უსაყვედურეს აკაკის ყალბი პოზიციის დაჭერა და ზოგჯერ მოწინავე ინტელიგენტები გაკვირვებით შენიშნავდენ, რომ ის სცდებოდა ბანკის ინტერესების დაცვაში, მაგრამ აკაკის ეს არ სჯეროდა და ჩვეულებრივი მახვილი ნაკვესებით პასუხობდა.

* * *

აკაკის ძლიერ უყვარდა კლუბი, ხშირად მთელ ღამეებს იქ ატარებდა და მეტად დაღლილიც ბრუნდებოდა ხოლმე. როცა აკაკის ურჩევდნენ, კლუბში სიარულს თავი დაანებეო, აკაკის სწყინდა, თუმცა მრჩევლებს პირდაპირ პასუხს კი არ აძლევდა, დაიწყებდა ხუმრობას და პასუხიც ამაში იხატებოდა. 1904 წელს, აკაკიმ დიდი ავადმყოფობა გაიარა და ამის შემდეგ ექიმებმა მას გადაჭრით აუკრძალეს კლუბში სიარული, მაგრამ იმან ყურადღება არ მიაქცია, უწინდებურად განაგრძობდა კლუბში სიარულს. აკაკი კლუბზე სულ სხვა შეხედულების იყო, ვინემ საზოგადოება და თავის კლუბისადმი მისწრაფებას ის ყოველთვის ამართლებდა; თუ შემთხვევა მიეცემოდა კლუბის აუცილებლობასაც კი ამტკიცებდა.

1903 წლის გაზაფხულზე დავით ხელთუფლიშვილი ძლიერ ავათ იყო. ექიმებს, თოფურიას მეთაურობით, გადაეწყვიტა 24 დღე ხმას ნუ ამოიღებსო. ეს ამბავი გვითხრეს ერთ ოჯახში, სადაც აკაკი სტუმრად იყო. აკაკიმ თავი გააქნია და სთქვა — უცნაურები არიან ეს ექიმებიო, 24 დღე რომ კაცი არ დაალაპარაკო, შემდეგ ის თვითონ ვეღარ ამოიღებს ხმას და გინდ მკვდარი უწოდეთ, გინდ ცოცხალიო. მეც ასე მითხრეს ექიმებმა, თუ სიცოცხლე გინდა, კლუბში ფეხი არ შეადგაო, მე კი მგონია, იქ რომ დავდივარ ცოცხალიცა ვარ და თუ მოვკვდები, კლუბს ნურავინ დააბრალებსო.

მასპინძელმა უთხრა აკაკის — ნეტავ თქვენ კლუბში სულ არ დადიოდეთო, დაწყევლილია ეს კარტის თამაში, იმაში ფულის მოგებაც უბედურებაა და წაგებაცო.

აკაკის ეწყინა ეს სიტყვები და უპასუხა — ბევრი სცდება ჩემში, მაგრამ თქვენ არ უნდა სცდებოდეთო. მე კარტის თამაში ოჯახებშიც შემიძლია და კლუბში მაგისთვის არ დავიარებიო. კლუბი ჩემთვის ნამდვილი ცხოვრების სურათია, იქ ყველაფერს ცხადად ვხედავ, ყოველი წრის კაცი იქ ტრიალობს და მათი სახეც სავსებით იქა სჩანს. კლუბის საშუალებით მე საუკეთესოდ ვეცნობი საზოგადოებასო.

1912 წელს, „სამშობლოს“ რედაქციიდან კრების შემდეგ, გამოვდიოდით და კარებში სერგი ბახტაძის მსახური მოვიდა, უთხრა სერგის — ეს წუთია ეტლით აკაკი მოიყვანეს ავადმყოფი და მობრუნდიო. სერგიმ ექიმი ვასილი წერეთელი წამოიყვანა. ჩქარი ნაბიჯით წავედით. მივედით და აკაკიმ ღიმილით გვითხრა — კლუბში ვიყავი, გულზე მომიარა, რაღაც შეეშინდათ და წამომიყვანესო. ვასილმა მაჯის სინჯვა დაუწყო და სერგიმ გაფითრებული ხმით უთხრა: — ნუღარ შედგამ ფეხს იმ დასაქცევ შენობაშიო. აკაკიმ ჩაიცინა და უპასუხა — სერგია, თევზი რომ წყლიდან ამოიყვანო და ხმელ მიწაზე დასვა, ისე იქნება, მე რომ კლუბს მომაშოროთო.

* * *

აკაკის ქალები უყვარდა, თუმცა ეს თვისება სხვა თვალსაჩინო მწერალსა და საზოგადო მოღვაწესაც ახასიათებდა, მაგრამ აკაკი აქაც განსხვავებული იყო. აკაკი თავის ნაკლს ყოველთვის მალავდა, მახვილი ენითა და მოქმედებით თავისი თავი ყოველთვის უცოდველად გამოჰყავდა და სხვას უკიჟინებდა იმას, რაშიც თვითონ უარესი იყო.

აი ერთი უცნაური შეკამათება ამის შესახებ.

ერთხელ მთავრიშვილის წიგნის გამომცემლობაში შესაფერ საგნებზე მსჯელობის დროს სამსონ ყიფიანმა სთქვა, რომ ბევრი ჭკუიანი და განათლებული კაცი რჩება ცხოვრებაში უცოლშვილოთო, დაასახელა ნიკო ღოღობერიძე, კირილე ლორთქიფანიძე და კიდევ აპირებდა, მაგრამ აკაკიმ აღარ აცალა და უთხრა: — ჰო! ვისაც შენსავით ქალები არ უყვარს, ყველა ჭკუიანი და განათლებული იქნებაო.

სამსონმა უცებ მიაძახა: „ისეთმა ფურმა დამწიხლოს...“ აკაკიმ არ აცალა და დაასწრო, — შენ ვერავინ დაგწიხლავს მაგ დარგში, დიდი დამსახურება გაქვსო... სამსონმა მიაძახა, „ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო“. აკაკიმ არ აცალა და მიაძახა — „შენიც რომ სთქვა და სხვისიც მაინც არაფერი გეშველება, ცოდვილი ხარ, გულიც ყველას მოუკალი და სულიცო...“

ამ შეკამათებამ დიდი სიცილი გამოიწვია, რომელიც მთავრიშვილმა ჩვეულებრივი სათნო კილოთი დაასრულა: „ფერი ფერს და მადლი ღმერთსო“...

* * *

სულ სხვანაირი იყო აკაკი პრაქტიკულ ცხოვრებაში. პრაქტიკული ცხოვრება აკაკიმ არ იცოდა და გადაჭრით უნდა ვსთქვათ, ეს მას არც აინტერესებდა. ამ შემთხვევაში აკაკი, მართლაც, „ცისა“ იყო და არა „მიწისა“. ყოფაცხოვრების საკითხები, ნივთიერი მდგომარეობა მას რაღაც სხვათა შორის მიაჩნდა. სერიოზულად ის ამაზე არ ფიქრობდა და ცხადია უნარიც არა ჰქონდა. მისი მოწოდება „აღმაფრენა“ იყო და არა ლუკმაპურზე „დაღმა ცქერა“. ის, როგორც უკვდავი, თავისი შემოქმედებით მშიერიც — მაძღარი იყო. ისე, როგორც სხვა მომაკვდავი, მაძღარიც — მშიერია. აი მისი სიტყვებიც:

ხან მაქვს ყველი და პური
ხან მშიერი დავდივარ
მაგრამ რაც უნდა იყოს
მაინც ბედნიერი ვარ.

აკაკის ოჯახი უყვარდა, მაგრამ შექმნა, მოწყობა და პატრონობა არ შეეძლო. აკაკის ერთი მუდმივი ბინაც არ ჰქონია. ის ყველგან სცხოვრობდა: სხვიტორში, ტფილისში, ქუთაისში, ხარკოვში და ერთხელ პარიზში დაბინავდა. აკაკის შემოქმედებამ ადგილი და გარემოება არ იცოდა. ის სადაც და როდისაც არ უნდა ყოფილიყო, მაინც მუშაობდა. აკაკიზე სამართლიანად ამბობდნენ: „დედალივით, სადაც დაჯდება, კვერცხს იქ დასდებსო“ და მართლაც მისი ლექსები სად და რა დროს არაა დაწერილი... ეს ყველაფერი ვიცით, მაგრამ სიტყვა გაგვიგრძელდება.

* * *

ძლიერ ორიგინალური იყო აკაკი ფულის საკითხში. აკაკის ბევრი აძლევდა ფულს, სულერთია რა სახითაც იყო, მაგრამ მას ფული არასოდეს არ ჰქონია. ფულის ხარჯვაში აკაკიმ ანგარიში არ იცოდა. სულ ხშირად აკაკი ხელცარიელი იყო და ეტლის ფულიც კი არ ჰქონდა.

ერთხელ კოტე აბდუშელიშვილმა უთხრა — აკაკი, გიცდიან გაღმა და რატომ არ გამობრძანდითო (ბეჟ. წერეთლისას ელოდნენ თურმე), — კაცო! ფეხით ვერ წამოვედი და ეტლის ფული არ მქონდაო. კოტემ უთხრა, — „ფული ჭირივით გძულს და ჯიბეში როგორ გააჩერებო“. — მე კი არ მძულს, იმას ვძულვარ, არ ჩერდება ჩემთან და რა ვუყოო, სიცილით უპასუხა აკაკიმ.

ფულის სესხებაც უყვარდა აკაკის, თუმცა გასტუმრებაზე თავს არ იწუხებდა. მას მისთანა პირების ემართა, რომლებიც თვითონ არასოდეს არ სთხოვდნენ და ის კი არ მიუტანდა. მიმართვაც ორიგინალური იცოდა, ეტყოდა; — რა ვქნა ფული მჭირდებაო, ან, გაწუხებთ, მაგრამ ფული უნდა მათხოვოთო.

ფულის სესხება ხშირად სიცილით თავდებოდა. აი ერთი მაგალითიც:

ერთხელ გრიგოლ გველესიანთან კაბინეტში ვმუშაობდი. კაბინეტში გრიგოლის ვაჟი შემოვიდა და მამას უთხრა, აკაკი მოვიდა, ზალაშია და გამოდიო. გრიგოლი გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ კაბინეტში შემოვიდნენ. აკაკი დიდხანს სასიამოვნოთ გვესაუბრა, შემდეგ წამოდგა და დაგვემშვიდობა. ჩვენ გამოვყევით, კიბის თავზე გაგვაჩერა, ძირს ნუ ჩამოხვალთო და თვითონ კიბეზე რომ ჩადიოდა, გრიგოლს მიაძახა: „გრიგოლ! მაშ მშვიდობითო“, „მშვიდობით, მშვიდობითო“ გრიგოლმა უპასუხა. აკაკიმ ჰკითხა — მე მემშვიდობები თუ იმასაცო? გრიგოლს სიცილი აუტყდა, მე კი ვერაფერი გავიგე. აკაკი პასუხს უცდიდა. ბოლოს გრიგოლმა უპასუხა „როგორც გნებავსო“. აკაკიმ უთხრა — რაკი ორჯერ სთქვი მშვიდობითო, შენ ალბათ იმასაც გამოეთხოვეო. კარგი ბატონოო, გრიგოლმა უპასუხა და სიცილით კაბინეტში შევიდა. მე ჩავაცივდი გრიგოლს, ეთქვა რა იყო. გრიგოლმა მითხრა — ზალაში რომ გავედი აკაკიმ 200 მანეთი მთხოვა სესხად, მივეცი და მერე შენთან გამოვედით ორივეო. ახლა რომ შემეკითხა; — „იმასაც ემშვიდობები თუ არაო?“ ეს იმას ნიშნავდა, რომ გაქვს იმედი მიღების თუ აღარ ელიო?“ მე პასუხი მიტომ გამიჭირდა, რომ თუ მეთქვას: „თქვენ გემშვიდობებით“, იფიქრებდა ფულის დაბრუნებას მთხოვსო, და თუ ვეტყოდი „იმასაცო“, ის მეტყოდა, ალბათ იმედი აღარა გაქვს ჩემგან ფულის მიღებისაო და ეს შეურაცხყოფა იქნებოდა. ახლა ხუმრობაში ისე მოეწყო, რომ ის ფული არ უნდა დააბრუნოსო.

აკაკი თავისი მახვილი ენით და მცინარე სახით ყოველთვის მხიარულ შთაბეჭდილებას ახდენდა. მართლაც აკაკი ოჯახში ტკბილი მოსაუბრე იყო — სტუმრობაში მუდამ გამამხიარულებელი და ნაზი ალერსით ბავშვების მიმზიდველი. საერთოდ აკაკი ყველას მხიარული ბუნების ადამიანი ეგონა. ეს დიდი შეცდომა იყო.

მხიარულობა და ხალისი არ იყო აკაკის დამახასიათებელი თვისება. პირიქით აკაკი მწუხარე ბუნების ადამიანი იყო.

აკაკის სევდა ახასიათებდა. აკაკის შემოქმედება მთელი მისი ბუნების ამსახველია. აკაკის უკმაყოფილება, ნაღვლიანობა, ღრმა მწუხარება და ხან გლოვა-გოდება ნათლად სჩანს მის ნაწერებში. მთავარი კილო აკაკის შემოქმედებაში სევდა და მწუხარებაა და თუ ეს კილო პესიმიზმის ელფერს არ ატარებს ეს იმიტომ, რომ აკაკი ბრწყინვალე იმედის განსახიერებაა.

აკაკის ღრმად აწუხებს, რომ ნესტან-დარეჯანი ტყვეობაშია, ტარიელი და ფრიდონი არსადაა, მაგრამ რა გინდ მწარე და გულსაკლავი იყოს აწმყო, აკაკი მაინც ასე მღერის:

უნდა აყვავდეს იმედი,
გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა,
გმირებს ეძებს და უყივის,
ჩემი დაფი და ნაღარა.

* * *

აკაკი სწუხდა, რომ მასზე არ ჰქონდათ სწორი წარმოდგენა. აი, ერთი მაგალითი: ერთხელ აკაკი მოწყენილი კილოთი თავისი ამორჩეული სასაფლაოს შესახებ ლაპარაკობდა. მასპინძელმა უთხრა: “ბატონო აკაკი! მე ბედნიერი ვარ თქვენი სტუმრობით, მაგრამ მენანება, რომ თქვენ ასეთი მხიარული ადამიანი ბრძანდებით და ასეთ სამწუხარო საგანზე ლაპარაკობთო.”

აკაკიმ უპასუხა: “მე ყველას მხიარული ვგონივარ და მწუხარებას ვერავინ მამჩნევს, თუმცა გული ღრმა მწუხარებით სავსე მაქვს, რადგან ჩემ კერძო მწუხარებას საერთო - საქვეყნოც ზედ ერთვისო.”

ნაღვლიანი კილო ძალიან შეეფერებოდა აკაკის და ასეთი შინაარსის ლექსები, თვით მისგან წაკითხული, ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა.. ერთხელ ქუთაისში, თეატრში, საღამო იყო. აკაკიმ წაიკითხა ლექსი — “სანამ ვიყავ ყმაწვილი... “ და ამით დამთავრებას აპირებდა. საზოგადოებამ თითქმის ერთხმად დაიძახა: “განთიადი”, „მთაწმინდა ჩაფიქრებულა.“ აკაკი მოგვიბრუნდა სცენაზე და გვითხრა: “აი, უნდათ რომ ამატირონო”. მართლაც, წაიკითხა აკაკიმ ეს ლექსი. ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომლის აღწერა ძნელია. ძვალსა და რბილში გაიარა მისმა კილომ. არ ვფიქრობ, რომ თეატრში ვისმეს თვალი მშრალი ჰქონოდეს. მოხუცებულობაში მაინც, ამ ლექსის წაკითხვა, აკაკის მართლა ტირილი იყო.

სასახელო წარსულს აკაკი გლოვობდა, მწარე აწმყოს დასტიროდა, მაგრამ ბრწყინვალე მომავალს, რევოლუციის სახით, აღტაცებით ელოდა: ”აჩრდილიღა ვარ წარსულის და ლანდი მომავალისა”.

* * *

აკაკის მარტოობა უფრო შეფერის, ჯგუფში მოქმედება, წრეში მონაწილეობა არ იყო მისი მოწოდება.

აკაკი ბევრს უყვარდა, მას ყველა დიდ პატივს სცემდა და აფასებდა, მაგრამ თვითონ აკაკის ცოტა ვინმე უყვარდა, გამონაკლის პირებს სცემდა პატივს და იშვიათად ვისმე აფასებდა. ძალიან დაახლოვებული აკაკი არავისთან არ იყო. ის უმეტეს ნაწილად განცალკევებული იყო. ასე იყო ოჯახში, სტუდენტობის დროის ამხანაგებში, რედაქციის თანამშრომლებთან და თანამოკალმეებთან.

გრიგოლ დიასამიძე და სერგი ბახტაძე სხვებზე უფრო დაახლოებულნი იყვნენ აკაკისთან და მოსალოდნელი იყო მათ უკეთ უნდა სცოდნოდათ მისი ინტიმური ცხოვრება და თუ თვითონ არ იყვნენ მისი მესაიდუმლენი, ის მაინც უნდა სცოდნოდათ ვინ იყო, ან ყოფილა ასეთი აკაკისთვის, მაგრამ იმათივე სიტყვებით ვიცით, რომ აკაკი ძაან გულჩახვეული იყო და სავსებით გულგახსნილი ის არავისთან არ ყოფილა.

P.S. ნათქვამი მცირე ნაწილია მისი, რაც ვიცით და დაგროვილი გვაქვს აკაკის პიროვნებისა და მისი შემოქმედების შესახებ. ბევრი რამ ისეთიც გვაქვს, რასაც კერძო , ინტიმური ხასიათი აქვს და ალაგ პორნოგრაფიულიცაა, მაგრამ ყველაფერი გენიალური ნიჭის ბეჭედია. მისი ორი, ზემოთ მოხსენიებული უახლოესი ამხანაგების თხოვნით, რაც უკვე ანდერძად გადაიქცა, სრული მასალა საჭირო იქნება მისთვის, ვინც აკაკის სრული ბიოგრაფიისა და დახასიათების დაწერას დაივალებს.

გიორგი (კახა) კახაბრიშვილი

„ჩემს გასაკეთებელს სხვა ვერ გააკეთებს!“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— სულიერი სიღატაკე. მდგომარეობა, რომელშიც ამჟამად ჩვენი სამშობლო საქართველოა, როდესაც ფულია კერპი და არა კაცობა. როდესაც ქვეყანაში უამრავი მეხუთე კოლონაა!

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— აუცილებლად საქართველოში.

— რა არის უდიდესი ბედნიერება?

— ჩემი ასაკიდან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ დიდებული შვილი გამეზარდა და ახლა ნერწყვს ვყლაპავ, ისე ველოდები შვილიშვილს, რომელიც აუცილებლად ჩვენი გორისა იქნება.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ოთარაანთ ქვრივი, ღვინჯუა, დონ კიხოტი და გრაფი მონტე კრისტო. ოთარაანთ ქვრივი ჩემთვის თავდადებული ქართველი დედის განსახიერებაა, ღვინჯუა ქართული ენისა და ადათ-წესის მოტრფიალე, დონ კიხოტი რაინდი, ხოლო გრაფი მონტე კრისტო ცოდნის, ვაჟკაცობის და ბოროტებაზე გამარჯვების სინონიმი.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— რა თქმა უნდა, დავით აღმაშენებელი, დემეტრე თავდადებული, თამარი, გიორგი ბრწყინვალე, 9 ძმა ხერხეულიძე, 300 არაგველი, 100 000 თავდადებული ქართველი და სხვა. საქართველოს, საბედნიეროდ, ბევრი გმირი ჰყავს. არ მომწონს, როდესაც ჩვენს ისტორიას ვივიწყებთ. მაგალითად, არსად ისმის მარტყოფის ომის შესახებ, როდესაც ხუთი გმირი ქართველი შევიდა 30 000-იან მტრის ბანაკში და ომი წამოიწყო, მტრის მხოლოდ 3 000-მა კაცმა გაასწრო ბრძოლის ველს.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ნიკო ფიროსმანი, ელენე ახვლედიანი, დავით კაკაბაძე, მიქელანჯელო ბუონაროტი, სანდრო ბოტიჩელი, ელ გრეკო, ლუკას კრანახი, ამადეო მოდილიანი...

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— რევაზ ლაღიძე, ბიძინა კვერნაძე, გოგი ცაბაძე, ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი, ამადეუს მოცარტი, პეტრე ჩაიკოვსკი...

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— კაცობას!

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ილია ჭავჭავაძის მიხედვით — დედაკაცობას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის მომხიბლავი?

— სათნოება.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— გადასაღებ მოედანზე მსახიობთან მუშაობა... გადაღების დამთავრების შემდეგ ჩემს საყვარელ მსახიობებთან ერთად ნადიმი.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— ბავშვობაში ყველა ფიქრობს, რომ დედას ჰგავდეს ან მამას და ეს ბუნებრივია... უფრო მოგვიანებით მიფიქრია, რომ ჩემს უფროს მეგობრებს ვგვანებოდი: მიხეილ თუმანიშვილს, ეროსი მანჯგალაძეს, გოგი გეგეჭკორს, ოტია იოსელიანს, პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის...

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— ერთგულება.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ერთგულებას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ზედმეტად მჯერა ადამიანების.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— სიკეთის ქმნა. რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ჩემთვის ყველაზე დიდი უბედურებაა ის, რომ უამრავი ქართველი ახალგაზრდა ვაჟი და გოგონა საკუთარი სამშობლოდან ლუკმა-პურის საშოვნელად საზღვარგარეთ გარბის. მათ ქართული ოჯახები უნდა შეექმნათ, ახალი ილია ჭავჭავაძეები უნდა ეშვათ და ა.შ.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— სამწუხაროდ, ხშირად ოცნებები არ მართლდება.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— თეთრი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ნაზი და სათუთი ია.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— არწივი.

— თქვენი საყვარელი მწერლები?

— ილია ჭავჭავაძე, მიხეილ ჯავახიშვილი, დავით კლდიაშვილი, ოტია იოსელიანი, გურამ დოჩანაშვილი, პროსპერ მერიმე, ანტონ ჩეხოვი, გაბრიელ გარსია მარკესი...

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი, ლადო ასათიანი, მუხრან მაჭავარიანი...

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ოთარაანთ ქვრივი, დედა დიდებული ესპანური ნოველიდან „ვენდეტა“.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ახალგაზრდა ვაჟკაცები, რომლებიც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში საქართველოსთვის იბრძოდნენ.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— მაია წყნეთელი, თინა წავკისელი, ანა ბაჯი, ჟანა დ'არკი...

— საყვარელი სახელები?

— ქართული სახელებია ჩემთვის საყვარელი: ვაჟა, გელა, მზია, ია, იამზე, იათამზე, ზვიადი, ჯაბა, ციცინო, კახაბერი და ა.შ.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— ორპირობას და „ვაჟკაც“ ქალებს. ნიკოლო მაკიაველი ამბობს: ქვეყანაში, სადაც ქალები მამაკაცებზე მეტად მძლავრობენ, იმ ქვეყნის საქმე ვერ არის კარგადო.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ირანის შაჰი აბასი წარსულში. ამჟამად ის პოლიტიკოსები, რომლებიც საქართველოს საზიანოდ ორმაგ თამაშს ეწევიან.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?

— დიდგორისა და მარტყოფის ომები.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ჩემთვის რეფორმა, არსებული რესურსებით, უკეთეს ცხოვრებას და საზოგადოების განვითარებას ნიშნავს. უკანასკნელი სამი ათეული წელია ასეთი რამ საქართველოში არ შემინიშნავს. ყველაფრის ნგრევა, ძარცვა და ყვლეფა კი ბევრი ვნახე. ასე რომ, რაც არ არსებობს ვერ შეაფასებ.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— მუსიკალური.

— როგორი გინდათ გარდაიცვალოთ?

— შვილიშვილებით გარშემორტყმული და გაღიმებული.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— ბუნებით ოპტიმისტი ვარ, მაგრამ იმ ატმოსფეროთი, რომელიც ამჟამად ჩვენს სამშობლოშია, დათრგუნული ვარ!

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— უნებლიე შეცდომები.

— თქვენი დევიზი?

— ჩემს გასაკეთებელს სხვა ვერ გააკეთებს!

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— შვილო, გიორგი (კახა), ამაოდ არ გიცხოვრია ამ ქვეყანაზე!

ლია მოლარიშვილი

სამოთხის მინდვრები

ქალმა ატკრეცილი სახე მოარიდა გავარვარებულ ღუმელს. უხერხულად იყო ცალ მუხლზე ჩაჩოქილი და ცდილობდა, კიდევ ერთი შეშის ნაჭერი შეემატებინა უამისოდაც სავსე საცეცხლურში. ბოლოს, როგორც იქნა მოახერხა და საჩქაროდ მიხურა კარი. მერე იქვე, სავარძელში მიწოლილ კაცს ახედა ქვემოდან.

— სული ისედაც მეხუთება, შენ კი ცეცხლი დამინთე ამ შუა აგვისტოში! — მაშინვე მიაგება კაცმა, თითქოს ამ შემოხედვას ელოდა.

— სადილი უნდა მოვამზადო, — ფიცხლად წამოდგა ქალი, — შუქი ისევ წავიდა. ჭამა კარგად გინდათ თავის დროზე და იმას თუ კითხულობთ, საიდან, როგორ? ჩემი ძმისშვილის მრცხვენია... თემიკოც მეცოდება. მთელი დღის ნამუშევარი, დაღლილი მოვა და არაფერი დახვდება, თორემ თქვენ... შენ და სალომე!..

კაცმა სიგარეტი მოვერცხლილ მუნდშტუკში ჩაამაგრა, ყოველმხრივ შეათვალიერა. ქვედა ტუჩი შესამჩნევად გაექცა გვერდზე, აუთრთოლდა.

— მე რომ ეს დამბლა არ დამმართნოდა, ამდენს ვერ გაბედავდი.

— მუნჯი არასდროს ვყოფილვარ! — ქალმა აივანზე გასასვლელი კარი გამოაღო.

აივნიდან ჭრელ-ჭრელი ბარაკები, საქონლის ძველი ფერმის წაგრძელებული დაბალი შენობები და ორი სამსართულიანი, ოდესღაც ნარინჯისფერი კორპუსი იდგა. მთებით შემოსაზღვრულ მთელ დაბას მზის შუქზე მოტივტივე ნისლი ასდიოდა. მარცხნივ, დამრეც ფერდობზე მეჩხრად შეფენილ საფლავებს შორის ხბოები ბალახობდნენ.

— ამომახრჩო გინდა ამ სიცხეში? — მოესმა ქალს.

— გადი, გაიარე გარეთ! — მიუბრუნდა გულმოსული, — სიარული კი არ მოგკლავს. უკეთესიცაა. ხომ გითხრა ექიმმა? რა ვიცი, სიგარეტს კი ახრჩოლებ წარამარა და ეგ შეიძლება?

— გინდა უსიგარეტობას მოვუკლავარ და გინდა წნევას.

— მაშინ მოკვდი და თავს ნუღარ გვამადლი, — ქალმა გასვლა დააპირა, მაგრამ კაცმა კაბის ბოლოზე სტაცა ხელი.

— კარგად ვიცი, რატომაც იღრინები, — თვალი ჩაუკრა ცოლს.

— კარგი ერთი, რეზო!..

— წადი, გათხოვდი, გინდა? — მხიარულად განაგრძობდა კაცი. — მე ხომ ვიცი, გინდა. ვინ არ გითხოვს. ქალი სკოლის დირექტორი ხარ. დაფასებული. ყველა პატივს გცემს...

— მასხარა ხარ და მასხარად მოკვდები.

კაცმა თავი დაუქნია:

— ჰო, მოვკვდები, მაგრამ შენზე ადრე არა... — და კალთაზე დაქაჩა, — რა უნდოდა წუხელ იმ ჭლექიან ფიზკულტურის მასწავლებელს, რატომ გეძახდა?

— კაცო, შენ მართლა ხომ არ გააფრინე. სადაცაა სასწავლო წელი დაიწყება და, აბა, არ უნდა დამიძახონ? მე უნდა ვიბარებდე აქეთ...

კაცის სახემ რაღაც უცნაური ტრაგიკული გამომეტყველება მიიღო. ვერ გაიგებდით, ბუნებრივი გრიმასა იყო თუ კომედიანტის ნიღაბი.

— სულერთია, მოვკლავ! ძველი დაშნით. და ზედ ამოვაჭრი ჩემი სახელის პირველ ასოს. აბა, ზოროს ტყუილად მეძახიან?

ქალმა მსუბუქად დაარტყა ხელზე: ნუ მასხარაობ, ერთი!

— არ ვმასხარაობ. — ჭერისკენ გააბოლა კაცმა, — ოდესმე ხომ უნდა გავამართლო სახელი. ნეტა მართლა რატომ შემარქვეს? აი, ვიხსენებ და ვერ მომიგონებია.

— სულელური ტრადიცია აქვთ ამ დაბაში და იმიტომ! ყველას რაღაც მეტსახელს მიაწებებენ, — ქალი ამ სიტყვებს რომ ამბობდა, უკვე აშიშხინებულ ტაფას დასტრიალებდა ღუმელთან.

— ტრადიცია სულელური არასდროს არის, ძვირფასო მერი, რას ამბობ? — კაცი სიამოვნებით ადევნებდა თვალს აქეთ-იქით მოტრიალე ცოლს.

— აბა, ის კარგია, ჩემს შვილს რომ ,,ძვალს" ეძახიან? რამდენჯერ გავიგონებ, იმდენჯერ ცუდად ვხდები. — ქალი გაცეცხლებული კეპავდა ხახვს, — კი, ბატონო, გამხდარია, ნეკნებს დაუთვლი, მაგრამ ამის გამო... ძვალი?.. — დანა ხელში შეაყოვნა და ალერსი გამოეხატა სახეზე, — რამდენს წვალობს ბიჭი. სად შეუძლია მაინც. წარმოიდგინე, იმხელა ხეებს ჭრის და ტვირთავს... — დანა ისევ სწრაფად ამუშავდა, — დედას არ დაუჯერა, არ ისწავლა და ახლა იმკის.

— ნუ გეშინია, არ მოკვდება, — თქვა კაცმა ანგარიშმიუცემლად.

— არ გიყვარს! — საშინლად აღელდა ქალი. — რომ გიყვარდეს, ასე არ ილაპარაკებდი.

— ჰო, აბა რა, ჩემი შვილი არ მიყვარს.

მაგრამ ქალის შეჩერება შეუძლებელი იყო. გაალმასებული ცრიდა სიტყვებს:

— შენ მხოლოდ სალომე გახსოვს — ალიკვალი მამა. აი! — კედლის საათზე მიანიშნა დანით, — რომელი საათია და სძინავს.

კაცმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა: რა მოხდა მერე? რატომ ატეხე ერთი ამბავი?

— მეცხრე კლასიდან გაიპარა და რა მოხდა? ბავშვი მთელი ზაფხული დედამთილს მიუგდო — რა მოხდა. ჩემი ძმისშვილი ოთხი წელია აქ არ ყოფილა. გოგო ჩამოვიდა და საჩუქრები ჩამოუტანა. როგორ შეხვდა? ამ დილით სოკოზე უნდა წასულიყვნენ და წაყვა? სხვები გაყვნენ და ეგ ლოგინიდან ვერ წამოაგდეს.

— როგორ არ გესმის... ქმარზე დარდობს. — კაცის ხმაში მხოლოდ ახლა გაისმა სერიოზული ნოტი.

მერი შეპასუხებას აპირებდა, მაგრამ მეორე ოთახიდან ხრინწიანი სიმღერა გაისმა: ,,რა ლამაზია თუშეთიიი!..”

ცოლ-ქმარმა ერთმანეთს შეხედა.

— დარდობს, არა? — ნიშნისმოგებით თქვა მერიმ.

ოთახში მოკლე ღამის პერანგის ამარა, ნამძინარევი ქალიშვილი შემოვიდა მთქნარებით. გაწეწილი შავი თმა წელამდე სცემდა.

ეს მათი ნამდვილი სისხლი სისხლთაგანი იყო — ძალიან ჰგავდა მამას. იგივე მაღალი შუბლი; პატარა ფოსო ნიკაპზე, ოდნავ მუქი რკალები თვალებს ირგვლივ და არაბუნებრივად თეთრი, წვრილი კბილები... აღნაგობა და ხელების მოყვანილობა კი დედისა გამოჰყოლოდა. ლარნაკში ყველაზე დიდი ატამი ამოარჩია, მზემოკიდებული, ჩამოქნილი ფეხები ტახტზე აიკეცა და ხარბად ჩაკბიჩა ხილი.

— მოგშივდა, პეპელა? — გაუღიმა მამამ.

— ჩაიცვი, გოგო, როგორ დადიხარ?! — დაუყვირა მერიმ.

სალომეს ყურადღება არ მიუქცევია დედისთვის. მხოლოდ გაკვირვებულმა მოათვალიერა სამზარეულო.

— ბელა სად არის?

— ამას მე მეკითხები?! — აღშფოთდა დედა.

სალომე კიდევ უფრო გაოცდა: რაშია საქმე?

— დაგავიწყდა, სოკოზე რომ უნდა წასულიყავით?

— აა... — ჩაეცინა სალომეს, — სოკო!.. და წავიდა?

— რა თქმა უნდა, ცხოვრება უშენოდაც გრძელდება.

— ჩაგეძინა, პეპელა? — ჰკითხა მამამ.

სალომემ მოკლედ ჩაიცინა.

— თავი მოვიმძინარე... იმ ჭკუაზე არ ვარ, დილის ექვს საათზე ტყეში ვიბორიალო. სოკო... რომანტიკა... — დაცინვით აიჩეჩა მხრები. — შენი ძმისშვილი ბავშვობიდან ვერ გამოდის, დედა.

მერიმ წვრილად დაჭრილი მწვანილი, გაჯავრებით ჩაყარა მოთუხთუხე ქვაბში და მხოლოდ მერე გაეპასუხა: თავი დაანებე ჩემს ძმისშვილს და საკუთარ ბედზე იფიქრე.

სალომემ მეორე ატამი აიღო და მამას დაუსკუპდა მუხლზე.

— მე უკვე მაქვს საკუთარი ბედი, რომელიც თვითონ შევქმენი. ასე არაა, ზორო?.. ჩვენი ბელა კი... როგორ ვთქვა... ეძებს, ეძებს და დღემდე ვერ პოულობს.

— რას ეძებს, სოკოს? — ვითომ გაიხუმრა რეზომ.

— ბედს, მამა, ბედს, — ცხვირზე წკიპურტი გაჰკრა ქალიშვილმა, — არ ვიცი, შეამჩნიეთ თუ არა... მიუხედავად მოდური ტანსაცმლისა, მიუხედავად ფრანგული სუნამოს სურნელისა, რომელსაც ასე დაუნანებლად აფრქვევს, ბელას აკლია ყველაზე მთავარი — საკუთარი თავის რწმენა.

მერი სიბრაზისგან გაფითრდა კიდეც.

— გშურს! გოგომ ყველაფერს მიაღწია, რაც ჩაიფიქრა. დოქტორანტურა, სამსახური... ან როგორ გამოიყურება, კინომსახიობი გეგონება.

— კი, მართლა გალამაზებულა მას მერე, რაც ბოლოს ვნახე, — დაეთანხმა ქმარი.

სალომე გველნაკბენივით წამოხტა:

— უბრალოდ, თმა შეიჭრა და შეიღება! ისიც იმიტომ, რომ წითელთმიანია.

— ბელა მშვენიერი გოგოა, პეპელა, რა მოგივიდა? — გაოცებით უსაყვედურა მამამ.

სალომემ შუბლზე მიიკაკუნა თითი:

— რა ვიცი, მეც არ ვიცი... — ონკანი მოუშვა და წყალს დაეწაფა.

სხვა დროს დედა შავ დღეს დააყრიდა: სამზარეულოს ნიჟარაში ნუ იწუწებიო, მაგრამ ახლა რაღაცას ფიქრობდა დაძაბული და როცა ხმა ამოიღო, მამა-შვილი მიხვდა, რა ფასად უჯდებოდა ეს წყნარი ლაპარაკი.

— ჩემიანები გულზე დიდად არ გეხატება... რაც ამ ტყეში გადმოვსახლდით, ძმაც დავკარგე და დაც. წლები ისე გადის, ნათესავებს ვერ ვხედავ. უნდა გიხაროდეს, რომ ბელამ წესიერ კურორტზე დასვენებას ჩვენთან ჩამოსვლა ამჯობინა.

სალომემ ხელისგულით შეიმშრალა პირი.

— დარწმუნებული ხარ, რომ დიდი არჩევანი ჰქონდა?

— ვითომ რატომ არა? ხომ გაიგონე, რამდენს უხდიან იმ ფირმაში?

სალომემ ამოიოხრა.

— არც ისეთი ფულიანია, როგორც შენ გგონია. მართლა და მართლა, თარჯიმანს რა ისეთი ხელფასი აქვს? წარამარა არბენინებენ აქეთ-იქით. წარმომიდგენია... მეცოდება კიდეც!

კაცმა ცოლს გახედა. ალბათ, ეგონა, ახლა კი ვეღარ შეიკავებს თავს და მეხად დაგვატყდებაო, მაგრამ მერის ხმისთვის არ აუწევია, ისე მიუგო შვილს:

— რა სჭირს შენი შესაცოდი, არ გამაგიჟო. ორ ბატს ვერ მოგაბარებს კაცი.

აქ კი სალომემ იყვირა: თავი დამანებეო, — და აივანზე გავარდა.

— შრომის გაკვეთილიც კი ვერ ჩაატარე სკოლაში, სადაც ჩემი ხათრით მიგიღეს. ერთ კვირაში მიაგდე სამსახური! — მიაძახა დედამ.

— სამსახური? — უკანვე შემობრუნდა გოგო, — მამა, ამიხსენი ერთი, რა სამსახურია შრომის მასწავლებლობა?

— შრომა, შრომა და შრომა, — ფიქრიანად თქვა კაცმა, — აი, რამ გაამაიმუნა ადამიანი.

ქალიშვილს სიცილი წასკდა.

მერი ცოტა ხანს დუმდა, თითქოს ყელში ბურთი დაეცო. მერე ღრმად ჩაისუნთქა და თითქმის დაყვავებით მიმართა შვილს:

— მაინც რამ აგიცრუა გული ყველაფერზე? ქვასავით ცივი გახდი.

— ქვა მზეზე მაინც თბება. — სიტყვა გამოსტაცა გოგომ, — შენ კი წესიერად არც მომფერებიხარ პატარაობისას. მასწავლებლის როლიდან სახლშიც ვერ გამოდიოდი.

— არ გინდა დაჩაგრული ბავშვის თამაში! — ხმას აუწია დედამ, — თემიკოზე რას იტყვი, განსაკუთრებით ვეფერებოდი? ნახე, როგორი თბილია.. ხელში ამიყვანს და ,,ჩემო დედიკოო,” მეძახის. აი, ნახავ, საღამოს მოვა და ბელას დანახვაზე რა დაემართება.

— ალბათ, დამბლა. — არხეინად უპასუხა სალომემ, — ჩვენს ოჯახში ზედმეტ ნერვიულობას მხოლოდ გულისწასვლები და წნევის აწევა მოსდევს.

მერიმ ხელი, რომელშიც მაგიდის გადასაწმენდი ჩვარი ეჭირა, ისე ასწია, თითქოს უნდა მოუქნიოსო...

— ეს ბავშვობაც აღარ არის!

რეზო სავარძელში შეინძრა:

— ბავშვზე გამახსენდა — ბავშვი არ მოგენატრათ?

ქალიშვილი გაჯავრებული მიუტრიალდა:

— გეყოფათ ახლა... შემიძლია თუ არა, ცოტა ამოვისუნთქო?

— გეგონება, ღამეებს ტეხდი შვილის გულისთვის. — გესლიანად უთხრა დედამ.

სალომემ მხოლოდ შემრიგებლურად გაუღიმა:

— კი, ბატონო, შენ უვლიდი, მაგრამ შვილიშვილია, ბოლოს და ბოლოს. — თავი გადასწია და გაზეთით დაინიავა, — ცეცხლის ასე გადარევა არ გამიგია... — მერე მსუბუქად წაჰკრა ხელი მამას, — წამო, ეზოში ჩავიდეთ, ხალხში გავერიოთ.

— ტანზე ჩაიცვი! — სწრაფად უთხრა დედამ.

— არა, ასე წავალ, — სალომემ გაზეთი მიაგდო, — თვალს დავუყენებ ზოგ-ზოგებს. — და სიმღერით გავიდა: — დეედი, დეედიი!..

მერი ტაბურეტზე დაეშვა.

— არა, სულელია, შვილებს გეფიცები.

ქმარმა სერიოზულად, უღიმილოდ შეხედა.

— სულელი კი არა... ვერ ხედავ, რომ იღუპება?

— იღუპება? — სახე შეეცვალა ქალს. ვინ იცის, რა წარმოიდგინა ერთ წამში: შერცხვენა, საშინელება...

— ჰო... თმასაც არ ივარცხნის. საჭმელს როგორ ამზადებდა... თითებს ჩააკვნეტდი. ახლა, შენს გაკეთებულს გამოიტანს და ისე მიასკდება, რომ შეიძლება ბავშვიც მშიერი დატოვოს.

ქალს გულზე მოეშვა.

— უბრალოდ, ზარმაცია, სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი სიზარმაცე.

რეზომ თავი გააქნია:

— არ იყო ზარმაცი. ის ბიჭი რომ ჩვენთან ცხოვრობდა, ყველაფერს სალომე არ აკეთებდა?

ქალმა ჩაიდანს წამოავლო ხელი, წყლით გაავსო და ღუმელზე დადგა.

— ჰო, პატარა გამონათება ჰქონდა, მაგრამ ახლა რატომ აიცრუა გული? ხომ არ მიუტოვებია ქმარს. კაცი სამუშაოდ არის წასული, ფულს უგზავნის.

რეზო სავარძლიდან წამოიწია.

— ვის რად უნდა მაგის ფული!.. ოთხი წელია, შვილი არ უნახავს. ეეე, სკოლის დირექტორო, ყინულს და ქვას სხვას ეძახი და... ნუთუ არ გესმის, ბავშვს თავისი ქმარი სჭირდება გვერდით... ნამდვილად სხვა ქალი გაიჩინა იმ ძაღლისშვილმა.

— არა, არა! — გააწყვეტინა ქალმა, — თუ სახლის საყიდელი ფული არ შეაგროვა, აქ ისევ ჩვენ ხომ არ დაგვიჯდება? თავმოყვარე ბიჭია. თემიკოსიც როგორ ერიდებოდა, გახსოვს? ხვდებოდა, რომ თემიკოს სიძის აქ ყოფნის გამო არ მოყავდა ცოლი.

— მე კი გეუბნები, რომ სხვა ქალი გაიჩინა! — კაცმა მუშტი დაჰკრა სავარძლის სახელურს.

მერიმ ჩუმად შეჰყვირა და ხელი დაუჭირა.

— შენთვის ნერვიულობა არ შეიძლება!

კაცი დაძაბული შესცქეროდა სახეში.

— ყველაფერი იმის ბრალია, მე რომ ინვალიდი გავხდი.

— ინვალიდი არა, ის... — გაცინება სცადა ქალმა, — ნუ იგონებ რაღაცას. ხელი გაგისწორდა, სახეზეც არაფერი გემჩნევა.

— სამაგიეროდ, შენ ხომ გემჩნევა, დირექტორო? აგე, როგორი ანჩხლი გახდი.

მერი დაიბნა. რატომღაც ჩაიდანს შეუცვალა ადგილი.

— კარგი რა, გეყოფა. ამ სიბერეში...

— რაა? — თავი ძლივს შეაბრუნა კაცმა, — ორმოცდაათი წელი სიბერეა? შენი არ ვიცი, მაგრამ მე კაცი ვარ და ასე ცოცხალ ლეშად გადაქცევას ვერ შევეგუები.

ცოლმა თავი ფრთხილად დაუჭირა და კეფაზე დაუსვა თითები.

— რომ შემეძლოს, ფეხით ჩავიდოდი იტალიაში და იმ ძაღლის ლეკვს ძალით ჩამოვიყვანდი.

— გეყოფა, შენთვის ხმამაღალი ლაპარაკი არ ვარგა. უარესი არ დაგემართოს, — ხელი გაუშვა მერიმ.

— ამაზე უარესი რაღა დამემართება?

ქვემოდან ძახილი მოესმათ:

— ზორო!.. ზოროო!..

მერი აივნიდან გადაიწია:

— რა ამბავია, ბიჭო, დაიქცა ქვეყანა?

ქვევით თეთრპანამიანი ბიჭი იდგა, მზეში თვალმოჭუტული და უცინოდა.

— გამარჯობა, დირექტორო! ზორო სახლშია?

— სახლშია, აბა, სად იქნება?

— რა ვიცი, კაცო, ეშმაკს არ სძინავს, — გაიკრიჭა ბიჭი, — უთხარი, ჩემთან ვიკრიბებით და უმაგისოდ არ ვიწყებთ.

მერი ერთხანს უყურებდა მიმავალს, ბოლოს მშრალი სარეცხი ჩამოხსნა თოკიდან, კალათში ჩაყარა და მერეღა მიუტრიალდა ქმარს:

— რას ვერ იწყებენ უშენოდ? ამ კარტის თამაშს ვერ შეეშვი, ხომ? გინდა სასმელი დაგილევია, გინდა — კარტი და ნარდი გითამაშია.

კაცი უკვე წამომდგარიყო. არცთუ მაღალი, მაგრამ კარგად მოყვანილი; ჯერ კიდევ ბიჭური ტანი ჰქონდა.

— შენ ხომ იცი, ცივი გონებით ვთამაშობ. სულ ფეხებზე არ მკიდია, მოვიგებ თუ წავაგებ? დრო გამყავს, დრო.

— სხვა რამე მოგეფიქრებინა, კაცო.

— რა მოვიფიქრო, ფარდობითობის თეორია? — წამლებით სავსე პაკეტი მაგიდაზე მოაპირქვავა, რამდენიმე გამოაცალკევა და ერთად დაიყარა ხელისგულზე კანფეტებივით ფერად-ფერადი, მრგვალი აბები. — ფიზიკურად ვეღარაფერს ვაკეთებ. ბიჭს ვერ ვეხმარები. შენ გგონია, მე არ ვნერვიულობ, თემიკო რომ ამდენს მუშაობს?

თავი უკან გადასწია და სწრაფად გადაყლაპა წამლები. მერეღა ჩამოართვა ცოლს წყალი.

სალომე ღიღინ-ღიღინით შემობრუნდა. თმა დაევარცხნა, თუმცა კი დაუდევრად დაემაგრებინა სარჭით. მოკლე წითელი შორტი ეცვა.

— ეგ რა გაცვია, გოგო? — შეიცხადა მერიმ.

სალომემ ტანზე დაიხედა.

— შორტი. სხვათა შორის, შენი ძმისშვილის ჩემოდნიდან ამოვაძვრინე. ბელა ისეთი კეთილია, ამას დამიტოვებს კიდეც. ხომ მიხდება?

დედა თვალს არ აშორებდა.

— ქმრიანი ქალის ამისთანა მოკლე შარვლით სიარული... სოფელია ეს. ხომ არ დაგავიწყდა, სად გაიზარდე?

— სწორედაც რომ აქ გავიზარდე, — დაეთანხმა სალომე, — ჰოდა, თუ გგონია, ვინმე სხვანაირად შემომხედავს, ძალიან ცდები. წავედით, მა!.. — მამას ხელკავი გამოსდო და ფეხი ააჩქარებინა.

— მოიცადეთ! — გაეკიდა მერი, — სალომე, მაღაზიიდან პური და შაქარია ამოსატანი!

სალომე არც შემობრუნებულა, ისე მიაძახა:

— მე თამრიკოსთან შევივლი, ყავის დასალევად. დედა, გეხვეწები, ოღონდ მაღაზიაში ნუ გამგზავნი ამ მოკლე შარვლით, სირცხვილია! — და კარი გაიჯახუნა.

მერი შემოსასვლელში დადგმული კომოდის სარკესთან შეჩერდა.

— ოღონდ ეს არა, ოღონდ ის არა!.. — კომოდის უჯრიდან ჩანთა ამოიღო, სარკეში თმა ოდნავ შეისწორა და გავიდა. საათმა თორმეტჯერ დარეკა.

თითქმის მაშინვე დაიქუხა ცამ და უეცარი, თავსხმა წვიმა წამოვიდა.

ოთახში ქალიშვილმა შემოირბინა. ერთიანად დასველებულიყო. თავზე თეთრი თავსაფარი ჰქონდა წაკრული, რომელიც ძლივს მოიხსნა აკანკალებული, გათოშილი თითებით. მერე სოკოთი სავსე კალათი შემოიტანა წინკარიდან, მაგიდაზე დადო და ღუმელს მიუფიცხა ხელები. ტახტის ქვემოდან ერთი ბეწო შავი კნუტი გამოძვრა და ფეხზე მიეგლასუნა...

ქალიშვილი დაიხარა, მიეალერსა.

— მარტო ხარ, კიტი? შენი შერეკილი პატრონი სად არის? — და ხმამაღლა გასძახა: — სალომე!..

კარი გამოაღო და მეორე ოთახში შეიხედა. მერე კი მხრები აიჩეჩა ისეთი ღიმილით, თითქოს საკუთარ თავს ეუბნებოდა: რა გულუბრყვილო ვარ, სალომეს სახლში რა გააჩერებდაო.

ვიდრე ტანსაცმელს იცვლიდა, ისე ძლიერ იქუხა, სახლი შეზანზარდა. ელვის გაკვესების მერე ერთბაშად ჩამობნელდა და ალბათ, მოსალოდნელიც იყო, ცას მთელი ძალით დაეჭექა.

გოგო შეკრთა, ზეაწეული მკლავები წამით გაუშეშდა; მერე საჩქაროდ გადაიცვა ზედატანი და პირჯვარი გადაიწერა.

— ღმერთო, როგორ მეშინია ჭექა-ქუხილის! არც მიწისძვრის, არც ქარის, მარტო ჭექა-ქუხილის... მაგრამ აქ ხომ მთაა. ერთ წუთში რომ იწვიმებს, მეორე წუთში მზე გამოანათებს. შენც გეშინია, კიტი? — მან მკერდზე მიიხუტა კნუტი, — ახლა დამშვიდდი? მეც რომ ჩამიკრას გულში ვინმე დიდმა და ძლიერმა... მეც შენსავით ვარ, სითბო მიყვარს და ვერ ვიტან, როცა მიჯავრდებიან.

ის ფანჯარასთან მივიდა. შიშნეულად იყურებოდა გარეთ და თან წყნარად ედუდუნებოდა გატრუნულ კნუტს.

— იცი, კიტი, მე ვიცნობდი შენი ბებიის ბებიას... მოკლედ, ვიცნობდი პირველ კატას ამ ოჯახში. ის იყო ცეცხლივით წითური, საშინლად მხდალი და ბიძაჩემი ბელას ეძახდა. ჩემს სახელს, გესმის? ყველა იცინოდა. მეც. მაგრამ სინამდვილეში მწყინდა. იმიტომ, რომ კატა მაინც კატაა. პატარა გოგოს წყენინებას კი მეტი რა უნდა — საკმარისია წითურ კატას მიამსგავსო.

გოგოს ჩაეცინა.

— და აი, შავთმიანი გავხდი... მაგრამ რა, ჩამოვედი და აქ დამხვდი შენ — მშიშარა შავი კნუტი. თითქოს შენც გადაგღებეს. ასე რომ, არაფერი შეცვლილა.

შემოსასვლელში კარმა გაიჯახუნა.

— შენ ხარ, სალომე? აა, მამიდა!..

მერი აჩქარებით შემოვიდა. ბელას დანახვაზე თვალები გაუბრწყინდა.

— უკვე მოხვედი? — კალათს ჩახედა, — ყოჩაღ, არ მითხრა, რომ ყველა შენ შეაგროვე.

— არაა... სხვები რასაც პოულობდნენ, ნახევარს მე მითმობდნენ.

— ასე უნდა, აბა რა. სტუმარი ხარ... ამას ახლავე დავარჩევ. შენ დაჯექი და დამელაპარაკე. გუშინ წესიერად ვერც შემოგხედე, იმდენი მუქთამჭამელი მოგროვდა.

ბელა მის პირდაპირ დაჯდა და გაუცინა.

— შეგიძლია კარგად დამაკვირდე. ძალიან შევიცვალე?

— ქუჩაში შემხვედროდი, ვერ გიცნობდი. — თავი მოწონებით გადააქნია ქალმა, — ყოჩაღ, ასე უნდა. მართალი გითხრა, არ ველოდი.

გოგოს ერთიანად გაუქრა ღიმილი.

— ჰო, შენ არასდროს მოგწონდი...

მერი წამიერად დაიბნა.

— რა?.. არ გრცხვენია?.. — საჩქაროდ წამოდგა და სამზარეულოს კარადაში რაღაცას დაუწყო ძებნას.

— მითხარი, როგორ ცხოვრობ. კმაყოფილი ხარ სამსახურით? — ჰკითხა ცოტა ხნის შემდეგ, დანა რომ მოიტანა და სოკოს დარჩევას შეუდგა.

— კი, — ბელამ როგორღაც მოიწყინა, — კმაყოფილი ვარ.

მერის არ შეუმჩნევია მისი უხალისო გამომეტყველება.

— კარგია, რომ შენი მამიდაშვილივით არ აცეტდი და თხუთმეტი წლისა არ გაეკიდე უსახლკარო ბიჭს, მაგრამ მეორე მხრივ, რა ბავშვი გვყავს — ნინიკო. ხომ ნახე სურათები?

— სურათი რად მინდა, ისე არ ვიცი?

— შენ ახლა უნდა ნახო... ხან ვლანძღავ სალომეს, მაგრამ მადლობა ღმერთს, ოჯახი შექმნა. ვინ იფიქრებდა... ხომ გახსოვს, ჭირიან წიწილას ჰგავდა. ასთმიანი. მაგის გულისთვის გადმოვსახლდით ამ დასაქცევში.

— დასაქცევი რატოა. სამოთხეა.

— რა არის? — მერიმ გაკვირვებით გამოხედა.

— სამოთხე... დღეს ერთ ისეთ ადგილას მოვხვდი... მინდორში გავედით. უზარმაზარი მინდორი იყო. წელამდე ბალახით და ყვავილებით. თანაც, შემოღობილი. პირი დავაღე.

— სათიბში მოხვედრილხარ, — გაეცინა მერის, — ეგ, რაც შენ ნახე, ძროხის ბალახია და მეტი არაფერი. იმიტომაცაა შემოღობილი. გათიბავენ და გაახმობენ.

— გათიბავენ?

— ჰო... ჰოდა, იმას გეუბნებოდი, სალომე არც ისეთი სულელი გამოდგა. გამოჯანმრთელდა კიდეც და შვილიც ჰყავს. ახლა შენ გჭირდება ერთადერთი რამ, საკუთარი ოჯახი.

ბელა მუხლებზე მოეხვია სიცილით.

— გამირიგე აქ ვინმე და დავრჩები. სუფთა ჰაერი, სათიბები... შენთან ვივლი სკოლაში და ფრანგულს შევასწავლი ბავშვებს.

მერიმ ხელებში მოიქცია მისი სახე.

— შენ რა, სერიოზულად მეუბნები?

— მთელი სერიოზულობით.

— გაგიჟდი? — ქალს ნერვულად გაეცინა, — რა სულელური ხუმრობაა. ვინმემ არ გაგიგონოს და სიმართლე არ ეგონოს. დარჩება ქალბატონი!..

— რა მოგვიდა? — გაუკვირდა ბელას.

— ის არ კმარა, მე რომ ჩავრჩი ამ ტყეში და ახლა შენ მოინდომე... ახლავე მითხარი, რომ იხუმრე!

ბელა წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. ცოტა ხნის დაყოვნების მერე გაეპასუხა: ჰო, ვიხუმრე.

ქალი დამშვიდდა. სოკოს მიუბრუნდა.

— მე აქ თავი მომაქვს ჩემი ნათესავებით, გესმის? აქაური გავხდი, მაგრამ სიამაყე არ დამიკარგავს. ყველას ვაგრძნობინებდი: თქვენი მოდგმის არა ვარ-მეთქი. ეგ კი არა, არ გეწყინოს და, სოკოზე წასვლა რომ მოინდომე, არ მომეწონა.

გოგო კითხვის თვალით მიაჩერდა.

— მაინც, ხომ იცი, ამ ბიჭბუჭობასთან თავის გაყადრება არ გინდა.

ბელას ახლა კი გაოცებით აღმოხდა: ბატონყმობა ხომ არ არის, რაზე მელაპარაკები?

— უბრალოდ, გარიგებ. აქაურებს შენ გამაცნობ? ლაზღანდარები!..

— კი, მაგრამ მე ხომ სრულწლოვანი ვარ, — წინ დაუდგა ბელა, — ზრდასრული ადამიანი.

— ეგ რა შუაშია?

გოგომ გაუღიმა:

— ბავშვი აღარ ვარ, მაგრამ ეს რატომღაც ვერავინ შეიგნო. დავიღალე.

— რამ დაგღალა?

— ჭკუის დარიგებამ, მამიდა. ვერ წარმოიდგენ, რა საშინელებაა, როცა დახმარების მაგიერ, ყველა თითქოს მოწოდებულია, ჭკუა დაგარიგოს. არადა, განა შუბლზე მაწერია, რომ ისეთი გულუბრყვილო ვარ?

მერიმ დანა გადადო და წელზე შემოხვია ხელი.

— არა, შენ ყოჩაღი გოგო ხარ. აი, რამდენს მიაღწიე ცხოვრებაში.

ბელა ხელიდან გაუსხლტა.

— მივაღწიე კი. ძალიან ბევრს... — და ფრანგულად გაიმეორა იგივე ფრაზა.

— რა თქვი? — დაინტერესდა მამიდა.

— არაფერი, — ბელა ისევ მუხლებთან დაუჯდა, — მოდი, ახლა შენ მომიყევი რამე. თემიკოს ამბები მაინტერესებს. ისე მენატრება... უსინდისო, ერთხელაც არ ჩამოსულა ჩემს სანახავად.

— სად სცალია. აგე, სამი დღეა ტყეშია გადაბმულად, — ამოიოხრა ქალმა.

— როგორ მეცოდება... ნამდვილ ძმასავით მიყვარს, ხომ იცი.

— იმასაც შენ ურჩევნიხარ მთელ სანათესაოს.

— ჰო, — კმაყოფილი ღიმილით თქვა გოგომ. — თემიკოს იმედი მაქვს. მთელი წელიც რომ არ ვნახო, მაინც მეიმედება.

— ცოტას მოისულელებს, — დანანებით აღნიშნა ქალმა.

— არაფერიც! — შეესიტყვა ბელა.

— მეტისმეტად კეთილია. მამაშენს ჰგავს.

— სიკეთე ნაკლია?

— ნაკლია! — სიტყვა გამოსტაცა მერიმ, — ცხოვრება გამუდმებული ბრძოლაა და ბრძოლაში სიკეთე არც ფარია და არც ხმალი.

— თემიკო იმიტომ უყვარს ყველას, რომ წარმოუდგენლად ალალია, — დაარწმუნა ბელამ.

— ჩემი ძმაც ასეთი იყო და იმიტომ მიატოვა დედაშენმა.

— გეხვეწები, არ გინდა ძველი ამბების გახსენება. — შეემუდარა გოგო, — მითუმეტეს, არც ერთი აღარ არის ცოცხალი.

მერის თვალები ანთებოდა. ჩანდა, როგორ უჭირდა თავშეკავება.

— მკვდარსაც ვერ ვაპატიებ, ვერა!.. არ შემიძლია... თვითმკვლელობამდე მიიყვანო საკუთარი შვილის მამა — ეს ხომ საზიზღარი დანაშაულია.

— გთხოვ, ნუ ჩამაშხამებ დასვენებას! — ხელები დაუჭირა გოგომ.

ქალი გამოერკვა:

— მართალი ხარ, შენ რას გერჩი...

ბელაც მაგიდას მიუჯდა. დიდი, თეთრი სოკო აიღო და უანგარიშოდ ათამაშებდა.

— სულ მეგონა, რომ არ გიყვარდი... — თქვა კარგა ხნის დუმილის მერე, — დედაჩემის გამო.

— არ გრცხვენია? — უსაყვედურა მერიმ.

— მე ხომ დედას ძალიან ვგავარ.

მამიდამ გაუცინა:

— სულ აღარ ჰგავხარ. ახლა იცი, ვის მაგონებ? რომელიღაც მსახიობს, ამერიკელს...

— ჰო, ვიცი, — მხრები აიჩეჩა ბელამ, — ყველა მეუბნება. მაგრამ ვის მამსგავსებენ მაინც, ვერავინ იხსენებს. ჩემი უფროსიც კი ცდილობს ამის გამოცნობას.

— კაცია? — ჰკითხა მერიმ.

— ვინ, ჩემი შეფი? — ახლა გოგოს გაეცინა, — კაცია, ადამიანი.

— მოკლედ, სამსახური იშოვე. — ამოიოხრა ქალმა, — სალომეს რომ ესწავლა... წიგნი არ გადაუშლია თავის დღეში. მერე ვის? მრცხვენია პირდაპირ. ჩემს შვილს...

— კარგი ერთი, — სცადა ნუგეშისცემა ძმისშვილმა, — მთავარია, რომ ცოცხალია და ჯანმრთელი. წუთის წინათ არ ამბობდი ამას?

— ჰო, ღმერთო, მაპატიე. ვინ იფიქრებდა, საერთოდ თუ გადარჩებოდა.

— ცოტა მოსუქებული მეჩვენა, — ჩაფიქრდა ბელა, — ძალიან უხდება.

— ჭამის მეტს რას აკეთებს? გაგიჟდები. გაივლის, გამოივლის, ჭამს. მიკვირს, შენს შარვალში როგორ ჩაეკვეხა.

— ჩემს შარვალში? — გაუკვირდა გოგოს.

— ჰო, მოკლე შარვალი აიღო შენი ჩანთიდან. წითელი.

ბელას გაეცინა.

— რა ტიპია... თუ მოეწონა, დავუტოვებ.

— არავითარ შემთხვევაში! — ხელები გაასავსავა მერიმ, — ძალიან გამომწვევად აქვს. ან შენ სად აპირებდი იმის ჩაცმას?

— გასარუჯად, მამიდა. აქ ხომ ტბაა.

— გაგიჟდი? — რატომღაც ძალიან ხმადაბლა მიმართა ქალმა, — გინდა სალაპარაკო გახდეს შენი ბანაობა?

— ღმერთო! — ბელა სწრაფად წამოდგა, — ნუთუ ცურვაც არ შეიძლება?

— ცურვა შეიძლება, მაგრამ აქ არა. და ძალიან გთხოვ, თუ გინდა არ მაწყენინო, ეგ მეორედ არ ახსენო. ჩემი ხათრით... აჰა, უკვე გამებუტე. ბავშვობაშიც ასე იცოდი. უბრალო რამეზე მებუტებოდი.

— სულაც არ გებუტები, ოღონდ ყველა ნაბიჯს ნუ ამიკრძალავ პატარა გოგოსავით. მინდა ტყეშიც ვიარო, ცხენზეც შევჯდე და ტბის ნაპირზეც წამოვწვე.

— კი, ბატონო. — უყოყმანოდ მიუგო მერიმ, — მე უბრალოდ ჩემი აზრი გითხარი, თორემ... ვინ გიშლის? როგორც გინდა, ისე მოიქეცი.

— მაგრამ მე ასე არ შემიძლია, გესმის? თავისუფლად ვერ ვიგრძნობ თავს, თუ მეცოდინება, რომ შენ ჩემი საქციელი არ მოგწონს.

— აქ სხვა ხალხი ცხოვრობს. ქალაქი არ არის, — ახსნას შეეცადა ქალი.

— ნამდვილად, — დაეთანხმა ბელა, — ქალაქში ცხენით არ ვსეირნობ და არც სოკოს ვკრეფ ასფალტზე.

— მე უბრალოდ გირჩევ, თავი დაიფასო.

— მე კი დავიღალე თავის დაფასებით, — მოუჭრა გოგომ, — აქ ბუნებისთვის ჩამოვედი და მასთან ხომ მაინც შემიძლია ვიყო ბუნებრივი?

მერი შეეცადა, სხვა თემაზე გადაეტანა საუბარი:

— საღამოს თემიკო მოვა. არ გაგიჟდება, რომ დაგინახავს?

— იმედია, არ გაგიჟდება, — სუსტად გაუღიმა გოგომ.

— ძალიან დამეჩაგრა... თუმცა საკუთარ თავს დააბრალოს. საშუალო სკოლა ძლივს დავამთავრებინე ორივეს. არა, სწავლის ფასი არაფერია. მითუმეტეს, დღეს... ყველაზე მთავარია.

— ყველაზე მთავარი სიმშვიდეა, — თქვა ბელამ.

— რა სიმშვიდე? — დაიბნა ქალი.

— სულის... ბედნიერებაც ეს არის. და სულერთია, სად იპოვი ამ ბედნიერებას — ქალაქის ქუჩებში თუ მავთულით შემოღობილ სათიბში, სწავლასა თუ შეშის ჭრაში.

— რა უცნაურად ლაპარაკობ.

— ჰო, — ჩაეცინა გოგოს, — უბრალოდ, მიხარია, ისევ აქ რომ ვარ. ყველაფერი ბავშვობას მაგონებს.

მერი უცებ ძალიან დაიძაბა. გამომცდელად შეხედა თვალებში ძმისშვილს და რაც შეიძლება, რბილად ჰკითხა:

— ბავშვობის სიყვარულიც ხომ არ გაიხსენე?

გოგოს ალმურმა აჰკრა სახეზე.

— ისიც იყო სოკოზე? — ჩააცივდა მამიდა.

— ვინ... ვისზე მეუბნები? — უზრუნველად გაღიმება სცადა ბელამ, მაგრამ ტუჩები თითქოს მხოლოდ ტანჯვით აუთრთოლდა.

— თუმცა ეგ ახლა ძალიან იფასებს თავს, — ჩაფიქრებით თქვა ქალმა, — გურამზე გეუბნები. ისე, ძალიან კარგი შესახედი შეიქნა, დავაჟკაცდა...მთლად კარგ გზას არ ადგას, რომ იცოდე. ცოლიც გაექცა. ნარკოტიკს ეტანებოდაო, ამბობენ. ახლა მგონი კი შეეშვა, მაგრამ რაღა დროს... შენ ჭკვიანურად მოიქეცი, რომ არ დათანხმდი მაგას ერთად გაპარვაზე.

— სად გავყვებოდი, თექვსმეტის ვიყავი... — ძლივს გასაგონად ამოილაპარაკა გოგომ.

— თექვსმეტისამ რომ გამოიჩინე გონიერება, ამაშია საქმე.

„გონიერება... — მწარედ გაიფიქრა ბელამ, — დამღალა ჩემმა გონიერებამ!"

აბა, როგორ გაუმხელდა ქალს, რომ ახლაც კი, როცა თორმეტი წელი გავიდა იმ ამბიდან, მხოლოდ ერთს ნატრობდა ყოველ ცისმარე — დაბრუნებულიყო ის ერთი, ერთადერთი დღე მისი ცხოვრებიდან; ისევ ეხილა შებინდებისას სადარბაზოში მომლოდინე ბიჭი, იმ ღამესვე გაპარვას რომ სთავაზობდა და მოესმინა მისი ცხარე, დაბეჯითებული ჩურჩული.

ახლა უყოყმანოდ გაუწვდიდა ხელს და გაჰყვებოდა ქვეყნის დასალიერამდე, თუნდაც ბოლო არ ჰქონოდა გზას, თავშესაფარიც ვერ ეპოვათ და მხოლოდ უსასრულოდ ევლოთ, ევლოთ დაქანცულებს...

მაგრამ მაშინ — უზომოდ ამაყი, თანაც შეშინებული — განურჩეველი ღიმილით (თუმცა მხოლოდ მოჩვენებითი იყო

ეს განურჩევლობა და ღიმილიც, ვინ იცის, რა დაძაბვის ფასად უჯდებოდა) შეჰყურებდა სიბნელეში თვალებმოკიაფე ბიჭს და თავს ჯიუტად აქნევდა: არა, არასოდეს!..

გულში კი, რომელიც დაჭრილი ჩიტივით უფრთხიალებდა, ფიქრობდა: ,,წამიყვანოს!.. ღმერთო, რა იქნება, ხელი მომკიდოს და წამიყვანოს... მე ვერასოდეს გამოვუტყდები, რომ მიყვარს!..”

— რაზე ჩაფიქრდი? — ჰკითხა მერიმ.

— ჩავფიქრდი?.. ოჰ, არაფერზე. ისე... — ბელამ ღუმელთან სულ ახლოს მისწია დაბალი სკამი. — ცოტა მაჟრჟოლებს. მესიამოვნა სითბო.

— რატომ გაჟრჟოლებს? — მოულოდნელად მკაცრად ჩაეკითხა ქალი, — უკვე გაცივდი. რა სუსტი ხარ... არ უნდა წასულიყავი ასე ადრიანად...

— არა, მე სუსტი არ ვარ! — შეაწყვეტინა ბელამ, — ეგ სიტყვები მაშინ მითხარი, თუ საკუთარ ბედზე წუწუნით თავს მოგაბეზრებ.

თითქოს კიდევ სურდა რაღაც ეთქვა, მაგრამ თავი გადააქნია, წამოდგა და სამზარეულოდან გავიდა.

კარში ბიძას შეეფეთა, რომელმაც გზა დაუთმო და თან ისე კეთილგანწყობით, გეგონება მობოდიშებით შეჰღიმა, უნებურად თვითონაც ღიმილით შეხედა, თუმცა ატირებას არაფერი აკლდა.

მხატვარი მალხაზ იაშვილი

საღამოს პირზე, როცა ჯერ კიდევ არ მორეოდა გარემოს ბინდი, სახლიდან ორნი გამოვიდნენ — ბელა და თემური.

ახალგაზრდა კაცი სადარბაზოსთან შედგა და სიგარეტს მოუკიდა. ნაადრევად მოტეხილი იერი ჰქონდა: შეთრთვილული საფეთქლები, ჩაღამებული უპეები, მკაცრად მოკუმული თხელი პირი და ტუჩის კუთხეებში ორი ღრმა ხაზი. ბეჭებში, თუმცა ფართოს იტყოდით, მაგრამ ცოტა მოხრილიყო. კვამლი ღრმად რომ ჩაისუნთქა, კიდევ უფრო მოიხარა და ბელამ მუშტი უთავაზა მსუბუქად.

— გასწორდი!

ბიჭმა გაღიმება სცადა საპასუხოდ.

ხათრი ვერ გაუტეხა, თორემ დაღლილობა კიდევ არ გამონელებოდა. თუმცა სამუშაოდან დაბრუნებული მთელი ოთხი საათი იწვა და გათიშულს ეძინა... მაინც ერეოდა რული; მხრები, ხელის მტევნები კი თითქოს ერთიანად უკანკალებდა. ასეთი შეგრძნება ჰქონდა, მაგრამ თითებზე რომ დაიხედა, არაფერი ეტყობოდა.

— მძინარა! — ბელამ ხელი ჩაჰკიდა, — ადრე არ გეზარებოდა ჩემთან ერთად გასეირნება.

— ადრე სულაც არ ვმუშაობდი, — მოუჭრა ბიჭმა, — წამო, ჰო, გავიაროთ...

— კარიერისკენ, — სთხოვა ბელამ.

— კარიერისკენ იყოს...

გაუქმებული ქვის კარიერი ზედ ტყის პირას, კერპივით ზვიადად წამომდგარ კლდესთან იყო, მაღალი ფიჭვების ნამდვილ გვირაბს მიღმა. ფიჭვებამდე კი რკინის დიდი, სამანქანო ხიდი უნდა გაგევლოთ, რომლის ქვემოთაც ჩქარი, ხმაურიანი, თუმცა კი საკმაოდ უწყინარი მდინარე მიქშუოდა ტყუილი ქადილით.

დილა-საღამოს ამ ხიდზე ასეირნებდნენ პატარა ბავშვებს აქაურებიცა და მოაგარაკეებიც, რადგან სატვირთო მანქანების მისვლა-მოსვლა კარგა ხნის წინათ შეწყდა...

მაგრამ ახლა არავინ შემოხვედრიათ. თითქმის დუმილით გაიარეს მთელი გზა. თემიკო ძუნწად პასუხობდა კითხვებზე. ხვალ ისევ ტყეში უნდა წასულიყო. მთელი კვირით. დილის ხუთ საათზე ადგებოდა და ექვსის ნახევარზე გავიდოდნენ ბიჭები. უკვე შეგუებოდა ამ რეჟიმს, მაგრამ ხალისი კი დაეკარგა, ყველაფრით გაბეზრებული ჩანდა.

— ცოტა ტყე მაინც დატოვეთ! — გულუბრყვილოდ სთხოვა ბელამ.

თემიკოს ჩაეცინა.

გოგოს ისე უნდოდა, თემიკოს ძველებურად, ცნობისმოყვარედ გამოეკითხა ამბები მისთვის, მერე კი მოფერებოდა და ხუმრობით ენუგეშებინა. მაგრამ ბიჭს არაფერი უკითხავს. ისედაც ვხედავ, მშვენივრად ხარო, მიუგო საყვედურის პასუხად.

მართლა ძალიან იყო შეცვლილი. ცოტა გაუხეშებული ეჩვენა და იმდენად გამოფიტული, იფიქრებდით, უკვე ვეღარავისთვის გაიმეტებდა სითბოს.

ბელაც დადუმდა. გზა დამქანცველი გახდა. მდინარეც კი აღარ მოეჩვენა ძველებურად სუფთა და ფიჭვების კორომმაც ვეღარ მიიზიდა ისეთი ძალით... ხან გვერდულად გახედავდა თემიკოს. ის კი მორჩილად მიაბიჯებდა და, ცხადია, ერთი სული ჰქონდა უკან დაბრუნებამდე.

— დავბრუნდეთ! — უთხრა ბელამ.

იმედგაცრუებას გრძნობდა. თითქოს მოატყუეს. თუმცა გულში აპატია ბიჭს. აპატია ისე, როგორც სჩვეოდა... ესმოდა მისი; როგორც ესმოდა ყველასი, ვისაც სურდა მისთვის გაეგოთ.

ალბათ, თემიკო მაინც მიხვდა რაღაცას, რადგან მხარზე დაუთათუნა ხელი და უთხრა:

— იმ კვირას... რო დავბრუნდები, ცხენს გამოვართმევ ვინმეს და ისეირნე. ხომ გიყვარს...

მერე დუმილით გადმოჭრეს მოკლე ბილიკი დასახლებისკენ.

მაღაზიასთან სალომე შემოხვდათ ვიღაც ფეხმძიმე გოგოსთან ერთად. ბელამ შეამჩნია, რომ თემიკომ, ცოტა არ იყოს, შვებით გადააბარა დას იმისი თავი და შინისაკენ წავიდა. ყურადღება არ მიუქცევია ბიჭებისთვის, რაღაცას რომ მისძახოდნენ; მხოლოდ ხელი აუწია მისალმების ნიშნად. ბელამ დანანებით გააყოლა თვალი.

— მოკლედ, შენ სულ დადიხარ და დახეტიალობ, — უთხრა სალომემ, — გაიცანი, შორენა, გოგოლაშვილების რძალი... ეს კი ბელაა, ჩემი ბიძაშვილი.

— ბელა? — რატომღაც გაკვირვებით თქვა გოგომ, — ჩემს დედამთილსაც ბელა ჰქვია.

— თუ მოგთხოვა, ბავშვს ჩემი სახელი დაარქვიო? — ჩაიფრუტუნა სალომემ და ბელას მიუბრუნდა, — ისე, სულ არ შეგეფერება.

— დედაჩემმა დამარქვა, — თქვა ჩუმად ბელამ, — ლერმონტოვის ერთი გმირის სახელია, რომელიც ძალიან უყვარდა.

— ლერმონტოვი? — გაეცინა სალომეს, — უჰ, რუსულის მასწავლებელი რომ გვყავდა, ის აბოდებდა მაგაზე. ნამდვილი ამოჩემება სჭირდა. მიბრუნდებოდა, მობრუნდებოდა: ლერმონტოვი!..

ვიღაც მიუახლოვდათ.

— სად დაიკარგე, გურამ? — ხმამაღლა და გამოწვევით ჰკითხა სალომემ, — ხომ იცი, უშენოდ მოწყენილია უბანი.

ბელამ იგრძნო, როგორ აუვარდა ალმური. ძლივს გაბედა, ზევით აეხედა და იმ წამსვე წააწყდა გაოცებულ მზერას. ბიჭს თითქოს თვალდათვალ ეცვალა ფერი.

აღარ ახსოვდა, რამდენ ხანს უყურეს ერთმანეთს თვალებში... არც ის, რა უთხრა გურამმა, ან თვითონ რა უპასუხა...

სალომემ ხელი ჩაავლო და თითქმის სირბილით წაიყვანა: ღამდება. შინ რომ არ დავბრუნდეთ, დირექტორი დაგვხოცავსო.

ვახშმად სამზარეულოში ისხდნენ. მინავლებული ღუმელის სითბო ახლა სასიამოვნოც კი იყო... სალომე ხარბად ჭამდა და წყალიც რამდენჯერმე დაისხა გრაფინიდან.

— ათასჯერ გაგიმეორე, არ ვარგა ასე, ყოველ ლუკმაზე წყლის მიყოლება! — შენიშნა დედამ, რომელიც გაღიზიანებული უყურებდა.

სალომემ მხოლოდ წარბები აძგიბა არტისტულად და მამას მიუჭახუნა ჭიქა:

— ეს ჩვენს შეხმატკბილებულ ოჯახს გაუმარჯოს!

მამამ სიყვარულით შესცინა.

ბელას ლუკმა არ გადასდიოდა ყელში. ასე ეგონა, პურის მაგივრად გამლღვალ თიხას ღეჭავდა, ის ეგლისებოდა პირში და გადაყლაპვას ვეღარ ახერხებდა...

— რა არის, ხომ არ გაწყინა დღევანდელმა სოკომ? — აღელდა მამიდა, — ნაცრისფერი გადევს. საგულდაგულოდ კი გადავარჩიე, მაგრამ...

— როდის გახდა ეს სოკო მომწამლავი? — უთხრა ქმარმა, — გუნებაზე ვერ არის ბავშვი. მოეწყინა ჩვენთან.

თემიკო უგემურად ილუკმებოდა. მამამ რომ ეს სიტყვები თქვა, გაუღიმა ბელას და ხელი მოუჭირა ხელზე. მერე მოიბოდიშა (ესეც ბელას გასაგონად იყო განკუთვნილი) და დასაძინებლად გავიდა.

— ოჰ! — თავი გადააქნია მერიმ, — როგორ იღლება! როგორ... რად მინდა ასეთი ნაშოვნი ფული. ცეცხლმა დასწვას!

— აი, სკოლა დაიწყება და დამშვიდდები, — ვითომ ანუგეშა ქმარმა.

— რა შუაშია? — ხმას აუწია მერიმ, — სკოლა და ჩემი შვილის უსამსახურობა ნეტა რა კავშირშია ერთმანეთთან? — და ბელას მიუბრუნდა, — რა დღეში ვარ, ხედავ?

ბელას არაფერი უპასუხია. შავ კნუტს დაჰყურებდა, რომელსაც სალომემ ფეხი გაჰკრა მაგიდის ქვეშ და იმანაც ბელას მიაშურა კნავილით.

— როგორ იქანცება! — ისევ თქვა მერიმ, — რა ადრე ეძინება.

— მეც გავალ, დავისვენებ. რაღაც თავი მტკივა, — წამოდგა ბელა, მაგრამ მამიდამ ხელი სტაცა.

— გულისრევას თუ გრძნობ, არ დამიმალო! ახლავე გავათბობ წყალს და...

— მე მერევა გული, ოღონდ სოკოსგან კი არა!.. — შეაწყვეტინა სალომემ, — აი, ცხოვრებისგან. როგორ ამბობ, მამა? ამაოებაო თუ რაღაცა...

— როცა ვფილოსოფოსობ? — რეზო თევზს დანა—ჩანგლით ფრთხილად აცლიდა ფხებს.

— რა აკურატული ხარ, მამა! თავი რესტორანში მგონია... მეც წავედი. ოღონდ დასაძინებლად არა. ამაღამ თამრიკოსთან ვრჩები. მარტოა და მთხოვა. — სალომემ ხელსახოცი თეფშზე დააგდო, — გუდ ნაით!.. ფრანგულად როგორ იქნება, ბელა? — და პასუხისთვის არ დაუცდია, ისე გავიდა.

დილის შვიდი საათისთვის ბელას უსიამო შეგრძნებით გაეღვიძა. თუმცა ისედაც არ უძინია მოსვენებით. შუაღამისას ადგა და კარადაში, ბიძის წამლებს შორის, დამამშვიდებელ წვეთებს ეძებდა. მერე, როგორც იქნა, ჩათვლიმა. და მაინც, ასე ადრიანად გაახილა თვალი; გეგონება, კოშმარული სიზმრისგან აფორიაქებულმა. თუმცა არ ახსოვდა, რა დაესიზმრა. იქნებ არც არაფერი...

სალომეს საწოლზე ტანსაცმელი გროვად ეყარა.

თემიკო უკვე დიდი ხნის წასული იყო. ჩანს, მამიდაც ისევ ჩაწვა ლოგინში, დანაშაულის შეგრძნებით. შვილი გააცილა და ახლა, ალბათ, ცრემლს ღვრიდა ბალიშზე. ან ეგებ ღრმად ეძინა, ჩამიჩუმი არ ისმოდა.

ბელას სუფთა ჰაერის ჩასუნთქვა მოსწყურდა და აივნის კარი გამოაღო... კინაღამ შეჰკივლა მოულოდნელობისგან. ისე კი, რა იყო მოულოდნელი — კაცი საკუთარ აივანზე იდგა და ეწეოდა.

რეზომ თავი ნელა შემოაბრუნა მისკენ.

— უკვე გაგეღვიძა? დილა მშვიდობისა!

ბელამ გაუღიმა პასუხად. კაცმა სწრაფად ჩააქრო სიგარეტი.

— ნუ ეწევით ასე ადრიანად! — უთხრა შეწუხებულმა გოგომ, — როგორ შეიძლება?

— ეს მამიდაშენს ჰგონია, რომ თემიკო არ მადარდებს. მე კიდე ყველაფერი მტკივა, ყველა კუნთი, ძვალი და სულიც, თუ გინდა იცოდე — ისე განვიცდი...

— მერე, ეს მოწევა რას შველის?

— არაფერს, — კაცმა თავზე გადაუსვა ხელი, — თვითონაც მშვენივრად ვიცი, მაგრამ ცოდნაც არ მშველის. ცოდნა ზოგჯერ არაფერს ცვლის.

— კი, ეგ მეც ზუსტად ვიცი, — ღიმილით დაეთანხმა ბელა.

ბიძა გამომცდელად ჩააცქერდა.

— შენ არც არაფრის ცოდნა გჭირდება. ძალიან ლამაზი, სხვანაირად ლამაზი გოგო ხარ და უბრალოდ, ბედნიერი უნდა იყო.

ამ სიტყვებით საფეთქელზე აკოცა გოგოს და ოთახში შევიდა.

— ბედნიერი, — გაიმეორა ბელამ, — ბედნიერი...

თვალი გაუსწორა პირდაპირ მდგარ მთას, რომელსაც მწვერვალი გაჰქრობოდა. დილაობით ეს ნისლი როგორ ეკიდა აივანზე... გეგონება, დასვრეტილი ფარდა ჩამოაფარესო — ალაგ-ალაგ სულ არაფერი ჩანდა და ზოგანაც მკაფიოდ ისახებოდა რომელიმე სახლის წვეტიანი სახურავი თუ ბურუსში ჩავლილი ადამიანის თითქოს ცალკე ამოზრდილი ხელ-ფეხი ან ბომბორა ძაღლის თავი.

ბელას არ შეეძლო თვალი მოეწყვიტა ამ გაურკვეველი, ბუნდოვანი სურათისთვის. ყოველ ჯერზე ახალი ძალით აჯადოებდა და იზიდავდა. ხელები გაიწოდა წინ. თითქოს სურდა შერწყმოდა ნისლს ან გადაებიჯებინა სადღაც მიღმა სამყაროში...

ნასადილევს (სალომე არა და არ გამოჩნდა) მერი გამწყრალი ალაგებდა სუფრას. ძმისშვილს არ დაანება მიხმარება — შენ აქ დასასვენებლად და მოსაკეთებლად ხარ ჩამოსულიო. დაურიდებლად, დამტვრევის სურვილით რეცხავდა ჭურჭელს. წყლის ჩხრიალში კი მოკლე-მოკლე წინადადებებს ისროდა (ტყვიამფრქვევითო, აღნიშნა რეზომ).

ბელა სარკესთან იდგა, საძინებელ ოთახში. ასე საგულდაგულოდ, ვგონებ, არასდროს გამოწყობილა. ხვეული თმა ლამაზად შეისწორა შუბლთან და პატარა, ამეთვისტოსთვლიანი საყურე მოირგო. წვრილი ვერცხლის სამაჯურებიც აიღო, მაგრამ ისე გათხელებოდა მაჯა, ყველა გასძვრა. ახლაღა დაეკვირდა საკუთარ გამოსახულებას ყურადღებით და მიხვდა, ,,მოკეთების" მაგივრად საგრძნობლად გამხდარიყო. სულ რამდენიმე დღეში...

მაღაზიაში აპირებდა წასვლას და ნეტა რატომ ემზადებოდა ასეთი ამბით?

მთელ თავის გამბედაობას მოუხმო; თითქმის თავგანწირულ გამბედაობას (ასე ეჩვენებოდა). უნდა ენახა ის, ვის გამოც, ვისთან შეხვედრის შიშნეული, ფარული იმედითაც ჩამოვიდა აქ...

— ობოლო, — უთხრა საკუთარ თავს სარკეში, — საბრალო, საბრალო ობოლო...

სადარბაზოდან თავაწეული, ლაღი ნაბიჯით გამოვიდა. ვერავინ შეატყობდა, რა ფიქრები უმძიმებდა სულს. ან ახლა, ან

არასოდესო, გადაწყვიტა. ოღონდ რა უნდა ჩაედინა, რას მიესადაგებოდა ეს გადაწყვეტილება — თვითონაც არ იცოდა.

იქვე ბიჭები ისხდნენ. ხის გადანაჭერზე კარტი ჩამოერიგებინათ და თამაშობდნენ. ერთი იმათგანი იმ წამსვე წამოდგა და გაცილება შესთავაზა. ის ყველაზე თავისუფლად იყო ბელასთან; სოკოზედაც ერთად იყვნენ და ბავშვობიდან მეგობრობდნენ. ბიჭს ჩიკორას ეძახდნენ.

რა გაცილება მინდა, თამაშს არ მოცდეო; მაგრამ ჩიკორა აღარ მოშორებია.

ამ უსაქმურებთან ისედაც დღეში ოცდაშვიდი საათი ვგდივარო, — უთხრა და გვერდით გაჰყვა.

ჩიკორა ძალიან იყო შეცვლილი. ისეთი მხიარული ახსოვდა... ახლა ცოლ-შვილს მოკიდებოდა და თქმაც არ იყო საჭირო — ჩანდა, როგორ უჭირდა ოჯახს გაძღოლოდა. ცოლი, სამი ერთმანეთზე პატარა შვილი, ავადმყოფი დედა და ეს ერთი მარჩენალი...

სიტყვა დაძვირებოდა ჩიკორას.

მაინც ხალისით მიჰყვებოდა ბელას. სულ ახლოს, მხართან ეხებოდა ოდნავ. და ისე ცხადად იგრძნობოდა — სულს უთბობდა ამ ყურადღებიანი, აქაურებისგან ასე განსხვავებული, უცხო ჩიტივით მომხიბვლელი ახალგაზრდა ქალის სიახლოვე, ვისთანაც ოდესღაც გულითადი ამხანაგობაც აკავშირებდა...

„რას გვმართებს ცხოვრება,"— გულში გაჰკრა ბელას, როცა ლაპარაკისას ხან ახედავდა სახეში ჩიკორას და გაუხეშებულ, მზით დამწვარ ნაკვთებსა და დარდიან თვალებში უწინდელი მოუსვენარი ბიჭის ანარეკლს ეძებდა მოწყურებული.

მაღაზიაში, გამყიდველი დახლთან თვლემდა (ესეც ახალგაზრდა კაცი იყო). უსათუოდ ქეიფში გაათენა წუხელ. აქ ხომ დალევა იყო თითქმის ერთადერთი თავშესაქცევი. შრომა და სასმელი... აკი ისხდნენ ამ დილითაც, მაღაზიაშივე, სახელდახელოდ გაშლილ პატარა ტაბლასთან. ოთხი თუ ხუთი ბიჭი... ლუდს სვამდნენ. მერე, ალბათ, უფრო მაგარ სასმელზე გადავიდოდნენ.

ყველამ შეცბუნებით ამოხედა. თითქოს ეთაკილათ, რომ ასეთ დროს შეუსწრეს. ზრდილობიანად მიესალმნენ. მერე, მისი ღიმილით გათამამებულნი, წამოდგნენ და გარს შემოეხვივნენ. ოღონდ ლირფად კი არა... უნდოდათ ესიამოვნებინათ მისთვის. გამყიდველი გამოაღვიძეს და ნაყინზე დაპატიჟეს ბელა. თუმცა, ის ძალიან უარობდა. ერთმა შიკოლადის ფილაც ჩაუდო ხელში, როგორც პატარა ბავშვს.

არა, გურამი აქ არ შემოვიდოდა, ალბათ...

მაგრამ მოტოციკლი ხომ იდგა შემოსასვლელთან; გარეული მხეცივით მოხდენილი Harley_Davidson — ყმაწვილობიდანვე რომ ასე ხიბლავდა გურამს.

და ბელას ზურგი შეუთრთოლდა უცებ. შემობრუნდა და მის თვალებს შეხვდა; გაბრწყინებულ, მეტყველ თვალებს. ერთხანს თითქოს ლაპარაკის უნარი დაკარგა გურამმა. მაგრამ მალე დაიბრუნა ვითომ არხეინი იერი და ბიჭები „დაიფრინა:" გეყოფათ, ე, ნუ შეაწუხეთ გოგო!

მკლავზე ფრთხილად მოჰკიდა ხელი და გამოიყვანა წრიდან.

ბელა ცეცხლივით დასწვა ამ შეხებამ.

გარეთ გამოვიდნენ.

მერე იხსენებდა, რომ ცა ერთ მხარეს კაშკაშა წითელი ფერით იყო განათებული, როგორც ზოგჯერ მზის ჩასვლისას იცის.

— მინდა გნახო, დაგელაპარაკო! — უთხრა პირდაპირ და ერთმა ღმერთმა იცოდა, რამ შეაძლებინა ამ სიტყვების წარმოთქმა.

ბიჭი შეყოყმანდა.

— კარგი, — უთხრა მერე, — ხვალ დილით, რამე მიზეზით, დაბაში წამოდი. მეც იქ დაგხვდები...

— სად არის წნევის აპარატი? — იკითხა მერიმ, ამაო ძებნის მერე კარადის კარი რომ მიაჯახუნა, — სად წაიღეთ? სალომე, გესმის თუ არა?

— ძალიან არ მჭირდებოდა თქვენი აპარატი? — სალომე სავარძელში ფეხმორთხმით იჯდა და მზესუმზირას შეექცეოდა..

— მამაშენს წნევას მაინც უკონტროლებდი, ახლა ეგეც გეზარება. სულ მოგეღო ბოლო!..

ბელამ ყურადღებით შეხედა სალომეს. იმან კი მხოლოდ თვალი ჩაუკრა.

რეზომ ტელევიზორი ჩართო, ბელას გვერდით ჩამოჯდა და ხელი მოხვია მხარზე:

— ხელმწიფეს ორი ქალიშვილი ჰყავდა. ერთი ანჩხლი და ზარმაცი, მეორე — მუყაითი და სათნო... ზარმაცი მთელი დღე მოხალულ მზესუმზირას მიირთმევდა...

— ჩამოიარა უფლისწულმა, ცოტა მზესუმზირა სთხოვა და ცოლადაც შეირთო, — გააგრძელა სალომემ, — რას გადამეკიდეთ? შენ მაინც...

წამოხტა, მაგრამ მაშინვე გაკვირვებით დახედა სავარძელს და დაუსტვინა:

— ო, აგერ ყოფილა! ზედ არ ვმჯდარვარ შენს წნევის საზომზე?

რეზო თავს შეუძლოდ გრძნობდა. ბოდიში მოიხადა და დივანზე წამოწვა. ცოლი იქვე ჩამოჯდა, მისი ხელი ეჭირა ხელში.

— ,,თავს უზის ცოლი ლამაზი, სანთელივითა დნებაო,"— ჩაილაპარაკა კაცმა, — კარგი, არც ისეთი მაღალი წნევა მაქვს. რად გინდა ეს პულსის შემოწმება და დრამატიზება?

ბელა სიბრალულით შეჰყურებდა.

სალომემ ოდნავ უჩქმიტა ხელზე.

— რაო, იმ ვაჟბატონმა? — ჩასჩურჩულა ყურში, — დაგინახეთ, ერთად რომ მოდიოდით.

— არაფერი, გამომაცილა...

— გაიხსენა ძველი დრო?

— ოჰ, ეგ ხომ ბავშვობა იყო.

უცნაურია... მთელი დღე აპირებდა, სალომესთვის გაენდო თავისი პატარა საიდუმლო, მაგრამ ახლა რატომღაც გადაიფიქრა... სალომე ძალიან ჩაკეტილი, დაძაბული და გამომცდელი ჩანდა და რაღაცით ჩასაფრებულ ნადირს მოაგონებდა.

— ძალიანაც კარგი. შენ ეგეთი გაუთლელი ბიჭი არც შეგეფერება. მერე რა, რომ ნახევარი მსოფლიო აქვს მოვლილი... სამაგიეროდ, საშიში ტიპია, დამიჯერე! ნასწავლი ქალი ხარ — როგორც მამიდაშენი იტყოდა — რაში გჭირდება ვიღაც...

სალომემ სიტყვა არ დაამთავრა, მხრები აიჩეჩა და საჩქაროდ ყელზე აკოცა ბიძაშვილს. ტუჩები ისეთი მხურვალე ჰქონდა, ბელას ეგონა, დაღი დამასვესო.

— სიცხე ხომ არ გაქვს? — მიუბრუნდა შეწუხებული.

— ოჰ, ცხელი გეჩვენე? უბრალოდ, სისხლი მიდუღს! — გადაიხარხარა სალომემ, — გავქროლდებოდი ახლა სადმე, სამოგზაუროდ! ოკეანის სანაპიროზე...

დილით წვიმდა. სიგრილე, თითქმის სიცივე შემოდიოდა პატარა, ღია სარკმლიდან. ბელა ნელა წამოდგა საწოლიდან. შეაჟრჟოლა. თუმცა მარტო სიცივისა არ იყო ეს ჟრჟოლა...

სალომეს ღრმად ეძინა. მკლავები მაგრად მოეხვია ბალიშისთვის. შავ, გრძელ თმას დაეფარა ბალიში.

ბელამ ფრთხილად გადაუწია თმა სახიდან და საბანიც წამოაფარა მოშიშვლებულ მხრებზე.

ათი საათისთვის უკვე დაბაში იყო. აქაურობა ცინცხალი ატმოსფეროს საბურველში თრთოდა თითქოს; გეგონებოდა, ჰაერის უმცირესი ნაწილაკები გეხებოდა და წკრიალითა და ციმციმით სკდებოდა.

საკურორტო დასახლების ცენტრი კი იყო და მანქანებიც ბლომად ირეოდა, მაგრამ ეს მაინცდამაინც ვერაფერს აკლებდა საღი ბუნების ძლევამოსილებას. შარაგზის მტვერიც უკვა-

ლოდ იკარგებოდა. თუმცა ახლა მტვერიც არსად ჩანდა, ნაწვიმარზე... მუქი, თითქმის სიშავეში გარდამავალი მაღალი ნაძვები და მათ შორის გამომზირალი სახლების წვეტიანი, კრიალა სახურავები დაუვიწყარ სურათს ქმნიდა— ღია ბარათზე აღბეჭდილის მსგავსს.

ბელა პატარა, მყუდრო კაფეში შევიდა და მრგვალ, შემინულ სარკმელთან მდგარი მაგიდა ამოარჩია. აქედან კარგად დაინახავდა ყველას, ვინც კი ჩაივლიდა.

გურამის მანქანა შორიდანვე შეამჩნია, მაგრამ არც უფიქრია მიახლოება...

— ისევ გაწვიმდა, — თქვა გურამმა, — რაღაც არეული ამინდია... ჩემსავით.

ბელა ჩუმად იჯდა. ჭიქა ორივე ხელით ეჭირა და ნელა ატრიალებდა.

— შენ ისევ არაფერს მეუბნები... აღარ ვიცი, რა ვიფიქრო.

ბელამ თავი ასწია და თვალებში შეხედა.

— ჩემზე რას იტყვი? — ჰკითხა პირდაპირ და განცვიფრდა, რომ ხმა ოდნავაც არ შეცვლია. — რამე, თუნდაც ნატამალი, კიდევ დაგრჩა იმ გრძნობიდან? ხანდახან ისევ ფიქრობდი ჩემზე? ან ახლა რამეს ნიშნავს შენთვის ჩვენი შეხვედრა?

ბიჭი თვალს ვერ აშორებდა.

— ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე... — ეს სიტყვები უცნაურად, ბურანში ნასულივით უთხრა.

ბელას გული შეუქანდა. ბედნიერების, მღელვარების ტალღებმა წალეკა და ამ თრობის მდგომარეობიდან გამოუტყდა — რომ უყვარს; რომ ერთი დღითაც ვერ დაივიწყა და საერთოდ... არაფერი გააჩნია ამ სიყვარულის გარდა. ეჩვენება, რომ ცხოვრებამ სადღაც მიღმა ჩაიარა... ვერაფერი მოიპოვა; საოცრად მარტოა და ამ მარტოობას ვერავინ უვსებს.

გაჩუმდა და სასიკვდილო განაჩენის მომლოდინესავით შეაჩერდა ბიჭს.

იმას კი უცებ სახე შეეცვალა. გეგონება, კბილის ტკივილმა დაუღრიჯაო და თავი ხელებში ჩარგო.

— რაღა ახლა, რაღა ახლა! — თქვა ბოლოს.

ბელა გაფითრდა. გაღიმებას შეეცადა.

გურამმა მისი ხელი დაიჭირა ხელში. სახეზე ცრემლები ჩამოსდიოდა.

— სულ ცოტა ხნის წინათ რომ მცოდნოდა ის, რაც ახლა მითხარი... სულ რაღაც ორი-სამი თვის წინ... ამაზე ვერც ვიოცნებებდი. ახლა კი, აღარ შემიძლია. აღარაფერი. ყველაფერი გვიანაა. მაპატიე!

სამი ივლისი სალომეს დაბადების დღე იყო.

მერი გამთენიიდან ტრიალებდა სამზარეულოში. საუზმისას საყვედურებით აავსო ქმარი — მათ ქალიშვილს თორმეტ საათამდე ეძინა...

სეირნობიდან დაბრუნებულმა ბელამ ფრთხილად შეაღო საძინებლის კარი. სალომე პიჟამისამარა იდგა შუა ოთახში და თავს აქეთ-იქით ატრიალებდა. კისერი თუ გაუშეშდა...

ბელამ საჩუქარი გაუწოდა.

— ეს სუნამო შენთვის მქონდა, მაგრამ მგონი უკვე გაგიხსნია...

— აა, ეგ გუშინ ვნახე შენს ჩანთაში და დავისხი კიდეც.

— ჰო, ისე გულდაგულ შევაფუთინე, მაგრამ...

სალომემ გადაიხარხარა:

— გაბანტული იყო და რაღაც მძივებივით ეყარა ქაღალდის პარკში...

სუნამო ჩამოართვა და მთელ ტანზე შეიფრქვია ნერვულად.

— მოგწონს მაინც? — ჰკითხა ბელამ.

სალომემ სუნამო კომოდზე დადო, სულ ახლოს მივიდა ბიძაშვილთან და ხელი მოუჭირა მაჯაზე.

— შენგან მხოლოდ ერთი საჩუქარი მინდა — რაც შეიძლება, მალე წახვიდე აქედან!..

ბელამ ხელი ძლივს გაითავისუფლა.

— რა ხდება? ასეთი რა დაგიშავე? — ჰკითხა წყნარად. ერთი წამითაც არ შეჰპარვია ეჭვი ასე მოულოდნელად ნათქვამი მკვახე სიტყვების სერიოზულობაში, — რამე დაგიშავე? ისე კი, იცოდე, მამიდაჩემთან ვარ ჩამოსული, თემიკოსთან, ბიძაჩემთან... თუ შენ ვერ მიტან.

ცივად შებრუნდა. მაგრად მომუშტა ხელები. იგრძნო, საცაა, წონასწორობას დაკარგავდა.

სალომეს ხმამაღალი ტირილი აუტყდა. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ბელა სწრაფად მოტრიალდა მისკენ, მთლად შეძრული. არასდროს ენახა სალომეს ცრემლი.

— წადი! — ქვითინებდა სალომე, — შენ ყველაფერი გაქვს. ქალაქში ცხოვრობ... სამსახური, ბინა... ისეთ კაცს იშოვი... რად გინდა ეს ცოლგანაშვები, თავგზააბნეული ბიჭი? რაში გჭირდება?..

ბელამ ისღა მოახერხა, რომ ირონიით ეკითხა:

— შენ რა, ჩემზე ასე დარდობ?

— საკუთარ თავზე ვდარდობ! — სალომე მუხლებზე მეხვია და ცრემლებით სველი სახით მიეხუტა. — ხომ იცი, ერთად ვართ გაზრდილები... უფროსი კია, მაგრამ მე ხომ ყველა აქაურ ბიჭთან ვმეგობრობ. ბურთსაც კი ვთამაშობდით ერთად... გამიგე, გამიგე!

ბელამ სუსტად სცადა მოეშორებინა, მაგრამ სალომე უფრო მაგრად მიეკრა, დაჩოქილი ამოჰყურებდა და გამშრალი ტუჩებით ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდა სიტყვებს:

— ისე მოხდა, რომ მორიგი ქეიფის მერე გამომაცილა და მასთან აღმოვჩნდი, სახლში ამოსვლის მაგიერ... მერეც ვხვდებოდი. ეს რომ გამჟღავნდეს, თავი უნდა მოვიკლა. არადა, გამჟღავნდება. ბავშვი მეყოლება. ჰო, მგონი ორსულად ვარ... ასეც რომ არ იყოს... ცოლად რომ არ შემირთოს, ჩემი სიცოცხლე დამთავრდება, გესმის? რეზოც მოკვდება, მერიკოც... თემიკო მკვლელობას ჩაიდენს. შენ კიდე ჩამოხვედი და რაღაც ძველი სიყვარულის გახსენება მოინდომე. ბავშვობაა... არაფერი არ ყოფილა თქვენში. ის რა სიყვარულია? რა იცი შენ, რა არის ნამდვილი სიახლოვე. ნუ დამღუპავ, ბელა, გეხვეწები! — ამ სიტყვებზე გიჟურად, კოცნით დაუფარა ფეხები, — შენ ქმარსაც იპოვი და ვისაც გინდა, იმას მოაწონებ თავს. ხომ ხედავ, აქაური ბიჭები დადებილებულები მოგჩერებიან. წადი, თორემ თავს მოვიკლავ!..

ბელამ სახეზე მოავლო ათრთოლებული თითები.

— ის შენი ღირსი არ არის! არც მე ვარ მეტის ღირსი... არც ის არის უკეთესის ღირსი... მხოლოდ ჩემნაირი უნამუსო ქალი შეეფერება, თავზეხელაღებული, უთავმოყვარეო, სულელი!.. შენ სხვა ხარ, სულ სხვა!..

ბელამ ჩაიჩოქა და გულში ჩაიკრა. მაგრამ მოეჩვენა, რომ ყინულივით გაუხდა ხელებიც და სახეც გაუშეშდა.

— მეც რომ ვიბრძოლო? — ჰკითხა ჩურჩულით, — მეც რომ შენსავით ვიბრძოლო ჩემი წილი ადგილისთვის ამ ცისქვეშ?

ეს უთხრა და მაშინვე იგრძნო, როგორ მოიღვენთა სალომე. დაინახა, რა საშინლად შეეცვალა სახე, დაუშნოვდა და ჩამოჭკნა...

— მაგრამ არ მინდა... არ მეგონა, ასე უბედური თუ იყავი...

— ძალიან მიყვარხარ, — საცოდავად, შვებით ამოიოხრა სალომემ.

— არა, არ გიყვარვარ! — მოუჭრა ბელამ, — არც მოგინდომებია გაგეგო, მე რას განვიცდი. ის, რაც თქვენს შორის იყო, რა სიყვარულია... რა იცი შენ, რა არის ნამდვილი სიახლოვე... — და შეხედა რა სალომეს თვალებს, დაუმატა, — დამშვიდდი, ხვალვე წავალ აქედან...

ადრიანი დილის ბინდბუნდში ლანდებივით ჩაიარეს ბოსლებისკენ გაჩქარებულმა ქალებმა, სათლებით ხელში. დრო იყო — მოწველიდნენ ძროხებს, მერე კი მწყემსი გაირეკავდა საქონელს ტყისპირა საძოვრებისკენ.

ბელამ აივნიდან პურის ნატეხი გადაუგდო უპატრონო, ჭრელ ძაღლს, ხან ერთ სადარბაზოსთან რომ აიტუზებოდა, ხან მეორესთან. კუდს გამალებით ურტყამდა მიწაზე და თავი გამუდმებით აღერილი ჰქონდა ზევით, გამასპინძლების მოლოდინში. ეს ძაღლი ყველას საკუთრება იყო და იმავდროულად — არავისი...

ახლა პირი დაავლო პურის ნაჭერს და კიბის ქვეშ მიიმალა. ბელა ცოტა ხანს დაჰყურებდა ქვევით ჩავლილ მეზობლის ქალებს, მერე ოთახში შებრუნდა.

ბარგი უკვე ჩალაგებული ჰქონდა. სულ ერთი ჩანთა იყო...

შევიდა და ბიძის თვალებს წააწყდა. გამომცდელ, კითხვით სავსე მზერას.

— შენ არაფერი მიპასუხე... — უთხრა მან სწრაფად, — სალომემ გაწყენინა, ხომ? აპატიე, გთხოვ!

ბელა ფეხის წვერებზე აიწია და ლოყაზე აკოცა.

— არავისაც არ უწყენინებია. ხომ აგიხსენით უკვე.

მერის არაფერი უკითხავს. უცნაურად დადუმებული მიმოდიოდა. სუფრა გააწყო საუზმისთვის, რომელსაც არავინ გაკარებია...

— გარინდება მეხთატეხის წინ, — ჩაილაპარაკა რეზომ.

ცოლმა საყვედურით შეხედა.

— მგონი, უკვე დროა, — თქვა ბელამ, — რვისთვის შევითანხმე ჩიკორა. სადგურამდე გამიყვანს.

წამოდგა და წაბორძიკდა — კნუტი გაებლანდა ფეხებში.

მამიდამ ხელი სტაცა მაჯაში:

— როცა მას დასჭირდები, როცა ქალაქში ჩამოგაკითხავს, ცხვირწინ მიუკეტე კარი. ამის ნებას მე გრთავ!

— აბა, რას ამბობ? — დაყვავებით მიუგო ბელამ, — ორივეს აგიხსენით უკვე... სალომე რა შუაშია, სამსახურიდან თუ დამირეკეს... კარგი ვარიანტია, მივლინებით მგზავნიან.

— კუთვნილი შვებულებიდან?

— კი, შვებულებიდანაც იძახებენ ზოგჯერ. ასეთია ჩემი სამუშაოს თავისებურება.

— თუ ასეა... — ჩანდა გულზე მოეშვა ქალს, — თუ მართლა ასეა, მაშინ... მაგრამ რაღა დასვენება გამოგივიდა. ვერც ტბაზე წახვედი, ვერც...

— კუს ტბაზე ვივლი, — გაუღიმა ბელამ, — ისიც ხომ ტბაა.

— თუ მართლა ასეა... — გაიმეორა მერიმ შვებით.

ბელამ ბიძას გადახედა. მიხვდა, ის არ მოტყუვდა. დაღონებული, შეწუხებული თვალს ვეღარ უსწორებდა გოგოს...

გამოთხოვებისას ესღა უთხრა:

— თემიკოს მაინც დაელოდე. გული დაწყდება... თანაც, გაგაცილებდა.

— არ შემიძლია. აი, ჩიკორა წამიყვანს, ხომ გითხარით...

სალომე გასაცილებლად არ გამოსულა. როცა დაბლა ჩავიდნენ, ბელამ ფანჯარას ახედა და თვალი მოჰკრა პერანგისამარა სილუეტს. სალომემ ოდნავ გადასწია ფარდა. იდგა და ტუჩებს მაგრად იკვნეტდა. სახე ჩატეტკოდა...

ავტობუსის გასვლამდე ათიოდე წუთი რჩებოდა. ბელას გვერდით არავინ იჯდა. ავტობუსი სანახევროდ ცარიელი იყო და ეს სიხალვათე ძალიან უხაროდა ყველა მგზავრს.

ჩიკორამ მინაზე მიუკაკუნა და ხელი დაუქნია. ეს მერამდენედ — დამშვიდობების ნიშნად. მაგრამ არ მიდიოდა მაინც. ახლა, როგორც იქნა, ჰაეროვანი კოცნა გამოუგზავნა და წავიდა. ბელამაც იგივე ჟესტით უპასუხა. ახლა მარტო ყოფნა უნდოდა. დაფიქრება. რამდენიმე საათის მგზავრობა დაამშვიდებდა, ალბათ. აქამდე ყოველთვის შველოდა ხანგრძლივი გასეირნება...

სარკმელი გამოაღო და სახე შეუშვირა ნიავს. უცებ დაინახა, რომ გაჩერებასთან გიჟივით მოვარდა გურამი, რაღაც ჰკითხა ჩიკორას და მერე პირდაპირ მისკენ გამოეშურა.

ბელა ერთიანად მოიკუნტა თავის სავარძელში. უნდოდა ჩამალულიყო, გამქრალიყო... მაგრამ იმავე წამს გასწორდა, უფრო გაიმართა მხრებში და საზურგეს მიეყრდნო.

გურამი ამოვიდა და გვერდით დაუჯდა. მისკენ არ გაუხედავს, თავი არ მიუბრუნებია, ისე ჰკითხა:

— შეგიძლია მაპატიო, რაც მაშინ გითხარი?

ბელა დუმდა.

— რომ დაგინახე, თავი დავკარგე, — გააგრძელა გურამმა ისე, რომ კვლავ პირდაპირ იყურებოდა, — მე მეგონა, იქ, ქალაქში, იმისთანა კაცები გეხვია, ჩემზე არც იფიქრებდი... სულ დაგავიწყდი და შენთვის არაფერს წარმოვადგენდი. ეს რომ მცოდნოდა... ამის იმედი რომ მქონოდა, აქამდე ასჯერ ჩამოვიდოდი. ფეხით ჩამოვიდოდი... გუშინ იმდენი ვიფიქრე... მთელი ღამე ვფიქრობდი და მივხვდი — მხოლოდ შენთან ვიქნები ბედნიერი.

ბელა მიუბრუნდა და აიძულა, თვალებში შემოეხედა მისთვის.

— ჯერ კიდევ გუშინ რომ გეთქვა... — უთხრა ნელა, დამარცვლით, — ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა.

გურამი გაფითრდა.

— სამაგიეროს მიხდი?

— შენც კარგად იცი, რომ არა.

— უკვე გითხრა? — ძლივს გასაგონად ჰკითხა ვაჟმა, მაგრამ მაშინვე ცხარედ ალაპარაკდა, — ჰო, ასე მოხდა. არაკაცურად მოვიქეცი. მაგრამ მეც არ ვიცი, რა მომივიდა, ნასვამიც ვიყავი... არა, ეგ არ მამართლებს. სხვას ვარიგებდი ჭკუას და ვსჯიდი ამისთანა ამბის გამო... ჰო, საშინელი კაცი ვარ. რა კაცი — არაკაცი! მაგრამ ვხვდები, შენ უნდა აღმადგინო, მკვდარი გამაცოცხლო!.. ერთადერთმა შენ... ისევ ადამიანად მაქციო. ყველაფერს გამოვასწორებ, თუ ერთად ვიქნებით.

გურამმა ხელისცეცებით მოძებნა მისი თხელი თითები და ტუჩებთან მიიტანა.

— თუ ახლა არა, იქნებ...

— არასოდეს... — თქვა ბელამ. გაყინული ხელი გამოსტაცა ბიჭს და ფანჯრისკენ მიაბრუნა თავი.

მაღალი, მუქი ლურჯი მთებით შემორკალული, სპირალივით დახვეული გზა დასრულდა და ნელ-ნელა გაივაკა ავტობუსმა.

პეიზაჟს სინათლე მოემატა, მაგრამ სიდიადე და იდუმალება გაიცრიცა...

ბელა თვალს ვერ აშორებდა შორეთს. უკანასკნელად კიდევ მიჰხედა მთებს. თითქოს ემშვიდობებოდა. არ ტიროდა. უშფოთველი სახით იჯდა და როგორღაც თავისით ჩამოსდიოდა ცრემლები. ხანდახან ლოყაზე ხელს მოისვამდა, უანგარიშოდ.

ვიღაც კაცს პატარა ბიჭი ეჯდა მუხლებზე. ასე, ორი წლისა. ჯერ ძალიან ცქმუტავდა, ვერ ისვენებდა. მერე ბელას დაუწყო თვალიერება და გაყუჩდა. ახალგაზრდა ქალმაც იგრძნო ეს და თვითონაც შეხედა. უკეთ, ახლაღა შეამჩნია...

ბავშვი უზომოდ სერიოზულად, დასევდიანებული შესცქეროდა.

ბელამ ორივე ხელისგული მაგრად გაისვა თვალებზე და კიდევ ერთხელ გადახედა ბავშვს — ვითომდა, აი, ნახე, სულაც არ ვტირიო.

ბიჭმა უცებ შესცინა. ისე ბედნიერად, თითქოს უხვად დაასაჩუქრესო. და ასეც იყო, ალბათ — დარდის მძიმე, უჩვევი ლოდი მოსწყდა პატარა გულიდან.

წარმოუდგენელი ძალა ჰქონდა ამ ღიმილს.

და პასუხად ბელამაც გაუღიმა...

სონეტების გვირგვინი. აქ სამმაგი კანონია: ლექსწყობის კანონი, სონეტის კანონი და გვირგვინის ანუ გირლანდის კანონი. სამი რკალი უნდა გაიაროს პოეტმა, სამი ბეწვის ხიდი, რომ სამშვიდობოს გაღწიოს. ადვილი არ არის, მაგრამ ღირს გარისკვად, ბრძოლად, გამოცდად. თუმცა პოეზია სხვა რა არის, თუ არა ცდა, სახიფათო მდგომარეობასთან შებმა. ჯემალ ინჯიას ეს არ ესწავლება. მას გავლილი აქვს საშიშარი გზები და, შეიძლება ითქვას, ოსტატია ამ რთული ფორმისა, ერთ-ერთი პირველია მათ შორის, ვინც შეჰბედა ამ ნახევრად ჯადოსნურ და ნახევრად ჟონგლიორულ სალექსო მარათონს.

„შენთან ერთად" — ჯემალ ინჯიას მორიგი სიურპრიზი, სონეტების გვირგვინი სიყვარულის, ტკივილისა და ნოსტალგიის თემებით, გიორგი ლეონიძესთან შეხმიანებით.

ზურგის ქარი — ბედნიერი შტილით.

ჯემალ ინჯია

შენთან ერთად

არა გჭირდება მკლავში ქაფური,
კახურო დევო, შვიდძარღვიანო.
გიორგი ლეონიძე

1.
მეწადა, შენთან ერთად ჩემი სამშობლო მეგრძნო,
ორთავე ფილტვი გამეჟღინთა შენი სურნელით,
შენით, მგოსნისთვის ვინც ნიადაგ ხარ სასურველი,
ვინც შემომფიცე, რომ გულ-მკერდზე უქრობლად მეგზნო.

საიდან გაჩნდი უცნაური არსება ეგზომ —
ჩემს სასუნთქ გზებზე, ჩემს პლევრაზე სათნოდ მზრუნველი?
მერე რა — თუ ვერ მოგიძღვნიან „ტუშს" მეზურნენი
თუ ვერ დაგიკრა „რაფსოდია" თორაძე ლექსომ.

სამაგიეროდ შენს სახებას შევმატებ მე ფერს,
მსურდა, ამაზეც ყოფილიყავ ჩემი ყაბული.
მსურდა, ყოველი დაგვიწყნოდა — სად როგორ გყეფეს,

რომელმა ძაღლმა გააკეთა შენკენ ნაბული.
მსურდა, მაგ შუბლის გვირგვინისთვის ყვავილთა
მკრეფელს,
ალპურ ზონაში გამგებოდა ფეხქვეშ აბული.

2.
ალპურ ზონაში გამგებოდა ფეხქვეშ აბული,
გველს დავეკბინე ანდა ეკლის ხიწვს გავეკაწრე,
შხამს ამომწოვდი... დაიხევდი კაბას ეკალზე,
შენც ფეხშიშველა, კოჭებამდე ამოლაფული.

აუტყდებოდა ფარფატი თხელ კაბას აფრული
(ნეტავი ამ დროს ნაღდი მხატვრის ფუნჯს მოეკაზმე)
და შენს თვალებში სახარებად ასარეკლავ მზეს
წამოსცდებოდა: თქვენთვის ახლო არსო ზაფხული!

მეტყევე მეტყვის — გაბრაზებულ გულზე დადის აქ,
ნაკრძალში, კრემლის ბობოლისთვის დათვი დაბმული.
აბა, თქვენ იცით, გაუგორდით, მხეცნო, ფადიშაჰს,

ეს წარაფი ხომ თქვენთვის არის გამოკაფული...
შენ კი მირჩევდი, მომეძებნა ხე ცნობადისა
ან დამელაშქრა ხვამლის ბნელი გამოქვაბული.

3.
ან დამელაშქრა ხვამლის ბნელი გამოქვაბული,
კაცს რომ აგონებს უფლისციხის მრუმე დარბაზებს,
ან ჯერ საშენო ჰიმნი მეთხზა ქარის არფაზე,
მერე დამეღრღნა გუდის ყველთან ერთად ქვა-პური.

კვლავ მეძალება სიამაყე მამაპაპური,
თვალს თვალში ვუყრი კედლებიდან მზირალ ანფასებს.
მე წინაპართა ღვაწლს ისეთი ადლით ვაფასებ,
ხელთ არასოდეს რომ სჭერიათ პუტინ-ბაბურინს.

ჩვენს ერს გაუქრა ბევრი მტერი, ბევრი სუსლოვი...
განვედი ჩემგან, ავო ფიქრო, ეშმაკის კერძო.
ვერ შეეხება ჩემს სიყვარულს ცუნამ-მუსონი.

ვინ გამიბედავს შენზე მლოცველს, რომ „ჭკუა მეღრძო"?!
დონკიხოტსავით შემიმუსრავს უნამუსონი
მთელი სიცოცხლის განძისათვის ამაოდ მებრძოლს.

4.
მთელი სიცოცხლე განძისათვის ამაოდ მებრძოლს
არა მქონია უსაშველო მადა ნიანგის.
ვუდასტურებდი სიმამაცეს ადამიან გმირს,
არაგმირთათვის არ ვყოფილვარ არასდროს მე ღრძო.

მგოსნის საათის სასიცოცხლო გულო და ღერძო,
მე ვანუგეშებ მიტოვებულს, გაყრილს, ქმრიან ქვრივს,
ბედდამძვირებულს, — ზურგის ქარი ხშირად გვიან ქრის.
თუ შენივე ბედს ვერ შეკერავ, რაღასთვის თერძობ?!

არ დაემონო, ო, უბედოვ, სიკვდილის აჩრდილს,
თავი ანებე თავშიცემას, ლერწამის ლერწო:
„ამ ქვეყანაზე ერთადერთი უიღბლო გავჩნდი,

რად მინდა მკერდში რძე თუ ჩემი პატარა ვერ წოვს?!.."
შენ მშვიდად მისმენ, საყვარელო. ჩრდილოეთ ქართლში,
გინდა, წავიდეთ, თვალი კიდევ მოვავლოთ ერწოს?

5.
გინდა, წავიდეთ, თვალი კიდევ მოვავლოთ ერწოს?
ამბობენ, რომ წელს დოლის პური მოსულა უხვად.
სხვა ხალხი თურმე იქა ხარშავს ტბის თევზის უხას,
რითაც ვერ მოჰგვრის ჭამის მადას ვერც ქართველს, ვერც ოსს.

„სხვა ხალხის ისმის ჟრიამული". სხვა ენა, კერძოდ,
რუსული ისმის და ოსები არაფერს წუხან.
რუსულით გულის იბერტყავენ კიდევაც ბუხარს
და ამტკიცებენ, თითქოს ერთად ქართლ-ოსი ვერ ძოვს.

ნათელ-მირონის დანგრევისთვის რამდენს წვალობდნენ
და ერთობ იყო ეს წვალება მიზანსწრაფული.
სულო, წავიდეთ ბოშურისკენ, პაკას წყარომდე,

ან ლაშარობა ვიზეიმოთ, სევდით ნაბური,
სადაც ჭარმაგი ხევისბერი დაგვამწყალობნებს
ან რიწა ვნახოთ ლურჯთვალა და სულგანაბული.

6.
ან რიწა ვნახოთ ლურჯთვალა და სულგანაბული,
მშობლიური ცის ხატებას რომ ირეკლავს მიწყივ,

ბზების ხეობას მოგატარებ უკანა რიცხვით,
სოხუმის მთაზე შეგახვედრებ ცუღლუტ ბაბუინს.

სამეგრელოში წყალს შეგასმევ მოსე ბაბუის
გათხრილი ჭიდან, ატანილი მტრისადმი რისხვით.
მერე ვეწვევით სერგიეთის მარჩენალ წისქვილს,
კაცი მინდივით ჩამოგვართმევს ხელს, გაბამბული

და მოგვიყვება მეწისქვილე, ვგონებ, იონა,
(შენ გაგაკვირვებს არქაული სულხან-საბური)
გადაიარა რომ მკალივით აქ მხედრიონმა...

გადავინაცვლოთ თიანეთში (ლექსის ფაბულით,
რა დაგვიშავა, რომ არ ვნახოთ, თუნდაც, იორმა?) —
ხომ არ დასჭირდა იორს, ვკითხოთ, მკლავში ქაფური.

7.
ხომ არ დასჭირდა იორს, ვკითხოთ, მკლავში ქაფური?
ირემი ისე ხომ არ გაჰქრა, მთასა მყვირალი,
რომ აქეთ დარჩა ფირალების ნასაკირალი,
ურეკის ქვიშა და ევქსინის პონტის დგაფუნი?

ბუნებისაკენ ლტოლვა გენით გვაქვს გაწაფული,
მაგრამ ის ღრუბლებს ეჯახება, როგორც მყინვარი.
რამ დაუამოს ნამდვილ ქართულ სულს სატკივარი —
ჩვენი მიწები ვიდარდოთ თუ სადღაც ქაბული?

თითქოს აღზევანს მივდიოდეთ ისევ მარილზე,
ურმულსაც ვმღერით, ურემზე კი გვერღვევა ფერსო.
ნუ აცრემლდები, შენ ხარ ჩემი ნაწვიმარი მზე,

ჩვენზე იტყვიან — მადლი ღმერთსო და ფერი ფერსო.
რომ შევაერთებთ მზერას ნინოს ფრესკის არილზე,
ალგეთს ძუ მგელი შევუღვიძოთ — რას შვრები, ბერწო?!

8.
ალგეთს ძუ მგელი შევუღვიძოთ — რას შვრები, ბერწო?!
საქართველოს ცა დაუთალხავთ ფრთაშავ ყვავ-ყორნებს.
ქვეყნის სამსჯავრო სამართლის ქმნას რატომ აყოვნებს?!
სად გავაცოცხლოთ მხარგრძელი, რომ მტერს სილა ლეწოს?!

ჩვენ ჩვენი კალო, საყვარელო, ისევე ვლეწოთ,
როგორც აქამდე გვილეწია სულით ახოვნებს.
დროებითია ეს ღრუბელი, ნუ დაგაღონებს,
პოეტის თვალში ჩავარდნილო სალბუნის ბეწვო.

მე და შენ ხარის წელიწადი გვაერთიანებს,
წინ გველოდება სასწაული მომავალ დღეთა,
ჩვენი ფილტვების საკმარ ჟანგბადს წავგვრით თრიალეთს

და შორს ჩაგვივლის დავიწყების მდინარე ლეთა.
როცა დავტოვებთ ქაცანაანთ ივრის თიანეთს,
ალაზნის ველის გვირილებით შეგიმკობ მე თავს.

9.
ალაზნის ველის გვირილებით შეგიმკობ მე თავს,
არც იქ დაგვხვდება ტყე-გორანი უჟანგბადონი.
„ყოფნა, არყოფნა?!“ — თრთის ეთერში უშანგ-ბატონი,
რადიოს „ოქროს ფონდიდან“ რომ იღვრება კვეთად.

მის ხმაში ნათლისმცემლის თავის იგრძნობა კვეთა,
ჭიხვინი მერნის, ტრფობის გზნება, სითბო სათონის,

ჩხეიძე უშანგს ოსტატობა ჰქონდა სხვა დონის
და მას ავლენდა ერთნაირად — გმირთან და მკვლელთან.

მაგრამ შენ, ვიცი, არ გჭირდება ეს ლაპარაკი —
დიდი არტისტის დამხატველი ან მოკლედ ან ვრცლად,
სჯობს, დაგახარჯო გზა-სავალზე ბევრი არაკი,

რაც სულხან-საბამ მიამბო და მეზღაპრე შვარცმა.
წმინდა ქეთევანს გადავუხდით გრემში პარაკლისს,
ალავერდში კი თაფლის სანთელს დავუნთებთ ჯვარცმას.

10.
ალავერდში კი თაფლის სანთელს დავუნთებთ ჯვარცმას.
იმ სანთლის შუქზე ვიგუმანებ, რომ შენც ანთიხარ.
ჩემს ხელოვნებას არ უჯერებს ფუნჯი ან თიხა
და შენს თბილ სახელს მარტოოდენ სტრიქონში ვმარცვლავ.

მე ვინაიდან წყალწაღებულს მიმიგავს არც-რა,
ჩავჭიდებივარ შენს მშვიდ სახელს, როგორც ანტიხავსს,
რადგანაც, სულო, იმ გვირგვინის ბრილიანტი ხარ,
რომელიც სისხლის გამოშვებით იქმნება მკაცრად.

ის ვისთვის სრული აბსურდია, ვისთვის — ქვესკნელი.
შენი მგოსანი კი მის მოწვნას თამამად ბედავს
და ზოგჯერ, ვფიქრობ, გვირგვინივით ხომ არ გესკვნები,

როცა ვილევი ცხედრის თავთან დანთებულ ზეთად.
არ მოიღრუბლო, ვინახულოთ ჩვენ ის ფრესკები,
სადაც მაცხოვრის საცრემლედან შენდობა წვეთავს.

11.
სადაც მაცხოვრის საცრემლედან შენდობა წვეთავს,
იქ გადავიწერთ მოწიწებით ღვთისადმი პირჯვარს.
გულის მხარეზე იმ მეუფეს ვემთხვევი დინჯად,
მიმიჩნევია ვინც ჩემს გზაზე მისანდო მწედა.

ჩემსავით ისიც ალალ ლექსებს სიყრმიდან წერდა,
ხმიადს ატანდა ჩაით სავსე უშაქრო ფინჯანს.
დღეს არ შიმშილობს, მადლობა ღმერთს. არული იმ ჯავრს
და ეშმას ხილვით გამოწვეულ სუყველა ელდას!

ლხინად დამატყდი და ამ ლხინში მე თამადა ვარ.
მწამს, რომ წაიღო ჩვენი ჭირი ბალღამის ვარცლმა
და ედემივით ველ-მინდორი გვერგო ნადავლად.

გვირილის ველზე ფეხბურთმა თუ სხეულში გამცრა,
მე ვაპატიებ ცელქ ბიჭუნებს ველზე გადავლას,
შენც ხომ შეუნდობ გვირილების გვირგვინის ნაცვლად?

12.
შენც ხომ შეუნდობ გვირილების გვირგვინის ნაცვლად
მომავალ ჩოხელს, პაიჭაძეს ან მიხეილ მესხს?
ტყავის ბურთის იმ ჯადოქრებმა რა იხეირეს? —
კარის დაცვაზე ძნელი იყო სახელის დაცვა.

მაგრამ გემსავით უცილობელ ტვირთივით აწვათ
ჯიში, მეტოქეს რითაც ბევრჯერ დაახევინეს
უკან ისე, რომ ბადე სულ არ დაახევინეს,
მათ ხომ ბოლომდე მოახერხეს დახარჯვაც და წვაც.

გზა გავაგრძელოთ (მესხი ისევ რჩება მესხადვე),
გაგახსენებ დღეს, გამითენდა რომელიც ბედად.
არ მაგონდება ცხოვრებაში ასე მე სხვა დღე —

(ხან ანა გერქვა, ხან ლუდმილა, ხან კიდევ სვეტა)
გგრძნობდი და იმ ერთ მშვენიერ დღეს გამომეცხადე
დაუჭკნობელი სიყვარულის სხივნათელ სვეტად.

13.
დაუჭკნობელი სიყვარულის სხივნათელ სვეტად
რომ დამადექი, თვალთა მზერით ვიდრე დამჭრიდი,
მეშვიდე ცაზე უნებლიედ ვიდრე ამჭრიდი,
რა გიზიდავდა, მითხარ, ჩემი სულისკენ მეტად?

ნაღდი მწერალი იბადება მილეთში მეტრად.
რომ განმესაჯა, ჩემს ქვეყანას მისთვის დავჭირდი,
ზნეობასა და უზნეობას შორის მკლავჭიდი,
როგორ განვსაჯე, იცის მხოლოდ მაღალმა ღმერთმა.

გღლი ბუნებაში სიარულით. ბოდიშს იმაზეც
გიხდი, რომ მამრის უაღვირო აპლომბით გქანცავ,
მაგრამ მე მაინც ვერ გადავალ უკრაინაზე,

დავეგლეჯინო, მიჯობს, ჯავის აჯაგრულ ქაცვნარს.
პროვინციელი ლამაზივით ნუ გაინაზებ
თუ თავს დაგადგა სონეტების გვირგვინი კაცმა.

14.
თუ თავს დაგადგა სონეტების გვირგვინი კაცმა,
ნუ გეწყინება რომ არ არის იგი პეტრარკა.
არ მოგქცევივარ, სიყვარულო ჩემო, მე ტლანქად,
რადგან დროულად მჩვეოდა ტანთ ლაბადის ჩაცმა.

მე ახლაც ვჩქარობ, რომ ტაეპი ტაეპში ჩავწნა
და ბეწვის ხიდი ჯამბაზივით განვვლო. ღმერთმა ქნას.
მინდა, უქებდე ლექსს ხელთუქმნელს და ლექსს
ხელთნაქნარს
კაცს საქართველოს სიყვარულის კოცონში ჩამწვარს.

ოსიც გიქიათ, ლიტველიცა და ებრაელიც
გორის ციხის ჯიჯგვ ქონგურებთან ნაშობო ლექსნო.
არავინ იცის თქვენს შემოქმედს გზაზე რა ელის,

რას შეახვედრებს დღეს ბოლნისი, ხვალ წრომი, ზეგ სნო.
ვიდრე ჩემს შთანთქმად დააღებდეს პირს სათაელი,
მეწადა, შენთან ერთად ჩემი სამშობლო მეგრძნო.

15.
მეწადა, შენთან ერთად ჩემი სამშობლო მეგრძნო,
ალპურ ზონაში გამგებოდა ფეხქვეშ აბული
ან დამელაშქრა ხვამლის ბნელი გამოქვაბული
მთელი სიცოცხლე განძისათვის ამაოდ მებრძოლს.

გინდა, წავიდეთ, თვალი კიდევ მოვავლოთ ერწოს
ან რიწა ვნახოთ, ლურჯთვალა და სულგანაბული?
ხომ არ დასჭირდა იორს, ვკითხოთ, მკლავში ქაფური?
ალგეთს ძუ მგელი შევუღვიძოთ — რას შვრები, ბერწო?!

ალაზნის ველის გვირილებით შეგიმკობ მე თავს,
ალავერდში კი თაფლის სანთელს დავუნთებთ ჯვარცმას,
სადაც მაცხოვრის საცრემლედან შენდობა წვეთავს.

შენც ხომ შეუნდობ, გვირილების გვირგვინის ნაცვლად,
დაუჭკნობელი სიყვარულის სხივნათელ სვეტად
თუ თავს დაგადგა სონეტების გვირგვინი კაცმა.

ძველი თემაა — გზა, როგორც შინაგანი ცხოვრების დინამიკა. ოღონდ უნდა ითქვას, „ძველი" არ ნიშნავს გაცვეთილს, არასაჭიროს, ყავლგასულს. პირიქით, თემა თუ ძველია, ეს იმას ნიშნავს, რომ ის აქტუალურია, საჭიროა, მნიშვნელოვანია, როგორც ტრადიცია, როგორც შემოწმებული, ნაცადი საშუალება აზრების, იდეებისა და ფიქრების გადმოსაცემად.

ნელი ბატიაშვილი თავის პოეტურ საზრისს გზის მეტაფორიზაციის მეშვეობით აყალიბებს და გადმოსცემს. უფრო გასაგებად რომ ითქვას, გზა მისი მთავარი მოტივია.

მაშ იყოს გზა, თუ არის გზა.

ეგზისტენციური შიშის დაძლევის ან დავიწყების საშუალებაა გზა, ხოლო საგნები და სიტყვები ის სასიცოცხლო ორიენტირებია, რომლებიც შეიძლება მეგზურებად გამოდგეს, მაგრამ საით და როგორ წახვალ, სად და რასთან მიხვალ, არ იცი.

მიხვალ — ინანებ,
არ მიხვალ და მაინც ინანებ...
ასეთია ღვთაებათა
განკარგულება.

წერს პოეტი, რომელიც არც ფილოსოფოსია, არც მოგზაური, მაგრამ ორივე საწყისი ისეა მასში განვითარებული, როგორც ნაგერალის ფესვები — თითქოს უცნაური, თითქოს მოულოდნელი, თითქოს უადგილოც, მაგრამ თავისთავად ბუნებრივი, უბრალო, მიწასავით ჩუმი და თბილი.

გზა სიტყვიდან სიტყვამდე: მშფოთვარე ვიზიონერის მოგზაურობა. შიშის მელოდია — იმედის ნიშანი.

მაგრამ ნუთუ შეიძლება, სადაც შიშია, იქ იმედი იყოს? ისიც საკითხავია, შიში დასასრულია თუ დასაწყისი. კაცმა რომ თქვას, ერთიც არის და მეორეც, შიში ყველაფერია, თვით სიცოცხლეა, არსებობაა, საფუძველია ყოფნისა. ნელი ბატიაშვილის ლექსის საზრისი: რთული ეგზისტენციური ფორმულა.

ნელი ბატიაშვილი

სიკვდილზე წამსვლელმა იცის

სიტყვა არასოდეს გინდობს
ტკივილი კი გაშიშვლებას ითხოვს
სიტყვის წინაშე...

ასკეზამ გიმტყუნა როცა,
თუმც გული გიძგერდა ლოცვად,
სხეული, უმსგავსობით სავსე
მიექანება საით...
ქარი თუ ქარიშხალი,
ყველაფერს ნაგვად აქცევს,
ვიცი,
ეს ცოდნა მწარე
მიმიყვანს მორევამდე.
მორევს,
უძირო მორევს,
უფსკრულს,
რომელიც ასე
საფუძვლიანად მარყევს,
რა ვუთხრა იმაზე მეტი,
სახლი გახდება ჩემი.
შესანიშნავად ვიცი,
შუღლს როგორ თესავს იგი,
ყოველი ჩიხი მისი,
ყოველი კარი მისი,
მოსასხამს ატარებს მსუსხავს,
თავს ვერ დააღწევ, გგუდავს,
ქუფრში გამოკრულ იმედს,
ადამიანთა მწკრივებს,
ბნელში ჩაძირულ მილეთს
რა დამავიწყებს...
გულში ამინდია დარდის,
დარდი კი ბნელში ჰყვავის,
წინათგრძნობა მაქვს ავის,
ვერ გამიგია, რა გზით,
როგორ დავუძვრე გვამის
ჩონჩხსმოკიდებულ ძველმანს...
სჯერა სხვას,
ყველას, ყველას,
ხეს გამობმული ჩვარით
ოცნებამ,
სურვილმა,
ვნებამ,
იცის ახდენა...
გამჭოლ ქარაშოტს ანდეს
ზმანება,
მოლოდინით სავსე
და იგლიჯება ნდომა
მტვრიანი ქარების არეში,
მკვდარ ფრინველებად ჰკიდებს
ღამის დაგებულ მახეში.
ჩვენ კი მდუმარედ ვდგავართ,
ცვილის კაცუნებს ვგავართ,
თვალს გადაკრული ლიბრით
მივშტერებივართ წკვარამს,
ველით,
ველით

და ველით
შემოტრიალებას ბედის,
გავზავდით მოლოდინის
ჩახლართულ ლაბირინთში...
გვახსოვს კი ოცნება ჩვენი,
ვიცდით,
ვიცდით
და ვიცდით,
ისე მივეჩვიეთ ლოდინს,
სიცოცხლის ფესვადაც კი ვთვლით,
დღითიდღე ვიკარგებით,
დღითიდღე ვიწრიტებით...

სიცარიელე მტკივა,
ფუტურო, უნაყოფო,
ნეტავ შემოეღწია
ჩემში ფოთოლთა შრიალს,
ჩიტების ალიაქოთს,
წვიმის წვეთების წკრიალს,
გულში ჩამვარდნოდა კენჭი,
მჭკნარი ბალახის ღერი,
სხივს ჩამოეღწია ჩემში,
ქარს შემოეყარა მტვერი,
ვინ მომცა ამისი ბედი
ცხრაკლიტურს გამოკეტილს...
მესიზმრება ზეცის ქმნილება,
ვარსკვლავეთის ყვავილებივით აციმციმება,
მზეთა ნათელი მდინარეებად მოედინება,
გალაქტიკები დაბნეულან სივრცეთა ველზე
გულსაბნევებად,
სამხრეებად,
სამაჯურებად...
მართლა ასეა?
ნამდვილად ვხედავ?
სხივი როგორ იქსოვება
გვირგვინებად,
უფლისა მიმართ საბრძანებლად,
აღწევს ჩემამდე?
ვარსკვლავეთის თვინიერება,
შარავანდედი,
ვითომ, მართლა დავაბიჯებ
ზეცის ბაღებში,
ქრიზანთემების
და ზამბახების
ჩანაკეცთა სიმხურვალეში...
ნამდვილად ვიქეც ვარსკვლავის სხივად?
სხივის ბრწყინვადაც?
სხივად, ჩამქრალად?
სხვა გზაც არსებობს?
ვინძლო შენში შემოაღწიოს სამყარომ...
გამოიღვიძე,
გამოიღვიძე,
ბორგავს სურვილი,
ჯადოსნურ სწრაფვად გადაქცეული,
რისხვა, წყეული,
სწორედ საჩემო,
სწორედ საჩემო...
უიმისოდ არაფრად მიღირს ბოგანო გული,
უდაბნოს ქვიშას დამგვანებული...
საით მიძვრები,
საით მიძვრები,
როცა არ იცი, შეძლებ კია
ცისა და მიწის
შემხვედრი ჩიხის
კლანჭებისაგან თავის დაღწევას,
მიწიერებით აღსავსე გულით
ეპოტინები განავარდებას...
გარიყული ხარ
და როგორ გინდა მოუღო ბოლო
სიგიჟეს ასეთს,
თუ არ შეავსე შენი ფუტურო გული
ყელამდე,
არ შეახე ხელი მოწყალე
მიწვდები რასაც,
მიწვდები რასაც,
არ მიიღებ საკუთარ თავად,
ხოლო მის სავალს
შენს გზად და კვალად,
ხოლო მის ტკივილს
შენი სხეულის სისხლიან დამღად.
არა და არა,
არასოდეს გეცოდინება, — რაა გიყვარდეს...
მივაგნებ კია გასაყარს გზათა, —
ალმაცერების სიცრუეში,
ციცაბოებში,
ფლატეებში,
ფრიალოებში...
იპოვი კია მიმართულებას
ხვალის სივრცის გადასარჩენად,
როცა გაბნევს
მნათის ნათებაც
მრუდე სარკეთი,
ხოლო ქარეთი,
აი, ქარეთი,
გწეწავს და გფანტავს და განიავებს....
გზამკვლევი არა,
მეგზური არა,
არა სითჰართჰა,
ან ბოთჰითჰარმა,
არა იესო...
ვერვინ გასწავლის მალულზე მალულს,
არავის ძალუძს,
გზას შენ თვითონ უნდა მიაგნო,
მარტომ...
რა მელოდება,
მდუმარება
და მუქარა მარადიული გაურკვევლობის,
სიმხდალეა,
საკუთარი თავის წინაშე
გულმოწყალება,
საკუთარი სიმახინჯის მიჩუმათება,
როცა გული გახეთქვაზეა,
სულისკვეთების ნიაღვარი
როცა კარს გიმტვრევს
და როცა სრული გელოდება განადგურება.
როცა მიზანი არც სიმშვიდეა,
არც მეწყვილესთან განმარტოება,
არამედ შენი მარადიული შევსებადობა,
მარადიული სიკაშკაშე იდუმალების...
თუ ვერ მიაღწევ ზღვარს მოქმედების,
სადაც არყოფნა ჩასაფრებულა,
აღარაფერს არა აქვს აზრი,
აღარაფერს არა აქვს ფასი...
მიხვალ — ინანებ,
არ მიხვალ და მაინც ინანებ...
ასეთია ღვთაებათა განკარგულება...

სხვა ვერაფერი შევძელ,
საჭირო სიტყვას ვეძებ,
რათა უწმინდესი ნექტრით
ჩამოვიბანო სახე,
არ წავიბილწო დარდი,
გამოკვებილი ცრემლით...
იქნებ ამიხსნას არსი,
მითხრას, როგორ და რა გზით
უნდა ვიარო აწი.
არა და ღმუილის მეტი
აღარაფერი მელის.
ვეძებ,
ვეძებ
და ვეძებ
მე სიტყვას ხელჩასაჭიდს.
იქნება მოხდეს ესეც, —
გავიდე ცალდირეზე...

მორევი ათრევს ყველას,
ესაა მისი ალი,
ჯერ ატრიალებს ერთად,
მერე კი აყრის მიწას,
მე მაინც ვეძებ სიტყვას,
სიტყვას,
სიტყვას....
ის კი იელვებს, მერე
ნისლეულს იქით ქრება,
სათუთად, გულითადად
გითვლის მოკითხვის ღიმილს,
დაგცინის,
ხედავ ცხადად,
იქნებ ტყუილიც იცის,
ლოდინიც,
მოთმინებაც
გილიოტინის...
შეძრწუნებული ვდგავარ,
მახრჩობს უსახურება ჩემი,
ხაფანგში გაბმულს ვგავარ.
ვიცოდი,
კარგად ვიცოდი
როგორ შლის ფრთებს
და როგორ ვრცელდება
მშვენიერების სასიკვდილო გამოსხივება.
და უფრო მეტად
მისი სიბრძნის
საშინელი გამოვლინება.
მაინც ვეძებდი,
მაინც ვეძებდი,
სიბნელეში ხელის ცეცებით,
თავისუფალ სივრცეთა ბგერას,
მაგიური სიტყვების ჟღერას,
სისავსეში გადაბიჯებას...

სიკვდილზე წამსვლელმა იცის,
სიტყვა არასოდეს გინდობს,
ტკივილი კი გაშიშვლებას ითხოვს
სიტყვის წინაშე.
ალბათ, გავშიშვლდი კიდეც,
მეყო სიმამაცე.
მაინც ვერ მიველ სიტყვამდე,
ესაა სიმართლე...

ეთერ მგალობლიშვილი

ოსკარ უაილდი ქართულ ლიტერატურასა და თეატრში (1900-1925 წწ)

მეოცე საუკუნის დასაწყისში, იმხანად, როდესაც სამწერლო ასპარეზზე გამოსული ახალი ლიტერატურული თაობა მოდერნისტული სტილის შექმნის პროცესში „უცხო პოეტების ოდებსაც იწვევდნენ“, ხშირად გაისმის ინგლისელი მწერლისა და ესთეტის ოსკარ უაილდის (1854-1900) სახელი. „ქუთაისის დუქნები უცბად გადაიქცა პარიზის სალიტერატურო კაფეებად, სადაც არღნის ხმასთან და აუცილებელ „მრავალჟამიერთან“ ერთად გაისმის საყვარელი სახელებიც: ედგარ პო და შარლ ბოდლერი, ფრიდრიხ ნიცშე და ოსკარ უაილდი, პოლ ვერლენი და სტეფან მალარმე, ხოზე მარია ერედია და ემილ ვერჰარნი“ — გვამცნობს „ცისფერი ყანწები“-ს ლიტერატურული ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი, „პირველი მოციქული სიმბოლიზმისა“ გრიგოლ რობაქიძე, რომლის სახელსაც უშუალოდ უკავშირდება უაილდის პოპულარობა საქართველოში.

მეოცე საუკუნის 10-იანი წლებიდან გრიგოლ რობაქიძე ქუთაისსა და თბილისში იწყებს ლექციების ციკლს — „რელიგია მშვენიერებისა“, სადაც მიმოიხილავს ოსკარ უაილდის ლიტერატურულ მემკვიდრეობას და მაღალ შეფასებას აძლევს მას. რობაქიძის აზრით, უაილდი „თანამედროვე სულიერი კულტურის სიმბოლური მოვლენაა“. ამ პერიოდის პრესაში ხშირად ვხვდებით წერილებს, სადაც გამოხატულია საზოგადოების დიდი ინტერესი და დადებითი შეფასებები უაილდის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლექციების ციკლისადმი, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ „მოდერნიზმის სახარების მქადაგებლის“ „აღმაფრენი ფანტაზია“, „თვალისმჭრელი სახეები“, „აქაფებული სიტყვა“ მხოლოდ რჩეულთ წვდებათ გულში, ზოგისთვის კი რობაქიძის გატაცება ინგლისელი მწერლის ესთეტიკური პრინციპებით და მისი უკრიტიკოდ გაზიარება მიუღებელია: „შეხედულება რობაქიძესი უაილდის ესთეტიკურ ინდივიდუალიზმზე დოგმატურია. ის უკრიტიკოდ ღებულობს მის თეორიას“. ასე ეხმაურება ვლ. ბაქრაძე გრ. რობაქიძის ლექციებს. თუ „ცისფერყანწელებისთვის“ ინგლისელი ესთეტის შემოქმედება, მისი თეორიული პრინციპები მისაღებია, ვლ. ბაქრაძისათვის, მიუღებელია უაილდის შეხედულება ხელოვნებაზე. კრიტიკოსი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ნაწარმოებზე — „დორიან გრეის პორტრეტი“, სადაც ინგლისელმა ესთეტმა მისი მოსაზრებით ყველაზე მკაფიოდ გამოხატა თავისი თეორიული ნააზრევი, აჩვენა, რომ სიცრუეს ჭეშმარიტებაზე მაღლა აყენებს, სიტყვას მეტ პატივს სცემს, ვიდრე საქმეს, ფანტაზიას მეტად აფასებს, ვიდრე ჭეშმარიტებას. „ცხოვრებაში ეძებს სიცრუეს, მას სძულს რეალიზმი, სინამდვილე“. სინამდვილისადმი ასეთ დამოკიდებულებას, განსხვავებით ქართველი სიმბოლისტებისაგან, რომელთა მიზანსწრაფვას, მოთხოვნილებებსა და ცხოვრების წესს იგი სავსებით ესადაგებოდა, ვლ. ბაქრაძე „ბურჟუაზიული ფსიხიკის“ ნაყოფად მიიჩნევს.

ოსკარ უაილდის თეორიული პრინციპების მწვავე კრიტიკული შეფასებების პარალელურად, პროლეტარიატის მეხოტბე მიიჩნევს, რომ უაილდმა მაინც „დიდი ხელოვნებით გამოხატა გზააბნეული ბურჟუაზიის ლტოლვილებანი და მისი შემოქმედება საინტერესოა არა მარტო თავისი კლასისათვის, არამედ პროლეტარიატისათვისაც“. სიმბოლისტი მწერლის ლექციებს კი ვლ. ბაქრაძე მიიჩნევს უბრალო რიტორიკად, რომელშიც აზრს და ლოგიკას ვერ ხედავს. იგი წერილის ბოლოს დაასკვნის, რომ „თუ მსმენელი არ გაიტაცა გრ. რობაქიძის მუსიკამ, მეტაფორებმა, მაშინ ის ჭეშმარიტების სრულ წინააღმდეგობას ან ცარიელ ადგილს დაინახავს“.

ოსკარ უაილდის ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი ქართველი ინტელიგენციის არაერთგვაროვანი დამოკიდებულების კიდევ ერთი დასტურია კრიტიკოსისა და ლიტერატურათმცოდნის იპოლიტე ვართაგავას თვალსაზრისი ინგლისელი მწერლის შემოქმედებაზე. განსხვავებით „ცის-

ფერყანწელებისაგან“, რომლებიც უაილდის შემოქმედებისა და მისი ბოჰემური ცხოვრების აპოლოგეტებად გვევლინებიან, იპ. ვართაგავა ინგლისელი ესთეტის ცხოვრების წესს, ისევე როგორც სხვა სიმბოლისტებისა, არათუ მისაბაძად, არამედ სამარცხვინოდ, უზნეობად და ანომალიად მიიჩნევს.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთშიც ოსკარ უაილდის პოპულარობა უკავშირდება ცნობილი სიმბოლისტი პოეტის კონსტანტინე ბალმონტის ლექციებს, რომელიც მან 1904 წლის გაზაფხულზე მოსკოვის „მხატვრულ წრეებში“ წაიკითხა. კ. ბალმონტი „სალომე“-ს ფრანგული ორიგინალიდან თარგმანის წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ ოსკარ უაილდი, მისი ცალკეული ნაწარმოებები, ასე თუ ისე, ცნობილი გახლდათ პეტერბურგისა და მოსკოვის ლიტერატურულ წრეებში, მაგრამ ფართო საზოგადოებისათვის არ ყოფილა ცნობილი „საშინელი ორქიდეა“, „მშვენიერების მეხოტბე“ უაილდი.

ოსკარ უაილდი

კ. ბალმონტის ლექციებს რუსეთში, ისევე როგორც გრ. რობაქიძის ლექციებს საქართველოში, საზოგადოების დიდ ნაწილში განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად, მაგრამ ზოგჯერ ლექციების შემდეგ იყო ხმაურიანი განხილვებიც, აზრთა სხვადასხვაობა. კ. ბალმონტის ერთ-ერთ ლექციას ლიტერატურულ წრეებში მოჰყოლია ცხარე კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიუღია ქართული წარმოშობის დრამატურგსა და მსახიობს, რსფსრ სახალხო არტისტს ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინს. „ჩემს ლექციებს ჰქონდა წარმატებები. ამავდროულად, მოსკოვის ლიტერატურულ წრეებში, გაზეთებში მან გამოიწვია აურზაური. უაილდზე მშვიდად ვერ ისაუბრებდი, ლექციების შემდეგ იმართებოდა ცხარე კამათი, იყვნენ უაილდის დამცველები. საზრიანად საუბრობდა ს. სოკოლოვი (რომელმაც შემდგომ დააარსა ფირმა „გრიფი“), განსაკუთრებით გამოირჩეოდა ორი ახალგაზრდა პოეტი: ა. კოირანსკი და მაქსიმილიან შიკი, რომლებიც იმ დროს სტუდენტები იყვნენ. ფილისტერობის, უხამსობის ტემპერამენტიანი წარმომადგენელი იყო არც ისე უცნობი ა. იუჟინ-სუმბათოვი. ეს ლექცია და შემდგომ იქ განვითარებული დისკუსია ბევრ მოსკოველს ახსოვს“ — იხსენებს „ცისფერყანწელების“ მეგობარი რუსი პოეტი კ. ბალმონტი.

საქართველოში ოსკარ უაილდის მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპების პოპულარიზაციას ემსახურება პეტრე დადვაძის წერილიც — „ოსკარ უაილდი და ხელოვნება“, რომელიც პ. კოგანის დასავლეთევროპული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევების შერჩევით თარგმანს წარმოადგენს. სტატიაში განხილულია ოსკარ უაილდის თვალსაზრისი ბუნებასა და ხელოვნებაზე, ცხოვრებასა და სილამაზეზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უაილდის შეხედულებას ხელოვნებაზე, რომელსაც იგი ბუნების შემოქმედებაზე მაღლა აყენებს.

ოსკარ უაილდის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლექციების ციკლისა და წერილების პარალელურად ინტენსიურად ითარგმნება უაილდის ზღაპრები: „ბულბული და ვარდი“, „ჭაბუკი მეფის სიზმარი“, „მოძღვარი“, „სამსჯავრო სახლი“, „მოქანდაკე“ და სხვ. თარგმანები ეკუთვნით გ. მუმლაძეს, გ. ნამორაძეს, ი. მაჭავარიანს, ან. წერეთელს, ელ. ანტონოვსკაიას.

ამავე პერიოდში დიდია ინტერესი უაილდის ერთმოქმედებიანი დრამისადმი — „სალომე“, რომელიც 1893 წელს ფრანგულ ენაზე დაიწერა ცნობილი ფრანგი მსახიობი ქალის სარა ბერნარისათვის და წარმატებულად იდგმებოდა ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის თეატრებში.

„სალომე“-ს ერთ-ერთი ქართული თარგმანი, რომელიც ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის ალექსანდრე სარაჯიშვილის მიერ 1909 წელს არის შესრულებული, ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. „სალომე“-ს პ. დადვაძისეული თარგმანი კი 1909 წელს „დროების“ (№219) სურათებიან დამატებაში (№39) დაიბეჭდა. „სალომე“ თარგმნა გრ. რობაქიძემაც და ჟურნალში „შვიდი მნათობი“ (1919 წ., №2) გამოაქვეყნა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თარგმანს მოჰყვა კრიტიკული შეფასება, რომელიც მარუთა შუამდინარელის (იოსებ გრიშაშვილი) სახელით 1920 წელს გაზ.: „სახალხო საქმე“-ში (№996) დაიბეჭდა. შუამდინარელი თარგმანს იწუნებს, ის მიიჩნევს. რომ რობაქიძე თავისი სურვილისამებრ ცვლის ცალკეულ ფრაზებს, სიტყვებს.

უაილდის „სალომე“-ს თარგმანით დაინტერესდა „ცისფერყანწელების“ ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი პაოლო იაშვილიც.

მეოცე საუკუნის დასაწყისში, ახალი ფორმისა და შინაარსის ძიების პროცესში, „სალომე“-სადმი განსაკუთრებული ინტერესი აიხსნება დეკადენტური ლიტერატურისათვის დამახასიათებელი „ბოროტების ესთეტიკურობით“, რომელიც ქართველ სიმბოლისტთა მიზანსწრაფვებსაც ესადაგებოდა. საქართველოში სიმბოლიზმის მამამთავარი გრიგოლ რობაქიძე „სალომე“-ს მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-ერთ საუკეთესო ქმნილებად მიიჩნევს, როგორც ფორმით, ისე შინაარსით: „სალომე“ ყოვლად სრული და უნაკლოა, აქ შინაარსი ისე სხმულა ფორმაში და ფორმას ისე უსხეულებია შინაარსი, რომ მათი გამოყოფა ერთი-მეორისაგან შეუძლებელია. ჰკითხულობთ ან უსმენთ „სალომე“-ს წარმოდგენას და თქვენ წინ იშლება მრავალფეროვანი მარმარილო, რომლითგანაც უკეთესი და უკეთესი ნაკვეთი იჭრება. მარმარილო ცივია, მაგრამ აქ იგი ვნებით ღვივის“. ასეთ შეფასებას ვკითხულობთ 1913 წლის (№921) „სახალხო გაზეთში“ გრ. რობაქიძის მიერ უაილდის „სალომე“-ს განხილვისას.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართველი საზოგადოების დაინტერესება ოსკარ უაილდის შემოქმედებით გამოიხატა არამარტო მის ნაწარმოებთა თარგმანით, არამედ ქართველი მწერლების, განსაკუთრებით კი „ცისფერყანწელები“-ს მიერ უაილდის ესთეტიკური პრინციპების გაზიარებითა და ორიგინალურ მხატვრულ შემოქმედებაში მათი ასახვით.

ოსკარ უაილდის ესთეტიკური თეორიების უშუალო გავლენა ემჩნევა გიორგი ლეონიძის ადრეული პერიოდის შემოქმედებას. გ. ლეონიძე 1915 წელს ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ ბეჭდავს წერილს, სადაც აშკარად ჩანს ახალგაზ-

რდა პოეტის დიდი სიყვარული უაილდისადმი და თავდავიწყებული გატაცება მისი პარადოქსებით: „ის, რომელიც ჩემი სულის სიყვარულს შეადგენს, — ღამის მეტეორი იყო. ეს იყო ხაზი ელვისა წყვდიადით მოცულ ოკეანეზე. ჰო, და მან გაიელვა და გაჰქრა უცბად. სად წავიდა? — ო, ნუღარ მეკითხებით... არ ვიცი, არა. მას ვერ გავიმეტებ სამუდამო დავიწყებად, რადგან იგი მიყვარს და ჯერ არას ისე არ გაუტაცნივარ, როგორც მის სხივოსან პარადოქსებს“. ინგლისელი ესთეტის სილამაზისა და ოცნების სამყაროთი გატაცებულ ახალგაზრდა პოეტს მუდამ თვალწინ უდგას უაილდის სახე და ესმის მისი ხმა: „სახე მისი მიდგება თვალწინ მაშინ, როდესაც განთიადის იერი გაიხაზება ვარდისფერ ცაზე, ხოლო მისი ძახილი მესმის, როცა ღამის სიღრმეში შეირხევა თეთრი მეტეორი“. ქართველი პოეტის აზრით, უაილდი ბედნიერია, რადგან ის „ეზიარა მშვენიერების ბარძიმში“. პოეტს იმდენად უყვარს იგი, რამდენადაც უაილდს ესმის და უყვარს ხელოვნება. გ. ლეონიძეს უაილდის მიერ წარმოსახული ყოვლისშემძლე ხელოვნება იტაცებს, ისეთი ხელოვნება, რომელსაც შეუძლია შუა ზამთარშიაც კი ააყვაოს ნუშის ხე. სინაზით უაილდს ის თიბათვის ყვავილს ამსგავსებს, მაგრამ აგონებს ამირანსაც, რომელიც კავკასიონის მთებზე კი არ არის მიჯაჭვული, არამედ უფრო საშინელ „ერთფეროვან ცხოვრების მკერდზე“.

გიორგი ლეონიძე სრულად იზიარებს ინგლისელი მწერლის ლიტერატურულ-ესთეტიკურ პრინციპებს. მას, ისევე როგორც უაილდს, სწამს ხელოვნების თავისუფლება: „ხელოვნება თავისუფალია, ვით ნიავი ჩემ სამშობლოში, — ნუ მიანდობთ მას ქვეყნის სამსახურს... ხელოვნება ის ულამაზესი ქალწულია, რომელსაც ვერ წაბაძავს ვერც ერთი ბანოვანი. ამაოდ ბაძავს ბუნება მას და ამაოდ იძახით თქვენ: ხელოვნება სარკეა ცხოვრებისაო. ცხოვრება არა ქმნის ხელოვნებას, ხელოვნებაა შემოქმედი ცხოვრებისა“.

მოტანილი ციტატებიდან ნათლად ჩანს ოსკარ უაილდის დეკადენტური პრინციპების არა მხოლოდ გაზიარება, არამედ მისი გავლენა ახალგაზრდა ქართველი პოეტის ესთეტიკური მრწამსის ჩამოყალიბებაზე.

უაილდის სულის თანაზიარობა შეინიშნება გ. ლეონიძის ლექსში — „უაილდს“, რომელიც მას გარდაცვალებიდან 15 წლისთავზე მიუძღვნა:

შენც გლოცულობ... და შენსავით კაცთა შორის
დავალ ობლად,
სული შენი თავს მევლება უკვდავების მახარობლად...
ჰე, თვისტომო, სანატრელო, გიხსენიებ მუდამ ქებით,
მსურს შევამკო მშვენივრება, მსურს გიმღერო
დავიწყებით.

ინგლისელი მწერლის გახსენება სევდიან ფიქრებს აღძრავს პოეტში. უსაზღვრო გულისტკივილითა და უაილდისადმი თანაგრძნობით არის გამსჭვალული ლექსი „საღამოს სანთლებში“:

მე თვალს მიღებავს ცრემლის ფერად კვნესა მართალი,
ჭლექიან სანთლის ელვარება ოქროსეული —
მომაგონდება სინანულის ცრემლად ქცეული
ოსკარ-უაილდი გულზვიადი მთავარ-სარდალი
დაყრილი ფარი და ლონდონის ქვა სამართალი
შეშლილ მეფესთან ბრბო სიცილით შემოსეული...

ინგლისელი ესთეტის პერსონაჟის სახელი სალომე, რომელიც სიგიჟის, სიმთვრალისა და თვითმკვლელობის აპოლოგეტ „ყანწელებს“ დეზდემონას ავიწყებენ, როგორც სახე-სიმბოლო გვხვდება გ. ლეონიძის ლირიკაშიც. ამის დასტურია ლექსი „სონეტი ქართველ ჰუსარებს“, სადაც თეიმურაზისა და სააკაძის სახელებთან ერთად პოეტი სალომესაც უხმობს:

აათამაშებთ სისხლიან სულს ნარინჯის მთებში
მთვრალი სალომე დაიჟინებს თქვენს თავებს თეფშით
როცა თვალები გაგეხსნებათ მთვარის ყალიბად!..

სალომეს სახელი კვლავ გაიჟღერებს სიმბოლიზმის დამახასიათებელი ბუნდოვანებით გაჯერებულ ახალგაზრდა პოეტის ერთ-ერთ უსათაურო ლექსშიც:

დღეს სიხარული — ვით ცეკვაში მთვრალი სალომე
როგორც ეთერის სარეცელზე აბესალომი!
ქართლოსის ლანდი ბრწყინვალებით გამეთარეშა —
არმაზისაკენ!
ნუღარ წავალთ ლეგა ზამთარში.

„ცისფერყანწელები“-ს ყველაზე უფრო „ორთოდოქსი“ სიმბოლისტი პოეტის ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებაში, სადაც ის ხელოვნურად ამკვიდრებს ქართველი და უცხოელი მწერლებისა და მათ ნაწარმოებთა პერსონაჟების სახელებს, რათა შექმნას სიმბოლოები, მითები, ლირიკული სახეები, ხშირად ვხვდებით უაილდის სალომეს, როგორც სახე-სიმბოლოს. ამის ერთ-ერთი ნიმუშია ლექსი, „ქუთაისი ქარში“...

ნაცრისფერ ცეცხლში ბუმბერაზობს, იწვის ქალაქი,
ვით სალომეა, საფირონი მოცეკვავს ქარი.
გაჩნდება ცაზე სამართებლით თეთრი დალაქი —
დაედევნება რუხ ჰამლეტებს ავი მუქარით.

გრიგოლ რობაქიძე, რომელიც უარყოფს მეშჩანურ ყოფას, ხოტბას ასხამს ბოჰემას, პარიზს, ბაძავს „ლოთ ძმებს“, უკრიტიკოდ იზიარებს უაილდის ესთეტიკურ შეხედულებებს, ლექციების ციკლით ეწევა ინგლისელი ესთეტის პოპულარიზაციას საქართველოში, ყველა „ყანწელთა“ მსგავსად, ცდილობს არსებულ და გამოგონილ სახელებთან ერთად პოეზიაში დაამკვიდროს უაილდის სახელი, როგორც ბოჰემის სახე-სიმბოლო. ამის ნათელი დადასტურებაა ლექსი „უაილდი პარიზში“, რომელიც 1919 წელს „მეოცნებე ნიამორებში“ გამოქვეყნდა, შემდგომ კი, ვფიქრობთ, მწერლის არცერთ კრებულში არ გამოქვეყნებულა და ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად არის ცნობილი, ამიტომაც მოგვაქვს სრულად:

პარიზის საღამო. სოველი სმარაგდი.
თქორიან ნისლში ელექტროს მარმაში.
ნაორთქლი მინები. სეირი მარადი.
ლამაზი ფეხის თეთრული გამაში.
ტაძარის აჩრდილი ტორტმანობს განზე;
ქვების ლოცვებით ეტრფის ქერუბიმს.
„ნოტრ-დამის“ პირქუშა თუჯურა ტანზე —
მთქნარება ერევათ მოღიმარ ქიმერებს.
კაფეში: ხმაური, სიცილი. ხალისი.
კისკასი ჰკაზმავს ლამაზ ჰეტერებს.
იხრჩობა ქეიფით სირუხე ხვალისა.
მოჟღალო თვალი სიგიჟეს ატარებს.
ყოფით შემოდის უცხო მთავარი.
ტრფიალით ეკვრის გულზე ნარგისი.
ორჭოლი ღიმილით ლხენის მთოვარე —
არავის მოხედავს: ამაყი. გარისი.
სინელით უჯდება მეგობრის მაგიდას.
მზერაში უბრწყინავს ახალი რასსა.
ეტყობა უდარდელს: არას დაგიდევს:

ზოგი თუ რას იტყვის და ზოგი რასა.
მაიას ჰმოსავს ქებათა ქებით.
ისვრის სიუხვით ახალ სახელებს.
აფორიზმს აბნევს ინდოელ ქვებით.
გენიის ჟინით ქვეყანას ახელებს.
ჰკიაფობს კაფე: უყივის მთვარეთ.
ნერვებით უხმობს: ვის რა უალდეს.
და... მეგაზეთე ქუჩაში გარეთ —
ხმამაღლა ყვირის: ლანდი უაილდის.

პოეზიაში ქართველ და უცხოელ მწერალთა სახელებისა და პერსონაჟთა ხელოვნურად დამკვიდრების ტრადიციას არც „ცისფერყანწელები“-ს ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა წარმომადგენელი, „რითმის კავალერი“ შალვა კარმელი (გოგიაშვილი) ღალატობს. „ცისფერყანწელთა“ მანიფესტში გაცხადებული ერთ-ერთი თეზის — „გიყვარდეთ ქალი ვნებიანად და დაუზოგავად“ — პირდაპირი გამოძახილია ლექსი „ხავერდის ქალი“, სადაც უაილდის სალომე ვნებიანი სიყვარულის სახე-სიმბოლოა:

ხავერდის ქალი, საკრამანგით ოქრომქონები,
ჩაივლის ხალხში, თან ღიმილი შვენის ლაურის,
მიჰყივის ქუჩა ვნებიანი ქათინაურით,
ყვითელ სახლების შესცქერიან მას პატრონები.
თითქოს არისო სალომეა ეროდიადის,
განკვართულ ტანით დამდაფნელი გრძნობის ზვიადის,
შვიდზე წრულ ცეკვით რომ ატკბობდა ტეტრარქ ეროდის.
მანთებდა ღაზო სიყვარულის სხივთა თარეშით.
არ ვიცი, სული სონეტებში სანამ სტეროდა, —
ლამაზ ბანოვანს კი ჰკოცნიდა ღამე კაფეში.

უაილდის სალომე ზოგჯერ შალვა კარმელის პოეტური შთაგონების უშუალო წყაროა. ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა სონეტი „ჩვენება იუდეის ასულის“.

თანამგზავრ სახე-სიმბოლოებს შორის უაილდის სახელიც, როგორც სევდისა და მწუხარების სიმბოლო, გარკვეულ ადგილს იმკვიდრებს გალაკტიონ ტაბიძის ადრეული პერიოდის ლირიკაშიც. ამის ნიმუშია ლექსი — „მგლოვიარე სერაფიმები“, სადაც მწუხარების მორევში ჩაძირული ახალგაზრდა პოეტისათვის უაილდი უიღბლობისა და იმედგაცრუების სიმბოლოა:

ყოველი წუთი სავსე იყო უმძაფრეს შხამით;
ლურჯა ცხენებით თუ გაფრენდა გრძნობათ სინაზე,
იყავ საოცრად მოხიბლული ასეთი ღამით
და უაილდის ყვავილივით დაეცი გზაზე.

სალომეს სახელი, როგორც ვნების სიმბოლო, გაიელვებს იოსებ გრიშაშვილის პოეზიაშიც:

რითმებს ვსრუტავდი ხარბად და მკაცრად,
ვით იოჰანეს ტუჩებს სალომე
და ძველ ღმერთების ხმის გასაკაწრად,
ვიყავ თამამი... ნაზი... ძალუმი...

„ყანწელებისგან“ განსხვავებით ვ. გოქსაძეს სალომე არ ეზმანება ვნების აღმძვრელ ქალად, პოეტს სურს მხოლოდ მასზე ოცნებით დატკბეს:

ო, სალომეა, უნაზესო ქალწულთა შორის!
ღრმა მოწიწებით გევედრები ურჩი თავნება.
მე არ მსურს შენი მოფერება და არც ამბორი —
მხოლოდ ოცნებით ვიყო შენთან მომეცი ნება.

XX საუკუნის პირველ მეოთხედში, როგორც ლიტერატურაში, ასევე ეროვნულ თეატრში, ახალი ფორმების ძიების პროცესმა განაპირობა დასავლეთ ევროპის მწერალთა პიესებისადმი დიდი ინტერესი. ამ პერიოდში ქართული თეატრის რეპერტუარი, ორიგინალური დრამატურგიის ნაკლებობის გამო ძირითადად ნათარგმნი ლიტერატურით იყო დაკომპლექტებული, ვინაიდან ორიგინალური ლიტერატურა „იმდენად ჩამორჩა თეატრალურ ცხოვრებას“, რომ „გზის მაჩვენებლად“ ვერ გამოდგებოდა. მაშინდელ პრესაში ხშირად ვხვდებით გულისტკივილით აღსავსე წერილებს, სადაც ქართული თეატრის გულშემატკივრები თეატრის დაცემის მიზეზებსა და მისი განახლების გზებს ეძებენ: „ქართულ თეატრში ჩვენ გვინდა ვნახოთ ქართული, რასიული ტემპერამენტის ნიჭის და ევროპული კულტურის სინთეზი. საქართველო არ არის ამერიკა, ამიტომ მარტო სანახაობას ჩვენ ვერ შევეგუებით, ეხლანდელი საქართველო არ არის არც გიორგი ერისთავის, ცაგარელისა და ანტონოვის საქართველო და მარტო „გაყრა“, „ხანუმა“ და ასეთები ვერავის დააკმაყოფილებს. თეატრი ანარეკლია ცხოვრების, ის ფეხდაფეხ უნდა მისდევდეს ცხოვრებას“. ასე ესახება XX საუკუნის დასაწყისის ქართული თეატრის როლი და მნიშვნელობა „ცისფერყანწელების“ ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს გრიგოლ რობაქიძეს.

ამ დროისათვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკვე არსებობდა ოსკარ უაილდის „სალომე“-ს ოთხი ქართული თარგმანი შესრულებული ალ. სარაჯიშვილის, პ. დადვაძის, გრ. რობაქიძის და პ. იაშვილის მიერ. ორიგინალური რეპერტუარის ნაკლებობის, ქართული თეატრის განახლების გზების ძიების პროცესში სავსებით ბუნებრივი იყო ქართველი რეჟისორის სანდრო ახმეტელის დაინტერესება უაილდის ერთმოქმედებიანი დრამით. ალ. ახმეტელმა პ. იაშვილის თარგმანის მიხედვით 1923 წლის 18 თებერვალს რუსთაველის თეატრში დადგა „სალომე“, რომლის შესახებაც გაზეთი „კომუნისტი“ ასე იტყობინება: „ქართული თეატრი აღარ საჭიროებს კითხვის ნიშანს, ის უკვე ხერხემალგამაგრებულია. მსახიობებიც ასულნი არიან მოწოდების სიმაღლეზე... პიესაში ზოლგავლებულია ორი ნებისყოფა, ცის (იოქანაან) და მიწის (სალომეა), ამ ორ ინდივიდზე იშლება მთელი პროცესი. პიესა ტემპით, ფორმით და განსაკუთრებით სტილით ჭეშმარიტად პოეტურია... პიესას კიდევ უფრო ფეერიულს ხდის მთვარესთან კავშირი, რომელიც არის მისტიური საშო წინაგრძნობის და მეწამულობის“. აქვე კრიტიკოსი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ უაილდის „სალომე“ წრედაგასული და არაბუნებრივია, რასაც იმით ხსნის, რომ „მის ირგვლივ ღვინით და ისტერიული ვნებით იყო ჰაერი მოხუთული“.

ამავე წერილში დახასიათებულია უაილდის დრამის მთავარი როლების შემსრულებლები. რეცენზიიდან ირკვევა, რომ სალომეს როლი თამარ ჭავჭავაძეს თავისი გარეგნობის, ხმის, ენერგიის წყალობით კარგად შეუსრულებია. თუმცა კრიტიკოსი იქვე შენიშნავს, რომ ცეკვის დროს მეტი „აღვირახსნილი პათოსი“, „ნაკვთების სიმძაფრე“ იყო საჭირო. წერილის ავტორი მცირეოდენი შენიშვნების მიუხედავად, დაასკვნის, რომ თამარ ჭავჭავაძეს სალომეს როლი შემოქმედებითად გაუცოცხლებია.

იოქანაანის როლი სასცენო ასპარეზზე ახალგამოსულ ახალგაზრდა მსახიობს — აკაკი ხორავას საუკეთესოდ შეუსრულებია. აკაკი ვასაძეს კი ტეტრარქის როლის სრულყოფილი შესრულებით მაყურებელი მოუხიბლავს. სალომეს დედის — ჰეროდიას — როლი ნინო დავითაშვილს, ცალკეული ხარვეზების მიუხედავად, დამაკმაყოფილებლად შეუსრულებია. გიორგი დავითაშვილს კარგად განუსახიერებია ახალგაზრდა სირიელის როლი. მიმომხილველის შეფასებით, მეომრების როლებში უ. ჩხეიძე და კ. მიქაბერიძე გამორჩეულნი ყოფილან. მიუხედავად იმისა, რომ რეცენზენტის გე-

მოვნებას არ აკმაყოფილებს მსახიობთა ცეკვა, კოსტიუმები და განათება, მთლიანობაში „სალომე“-ს დადებითად აფასებს და სპექტაკლს რეჟისორის ნიჭიერების აშკარა გამოვლენად მიიჩნევს.

სანდრო ახმეტელის მიერ ოსკარ უაილდის „სალომე“-ს ქართული თეატრის სცენაზე დადგმას არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. თუ საზოგადოების ნაწილისათვის, ორიგინალური დრამატურგიის ნაკლებობის გამო, მისაღებია ქართველ რეჟისორთა დაინტერესება ნათარგმნი ლიტერატურით, „ექსპრესიონისტული დრამატურგიით“, ზოგისთვის სავსებით მიუღებელია უაილდის „ბურჟუაზიული ესთეტიზმი“, რომელიც „პორნოგრაფიის ისეთი შიშველი ფორმებით აქვს ავტორს მოტანილი, რომ მიუხედავად ყოველგვარი ცდისა, რეჟისორმა ალ. ახმეტელმა ვერ შეძლო ამ ფორმების შერბილება“.

„სალომე“-ს ქართული თეატრის სცენაზე დადგმას რუსულენოვანი გაზეთიც „Заря Востока“ გამოეხმაურა. ინკოგნიტო კრიტიკოსი, რომელიც მოკლედ მიმოიხილავს ქართული თეატრის ისტორიას, ასევე აღნიშნავს „სალომე“-ს მნიშვნელობას მოსკოვის კამერული თეატრის განვითარებაში, მეტისმეტად კრიტიკულადაა განწყობილი ალ. ახმეტელის მიერ რუსთაველის თეატრის სცენაზე დადგმული „სალომე“-სადმი. წერილის ავტორი მიიჩნევს, რომ თუკი უაილდის „მთვარის სიმფონია“-ს წილად ხვდა ქართული თეატრის სცენაზე აჟღერება, მაშინ ის დიდ დარბაზში, დიდ სცენაზე, მაყურებლის გემოვნების გათვალისწინებით უნდა დაედგათ, რაც თავის მხრივ უმთავრესი ფაქტორი იქნებოდა სპექტაკლის წარმატებისა. წერილში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ უაილდის პიესა ყოველთვის რეჟისორთა ყურადღების ცენტრში იყო, მხატვრული შემოქმედების ფართო ასპარეზს წარმოადგენდა. ამდენად, კრიტიკოსი სავსებით ბუნებრივად მიიჩნევს საზოგადოების იმ დიდ ინტერესს, რაც „სალომე“-ს ქართული თეატრის სცენაზე პირველად დადგმამ გამოიწვია. რეცენზენტის მოწონებას იმსახურებს მუსიკა, განათება, დეკორაციები. თამარ ჭავჭავაძემ კი, კრიტიკოსის მოსაზრებით, ახალგაზრდობისა და გამოუცდელობის გამო, ვერ შეძლო სალომეს ტრაგიკული როლის სრულყოფილად განსახიერება. კრიტიკოსმა მოიწონა ჰეროდეს როლის შემსრულებელი აკაკი ვასაძე, თუმცა მიიჩნევს, რომ მას უფრო მეტად უნდა გაესვა ხაზი ჰეროდეს ვნებიან სურვილებზე, მიწიერი სიამოვნებით მიღებულ კმაყოფილებაზე. იოქანაანის როლის შემსრულებელი აკაკი ხორავა კი თავისი სცენური მონაცემებით, გარეგნობით, ხმის ტემბრით, პლასტიკურობით ყველაზე მეტად მოიწონა.

ამგვარად, XX საუკუნის დასაწყისში, ინგლისელი მწერლის ოსკარ უაილდის ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ ასახვა ჰპოვა ქართულ ლიტერატურასა და თეატრში. მან გარკვეული გავლენა იქონია ქართველი მწერლების, განსაკუთრებით, „ცისფერყანწელები“-ს ესთეტიკურ პრინციპთა ჩამოყალიბებასა და მხატვრულ პრაქტიკაზე. ასევე, უაილდის „სალომე“-მ სხვა უცხოელი მწერლების პიესებთან ერთად მნიშვნელოვნად გაამდიდრა ქართული თეატრის რეპერტუარი, დანერგა თეატრალური ხელოვნების ევროპული სტილი. როგორც ირკვევა, ოსკარ უაილდმა XX საუკუნის დასაწყისში, გარკვეულწილად, ხელი შეუწყო ქართული ლიტერატურისა და თეატრის განახლების პროცესებს.

ბაკურ გეგია

ამერიკული გალია და მოშუშეგული ნატყვიარები

ამ წელს სევას დედა გარდაეცვალა. ახლობლის დაკარგვას პატიმარი მძიმედ განიცდის. აქ არის ყველაფერი: სინდისის ქენჯნაც, დარდი დანაკლისის გამო, დაკრძალვაზე ვერდასწრებით გამოწვეული უნუგეშო მწუხარება, ანუ ღრმა დეპრესიის ყველა ნიშანი. მეგობრები ვცდილობდით ნუგეში გვეცა, მაგრამ ეს ვერ ამსუბუქებდა მის მდგომარეობას. ზედამხედველებმაც კი შეარბილეს მასთან საუბრის ტონი, მაგრამ არაფერმა არ გაჭრა. დეპრესიასთან ბრძოლა ცალკე თემაა და ადამიანის ფსიქიკა თვითონ აწესრიგებს ამ პროცესს. ერთი ჩემი უახლოესი გარდაცვლილი მეგობრის დედამ, მასზე გულგადაკლულმა, დანანებით მითხრა, გახსოვდეს, ვინც კვდება, თავის თავს უკვდებაო. მთელი დღეები იმას ვიხსენებ, როდის რა მაწყენინაო. ასეა, სიცოცხლის ინსტინქტი დიდი გაიძვერა ვინმეა და როცა სჭირდება, ყველაფერს გვავიწყებს.

ზონაზე ერთ ფაშისტს დავუახლოვდი, ჯიმი ედკინს. სასჯელს იხდიდა 1977 წელს ზანგების გეტოს უსასტიკესი დარბევის მეთაურობისათვის. 78-ში მის კვალს მიაკვლიეს, მაგრამ გაიქცა და ორი წელი იმალებოდა. ბოლოს მაინც მიაგნეს, გაასამართლეს და 50 წელი მიუსაჯეს. მე რომ გავიცანი, უკვე 33 წელი ჰქონდა მოხეული. ჩემსავით უყვარდა ისტორია და გეოგრაფია. ერთად განვიხილავდით მნიშვნელოვან ისტორიულ და გეოგრაფიულ ფაქტებს. განვიხილეთ სპარტაკის აჯანყების პერიპეტიები, ჰანიბალის თავდასხვა რომზე, ვესტგოთების ისტორია, ინკვიზიციის ქმედებანი. ყველაზე დიდი ადგილი, ბუნებრივია, მეორე მსოფლიო ომის დრამებს ეჭირა. ვუთარგმნე ნაწყვეტები სუვოროვის წიგნიდან „ლედოკოლი”. ერთად განვიხილეთ ევროპაზე თავდასხმის სტალინისეული ვერაგული გეგმა. ეს მისთვის აღმოჩენა იყო. ძალიან მადლიერი დამრჩა.

ჩემი და ჯიმის დიდ ინტერესებს იწვევდა მსოფლიოს გეოგრაფიული მოწყობის საკითხებიც. რა თქმა უნდა, მიწების მიტაცება მსოფლიო ისტორიის ძირითადი მამოძრავებელია, მაგრამ ისიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ, ამ მიწების დაკანონება როგორ ხდებოდა. ორივენი შევთანხმდით, რომ მიწების გამო დავა მეფეების პრესტიჟის საქმე უფრო იყო, ვიდრე რეალური სარგებელი.

ამავე წელს ჯიმი გაათავისუფლეს და მე დავკარგე ძალიან საინტერესო მოსაუბრე. ციხეში შეძენა და დაკარგვა – გვერდიგვერდ არიან. თუმცა რა, ციხის გარეთაც ხომ იგივე ხდება. გასვლის წინ ჯიმიმ დარდი გამიზიარა. კოლუმბუსი ისეა შეცვლილი, იქ რა უნდა ვაკეთო, წარმოდგენა არა მაქვსო. ასეთი ხანგრძლივი ვადის მოხდის შემდეგ, პატიმარი ციხეს ეჩვევა და ჩვეულებრივ საზოგადოებასთან სრული გაუცხოება უყალიბდება. ახალ, თავისუფალ სამყაროში გადანაცვლების შიში ვრცელდება ისეთ პატიმრებზეც კი, რომელთა გულადობაში ეჭვი არავის არასოდეს შეპარვია. სწორი თქვა კრისმა „ბრწყინვალე შვიდეულში”, ჭეშმარიტი გმირები ცხოვრებასთან შეჭიდებულნი არიან და არა ისინი, ვისაც ყველაფერზე ხელი აქვს აღებული და ყველა ცხოვრებისეულ მოვალეობას გაურბის. 33 კი არა, არასრული 12 წელი ვიჯექი და როცა გავთავისუფლდი, მეც კი გამიჭირდა ახალ რეალობასთან შეგუება.

2004-ში თავს დაგვატყდა ახალი უბედურება, ზონაზე ტუბერკულოზის ეპიდემია წარმოიშვა. როგორც ცნობილია, ინფექციური დაავადებები ასეთ ადგილებში ელვისებურად ვრცელდება. ერთი რომ ცხვირს დააცემინებს, მეორე დღეს მთელი ზონა ცხვირის ცემინებაშია. ციხის ადმინისტრაციამ სასწრაფო ზომებს მიმართა,

* დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №17,18,19

გაგვიკეთეს აცრები, დაგვირიგეს ინსტრუქციები. უნდა ითქვას, რომ ჩემზე ეს ეპიდემიები არ ვრცელდებოდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ახლოს არ ვიკარებდი არც ალკოჰოლს, არც თამბაქოს და არც ნარკოტიკს. ბევრს ვვარჯიშობდი და სხეული გაკაჟებული მქონდა.

ზონაზე ადგილი ჰქონდა დეზინფორმაციებსაც. ამავე წელს იყო ასეთი შემთხვევა: იტალიური დაჯგუფების წევრი, სწორედ ის, ვინაც საშხაპეში ზანგი კინაღამ მიასიკვდილა, დაიბარეს და უთხრეს, მოკვლას გიპირებენ და ხელი მოაწერე უსაფრთხოების მიზნით კარცერში შენს გადაყვანასო. იტალიელმა, ცხადია, უარი უთხრა. შიშის ასეთი გამხელა ზონაზე ლაჩრობად ითვლება. მაგრამ დაძაბულობამ ამით კი არ იკლო, პირიქით, იმატა. იტალიელებმა შეადგინეს დელეგაცია და დაიწყეს ზანგებთან მოლაპარაკება. იმ ფაქტიდან ერთ წელზე მეტია გასული და ასეთი დაგვიანებული ვენდეტა რას უნდა ნიშნავდესო. ზანგებმა იუარეს, ასეთი ჩანაფიქრი არავის აქვსო. მიუხედავად ამისა, მიღებულ იქნა სიფრთხილის ყველა ზომა. როცა მას შემდეგ თვეზე მეტი გავიდა, ყველას გადაავიწყდა ეს საშიშროება, მაგრამ კვლავაც გაურკვეველი დარჩა მისი წარმოშობის მიზეზები. ხშირად ისეც ხდებოდა, რომ ზედამხედველებთან შეკრული პატიმრები, თავიანთი საჭიროების მტკიცების მიზნით, თხზავდნენ ასეთ სიმართლესთან მიახლოებულ სიცრუეს. ჭორისა არ იყოს, შეუძლებელი იყო მათი სიმართლისგან გარჩევა. ასე რომ, ჭორები მარტო თავისუფალი საზოგადოების ფუფუნება როდია...

მხატვარი აივენგო ჭელიძე

პატიმრები ხშირად ერთი შეხედვით უცნაურ საქციელსაც სჩადიან. ერთმა ირლანდიელმა, სახელად დენიმ, რომელიც სასჯელს იხდიდა შეიარაღებული ძარცვის გამო, ჯვარიც კი დაიწერა ერთ გოგოზე, რომელიც სკოლის ასაკიდან უყვარდა. არადა, 16 წელი ჰქონდა მისჯილი და აქედან სულ რაღაც ოთხი წელი ჰქონდა მოხდილი. ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. ეს გოგო კვირაში ერთხელ აკითხავდა და მთელ დღეს ერთად ატარებდნენ. ოღონდ ესაა, ინტიმური კავშირი აკრძალული ჰქონდათ, რასაც ყველანი საშინლად განვიცდიდით და ქვეყნად არსებულ ყველაზე დიდ უსამართლობად მივიჩნევდით.

ზონაზე სხვა სიახლეც მოხდა, აქ სამუშაოდ მოვიდა რუსი მღვდელი ალექსანდრე კოსტენკო. ბაბუა რევოლუციის დროს გაქცეულა საფრანგეთში, მამა ბრაზილიელი მისიონერი გამხდარა, საიდანაც მერე ამერიკაში გადმოსულა საცხოვრებლად. ალექსანდრეც მამის კვალს გაჰყოლია და უფრო მისიონერი იყო, ვიდრე მღვდელმსახური. სიამოვნებით ვესაუბრებოდით რელიგიურ საკითხებზე. ყურადღებით გვისმენდა და საპასუხო არგუმენტებსაც დინჯად გვიზიარებდა. ოღონდ ეს იყო, რაიმე მკრეხელურს რომ გაიგონებდა, პირჯვარს იწერდა და ასეთი საუბრებისთვის ღმერთს პატიებას სთხოვდა.

ამ წელს მეხუთედ აღვნიშნე ჩემი და სტალინის დაბადების დღე. ძველ შემადგენლობას ჩემი ხათრით დაემატნენ უკრაინელებიც. მოვიდა ჯიმი ედკინსი, რომელსაც განთავისუფლებამდე 5 დღე რჩებოდა. ქართულად გავუმასპინძლდი. სუფრას არაფერი აკლდა, ხორცეული, თევზეული, კარტოფილის კერძები. ალკოჰოლზე უარი ვთქვით. სამაგიეროდ მრავლად იყო წვენები და გაზიანი სასმელები.

სულ რამდენიმე დღეში ციხეში შემოაბიჯა 2005-მა წელმა. ძველებური სიხარულით შევხვდით. ახალი წელი ხომ ერთადერთი დღესასწაულია, რომელსაც არ აინტერესებს რასა, ეთნიკური კუთვნილება და რელიგიური მრწამსი.

ამ წელს ზონაზე არსებითი ცვლილებები მოხდა. გაიზარდა სეირნობის დრო, აშენდა ახალი შენობა, რომელიც დაექვემდებარა ფსიქიატრიულ დეპარტამენტს. დაგვირიგეს განსხვავებული ფეხსაცმელები, შარვლები, პერანგები. თასმიანი ფეხსაცმლის ნაცვლად — ელვიანი, ქამრიანის ნაცვლად — რეზინიანი შარვლები, ღილებიანის ნაცვლად — უღილო პერანგები. ასეთ ცვლილებას ერთადერთი ახსნა დავუძებნეთ – მასალების ეკონომია.

დაგვინიშნეს ახალი ციხის უფროსი. მისი მოსვლით ვითარება ოდნავ გაუმჯობესდა. თუკი წინათ ნისლის ჩამოწოლისთანავე საკნებში გვკეტავდნენ, ახალმოსულმა ეს შეზღუდვა გააუქმა. გაუბჯობესდა კინოფილმების ხარისხი, სასადილოშო გაიზარდა კვების ასორტიმენტი. მაღაზიაშიც გაიზარდა პროდუქტების რაოდენობა და არჩევანის საშუალებაც. ის ზედამხედველები, რომლებსაც უჭირდათ პატიმრებთან საერთო ენის გამონახვა, გადაიყვანეს ისეთ სამსახურში, სადაც არ ჰქონდათ პატიმრებთან პირდაპირი შეხება.

2005-ში ოჰაიოს შტატში კიდევ ერთი ციხე დაიხურა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ შტატის ფინანსური მდგომარეობა კიდევ უფრო უარესდებოდა. ამ წელს ოჰაიოს ზონებზე 16 თვითმკვლელობა მოხდა. ამათგან ჩვენ ზონაზე — 3. იმ სამიდან ორს ვიცნობდი. ერთი მათგანი სასჯელს იხდიდა 13 წლის გოგონასთან სექსუალური კავშირის დამყარების გამო. მე რომ გავიცანი, 30 წლის იყო და უკვე მესამედ იხდიდა სასჯელს სექსდანაშაულისათვის. თავი მოიკლა საძილე არტერიის გადასერვით.

მეორე შეიარაღებული ძარცვის გამო იხდიდა სასჯელს. მერე გაირკვა, რომ თვითმკვლელობა უცდია ჯერ კიდევ 12 წლის ასაკში. კამერის გისოსებს თოკი გამოაბა და თავი ისე ჩამოიხრჩო.

მესამე გეი იყო და არასოდეს გამოვლაპარაკებივარ. დადიოდა ხმები, რომ ბოიფრენდმა აწყენინა და ეს გახდა თვითმკვლელობის მიზეზი. მანაც თავის ჩამოხრჩობით დაასრულა სიცოცხლე.

ზონაზე ერთი თვითმკვლელობაც კი სკანდალად ითვლებოდა, სამი კი უკვე მეტისმეტი იყო. რაც შეეხება ჯამში 16 თვითმკვლელობას, ასეთი რამ არ ახსოვდა ოჰაიოს ციხეებს აღბათ მთელი თავისი არსებობის მანძილზე.

ადმინისტრაციები შეფუცხუნდნენ. ფართოდ გაშალეს ფსიქოლოგიური სამსახურის საქმიანობა, აღრიცხვაზე აიყვანეს ყველა, ვინაც მსგავსი მიდრეკილება ადრეც გამოამჟღავნა. ნიუ-იორკ ტაიმსში დაიბეჭდა ვრცელი სტატია სუიციდის მიზეზების შესახებ. ძირითად მიზეზად სახელდებოდა ცხოვრებისგან დაღლა, რასაც ყველანი დავეთანხმეთ. თვითმკვლელობის მიზეზად სახელდებოდა ცხოვრებისეული სტიმულების დაკარგვაც, პერსპექტივის უქონლობის განცდა, ხანგრძლივი, სულიერად მომქანცველი დეპრესია. მთლიანად უარყოფილი იყო ვერსია, რომ ვითომცდა თვითმკვლელობას სჩადიან ყურადღების მიქცევის მიზნით. ასეთი შემთხვევების რიცხვი, ამ სტატიის მიხედვით, 0,1% არ აღემატებოდა. აქვე აღნიშნული იყო, რომ ქალებს მამაკაცებთან შედარებით ოთხჯერ უფრო ხშირად აქვთ თვითმკვლელობის მცდელობა, მაგ-

რამ მცდელობის აღსრულების თვალსაზრისით, მამაკაცები ორჯერ უსწრებდნენ ქალებს.

ეს საკითხები განვიხილეთ და ჩვენი მოსაზრებები გამოვთქვით. მეც გამოვთქვი ჩემი აზრი, რომლის მიხედვით თვითმკვლელობა ხშირად მოსდევს ცხოვრების წესის რადიკალურ შეცვლას. გავიხსენე მაგალითი მამაჩემის კრიმინალური რომანიდან „მსაჯული", სადაც საუბარია თვითმკვლელობის საშუალებებზე, რომ ისინი დამოკიდებულია ადამიანის საქმიანობაზე. რომ ძალოვანები იარაღით იკლავენ თავს, ქალები საწამლავით, ფსიქიკური პრობლემების მქონენი – სიმაღლიდან ხტებიან, შეყვარებულები წყალში დახრჩობას ამჯობინებენ. ყველანი დამეთანხმნენ.

ამასთან დაკავშირებით გამოითქვა გაკვირვებაც, რომ შექსპირთან რომეო საწამლავს სვამს, ხოლო ჯულიეტა დანით იკლავს თავს.

საშამ ხარაკირის ტრადიცია გაიხსენა. იაპონელი სამურაები იაპონურ ხანჯალს მუცლის ქვემოთ ირტყამენ, მერე ზემოთ აატარებენ და მერე მარცხნივ გადააქვთ. საშინელი ტანჯვით იღუპებიან. საინტერესო ის არის, რომ ამ სახით თავის მოკვლის უფლება მხოლოდ მათ ჰქონდათ.

გავიხსენეთ ჰიტლერის და მისი გარემოცვის თვითმკვლელობის ამბავიც. განსაკუთრებით შევიბრალეთ გებელსი, რომელმაც თვითმკვლელობამდე ჯერ ცოლი, მერე კი რვა შვილი გამოასალმებინა სიცოცხლეს. საბოლოო დასკვნა მაინც ასეთი იყო – თავს იკლავენ სიცოცხლეზე ბრაზმორეული, ხელმოცარული ადამიანები, და რომ თვითმკვლელობა დეზერტირობის ერთ-ერთი ფორმათაგანია.

წამოიჭრა ადამიანური ღირსების საკითხიც. ამის მაგალითად დასახელდა გერინგის თვითმკვლელობა. როცა სიკვდილი მიუსაჯეს ჩამოხრჩობის გზით, სასამართლოს სთხოვა, ნუ ჩამომახრჩობთ, დამხვრიტეთო, როგორც ეს სამხედროს ეკადრებაო. ამაზე უარი უთხრეს. ცოლს გმირობად ჩავუთვალეთ კალიუმციანიდის კოცნის გზით გერინგისთვის გადაცემა. ყველანი შევთანხმდით, რომ ღირსება თვით სიცოცხლეზეც მაღლა დგას.

2005 წელს ციხეში ყოფნის 5 წელი შემისრულდა. არსებობს მოარული აზრი, რომ ყველაზე მძიმე ტყვეობის ხუთი წელია. შემიძლია ორი ხელის აწევით დავადასტურო ეს მოსაზრება. ამ დროის გასვლის შემდეგ დღე შეუდარებლად უფრო შემოკლდა. სიმხნევემ იმატა. ურთიერთობები სტაბილური გახდა. სამშობლოს მიმართ ნოსტალგიამაც იკლო, თავისუფლების ინსტინქტიც მოჩლუნგდა. და რაც მთავარია, მყარად დამიბრუნდა იუმორის გრძნობა, რაც დეპრესიიდან განთავისუფლების უპირველესი ნიშანია. წიგნსაც მივუბრუნდი და ჭადრაკსაც, ანუ საკუთარ ფიქრებთან დარჩენა ტკივილს აღარ მგვრიდა.

ზონაზე ახალი პატიმარი შემოგვიერთდა, რიჩარდ ვესსი. დაპატიმრებული იყო იარაღით ვაჭრობისათვის. უბრალო ბარიგა კი არა, საერთაშორისო დონის მიმწოდებელი ყოფილა და არცთუ იშვიათად რამდენიმე მილიონიან გარიგებებს აწარმოებდა. ხმებს თუ დავუჯერებთ, ამბობდნენ, რომ პოლიციამ მისი მოხელეთება ვერ შეძლო და ჩხრეკის დროს იარაღი ჩაუდესო. აქ საკვირველი არაფერია, ასეთი დონის მოვაჭრებთან ნივთმტკიცების მოპოვება თითქმის შეუძლებელია, თუკი ახლობელმა ან სულაც მეწყვილემ არ დააბეზღა და პოლიციას არ მიუთითა, ეს კრიმინალი სად ინახავს იარაღს. მისჯილი ჰქონდა 16 წელი. სიმდიდრითაც გამოირჩეოდა. ორი სახლი ოჰაიოში, ბინა ნიუიორკში, პლიაჟის სახლი ბაჰამის კუნძულებზე. საკუთარი თვითმფრინავი, რითაც გადაჰქონდა იარაღი. მთელი ამ ქონების კონფისკაცია დაუპირეს, მაგრამ რაკი იარაღით ვაჭრობა ვერ დაუმტკიცეს, მის ქონებას თითიც კი ვერ დააკარეს.

რიჩარდი სპორტდარბაზში გავიცანი. ჩემსავით უყვარდა ვარჯიში. მასთან საუბარი ერთ რამედ ღირდა. ბავშვობიდან მიყვარდა იარაღი და მას შეეძლო უამრავ ჩემთვის საინტერესო შეკითხვაზე გაეცა პასუხი. ასეთი საკითხები იყო იარაღის ფასები საერთაშორისო ბაზრებზე, სად რომელი იარაღით არიან დაინტერესებული. აშკარა იყო, ასეთი მსხვილი მოვაჭრე ვერაფრით ვერ დარჩებოდა სპეცსამსახურების ყურადღების მიღმა. პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, მთავრობა თვალს ხუჭავს ხოლმე მსგავს ქმედებაზე. მაგრამ საკმარისია მისი ქმედება მათ ინტერესებს დაუპირისპირდეს, იარაღით მოვაჭრეს ციხე არ ასცდება. ვფიქრობ, რიჩარდი სწორედ ასეთი დაპირისპირების გამო მოიშორეს თავიდან. რიჩარდს, ანუ რიკს, როგორც შემოკლებით ვეძახდით, ძალიან გაუკვირდა როცა ვუთხარი, სტალინი გასაოცარი სნაიპერი იყო და ტყვიას ტყვიაში აჯენდა-მეთქი. ისიც ვუამბე, სტალინმა როგორ აჯობა სროლაში შულენბურგს, გერმანიის ელჩს საბჭოთა კავშირში, რომელიც ისროდა ვალტერით პი 38, სტალინი კი ნაგანით. ესეც ძალიან გაუკვირდა. საათობით შეგვეძლო გველაპარაკა ამა თუ იმ იარაღზე, მათ ღირსებებზე და ნაკლოვანებებზე, მათ ბალისტიკურ მონაცემებზე. ორთავეს საუკეთესო იარაღად კალაშნიკოვის ავტომატი მიგვაჩნდა. თუმცა ამასთანავე ორივენი ვიზიარებდით იმ აზრს, რომ კალაშნიკოვის რაოდენობის ზრდას შესაძლო იყო მისი ხარისხის დაკნინება გამოეწვია, როგორც ეს დაემართა იაპონურ ხმლებს.

ახლოვდებოდა 20 აპრილი, ჰიტლერის დაბადების დღე. ჩვენს დაჯგუფებაში დაძაბულობამ იმატა. დასავლეთ უკრაინელები კვლავ დაუპირისპირდნენ რუსებსა და ებრაელებს. ნეიტრალები კვლავ ჩავერიეთ მათ ურთიერთობაში. ცოტა ისტორიული ფაქტების ახსნა-განმარტება, ცოტა იუმორი და ორივე მხარე, როგორც იქნა, დავაშოშმინეთ. ამ თარიღის გასვლის შემდეგაც უბღვერდნენ ერთმანეთს, თუმცა დრომ თავისი ქნა და ცოტა ხანში ყველაფერი დაივიწყეს. და ჩვენი დაჯგუფების მონოლითი კვლავ აღდგა.

ჩვენს ზონაზე ძალიან გახშირდა გაძლიერებული რეჟიმის კოლონიიდან პატიმრების ჩვენთან გადმოყვანა. როგორც ჩანდა, ეს იმით აიხსნებოდა, რომ ციხის ადმინისტრაციებს სულ უფრო უჭირდათ პატიმრების მართვა. ამას ემატებოდა ციხეების მეტისმეტი გადატვირთულობა, რის გამოც ციხის ადმინისტრაცია საკმარისად ვეღარ აკონტროლებდა შიდა პროცესებს.

ოჰაიოს კანონმდებლობის მიხედვით, შვიდ პატიმარზე ერთი ზედამხედველია გამოყოფილი. მაგრამ როცა პატიმრების რაოდენობა მეტისმეტად იზრდება, ეს პროპორცია ირღვევა და პატიმრების გაკონტროლება შეუძლებელი ხდება. ისინიც სარგებლობენ ასეთი თავისუფლებით და სჩადიან იმას, რასაც ჩვეულებრივ სიტუაციაში არ, ან ვერ ჩაიდენდნენ. სავარაუდოა, რომ სწორედ ამ პრობლემის მოსაგვარებლად ოჰაიოს გუბერნატორს წარუდგინეს კანონპროექტი, რომლის მიხედვით პატიმრებს კარგი ყოფაქცევისთვის ეძლეოდათ კრედიტები, რაც მათთვის მისჯილ პატიმრობის ვადას საგრძნობლად ამოკლებდა. მართალია, კრედიტი თვეში მაქსიმუმ თორმეტ დღეს გულისხმობდა, მაგრამ ესეც საგრძნობი შეღავათი იყო და კარგად მოქცევის სტიმულს წარმოშობდა. მეორეს მხრივ, ასეთი კრედიტის გაცემა არ იყო სავალდებულო და მხოლოდ ოჰაიოს შტატის პატიმართა საქმეების სპეცკომიტეტის კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული, რაც ასევე საგრძნობლად ასუსტებდა კანონის მიმზიდველობას.

დიდხანს ვიდავეთ იმაზე, დაამტკიცებდნენ თუ არა ამ კანონპროექტს. ოჰაიოს შტატი განთქმული იყო თავისი სიმკაცრით. მაგრამ ბევრი ჩვენგანის ვარაუდის საწინააღმდეგოდ, გუბერნატორმა სამი თვის შემდეგ დაამტკიცა ეს კანონი, რასაც საყოველთაო სიხარული მოჰყვა. ყველას მოუნდა რაღაც დადებით აქტივობაში მონაწილეობის მიღება, რაც ზრდიდა ვადაზე ადრე განთავისუფლების შანსს.

ზონაზე იყო უამრავი სასწავლო პროგრამები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური სასწავლო კლასები. ციხეში ექვსი წელი ისე გავატარე, ამ კლასების მხარეს არც კი გამიხედია, მაგრამ

კრედიტების შემოღების შემდეგ, იცოცხლე, მაგრად დავფაცურდი. და მე, რაღა თქმა უნდა, სულაც არ ვიყავი გამონაკლისი. ჯერ იყო და სადურგლო კურსებზე ჩავეწერე. მართალია ამ წელს გრძელი რიგის გამო ჩემი გაწევრიანება საეჭვო იყო, მაგრამ მომდევნო წელს კი იქ სწავლა გარანტირებული მქონდა. ამას გარდა, ჩავეწერე როგორც ისტორიის, ისე ჭადრაკის კლუბში. აქ მსურველები საგრძნობლად ნაკლებნი ვიყავით და რაიმე დაბრკოლება არ შემხვედრია.

ისტორიის კლუბში ჩემი მისვლა დაემთხვა საუბრებს ამერიკის სამოქალაქო ომის შესახებ. განიხილებოდა საკითხი, ჰქონდა თუ არა სამხრეთს შანსი, გაემარჯვა ამ ომში. მე გამოვთქვი მოსაზრება, რომ იმის გათვალისწინებით, რომ სამხრეთი აგრარული იყო, ხოლო ჩრდილოეთი — მწარმოებლური, ჩრდილოეთს შეეძლო იარაღის საკუთარი ძალებით დამზადება, მაშინ როცა სამხრეთი იძულებული იყო იარაღი შეესყიდა. ამას გარდა, ჩრდილოეთი რკინიგზის მეშვეობით ადვილად ახდენდა ძალების კონცენტრაციას და იარაღის და ცოცხალი ძალის სწრაფ გადაადგილებას. თუკი სამხრეთი შეძლებდა რკინიგზის პარალიზებას, სასწორი უეჭველად სამხრეთისკენ გადაიხრებოდა. მაგალითისთვის მოვიყვანე რუსეთ-გერმანიის ომი. 1943 წელს კურსკთან ბრძოლის დაწყების წინ, სტალინმა ბრძანება გასცა მწყობრიდან გამოეყვანათ კურსკის შემოგარენში არსებული რკინიგზის ყველა ობიექტი, რაც ხელს შეუშლიდა გერმანელებს სწრაფ გადაადგილებაში. ბევრნი დამეთანხმნენ, ზოგის აზრით კი სამხრეთელებისთვის ეს საკმარისი ვერ იქნებოდა იმიტომ, რომ ჩრდილოელებს შეიარაღებაში გადამწყვეტი უპირატესობა ჰქონდათ. გამოითქვა ის მოსაზრებაც, რომ ეს ხუთწლიანი ომი ასეთი დიდი მსხვერპლით სრულიად ზედმეტი იყო, რამეთუ სამხრეთში მონობის ინსტიტუტი, ადრე თუ გვიან, მაინც გაუქმდებოდა.

კლუბში ვიკრიბებოდით თვეში სამჯერ და განვიხილავდით ისტორიის სხვადასხვა საკამათო საკითხებს. განვიხილეთ ინგლისში თეთრი და წითელი ვარდების, ანუ იორკების და ლანკასტერების ომის საკითხები, ჟანა დარკის პიროვნება და ინგლის-საფრანგეთის ომი, ვილჰელმ დამპყრობლის ლაშქრობები, იულიუს კეისრის მოღვაწეობა, სპარტაკის აჯანყება, ამერიკის მონაწილეობა მეორე მსოფლიო ომში, მარათონის ბრძოლა, ბიზანტიის დაცემა და სხვა ამდაგვარი.

რაღა ბევრი გავაგრძელო, რეფორმამ პატიმართა არნახული გააქტიურება გამოიწვია.

ამ წელს ფიზიკური დაპირისპირება მომივიდა ფაშისტური დაჯგუფების ერთ-ერთ წევრთან, სახელად დენისთან. ნასამართლევი იყო ადამიანის გატაცებაზე. ყველაფერი კამათით დაიწყო იმასთან დაკავშირებით, ვის ეკუთვნოდა შტანგაზე ვარჯიშის რიგი. შეკამათება გართულდა და შევთანხმდით, რომ ჩხუბით გაგვერკვია ურთიერთობა. ზონაზე იყო ადგილები, სადაც შესაძლებელი იყო განმარტოება. ასეთი ადგილები იყო კლუბებში, სასადილოს მიმდებარე ტერიტორიაზე. მთავარი იყო სურვილი, ადგილი ყოველთვის გამოინახებოდა.

იმავე დღეს მოგვიანებით შევხვდით დანიშნულ ადგილას და ჩხუბიც გაჩაღდა. თავიდანვე უპირატესობა მოვიპოვე და რამდენიმე მძიმე დარტყმა მივაყენე. უნდა აღვნიშნო, რომ წონითაც მეტი ვიყავი და სიმაღლითაც. ტექნიკითაც აშკარად ვჯაბნიდი. ეტყობა ეს ნაწინასწარმეტყველები ჰქონდა და ამიტომ შეიარაღებული მოსულა. მოულოდნელად სადგისი დააძრო და კისერში ჩარტყმა დამიპირა. ხელი დავუჭირე, მაგრამ ჩემი ზურგის გაკაწრვა მაინც შეძლო. ერთმანეთს ჩაბღაუჭებული ვიყავით, როცა თბილისური თავური ვატაკე. ეტყობა დარტყმა მეტისმეტად ძლიერი გამომივიდა, რადგან ცხვირიდან სისხლი წასკდა, ჩაიკეცა და ხელიდან სადგისიც გაუვარდა. დავიხარე და სადგისი ავიღე. წაქცეულს გავხედე. ისეთი საბრალო შესახედავი იყო, რომ შურისძიების სურვილი გამიქრა. ჭკუის სასწავლებლად ერთი მსუბუქი წიხლიც ვუთავაზე და ჩხუბიც ამით დამთავრდა.

ზონაზე ეს ამბავი მალე გავრცელდა. ჩემი დაჯგუფების წევრები ღელავდნენ. ჩვეულებრივ ჩხუბში სადგისის მოშველიება რა კაცობააო. გართულების თავიდან ასაცილებლად, ყველანი დავაშოშმინე, დავარწმუნე, რომ ამ სისულელის გამო არ ღირდა რაიმე დაპირისპირება. დენიც შემოვირიგე და ამით დამთავრდა ყველაფერი.

ამავე ხანებში ზონაზე პიცების და საბსენდვიჩების გაყიდვა დაიწყეს. ეს ჩვენთვის სასიხარულო სიახლე იყო. ერთად ვიკრიბებოდით, საჭმელს ვათოხლავებდით და თან საინტერესო თემებზე ვბაასობდით.

ზონაზე იყო ძაღლების საწვრთნელი პროგრამაც. ჩვენი დაჯგუფების ზოგიერთი წევრი ჩაერთო ამ პროგრამაშიც. ერთი სიტყვით, ამ წელს ზონა მთლიანად შეიცვალა და როგორც სტალინი იტყოდა, ცხოვრება უფრო მხიარული გახდა.

არ ვიცი რა მიზეზით, პატიმრებს შორის საგრძნობლად იმატა ნარკომანთა რიცხვმა. ლოთობა და ნარკომანია ეპიდემიასავით არის, ერთი დაიწყებს და თუ არავინ შეაჩერა, სხვებსაც გადასდებს. ხშირად ეს დაკავშირებულია ზონაზე ნარკოტიკების დიდი პარტიის შემოტანასთან.

ზედამხედველებს შორისაც მრავლად იყვნენ ნარკომანები. ერთ-ერთი მათგანი ზედმეტი დოზის მიღებისგან გარდაიცვალა კიდეც. გამოცდილები ვინც იყვნენ, ამტკიცებდნენ, რომ ზონაზე ნარკოტიკის შოვნა უფრო ადვილია, ვიდრე გარეთო. არ არის გამორიცხული, რომ ნარკომან ზედამხედველებსაც აქ უფრო უადვილდებოდათ ნარკოტიკების შოვნა. ფაქტი ისაა, რომ ნარკომანიასთან ბრძოლა ამერიკაში აშკარა ფიასკოს განიცდის და ხელისუფალნი ამაოდ ცდილობენ რამე მოუხერხონ ამ პრობლემას.

სევას ტელეფონით შეატყობინეს მამის გარდაცვალების შესახებ. მოძღვარმა უშუამდგომლა და სევას მამის დაკრძალვაზე დასწრების ნება დართეს. ვისაც ციხე გამოუცდია, მხოლოდ იმან იცის რამდენიმე ყლუპი თავისუფლების ფასი. სევა სასჯელის უკვე მეათე წელს ითვლიდა. თავისუფლება თითქმის მივიწყებული ჰქონდა. და აი, შეახსენეს. და თუმცა მღელვარებას საგულდაგულოდ მალავდა, მაგრამ აჩქარებაში მაინც ეტყობოდა, როგორ ენატრებოდა ეს ერთი ყლუპი თავისუფლება. ასეთ დროს იმაზე ნაკლებად ფიქრობ, რაოდენ მძიმე იქნება უკან დაბრუნება. მართლაც, უკან დაბრუნებული სევა დეპრესიამ მოიცვა. ყველანი საგულდაგულოდ ვცდილობდით ამ მდგომარეობიდან მის გამოყვანას.

სპორტდარბაზში ახალი დანადგარები დააყენეს, რამაც ძალიან გაახალისა ჩვენი განწყობილება. იყო სხვა სიახლეც. თუკი წინათ ისეთ ფილმებს გვიჩვენებდნენ, სადაც ეროტიკა თითქმის არ ფიგურირებდა, ახლა ასეთი ფილმებიც შემოიტანეს.

საჭადრაკო კლუბსაც ხშირად ვსტუმრობდი. უნდა ვაღიარო, რომ ჭადრაკს მაინცდამაინც გულს ვერ ვუდებდი, მაგრამ კრედიტების ხათრით ხან ტალს ვბაძავდი, ხან კი — ფიშერს.

მოახლოვდა მარტინ ლუთერ კინგის რაღაც მრგვალი თარიღი. ამერიკაში და ბუნებრივია, ზონაზეც ეს დღე დღესასწაულად გამოცხადდა. ყველას გაგვიხარდა, რადგან ამ დღეს უამრავი შეღავათები გვეძლეოდა. კინგი ერთ-ერთი პირველი პაციფისტი და გლობალისტი იყო. რა უნდა გვქონოდა მისი საწინააღმდეგო. მაგრამ ასე არ ფიქრობდნენ ფაშისტების დაჯგუფების წევრები და პროტესტის ნიშნად დღესასწაულს ბოიკოტი გამოუცხადეს. ჩვენდა გასაკვირად, მათ პროტესტს შეუერთდნენ სამყაროს შავი მბრძანებლების ფერადკანიანი წარმომადგენლებიც. როგორც გაირკვა, ზანგების მხრიდან კინგის ასეთი უარყოფა გამოწვეული ყოფილა იმით, რომ კინგი ფერადკანიანებისა და თეთრკანიანების თანასწორობას ითხოვდა და სხვას არაფერს. ასეთი თანასწორობა არ აწყობდათ არც თეთრკანიან და არც შავკანიან ექსტრემისტებს. ყოველგვარი დაპირისპირების მოწმე ვყოფილვარ, რელიგიურის, ნაციონალურის, ტერიტორიულის, ეკონომიკურის. მეტოქეობა ხომ ჩვენი ერთადერთი გასართობია, თუ არ ჩავთვ-

ლით გამაბრუებელ საშუალებებს. საქართველოში წინათ ესეც მეტოქეობის საგანი იყო. სუფრაზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ იმაში, ვინ მეტს დალევდა და არ დათვრებოდა. მეტოქეობა როგორ უნდა გაიკვირვო. მაგრამ რასიულ დაპირისპირებაზე უფრო სასტიკი და ამავე დროს უფრო აბსურდული რამის წარმოდგენაც კი ძნელია. არადა, ამერიკა უკვე საუკუნეებია ცხოვრობს რასიული დაპირისპირების წნეხის ქვეშ. ფერადკანიანების ფაშისტური ეპატაჟიც ხომ პასუხია თეთრკანიანების გამოწვევაზე.

სხვა დროს ციხის ადმინისტრაცია საკადრის პასუხს გასცემდა ფაშისტების ასეთ გამოსვლებს. მაგრამ ციხის გადატვირთულობის გამო, ამჯერად მხოლოდ მსუბუქი სანქციებით და მოლაპარაკებებით დაკმაყოფილდნენ.

ასე მიილია 2005-ც და თავი გადავყავით 2006-ში.

ახალი წელი დაიწყო პატიმრების ფსიქოლოგიური გამოკვლევებით. ეს იყო რეაქცია წინა წლის მასობრივ თვითმკვლელობებზე. ზონაზე გამოჩნდნენ ოჰაიოს შტატის ფსიქოლოგთა ასოციაციის წევრები, რომლებიც ატარებდნენ გასაუბრებებს, წინასწარ ადგენდნენ და პატიმრებს ურიგებდნენ ფსიქოლოგიურ ტესტებს. ამ გამოკვლევების მიზანი იყო იმის გარკვევა, არის თუ არა პატიმარი მიდრეკილი სუიციდისკენ. პატიმარს უფლება ჰქონდა უარი ეთქვა ასეთ გამოკვლევაში მონაწილეობაზე. ასეთ შემთხვევაში გასაუბრების გზით ცდილობდნენ იმის გარკვევას, რა იყო უარის მიზეზი.

ჩემდა თავად, ასეთ გამოკვლევაში ასი წელი არ მივიღებდი მონაწილეობას, მაგრამ კრედიტების ხათრით ამაზეც დავთანხმდი.

ფსიქოლოგის ჩემთან გასაუბრება დაიწყო ჩემი ბიოგრაფიული მონაცემების შემოწმებით. ჩემი ცხოვრების ისტორიის საფუძველზე ფსიქოლოგმა დაასკვნა, რომ ძნელად აღსაზრდელთა რიცხვს განვეკუთვნებოდი და რომ ჩემი შველა შესაძლებელი იყო მხოლოდ ინდივიდუალური მიდგომით. ამას ყველაფერს მშვიდად მეუბნებოდა და მეც მშვიდად ვუხატავდი ჩემი ცხოვრების პერიპეტიებს. ამას მოჰყვა შეკითხვები როგორც პოლიტიკურ, ისე საყოფაცხოვრებო თემებზე. გამომკითხა, რას ვფიქრობდი საბჭოთა კავშირის დაშლის თაობაზე, რას ვფიქრობდი სტალინზე, ჰიტლერზე, ჩერჩილზე და რუზველტზე. მერე საუბარი წარიმართა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ოჯახი, შვილები, საერთოდ ნათესაური კავშირები. საუბრის ბოლოს ფსიქოლოგმა დაასკვნა, რომ ჩემი პასუხები ზომაზე მეტად ცინიკურია.

მერე გადმომცა ფურცელი, რომელზეც ჩამოწერილი იყო შემდეგი შეკითხვები: რა არის შენთვის ქალში ყველაზე მნიშვნელოვანი — ა. გარეგნობა, ბ. პროფესია, გ. ოჯახისშვილობა, დ. რელიგიური მრწამსი, ე. ეროვნება, ვ. ხასიათი, ზ. კომუნიკაბელობა და ასე შემდეგ. საკმაოდ ვრცელი სია იყო.

მე დაუფიქრებლად შემოვხაზე – გარეგნობა.

მას შემდეგ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი გამოვკვეთე, ახლა საქმე მიდგა იმაზე, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი, ანუ გარეგნობა, რასთან ერთად შექმნიდა ჩემს იდეალს. მე შემოვხაზე – რელიგიური მრწამსი და მეორე გრაფაზე გადავედი.

მეორე ფურცელზე იყო შეკითხვა: გჯერა თუ არა იმისა, რაზეც ლენონი ოცნებობს თავის სიმღერაში, ანუ რომ ადრე თუ გვიან, დედამიწაზე საყოველთაო მშვიდობა და ადამიანებს შორის სრული ჰარმონია დამყარდება. პასუხები იყოფოდა სამ ვარიანტად: 1. მჯერა, 2. მიჭირს პასუხის გაცემა, 3. არ მჯერა.

დაუფიქრებლად შემოვხაზე – არ მჯერა.

მესამე შეკითხვა: მიგაჩნია თუ არა, რომ სახელმწიფოებს შორის შესაძლებელია პრობლემების მოგვარება მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით, ყოველგვარი ძალადობის გარეშე.

შემოვხაზე – არ მჯერა.

მეოთხე შეკითხვა: რაში ხედავთ ადამიანის ბედნიერებას. პასუხების ვარიანტები: 1. ფული, 2. კარიერა, 3. ოჯახი.

შემოვხაზე – ოჯახი.

მეხუთე შეკითხვა: მოეღება თუ არა ბოლო შიმშილს დედამიწაზე.

შემოვხაზე – არა.

მეექვსე შეკითხვა: თქვენი ბუნებით რომელ ცხოველთან ხედავთ მსგავსებას. ჩამონათვალში იყო – ლომი, ვეფხვი, ჯიქი, მგელი, მელია, სპილო, ზებრა, გველი, ნიანგი, ჯეირანი და ა.შ.

შემოვხაზე – მგელი

ტესტირების დამთავრების შემდეგ ყოველ ჩვენგანს დაუსვეს დიაგნოზი. როგორც ჩანს ეს დიაგნოზები იყო პატიმრებთან ურთიერთობის ერთგვარი გზამკვლევი და ბუნებრივია, ბევრმა პატიმარმა დამალა თავისი შეხედულებები. უნდა აღვნიშნო, რომ მე ასე არ მოვქცეულვარ, ვპასუხობდი იმას, რასაც ვფიქრობდი. არ მიზრუნია იმაზე, ჩემს პასუხებს რა გამოძახილი ექნებოდა ციხის ადმინისტრაციაში. შედეგად, დიაგნოზი მძიმე გამოდგა – სოციოპატი.

მეგობრებმა მისაყვედურეს, რა გულწრფელობა აგიტყდაო. დღესაც არ ვიცი რატომ, მაგრამ ყალბი პასუხების გაცემა არავაჟკაცური მეჩვენა, იქნებ უზნეობადაც, ან იქნებ აღსარების გუნებაზე დავდექი. ფაქტია, არ ვიცრუე. და ამას დღესაც არ ვნანობ.

სულ მალე ჩემი რიგიც მოვიდა და დავიწყე სწავლა სადურგლო სასწავლებელში. დურგლობა არასოდეს მხიბლავდა, მაგრამ საჭიროება მოითხოვდა და მეც შევუდექი საქმეს. ამ სასწავლებელში ყველაზე მეტად ის მომწონდა, რომ წითელ ბერეტიანებად წოდებულ საბჭოელი სპეცნაზების მსგავსად, მეც შემეძლო ფიცარში ხელით ლურსმნის ჩარჭობა. მართალია, აუცილებელი იყო ხელზე ნაჭერი შემომეხვია, მაგრამ ამით სპეცნაზელებს სულაც არ ჩამოუვარდებოდი, რადგან ისინიც ამ ოპერაციას ასრულებდნენ სპეციალური ხელთათმანებით.

სადურგლოში ერთ დღეს ატვიორტკა, ჩვენებურად სახრახნისი სადღაც გაიბნა. არადა, სამუშაო იარაღები ექვემდებარებოდა მკაცრ კონტროლს და ამის გამო განგაშიც გამოცხადდა. დედიშობილა დაგვაყენეს და ჩხრეკა მოგვიწყვეს. ბოლოს გაირკვა, რომ ეს ინსტრუმენტი სადურგლოს ერთ-ერთ თანამშრომელს გაუტანია და უკან მოტანა დავიწყებია. ამერიკის ციხეებში ყოფნის დროს სამჯერ მომიხდა ამ დამცირების გადატანა.

მეორე შემთხვევა. სასადილოში დანა გაქრა და სანამ არ იპოვნეს, დედიშობილა გვაყურყუტეს.

მესამედ კი ჩვენი სტრიპტიზი მოხდა სპორტდარბაზში, პლასკაგუბცის, ჩვენებურად ბრტყელტუჩას გაბნევის გამო. სამივე შემთხვევა გამოწვეული იყო თანამშრომელთა დაუდევრობით. როცა ყველაფერი ირკვეოდა, ადვილი წარმოსადგენია, იმ დროს რას ვფიქრობდით იმ თანამშრომლებზე.

ამავე წელს დიდი ზაფრა გადავიტანე. სპორტდარბაზის ჰოლში ვვარჯიშობდი, როცა მოულოდნელად საკნების ყველა კარი დაკეტეს. ეს ჩხრეკის დაწყების ნიშანი იყო. არადა, საკანში ორი მტკაველის სიგრძის დანა მედო, რომელსაც თუკი მიპოვნიდნენ, 6 თვე კარცერი არ ამცდებოდა და კრედიტებსაც უნდა გამოვმშვიდობებოდი.

სწრაფი ნაბიჯით მივედი ჩემს საკანთან და ზედამხედველს ვთხოვე კარი გაეღო. წარმოდგენა არ მქონდა, საკანში ჩაკეტვის შემდეგ, ის დანა სად უნდა წამეღო. და მოხდა სასწაული. ან იქნებ ეს სულაც არ იყო სასწაული. ფაქტია, რომ ზედამხედველმა საკანში შესულს კარი არ ჩამიკეტა.

ტილო დავასველე, დანას ჩემი თითების ანაბეჭდები ჩამოვაშორე, მერე საკუჭნაოში გავიტანე და იქვე, კუთხეში მივაგდე. სასწრაფოდ დავბრუნდი უკან და კარიც მოვიკეტე. დღემდე არ ვიცი, ზედამხედველმა კარი ღიად შეგნებულად დამიტოვა თუ ჩაკეტვა დაავიწყდა. უფრო იქით ვიხრები, რომ ეს კონკრეტული განზრახვით გააკეთა. ამას მაფიქრებინებს ორი გარემოება. პირველი ის, რომ ზედამხედველებთან ნორმალური ურთიერთობა მქონდა და ჩემი ასეთი დასჯის სურვილი რატომ უნდა ჰქონოდა? და მეორეც ის, რომ დანის პოვნის

შემთხვევაში, იმ ზედამხედველს, სულ ცოტა, ოფიციალური საყვედური ან იქნებ მკაცრი გაფრთხილებაც კი არ ასცდებოდა. ციხეში მომუშავეებმა ზუსტად იციან, რომელ პატიმარს შეიძლება ჰქონდეს ცივი იარაღი და რომელს – არა. ისინი ამაზე თვალს ხუჭავენ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ასეთი შეიარაღება კონფლიქტების შემაკავებელი ფაქტორია. ასეა თუ ისე, სერიოზულმა საფრთხემ გვერდით ჩამიქროლა და სრულიად მოულოდნელად, საშინელ ხიფათს გადამარჩინა.

უნდა აღინიშნოს, რომ მქონდა ზედამხედველებთან დაპირისპირების მომენტებიც. ერთმა მათგანმა დაჩაგვრა დამიპირა. განაყოფში ყოფნის დროს თავზე დამადგა და აბანოს დასუფთავება მიბრძანა. არ ვიცი რატომ, იქ მყოფ ოცდაათამდე პატიმარს შორის, მაინცდამაინც მე შემარჩია ამ საქმის შესასრულებლად. საკმაოდ თავდაჭერილად, მაგრამ მტკიცედ ვუპასუხე: ეგ მე არ მევალება და ვისაც ევალება, იმას მიმართეთ-მეთქი. იმას ვერ მივმართავ იმიტომ, რომ სახლში წავიდაო, ეს საქმე კი აუცილებლად შესასრულებელი არისო. ეგ ნაკლებად მაინტერესებს, ვინ სად წავიდა-მეთქი, რაც არ მევალება, იმას ვერავინ გამაკეთებინებს-მეთქი – იყო ჩემი კვლავაც თავდაჭერილი, მაგრამ მტკიცე პასუხი. თუ ასეა, კარცერში ჩაგსვამო. სადაც გინდა, იქ ჩამსვი-მეთქი, ვუპასუხე. მართლაც, იმ საღამოს კარცერში გადამიყვანეს. იქ ორი დღე დავყავი. როცა ადმინისტრაცია ჩემს საქმეს გაეცნო, უდანაშაულოდ მცნო, ხოლო ზედამხედველი გაამტყუნა – რაც არ ევალება, იმის გაკეთება არ უნდა გებრძანებინაო. ასე რომ, ამ ინციდენტის შემდეგაც ჩემს მიმართ ზედამხედველების დამოკიდებულება უარესობისკენ არ შეცვლილა.

მიუხედავად ჩემი მცდელობისა, ამ წელს კრედიტები ვერ დავიმსახურე.

2006 წელს ოჰაიოს შტატის ზონებზე საბოლოოდ და კატეგორიულად აკრძალეს სხეულის ტატუირება. ეს გადაწყვეტილება დაასაბუთეს იმით, რომ კუსტარულად გაკეთებული ტატუირება შეიცავს ინფექციის შეჭრის საშიშროებას. ჩემთვის ამით არაფერი შეცვლილა, რადგან მკაცრი რეჟიმის კოლონიაში ისედაც შეუძლებელი იყო სხეულის მოხატვა.

2007 წელს სამი მნიშვნელოვანი რამ მოხდა ჩემს როგორც პატიმრის და როგორც ადამიანის ცხოვრებაში. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ისტორიის კლუბში უნდა განხილულიყო რეფორმაცია კათოლიკურ ეკლესიაში და ლუთერანიზმი. საკითხმა დამაინტერესა და მასალებს შესასწავლად ჩავუჯექი. წავიკითხე ლუთერის ნაშრომი „95 თეზისი ინდულგენციის წინააღმდეგ". გარდა ამისა გავეცანი ლუთერანიზმს როგორც რელიგიურ მიმდინარეობას. მომხიბლა ლუთერის მოწოდებამ, რომ არ არს უზენაესი ღმერთის გარდა და იესოა მისი მთავარსარდალი. ლუთერანიზმი უარყოფს საეკლესიო იერარქიას და მიიჩნევს, რომ ნებისმიერი მამაკაცი, რომელიც ცხოვრობს ქრისტიანული წესით, არის პაპიც და პატრიარქიც. ლუთერანიზმი არ უარყოფს მოძღვრის, როგორც მაორგანიზებელი პირის საჭიროებას, მაგრამ ყოველგვარი იერარქიული უპირატესობის გარეშე.

ამ წელს პირველად მომცეს კრედიტები კარგი ყოფაქცევისათვის. მართალია, სულ რაღაც 58 დღე ამინდს ვერ შეცვლიდა, მაგრამ ეს იმის ნიშანი იყო, რომ ადმინისტრაცია კარგი თვალით მიყურებდა.

მესამე მნიშვნელოვანი ის მოხდა, რომ კოლუმბუსში ციხეების ცენტრალურმა სამმართველომ მეორედ განიხილა ჩემი საქმე და დაადგინა, რომ რეაბილიტაციის გზაზე ვდგავარ და აღარ ვითვლები ძალიან საშიშ დამნაშავედ და რომ ჩემი ყოფნა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში აუცილებლობას აღარ წარმოადგენს.

როცა ბიჭებმა ეს ამბავი შეიტყვეს, ყველას ძალიან გაუხარდა, თუმცა დაშორების პერსპექტივა ჩემთვისაც და მათთვისაც საკმაოდ სევდის მომგვრელი იყო. გაძლიერებული რეჟიმის კოლონიას მკაცრთან შედარებით უამრავი უპირატესობა ჰქონდა, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. აქ კი მოკლედ ვიტყვი – ასეთი გადაყვანა თუ ნახევრად არა, მეოთხედად მაინც განთავისუფლების ტოლფარდი იყო.

გაძლიერებული რეჟიმის კოლონია, სადაც გადაყვანას მიპირებდნენ, მდებარეობდა ქალაქ მენსფილდში.

2007 წელს კიდევ ერთხელ ვიზეიმე ჩემი და სტალინის დაბადების დღე მკაცრი რეჟიმის კოლონიაში. ახალი წლის ზეიმი ჩემთან გამოთხოვების დღედ გადაიქცა. ბიჭებმა დიდი და გულთბილი გაცილება მომიწყვეს. ზოგ მათგანს სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი და კარგად ესმოდა, რომ შესაძლოა საბოლოოდ მხედავდა. სუფრას ამშვენებდა განსაკუთრებული საჭმელები, ზოგი ნაყიდი, ზოგიც ამ შემთხვევისთვის მომზადებული.

2008 წლის 12 იანვარს დავტოვე ლივისბურგის ციხე და მენსფილდში გადავბარგდი. უკან დარჩა გატარებული 8 წელი და არსებობისათვის ბრძოლის ტკბილ-მწარე მოგონებები.

ბორკილდადებულ მდგომარეობაში სამსაათიანი მგზავრობის შემდეგ, მენსფილდში ჩავედით. ზონაზე შესვლისთანავე ჩემი ყურადღება მიიპყრო შოუქშენის გაუქმებულმა ციხემ. მაშინვე გამახსენდა ფილმი „გაქცევა შოუქშენიდან" ტიმ რობინსისა და მორგან ფრიმენის მონაწილეობით.

მისვლისთანავე მისაღებ განაყოფში გაგვამწესეს. ორი კვირა იქ გავატარე და მერე საერთო განაყოფში გადამიყვანეს.

გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში გადაბარგებისთანავე, პირველ რიგში, დანა შევიძინე. ასევე შევისრულე დიდი ხნის სურვილი და მკლავზე სტალინის პორტრეტი დავისვირინგე.

მკაცრი რეჟიმის კოლონიისგან განსხვავებით აქ არ არის საკნები, არის მხოლოდ კუბრიკები, ანუ 80 კაცზე გათვლილი ორი დიდი ოთახი ორსართულიანი საწოლებით. 160 კაცზე გამოყოფილი იყო სულ 7 ტუალეტი და 14 პირსაბანი. ამის გამო ტუალეტთან და პირსაბანთან მუდმივად რიგი იდგა. მკაცრი რეჟიმის კოლონიისგან განსხვავებით, აქ შეგეძლო დილიდან დაღამებამდე გარეთ ყოფილიყავი. ბიბლიოთეკაში იყო წიგნების შეუდარებლად უფრო ფართე არჩევანი. სპორტდარბაზში შეგეძლო ყოველდღე გევარჯიშა. პაემანი ახლობლებთან უფრო ხანგრძლივიც იყო და უფრო შეუზღუდავიც. აქ არ იყო კრიმინალური დაჯგუფებები. ქურდზე და მაყურებელზე ხომ სადღაა ლაპარაკი. მცირეოდენი ამხანაგური წრე, რა თქმა უნდა, მხედველობაში მისაღები არაა, რადგან ეს წრეები იქმნებოდა მეზობლობის, პროფესიული, ან კი სხვა რაღაც უმნიშვნელო ნიშნით. აქ იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც მისჯილი ჰქონდათ სულ რაღაც სამი თვე. ბუნებრივია, ისინი უფრო ციხიდან მოახლოებულ გასვლაზე ფიქრობდნენ, ვიდრე რაიმე ადგილის დამკვიდრებაზე. ყოველივე ამის გამო ზონაზე სრული ქაოსი სუფევდა. მკაცრი რეჟიმის კოლონიასთან შედარებით, აქ ფართოდ იყო გავრცელებული „შკოდნიკობა", ანუ ერთმანეთის ნივთების პარვა. ქურდობა ხდებოდა ყოველ ფეხის ნაბიჯზე, რასაც თან სდევდა ჩხუბი და აყალმაყალი.

მკაცრი რეჟიმიდან გადმოსულებს ჩვეულებრივი პატიმრები ფრთხილად გვექცეოდნენ. პირადად ჩემთვის არაფერი მოუპარავთ. მაგრამ ჩვენ ცოტანი ვიყავით და ბუნებრივია, ამინდს ვერ ვქმნიდით.

ჩემთან ერთად მოსულ პატიმარს, ჯერის, რომელიც დაპატიმრებული იყო სასროლი იარაღის უკანონო ტარებისთვის, თიმბერლენებად წოდებული მაღალყელიანი ზამთრის ფეხსაცმელები მოპარეს.

ჯერის დასახმარებლად შვიდნი შევიკრიბეთ და განაყოფში ჩხრეკა მოვაწყვეთ. ბოლოს ეს ფეხსაცმელები ტუალეტში ვიპოვეთ. აშკარა იყო, მომპარავმა მოასწრო და თავიდან მოიშორა ნაქურდალი.

ზოგიერთი განაყოფი გეტოს ჩამოჰგავდა. იქ ძირითადად წვრილფეხა და ქურდბაცაცა პატიმრები ისხდნენ. ნარკოტიკები ისე იყო მოდებული, რომ თვით ზედამხედველების ოთახების წინაც კი არ ერიდებოდნენ მარიხუანას მოწევას. ნარ-

კომანიის წინააღმდეგ გატარებული სანქციები შემოიფარგლებოდა იმით, რომ პატიმრებს ბალიშებს არ აძლევდნენ, აქაოდა შიგ ნარკოტიკები არ დამალონო. ზონა სავსე იყო ახალგაზრდებით, რომლებმაც არ იცოდნენ სად წაეღოთ თავისი ტემპერამენტი. ათასგვარ თამაშობებს იგონებდნენ, დაწყებული დაჭირობანადან, კამათლებით დამთავრებული. ჩხუბებიც გაცილებით ხშირად ხდებოდა, თუმცა შეუდარებლად მსუბუქ ფორმებში. წვეტიანი იარაღის გამოყენებასაც ძალიან იშვიათად ჰქონდა ადგილი. თუმცა კი იყო შემთხვევები, როცა ყოველგვარი იარაღის გარეშეც სასიკვდილოდ იმეტებდნენ ერთმანეთს. ერთხელ ასეთი რაღაც მოხდა. ვიღაც ნასვამი ახალგაზრდები ტიპს აუხირდნენ და ისე სცემეს, რომ სიკვდილის პირამდე მიიყვანეს. ამ ახალგაზრდებს ზოგს სამი თვე ჰქონდა დარჩენილი, ზოგს ექვსი და ზოგს კი, ერთი წელიწადი. ამ ფაქტის გამო კი შარში გაეხვნენ და კარგა დიდი სასჯელები აიკიდეს. მაგრამ ასეთი შემთხვევები უთუოდ გამონაკლისი იყო.

ხშირი იყო რიგთან დაკავშირებული კონფლიქტებიც. ჩვენ ნაკლებად გვიბედავდნენ, ერთმანეთს კი გამუდმებით თავზე ახტებოდნენ.

ერთხელ, მაღაზიის რიგში დგომის დროს, ვიღაც ახალგაზრდა წინ ჩამიხტა და ურიგოდ დააპირა რაღაცის აღება. მე მშვიდად მივუთითე მის ადგილზე, რაზეც უკმეხი პასუხი მივიღე. იძულებული გავხდი ჭკუა მესწავლებინა. ერთი-ორი რომ მივცხე, წაიქცა და სახეზე ხელები აიფარა. ისე, ზრდილობისთვის, ერთი მსუბუქი წიხლიც ვუთავაზე და ამით დამთავრდა ყველაფერი. შემდგომში მსგავსი უმსგავსობა აღარ გამეორებულა.

გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში ფიზიკური ვარჯიშების დრო გავაორმაგე. ახლა ორის ნაცვლად, ოთხ საათს ვვარჯიშობდი. ადრე, მკაცრი რეჟიმის კოლონიაში, ვარჯიშის რეჟიმი ასე გამოიყურებოდა: ერთი საათი სიმძიმეების აწევა, ნახევარი საათი სირბილი, ერთი საათი ბოქსი. აქ — ორი საათი სიმძიმეების აწევა, 50 წუთი სირბილი და საათნახევარი ბოქსი.

ბოქსიორები ძირითადად ზანგები იყვნენ, საკმაოდ მაღალი დონის. იყო ერთი თეთრკანიანი ბოქსიორიც, სახელად ბრაიანი. სასჯელს იხდიდა ცოლისძმის ცემის გამო. ორი წელი ჰქონდა მისჯილი. მკაცრი რეჟიმის კოლონიაში ასე იყო, თუკი ბოქსი გაცხარდებოდა, ზედამხედველი მაშინვე აჩერებდა მეტოქეებს. აქ შედარებით მეტი თავისუფლება გვეძლეოდა, თუმცა კი აქაც გვეკეთა მუზარადები და გვეცვა ჟილეტები. ერთი-ორჯერ ბოქსის ტურნირებიც ჩატარდა. მეც მივიღე მონაწილეობა და ნახევარფინალში ზანგთან ქულებით წავაგე.

სამაგიეროდ სირბილის შეჯიბრში ავიღე რევანში. სამმილიან დისტანციაზე ცხრა კაცმა მივიღეთ მონაწილეობა, ხუთმა ზანგმა და ოთხმა თეთრმა. ფინიშთან პირველი მოვედი, რასაც მოვანდომე 21 წუთი და 47 წამი.

ჩატარდა ტურნირები კალათბურთსა და ფეხბურთში. მათში მონაწილეობა არ მიმიღია, რადგან სპორტის ეს სახეობები არასოდეს მიზიდავდა.

ჯერ კიდევ მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მარილის დიდი რაოდენობით ჭამას დავეჩვიე. აქაც ვაგრძელებდი იგივეს. ერთ დილას გავიღვიძე საშინელი თავის ტკივილით. მაშინვე წნევაზე მივიტანე ეჭვი.

ციხის ექიმმა წნევა გამისინჯა და სახტად დარჩა – წნევა 220 უკაკუნებდა. სასწრაფოდ დამალევინა წნევის დამწევი წამლები და მირჩია, რომ წოლით რეჟიმზე გადავსულიყავი. ეს რჩევაც გავითვალისწინე და მარილის მიღებასაც საგრძნობლად მოვუკელი. სამ დღეში ყველაფერმა გაიარა და მეც ჩვეულ კალაპოტს დავუბრუნდი.

ცოტაც და ახალი სადარდებელი დამატყდა თავს. აგვისტოს თვეში საქართველოში სიტუაცია დაიძაბა. ტელევიზორში მოვისმინე ეი-ბი-სის ინფორმაცია, სადაც გვამცნეს, რომ სამხრეთ ოსეთის გამო რუსეთისა და საქართველოს სამხედრო ძალები მოყვანილია სრულ საბრძოლო მზადყოფნაშიო. აუ, მართლა ძალიან შევშფოთდი.

მსმენელთაგან ალბათ მარტო მე ვიცოდი, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ასეთ დაპირისპირებას. საქართველო რომ რუსეთს ომს ვერ მოუგებდა, ეს დღესავით ნათელი იყო, მაგრამ არსებობდა საშიშროება, რომ რუსები თბილისის ასაღებად წამოვიდოდნენ და როგორც სჩვევიათ, არც დიდს დაინდობდნენ და არც პატარას.

იმავე დღეებში ჩემიანებს დავუკავშირდი ტელეფონით და რაკი შევიტყვე, რომ ომი დამთავრდა და თბილისს არაფერი ემუქრებოდა, როგორც იქნა, დავმშვიდდი.

ერთადერთი ის ვინანე, რომ ამ ომში მონაწილეობა ვერ მივიღე. რა ვქნა, ომში მონაწილეობის ავადმყოფობა მჭირდა და მგონი ახლაც არ ვარ ბოლომდე განკურნებული.

2008 წელს ზანგებს დიდი სიხარული ეწვიათ. პირველად ამერიკის ისტორიაში პრეზიდენტად არჩეულ იქნა შავკანიანი. ეს ფაქტი ეწინააღმდეგებოდა ყველა ადრე არსებულ ვარაუდებს ამერიკაში რასიული სიძულვილისა და ზანგების ჩაგრული მდგომარეობის შესახებ. ასევე შეირყა მითი მასონების მხრიდან ფერადკანიანების სიძულვილის შესახებ და საიდუმლო მსოფლიო მთავრობის გეგმებიც კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდა. მართალია, აქვე გამოითქვა ვარაუდი, რომ ობამაც მასონია და ის დასჭირდათ მსოფლიოში არსებული მითქმა-მოთქმის მოსასპობადო. ღმერთმა უწყის, ვინ იყო მტყუანი ან მართალი. ფაქტი კი ფაქტად რჩებოდა და ზანგების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ფერადკანიანის გაპრეზიდენტებამ ზონის საერთო ატმოსფეროზე უაღრესად დადებითი როლი ითამაშა. ზანგებს მოეხსნათ კნინობითი კომპლექსი და შეუდარებლად უფრო დინჯები და გონივრულები გახდნენ. ამან კიდევ უფრო განამტკიცა ჩემი შეხედულება, რომ ამერიკელი ზანგების გადამეტებული აგრესია თავდაცვითი რეაქცია იყო და სხვა არაფერი.

კვლავ მტკივნეულად განვიცდიდი უმეგობროდ დარჩენას. ზონაზე იყვნენ რუსებიც, უკრაინელებიც, ერთი-ორი სომეხიც შემხვდა, მაგრამ იმდენად მცირე ვადა ჰქონდათ მისჯილი, რომ მყარი ურთიერთობისათვის დრო არ რჩებოდა.

ხშირი მიმოწერა მქონდა რუსული დაჯგუფების წევრებთან, რომლებიც ლივისბურგის ციხეში დარჩნენ. მე აქაურ ამბებს ვწერდი, ისინი იქაურს მიამბობდნენ.

მკაცრი რეჟიმის კოლონიისგან განსხვავებით, აქ არაფერი არ ექვემდებარებოდა წინასწარ გათვლას. ყოველი დღე სიურპრიზებით იყო სავსე. ერთმა ტიპმა გამოღვიძებულზე დანას დასტაცა ხელი და მჩაგვრელებზე შურისძიება განიზრახა. ორ ტიპს პირისპირ მიეჭრა და დაჩეხვა მოუნდომა. მაგრამ ჩანს, დანის ხმარებაში გამოუცდელი იყო. ის დანაც წაართვეს და მაგრადაც მიბერტყეს. ნახევრადმკვდარი გადაიყვანეს საავადმყოფოს განაყოფში. ცხადია, ასეთი რამ მკაცრი რეჟიმის კოლონიაში ვერ მოხდებოდა. იქ ემოციებზე დაყრდნობით არავინ მოქმედებდა. თუკი ვინმე შურისძიებას განიზრახავდა, კარგად აწონ-დაწონიდა განზრახვის სისრულეში მოყვანის გზებს. იქ პირისპირ არავინ არავის მიეჭრებოდა, მით უფრო, ორს ერთად. და თუ მაინც მიეჭრებოდა, ეცოდინებოდა, როგორ ეხმარა დანა და როგორ გამოსულიყო გამარჯვებული. ამით იმის თქმა მინდა, რომ გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში ყველაფერი სტიქიურად ხდებოდა და ეს კიდევ უფრო დაძაბულს ხდიდა არსებულ გარემოს.

როგორც უკვე ვთქვი, მკაცრი რეჟიმიდან გადმოსულებს პატიმრები სხვა თვალით გვიყურებდნენ, ჩვენთან კონფლიქტს ერიდებოდნენ. ანდა, რა გვქონდა საკონფლიქტო? ურთიერთობის წესები განსაზღვრული იყო და მისი შესრულება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. რაც შეეხება დაჩაგვრის სურვილს, ასეთი სურვილი ჩვენს მიმართ არავის უჩნდებოდა, რამეთუ თავზეხელაღებულების რეპუტაცია გვქონდა.

აქაც დავიწყე მუშაობა, ამჯერად საწყობის ნაცვლად, სასადილოში. საჭმელების ლანგარზე განთავსება მევალებოდა. ასეთი საქმის შესრულება აუცილებელი იყო ზედამხედველების გულის მოსაგებად, რომლებსაც ყველაზე მეტად ყოყოჩი და ამპარტავანი პატიმრები ეზიზღებოდათ და სულ ეძებდნენ და პოულობდნენ კიდეც საბაბს, რომ ისინი კარცერში გამოეკეტათ.

აქ შეუდარებლად უფრო მდიდარი ბიბლიოთეკა იყო და მეც სიხარულით დავეწაფე ჩემთვის საინტერესო ლიტერატურას. კინოფილმების არჩევანიც საგრძნობლად გაიზარდა. აქ აღარ ერიდებოდნენ ეროტიკული სცენების ჩვენებას, აქა-იქ კრიმინალების ცხოვრებასაც გვიჩვენებდნენ. აქ გვიჩვენებდნენ ისეთ სატელევიზიო შოუებსაც, რაზეც მკაცრი რეჟიმის კოლონიაში დაწესებული იყო მკაცრი ცენზურა. სწორედ აქ ვნახე სატელევიზიო შოუები „სოპრანოს კლანი" და „ბანგი".

მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გავიცანი ერთი უკრაინელი, სახელად საშა, სასჯელს იხდიდა ნაქურდალი ნივთების შემსყიდველის ბრალდებით. ორი წელი ჰქონდა მისჯილი. უნდა ითქვას, რომ ასეთი პატიმრები ზონაზე დიდ იშვიათობას წარმოადგენდნენ, რამეთუ მათ ძალიან ძნელად უყენებდნენ ბრალდებას. ვიღაცამ ნივთი შემომაძლია, მე შევიძინე, საიდან უნდა მცოდნოდა, ნაქურდალია თუ მისი პირადი ქონება? ასეთია ხოლმე მათი არგუმენტები. დავინტერესდი, როგორ გაება მახეში. იმის გამო, რომ მისი საქმიანობა პოლიციისთვის ცნობილი გამხდარა, თურმე დიდხანს უტრიალებდნენ. მერე ისეთი ნივთი შეუძლევიათ, რომლის მოპარვა მთელ ოჰაიოს შტატში ყოფილა ცნობილი. თვითონ კი ამტკიცებდა თურმე, არც ტელევიზორში მინახავს და ამ ნივთის მოპარვის შესახებ არაფერი ვიცოდიო. მაგრამ აქ ამოქმედდა ეგრეთწოდებული „შერიათის კანონი", რომლის მიხედვით მოსამართლეს ერთპიროვნულად შეუძლია გადაწყვეტილების მიღება. სწორედ ამ გზით საშამ ციხეში ამოყო თავი. ისე კი იგრძნობოდა, რომ დიდად არ იყო დადარდიანებული და გარეთ გასვლის შემთხვევაშიც საკმაო რესურსები ჰქონდა თავისი საქმიანობის გასაგრძელებლად.

მარტის დადგომისთანავე, უკვე საღამოობითაც გვიშვებდნენ სასეირნოდ. რვა წელი გადიოდა, რაც მოკლებული ვიყავი ამ სიამოვნებას. ამრიგად, თავისუფლების ერთი ყლუპიც მომემატა და მეც ხარბად დავეწაფე ამ ყლუპს. საღამოხანს განმარტოებული დავსეირნობდი იქით-აქეთ და „ნაუშნიკებით", ჩვენებურად ყურსასმენით, საყურისით, ყურსაცმელით და რა ვიცი კიდევ რით ვისმენდი ჩემთვის სასიამოვნო მუსიკას.

ყველა როდი ტკბებოდა საღამოს გასეირნებით. ან უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდი, რომ ბევრი ამას იყენებდა სულ სხვა მიზნებისთვის. კერძოდ, ძალიან იმატა ჩხუბების და სისხლიანი გარჩევების რიცხვმა. ადამიანში ჩადებულია დრამატული მომენტებისკენ ლტოლვა. ბევრი ვერ ძლებს სისხლში ადრენალინის გარეშე. ჰოდა, ასე ირთობდნენ თავს. ცხადია, ამას მოყვებოდა ხოლმე ზედამხედველების რეაგირებაც, რაც ძალიან ძაბავდა სიტუაციას. ჩვენ, „მკაცრებს", ეს არ გვეხებოდა, თუმცა კი ხშირად გუნებას გვიფუჭებდა.

აქაც ისევე, როგორც მკაცრი რეჟიმის კოლონიაში, თვეში ერთხელ ჩემიანებს ტელეფონით ველაპარაკებოდი. ახლობლებზე რომ არაფერი ვთქვა, დედაენა მონატრებული მქონდა და ეს საუბრები მალამოდ ედებოდა ჩემ სულს. ძალიან გაუხარდათ როცა გაიგეს, რომ 58 დღიანი კრედიტი მივიღე კარგი ყოფაქცევისათვის. რა არის 58 დღე, როცა 22 წელი გაქვს მისჯილი, მაგრამ ასეთი წვრილმანი წინსვლაც კი პატიმარს იმედებს უსახავს და სწორედ ამით არის დასაფასებელი. მეც სიმხნევე მომემატა და კვლავაც ვცდილობდი ღირსების შეულახავად დამეცვა წონასწორობა ზედამხედველებთან ურთიერთობაში. ამ საქმეში საკმაოდ გაწაფული ვიყავი და შედეგიც არ იგვიანებდა.

გაზაფხულის დადგომას ერთი მეტად სასეირო ამბავი მოჰყვა. ერთმანეთში ჩხუბი ატეხეს კლივლენდელებმა და აკრონელებმა. მოჩხუბრები იმდენად მრავალრიცხოვანნი იყვნენ, რომ ადმინისტრაცია საკუთარი ძალებით ვერ გაუმკლავდა მათ და დამხმარე რაზმები გამოიძახა. გამოიყენეს ტუმბოები წყლის შესასხმელად, იხმარეს ცრემლსადენი გაზიც, ერთი სიტყვით, რაღა აღარ იღონეს მოჩხუბრების დასაშოშმინებლად. ჯაჭვური რეაქცია კი გრძელდებოდა. ორივე მხარეს უნდოდა, რომ საბოლოო დარტყმა მას დარჩენოდა, ამიტომ ცოცხალი თავით არ იშლებოდნენ. ბოლოს და ბოლოს, როცა კარგა გვარიანად დასველდნენ და თვალებიც ზომაზე მეტად აეწვათ, იძულებულნი გახდნენ დაშლილიყვნენ. ისე ძალიან სასეირო სანახაობა იყო და დღესაც ვერ ვიხსენებ ამ ამბავს იუმორის გარეშე.

როგორც უკვე აღვნიშნე, გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში ძირითადად მცირე ვადიანი მსჯავრდებულები იხდიდნენ სასჯელს. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვისაც ჩემზე ბევრად მეტი წლები ჰქონდა მოსახდელი. ამერიკის ციხეებში პატიმრების კლასიფიკაცია სულაც არ არის დამოკიდებული სასჯელის ვადაზე. კი, დასაწყისში პატიმრის დახარისხება ხდება დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, მაგრამ რა შეატყობენ, რომ მისგან არ არის მოსალოდნელი რაიმე განსაკუთრებული საშიშროება, პატიმრობის ადგილს უმსუბუქებენ. გასაოცარი ფაქტია, რომ საერთო რეჟიმის კოლონიაში არიან პატიმრები, რომლებსაც მისჯილი აქვთ სამუდამო პატიმრობა.

გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში არსებობას ამძიმებდა ის ვითარებაც, რომ დღეში ზონას ტოვებდა თხუთმეტიდან ოცამდე პატიმარი. ვერ ვიტყვი, შური მიპყრობდა-მეთქი, მაგრამ სხვისი თავისუფლების შემყურეს სევდა უფრო მიძლიერდებოდა.

ამავე წელს ადმინისტრაციას სხვა ზონაზე გადაყვანის თხოვნით მივმართე. 2009 წლის თებერვალში ჩემი თხოვნა შესმენილ იქნა. ასე აღმოვჩნდი ნორს-ცენტრალის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში. ვერ ვიტყვი, თავი სამოთხეში ამოვყავი-მეთქი, მაგრამ სხვა თუ არაფერი, ბალიში მაინც მქონდა თავის დასადებად. აქ სასადილოც უკეთესი იყო და სპორტული დარბაზიც. ქაოსიც ნაკლებად იგრძნობოდა.

როგორც ყოველთვის, ზონაზე მისვლისთანავე დანა შევიძინე. აქაც ხშირი იყო ჩხუბი და აყალმაყალი, თუმცა „ძველებზე" ეს არ ვრცელდებოდა. აქაც ყველა შეიარაღებული იყო და დიდი გაუფრთხილებლობა იქნებოდა უიარაღოდ ყოფნა. აქ ძველ ნაცნობებსაც შევხვდი, რომლებსაც ზოგს მკაცრი, ზოგს გაძლიერებული რეჟიმის კოლონიიდან ვიცნობდი. გავაგრძელე სადურგლო სკოლაში სწავლაც და ამავე წელს დავასრულე სწავლების მთელი კურსი. კვალიფიციური დურგლის სერტიფიკატიც მომცეს. მივიღე ასევე კრედიტები კარგი ყოფაქცევისათვის, ამჯერად 87 დღე. ასეთი სვლით მოსალოდნელი იყო ჩემი პატიმრობის ვადის 4 წლით შემცირება, რაც სულაც არ იყო ცოტა. კრედიტების გაორმაგება იმასაც ნიშნავდა, რომ ადმინისტრაციაც და ცენტრალური ოფისიც კიდევ უფრო კარგი თვალით მიყურებდნენ.

როგორც კი გამოზაფხულდა, ზონაზე სიტუაცია აიჭრა. გახშირდა თავპირისმტვრევები. ჩხუბი იმართებოდა ნებისმიერი საბაბით. ტიპს ფეხსაცმელები მოპარეს და ეჭვი ერთ-ერთ პატიმარზე მიიტანა. შეხვედრის ადგილი დათქვეს. ორივემ თავისიანებს სთხოვა დახმარება. მოლაპარაკება დიდხანს არ გაგრძელებულა, დენთის კასრისა არ იყოს, აქაც მცირეოდენი ნაპერწკალი საკმარისი აღმოჩნდა აფეთქების გამოსაწვევად. შეტაკება იმდენად მასშტაბიანი გამოდგა, რომ აქაც გამოუძახეს დამხმარე ძალებს, აქაც გამოიყენეს წყლის ჭავლები და ცრემლსადენი გაზები. ჯგუფური ჩხუბი ზონაზე, ყველაფერთან ერთად, ფსიქიკური განტვირთვის ხერხიც არის. ასეთი ჩხუბი პირადი დაპირისპირებისაგან იმით განსხვავდება, რომ მოჩხუბრები ერთმანეთს საკმარისად არც კი იცნობენ და მომავალში რაიმე ვენდეტა ნაკლებად არის მოსალოდნელი.

აგრეთვე მოხდა ერთი მეტად საინტერესო ფაქტი. ერთმანეთს დაუპირისპირდა ზანგების და თეთრების პოლიტიკური დაჯგუფება. ზანგების დაჯგუფებას ერქვა უკვე ნახსენები „ბლად" – ანუ სამყაროს შავი მბრძანებლები, თეთრების ასევე ნახსენები „ეი ბი" – ანუ არიელთა საძმო. შემდგომში ამ ფაქტს გამოეხმაურა მთელი ოჰაიოს პრესა და მასმედია. საერთოდ, პოლიტიკური დაპირისპირებანი რასიულ ნიადაგზე დიდი ხიფათის შემცველია და ხშირად ტრაგიკული ფინალი აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ზანგები რიცხობრივად შეუდარებლად მეტნი იყვნენ, თეთრები ფიზიკურად და ტაქტიკურად უკეთ მომზადებულები აღმოჩნდნენ და გამარჯვებაც მათ დარჩათ. ათი დღის განმავლობაში ჩვენი ზონა მკაცრი რეჟიმის კოლონიას დაემსგავსა. შეზღუდვები ვრცელდებოდა ყველაფერზე, გადაადგილებაზე რომ არაფერი ვთქვათ, საშხაპეში და სპორტულ დარბაზშიც კი შესვლა-გამოსვლაზე დაწესებული იყო მკაცრი კონტროლი. მხოლოდ ათი დღის შემდეგ ადმინისტრაციამ მოახერხა სიტუაციაზე კონტროლის აღდგენა და ჩვენც შვებით ამოვისუნთქეთ.

ისევე როგორც წინათ, ახლაც თვეში ერთხელ ჩემიანებს თბილისში ტელეფონით ვუკავშირდებოდი. ერთ-ერთი ასეთი საუბრის დროს ბიძაჩემმა მირჩია გუბერნატორისთვის მიმემართა შეწყალების თხოვნით. ეს რჩევა ჭკუაში დამიჯდა, თუმცა წარმატების იმედი ნაკლებად მქონდა. მაგრამ რას ვკარგავდი და მეც მივმართე გუბერნატორს.

აქვე უნდა ითქვას, რომ დადებითი პასუხის იმედი ჩემთან ერთად არ ჰქონდათ სხვა გამოცდილ პატიმრებსაც. 1982 წლიდან მოყოლებული, ოჰაიოს შტატში გუბერნატორებად ირჩეოდნენ რესპუბლიკური პარტიის კანდიდატურები. მხოლოდ 2008 წელს შეიცვალა ეს ვითარება და გუბერნატორად აირჩიეს კანდიდატი დემოკრატიული პარტიიდან. ამ ხნის მანძილზე, წვრილმანი ქურდობისთვისაც კი შეწყნარებული არავინ უნახავთ და ვინ დაიჯერებდა, რომ ყაჩაღობის და პოლიციელზე თავდასხმის მუხლით გასამართლებულს ვინმე შეიწყნარებდა.

ამ და სხვა არგუმენტების მიუხედავად, გუბერნატორს მაინც მივწერე და შეწყალება ვთხოვე.

ამ წელს ჩემი კრედიტების ოდენობამ შეადგინა 124 დღე. ეს იყო მაქსიმუმი, რასაც კრედიტების სახით იძლეოდნენ და ამაში არცთუ უკანასკნელი როლი მიუძღოდა სადურგლოში ჩემს მოღვაწეობას.

წლის მიწურულს უსიამოვნო რამ შემემთხვა. ვარჯიშის დროს ფეხი ვიტკინე. სარბენი ბილიკი ერთ ადგილას მოყინული ყოფილა. ფეხი დამიცდა და გადამიბრუნდა. ტკივილი იმდენად ძლიერი იყო, რომ სიარული ვეღარ შევძელი. ფეხიც კოჭთან საშინლად დამისივდა. ვითარება იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ სასწრაფოდ გადამიყვანეს ჰოსპიტალში, რომელიც მდებარეობდა ქალაქ კოლუმბუსში.

პალატაში შვიდნი ვიყავით, სხვადასხვა დაავადებით და სატკივარით. ერთ დილას გავიღვიძე და რას ვხედავ, ამ შვიდი პატიმრიდან ხუთი ერთ ღამეში გარდაცვლილა. ეს იმდენად დაუჯერებელი იყო, რომ პირველხანად თავი სიზმარში მეგონა. დღემდე ვერ ამიხსნია, როგორ შეიძლებოდა სხვადასხვა დაავადების მქონე ადამიანი ასე ერთდროულად გარდაცვლილიყო. ეჭვიც კი გამიჩნდა, იქნებ ციხის ადმინისტრაციამ ისინი თავიდან მოიშორა-მეთქი. ლაზარეთში სულ რაღაც ორი დღის მისული ვიყავი და გარდაცვლილების გაცნობა ვერც კი მოვასწარი. ამიტომ არ ვიცი, ეს ხუთეული რისთვის იხდიდა სასჯელს.

მეორეს მხრივ, აქ დიდად გასაკვირი იქნებ არაფერი იყო, რადგან ჰოსპიტალში პატიმრები მხოლოდ მაშინ გადაჰყავდათ, როცა შეატყობდნენ, რომ სიკვდილის პირას არიან მისულები.

ასეა თუ ისე, ასეთი შემზარავი ფაქტის მოწმე გავხდი და ომის ეპიზოდებს თუ არ ჩავთვლით, ამდაგვარი მისტიკური განცდა არასოდეს მქონია.

ჰოსპიტალში ერთი თვე დავყავი. შობა-ახალ წელს აქ შევხვდი. 2010 წლის დასაწყისში, როგორც კი ფეხი ოდნავ ჩამიცხრა, ისევ ზონაზე დამაბრუნეს. ფეხის საბოლოო მორჩენას მთლიანობაში ორ თვეზე მეტი დასჭირდა და უნდა ვთქვა, რომ ჩემთვის ეს იყო ციხეში გატარებული ყველაზე უსიამოვნო ორი თვე.

როგორც კი ფეხი მომირჩა, ვარჯიშს დავუბრუნდი. სირბილი კი ცოტა მიჭირდა, მაგრამ არ ვეპუებოდი და ვარჯიშის მთელ კომპლექსს პედანტურად ვასრულებდი.

ჩემი ციხეში ყოფნის მეთერთმეტე წელი დაიწყო. მეცნიერულად შესწავლილი ფაქტია, რომ ციხეში 10 წლის გატარების შემდეგ, თავის ტვინში ცვლილებები იწყება და პატიმარი აგრესიისკენ ხდება მიდრეკილი. მეც ვატყობდი ჩემს თავს, რომ ისეთი რაღაცეები მაღიზიანებდა, რასაც წინათ ყურადღებას არც კი ვაქცევდი. ჩემთვის აუტანელი ხდებოდა ნებისმიერი ლოდინი, რიგში დგომა, საკვების მოლოდინი, სხვადასხვა შეზღუდვები. თუკი წინათ ჩხრეკის მიმართ გულგრილი ვიყავი, ახლა როგორც პირად მტრებს, ისე ვუყურებდი ზედამხედველებს. გუბერნატორისგან პასუხი იგვიანებდა. ესეც მოლოდინი იყო და შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე აუტანელი. ვითარებას ამსუბუქებდა ჩემი რწმენა, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა. მაგრამ იმედი, რომელიც ყველაზე ბოლოს კვდება ადამიანში, მოსვენებას არ მაძლევდა და ისევ მოლოდინის რეჟიმში მაბრუნებდა.

გაზრდილ აგრესიას მაშინაც ვგრძნობდი, როცა რინგზე ვინმეს ვებოქსავებოდი.

ზონას ერთი რუსის ბიჭი შემოემატა, სახელად ვლადიკა. ამერიკელი ცოლის ცემისთვის იხდიდა სასჯელს. 19 წლის ყოფილა კურსკიდან რომ ჩამოსულა, ბიძის მიპატიჟებით. ამერიკაში ადრეც გაუსამართლებიათ წვრილმანი ქურდობისათვის. ამჯერად მისჯილი ჰქონდა ხუთი თვე. ძალიან გაუხარდა რუსულად რომ გამოველაპარაკე. საოცარი რამაა დედაენა. მეც საოცრად მოწყურებული ვიყავი დედაენაზე ლაპარაკს და თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ თვეში ერთხელ ჩემიანებს ველაპარაკებოდი.

2010 წელს კვლავ სრულმასშტაბიანი კრედიტები მივიღე, რაც ჯამში იმას ნიშნავდა, რომ პატიმრობის ვადა ერთი წლით შემიმცირდა. კრედიტების მონიჭების დროს მაფრთხილებდნენ, რომ თუკი რაიმეს დავაშავებდი, კრედიტებს გამიუქმებდნენ. ასე რომ, გარკვეულწილად ამ კრედიტების მძევალი გავხდი.

ხშირად მიფიქრია იმაზე, როგორ ხდებიან ადამიანები საკუთარი მიღწევების მძევლები. ოლიგარქები თავისი მილიარდების კარნახით მოქმედებენ, საკუთარი „მე" მთლიანად დაკარგული აქვთ. თუკი ასე არ მოიქცევიან, მილიარდებს ვინ ჩივის, შეიძლება სიცოცხლესაც გამოეთხოვონ.

სისხლიანი დიქტატორები საკუთარი სავარძლის მძევლები არიან, რამეთუ თუკი ფეხი დაუცდათ, პოლიტიკური ანგარიშსწორება წამითაც არ იგვიანებს.

საკუთარი იმიჯის მძევლობა აიძულებს ადამიანებს, ნიღბები ატარონ. ნიღაბი თავისუფლების შეზღუდვასთან არის დაკავშირებული. რომელი ჭკუათმყოფელი დათმობს თავისუფლებას, ეს რომ მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არ იყოს.

ამავე წელს ტანზე ორი ტატუ დავიხატე. წელის მარჯვენა მხარეს კალაშნიკოვის ავტომატი მომისვირინგეს, მარცხენა მხარეს კი წარწერა „ომერტა", რაც დუმილის ფიცია და ნიშნავს: არ ვხედავ დანაშაულს, არაფერი მსმენია დანაშაულის შესახებ, არ ვლაპარაკობ რაიმეს დანაშაულის შესახებ.

ოჰაიოს შტატში 2010 წლის ზაფხული განსაკუთრებით ცხელი გამოდგა. ჩემმა აგრესიამაც იმატა. როგორც უკვე ვთქვი, სიცხეს ძნელად ვიტან. ხშირად ვიკეტებოდი ჩემს თავში და ადამიანებთან ურთიერთობებს გავურბოდი.

მოხდა ჩემთვის კიდევ ერთი უსიამოვნო ფაქტი. შემოდგომაზე დემოკრატმა გუბერნატორმა არჩევნები წააგო და

სულ მალე ოჰაიოს შტატის გუბერნატორად კვლავ რესპუბლიკელი მოგვევლინებოდა. დემოკრატ გუბერნატორს ვადა 20 იანვარს გასდიოდა. ჩემმა იმედმაც შეწყალების თაობაზე კიდევ უფრო იკლო და შეიძლება ითქვას, რომ ამაზე ფიქრს თავი ვანებე.

18 დეკემბერს კვლავაც ერთდროულად ვიზეიმე სტალინის და ჩემი დაბადების დღე, ამჯერად სრულ მარტოობაში, რადგან საბჭოეთიდან აღარც ერთი პატიმარი აღარ შემორჩა ჩვენს ზონას.

დადგა 2011 წელი. 19 იანვარს, ახალგამოღვიძებულს, თავზე ზედამხედველი წამომადგა და მაუწყა, რომ მიბარებდნენ ზონის ცენტრალურ ოფისში. ამ ამბავმა ძალიან შემაშფოთა. 11 წელი და 7 თვე ისე გავიდა, ჩემით არავინ დაინტერესებულა. არც ერთ დანაშაულებრივ საქმიანობაში ირიბად ეჭვმიტანილიც კი არ ვყოფილვარ. წვრილმანი შეცოდებისთვის კარცერში გატარებული დღეები სათვალავში მისაღები არაა. სრულიად გაუგებარი იყო, რას მოასწავებდა ცენტრალურ ოფისში ჩემი გამოძახება.

ბუნებრივია, პირველ რიგში დანას მივხედე, თითების ანაბეჭდები წავშალე და ჩემთან ყველაზე დაახლოებულ პატიმარს, ჯერის გადავეცი. თან ვუთხარი, თუკი ორ საათში არ დავბრუნდები, ეს დანა გადააგდე-მეთქი.

ოფისისკენ მიმავალმა ჩემს თავს შევფიცე, რომ ყოველგვარ ტანჯვას გადავიტანდი და ვინმეს დანაშაულზე კრინტს ვერ დამაცდენინებდნენ.

ორი-სამი გამომძიებლის მძიმე მოლოდინით შევდივარ ოფისში და რას ვხედავ, ვიღაც ახალგაზრდა ქალბატონი მაგიდასთან ზის და რაღაც საბუთებს ჩაჰკირკიტებს. გუნებაში გავიფიქრე, ამან რა უნდა გამოიძიოს-მეთქი.

დაჯექიო, მეუბნება. ბუნებრივია, დავჯექი. მეუბნება, თქვენს მიერ გაგზავნილი მოთხოვნა შეწყალების თაობაზე დაკმაყოფილებულია და დღეიდან პატიმრად აღარ ითვლებითო.

კიდევ კარგი, ვიჯექი, თორემ არ გამოვრიცხავ, იატაკზე ზღართანს მოვადენდი და შევრცხვებოდი ეს ვაჟკაცი კაცი. ყურებს არ დავუჯერე. რამდენჯერმე ჩავეკითხე, რამე ხომ არ მეშლება, კიდევ ერთხელ განმიმარტეთ, ჩემს თავს რა ხდებამეთქი.

სანამ დოკუმენტი ჩემი თვალით არ ვნახე, არ იქნა და ვერ დავიჯერე რასაც მეუბნებოდნენ. მაგრამ როცა ტექსტი წავიკითხე და იქვე დასმული ბეჭედი და გუბერნატორის ხელმოწერაც დავინახე, უკვე ვირწმუნე ნათქვამი. ასეთი სიხარული ცხოვრებაში არ განმიცდია. მთელი სხეული მიცახცახებდა და თუმც ვცდილობდი ემოციები დამემალა, აშკარად მეტყობოდა, რომ შოკირებული ვიყავი.

ზონაზე ეს ამბავი მზიან ამინდში მეხის გავარდნასავით მიიღეს. ვერავინ იჯერებდა, რომ პოლიციელის მოსაკლავად გამმეტებელ კაცს ინდივიდუალური ამნისტია გამომიცხადეს.

მღელვარება კარგა ხანს გრძელდებოდა. მოსალოცად და ჩემთან სალაპარაკოდ ისეთებიც მოდიოდნენ, ვისაც მხოლოდ სალმით ვიცნობდი. ამჯერად შევძელი ემოციების მოთოკვა და თავი ისე მეჭირა, თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარიყოს.

როგორც გაირკვა, ამნისტია მოსულა 7 იანვარს, მე კი ეს ამბავი მაცნობეს 19 იანვარს. ანუ, ჩემთვის ამ სასიხარულო ცნობის გადმოცემა ადმინისტრაციას კარგა გვარიანად დაეننანა.

ისე დაემთხვა, რომ მეორე დღეს ტელეფონით ჩემებს უნდა დავლაპარაკებოდი. როცა ვაუწყე ეს ამბავი, ტელეფონში სიხარულის გამომხატველი ჯგუფური ყვირილი და კივილი ჩამესმა. თვალზე მომადგა ეგრეთწოდებული მამაკაცური ძუნწი ცრემლები. რა დასამალია, დიდი იმედი არ მქონდა, რომ უკვე ასაკოვან ჩემს მშობლებს პატიმრობის მთელი ვადის მოხდის შემთხვევაში ცოცხლებს ვნახავდი.

ემოციური აღტკინების შემდეგ, საქმეზე გადავედით. მამაჩემი გავაფრთხილე, ისე არ მოხდეს, რომ დეპორტაციის დროს თბილისის აეროპორტში არავინ დამხვდეს. თუკი მე ხმას ვერ მოგაწვდენთ, ადგილობრივ ხელისუფლებას დაუკავშირდით და ისინი გაცნობებენ ჩემი ჩამოსვლის თარიღსმეთქი.

იმ რაჭველივით გამომდიოდა, ომში რომ იყო წასული და ცოლს წერილი მისწერა, ქვე ომი რომ დამთავრდება, შემატყობინე და ჩამოვალო.

ჩემს დას ეკატერინეს ვთხოვე, თავისი იმეილი გადმოეგზავნა, რომ მე ზონის კომპიუტერით მეცნობებინა ჩემი ჩამოსვლის თარიღი.

ოჰაიოს შტატის კანონების მიხედვით, შეწყალებიდან სულ ცოტა ორი თვე სჭირდება პატიმრის განთავისუფლების დამადასტურებელი საბუთების შეგროვებას.

სამი კვირის განმავლობაში კომპიუტერული მიმოწერა მქონდა ჩემს დასთან. სამი კვირის თავზე ვაცნობე, რომ მომდევნო დღეს ფედერალური ციხისკენ გავემართებოდი უკვე არა როგორც პატიმრის, არამედ დაკავებულის სტატუსით.

ფედერალურ ციხეში სამი კვირა დავყავი. იქ მყოფნი ზოგი დეპორტაციას ელოდებოდა, ზოგს სულ მალე სხვა ფედერალურ ციხეში გადაიყვანდნენ.

ერთმა უცნაურობამ მიიპყრო ჩემი ყურადღება. დაკავებული მექსიკელები თავისიანების გარდა არავის ელაპარაკებოდნენ, თვით ამერიკელ მექსიკელებსაც კი. დღემდე ვერ ამიხსნია ეს ფაქტი. ერთადერთი ვარაუდი ისა მაქვს, რომ „დუმილის ფიცი" გამოწვეული იყო იმის შიშით, ჩემიანებმა არ იფიქრონ, მათ წინააღმდეგ რაიმე ინფორმაციას ვავრცელებო.

კენედის აეროპორტიდან ჯერ კიევში ჩავფრინდით, ორი ფედერალური მარშლის თანხლებით, ასე ჰქვია გამცილებელ ზედამხედველებს. თბილისამდე ჩამომაცილეს და გადამცეს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებმაც საბუთები შემიმოწმეს, ჩემი თითის ანაბეჭდები აიღეს და...

დამათრობელია თავისუფლების პირველივე ამოსუნთქვა. ეს ადრეც მქონდა გამოცდილი, მაგრამ სულ სხვაა, როცა სამშობლოდან ათასობით კილომეტრებით დაშორებული და თანაც გისოსებს მიღმა გატარებული 11 წლის და შვიდი თვის შემდეგ, სამშობლოს მიწას დაადგამ ფეხს და მშობლიური ქვეყნის ჰაერს ჩაისუნთქავ. მართლა გასაოცარი გრძნობაა... ჩემი სხეული დედამიწას მოწყდა და ცის რომელიღაც განაყოფში იწყო ფარფატი.

აგერ თბილისის აეროპორტის მოსაცდელი დარბაზი. მთვარეულივით გავდივარ შეზღუდვის უკანასკნელ ბარიერს. უცნობმა ხმამ მთელი დარბაზის გასაგონად წამოიძახა: ბაკური!

წამოძახილს სიხარულის ჟრიამული მოჰყვა და... მრავალჟამიერი. დედაჩემის მსახიობებმა „შიშველი თეატრიდან", მართლაც ბედაურმა მომღერლებმა, მშობლიური მრავალჟამიერით აღნიშნეს ჩემი გამოჩენა. აქა-იქ ფოტოაპარატების ჩხაკუნი გაისმა, ორი ვიდეოკამერა ჩემკენ იყო მოშვერილი. ხვევნა-კოცნას ბოლო არ უჩანდა. მრავლად იყო სიხარულის ცრემლები...

მამაჩემს კითხვით მიმართა ვიღაც უცნობმა ასაკოვანმა კაცმა, რომელსაც უკან ადამიანების ჯგუფი მოჰყვებოდა, ხომ არ იცით, ვინ ჩამოვიდაო? მამაჩემი არ დაბნეულა და რიხით, თუმცა კი კითხვითვე უპასუხია: ბაკურ გეგია, კაპიტო ტუტი კაპი, ყველა დროის აღიარებული მაფიოზი, ნუთუ არ გსმენიათ მისი სახელიო?

მაფიოზობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ამერიკულმა გალიამ იმდენი რამ მასწავლა, გრაფ მონტე-კრისტოსავით ცოდნით დახუნძლული ჩამოვდიოდი. ოღონდ ესაა, მისი სიმდიდრე მაკლდა.

თუმცა რა სიმდიდრეზეა ლაპარაკი? თუ თავი შენი თან გახლავს, ღარიბად არ იწოდები...

გურამ ბენაშვილი

ლიტერატურული ვიტრაჟები

დღეს ინდივიდუალიზმს, ტოტალური ეკონომიკური თუ ლინგვისტური დეტერმინაციის გამო, თითქოს წაერთვა სრულფასოვანი არსებობის უფლება...

მიუხედავად ამისა, ის მაინც ჯიუტად იხანგრძლივებს სიცოცხლეს...

ცალკეული სუბიექტი ყოველი ეპოქის აღმოჩენა და ჯილდოა, რადგან ის თითქმის არასოდეს არის მხოლოდ ენისა და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების მხოლოდ რეფლექსი...

სრული ნონსენსია სუბიექტისა და მისი ინტენციების გარეშე, დინამიური დრო-სივრცის წარმოდგენაც კი...

ერთობ საგულისხმოა, რომ არსებითად, სწორედ ფრანგი პოსტსტრუქტურალისტები იყვნენ „სუბიექტისადმი“ რადიკალურად არაკეთილგანწყობილნი...

მათგან უპირობოდ იყო უარყოფილი „სუბიექტის ფილოსოფიის“ უნივერსალური პოტენცია, მხატვრულ-ფილოსოფიური აზროვნების მორალური საფუძვლები თუ ეთიკური იმპლიკაციები...

მათი ფუძემდებლური პარადიგმა ითვალისწინებდა „სუბიექტის ფილოსოფიის“ დემონტაჟსა და უსუბიექტო ჰერმენევტიკული ფილოსოფიის დამკვიდრებას, ანუ იმ სააზროვნო დისკურსს, რომლითაც უარყოფილი იქნებოდა საგნობრივ სამყაროსთან, ენასთან და ისტორიასთან ტრადიციული დიალოგი...

ისიც საგულისხმოა, რომ პოსტმოდერნიზმმა, როგორც ამ კონცეპტუალური პარადიგმის ადეპტმა, აწ უკვე უნივერსალური მასშტაბები შესძინა მას და იგი ეპოქის ყოფიერების ქვაკუთხედად გამოაცხადა...

და კიდევ: უპირველეს ყოვლისა, ენობრივი ტრადიციაა არსებითი და მნიშვნელოვანი...

ენა — როგორც სამყარო, როგორც ერის კულტურის პროტაგონისტი, რომელიც აცოცხლებს დრო-სივრცულ დინამიკას... ჩვენში თუ ირგვლივ არსებულ მოვლენათა და ნიშანთა სემანტიკას... და განუზომლად უფრო მეტია, ვიდრე საგანთა მხოლოდ ვერბალური კორელატი...

ნიადაგ ცვალებადია ენობრივი ტრადიციის გამოვლინებანი, მისი კომუნიკაციური დინამიკა... ჩვენ განუწყვეტლივ ვარსებობთ მასში, და იმავ დროს, თუნდაც ერთი თაობის ფარგლებში, მას ვტოვებთ არა ისეთს, როგორიც ის იყო, ან არის, არამედ რაღაცით სახეცვლილსა და „განახლებულს“...

გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ენა, ალბათ სხვა არაფერია, თუ არა უთვალავ სასაუბრო აქტთა ჯადოსნური ერთობლიობა... ისიც ნიშანდობლივია, რომ გრამატიკა, ანუ ენის სისტემური წყობა, არასოდეს ყოფილა ცოცხალი მეტყველების წინამორბედი... უფრო პირიქით, ის მის ანალიტიკურ შედეგს წარმოადგენდა ყოველთვის... გრამატიკოსები „პირში შესცქეროდნენ“ მოლაპარაკე ხალხს და მათი ენობრივი წესების აბსტრაგირებით ქმნიდნენ სისტემას...

გრამატიკას ცოცხალი სიტყვის მეშვეობით ეუფლებოდნენ, თუმც, გარეგნული შთაბეჭდილებით, ცოცხალი სიტყვა თითქოს სწორედ გრამატიკით გენერირდებოდა... ამ მაცდური ილუზიით იბრუნებდნენ ალბათ გრამატიკოსები დამქანცავი შტუდიებით გადაღლილ სულებს...

ასე რომ, „ენა თვითონ კი არ იცვლიდა „სამოსელსა“ და „სამკაულებს“, როგორც ამას მისი ონტოლოგირებით გატაცებულნი ფიქრობენ, არამედ მას ინდივიდები სცვლიდნენ... ინდივიდები, რომელნიც იშინაგნებდნენ რა „საერთოს“, საკუთარი მენტალობის პრიზმაში გატარებულსა და სახეცვლილს უბრუნებდნენ საზოგადოებას... ერთეულ და გამორჩეულთა „განსაწმენდელში“ გავლილი მნიშვნელობები მოდიფიცირდებოდნენ და არსებობის უფლების მოსაპოვებლად თავის რიგს ელოდნენ... აქედანვე ჩნდებოდა სოციუმის მიერ მათი მიღება-არმიღების „საბედისწერო“ ალტერნატივა...

ცხადია, ინდივიდები, რომელნიც ენის საკუთარ „ვერსიებს“ ქმნიდნენ, ცოტანი არ იყვნენ... მათი ძალთახმევით ჩნდებოდა „შანსი“ ენობრივი მოდიფიკაციებისა, მისი თვალსაჩინო ცვლილებებისა... თვით ენობრივი წესების გადახალისების სახითაც კი...

თუმც, იმისათვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ამგვარი უნიკალური ცვლილებები, აუცილებელი იყო არსებულიყვნენ ინდივიდები, კოლოსალური ფანტაზიით აღბეჭდილი ავტონომიებით...

და კიდევ ის, რომ ხელოვნება, უფრო კი მხატვრული ლიტერატურა იყო ენის უპირველესი პანაცეა... რომ მასში „ციმციმებდნენ“ მომავალ კომუნიკაციათა უნატიფესი „ათინათები“... ენის განახლებისა და სიცოცხლის ეს მისტიური „გამოცხადებანი“...

* * *

სიმპტომურია კლასიკური წარმოდგენა ლიტერატურაზე, როგორც მწერლისა და მკითხველის თავისუფალ ურთიერთობაზე, ანუ როგორც ადამიანური კომუნიკაციის უმაღლეს ფორმაზე...

ლიტერატურა — როგორც ვირტუალური სცენა, რომლის სივრცეშიც პირისპირ მდგარი მხარეები დიალოგის კონტექსტში აღიარებენ ერთმანეთის სრულ თავისუფლებას... იგი ყოველთვის განიხილებოდა, როგორც იდეალური ნიმუში წარმატებული სოციალური და ინტელექტუალური ურთიერთგამსჭვალვისა, სულთა უსათნოესი, გამჭვირვალე და უანგარო ერთობისა...

ლიტერატურული ტექსტი ისევე ითხოვდა მკითხველის თავისუფლებას, როგორც მწერლისას...

იგი წარმოადგენდა თავისუფალი სამყაროს ერთგვარ პირველსახეს, რამდენადაც, სწორედ მისი ძალისხმევით ვლინდებოდა ადამიანურ სიკეთეთა საკრალური ძალა... ავტორისა და მკითხველის ურთიერთობათა უპრეცედენტო დიდსულოვნება...

კიდევ უფრო სხვაა კრიტიკოსის როლი და ფუნქცია...

ის ერთდროულად ვალდებულია იყოს მწერალიც, ფილოსოფოსიცა და ინტელექტუალური შუამავალიც...

სიმპტომურია, რომ პროფესიონალი მკითხველის რანგში, იგი ნიადაგ რეაგირებს და „მსუბუქი“ ანალიტიზმით გამოხატავს საკუთარ მოსაზრებას წაკითხულ მასალაზე...

პროფესიონალი კრიტიკოსის რანგში, ის უფრო თეორეტიკოსია, ტექნიკური ფორმულირებებით „აღჭურვილი“ და „საოპერაციოდ“ მზადმყოფი...

მწერალ-ფილოსოფოსის რანგში კი ის ჭეშმარიტი შემოქმედია, რომელიც საანალიზო ობიექტის ზღვრულ სიღრმესა და სიმაღლეს „ზომავს“ და იშინაგნებს...

აქ, ამ შემთხვევაში, ღრმა ანალიტიკოსად გარდასახული მოაზროვნე წარმოდგენილი ტექსტის სრულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს... „შლის“ და „ანაწევრებს“ რა ტექსტის ფაქიზ ქსოვილს, გამოაქვს ის იმპერატიული დასკვნები, რომელნიც მისივე ფარული სააზროვნო შრეებიდან იბადებიან...

ასე და ამგვარად, ნათელი ეფინება იმ „იმპლიციტურ“ ფილოსოფიას, რომელზეც „დგას“ მხატვრული ქმნილება...

ცხადი ხდება იმ მსოფლხედვისა და მსოფლშეგრძნების ტიპოლოგია, რომელიც მის უნიკალურ „სხეულშია“ გამჯდარი თუ ნაგულისხმევი...

მთლიანის ინტუიტური აღქმა, რომელიც მხატვრული ტექსტის სინთეზშია აკუმულირებული და პიროვნული ჩართვა იმ „უცხო“ რეფლექსიებში, რომელთაც მაქსიმალური სიცხადე უნდა მიენიჭოთ — ესეც მწერალ-ფილოსოფოსად ქცეული კრიტიკოსის „მოვალეობაა“...

ეს ყოველივე წარმოადგენს ინტელექტუალურ „ჭიდილს“ და ორი სულისა და გონების ურთიერთშენაცვლებას...

მნიშვნელობა კი ამ „მეტოქეობისა“ იმაშია, რომ მხოლოდ მისგან იშვება შესაძლებლობა ვერბალურ სიტყვად იქცეს ის იდუმალი და „უთქმელი“, რითაც შინაგანად სუნთქავს და მეტყველებს ტექსტის „სხეული“...

და თუ მართალია, რომ „ლიტერატურა ოდენ დუმილის ჰერმენევტიკაა“ (ჟან-ფრანსუა ლიოტარი), მაშინ კრიტიკოსის ამოცანა ყოფილა, რაც შეიძლება მეტად მიუახლოვდეს ლიტერატურული ქმნილების იმ ენობრივ პლასტს, იმ ურთიერთმონაცვლე სიტყვათა მაგიურ ვიბრაციას, რომელიც ყველაზე უკეთ ავლენს მის იდუმალ მშვენიერებას...

ივანე მაჩაბელი

ივანე მაჩაბლის იდუმალი გაუჩინარება ილიას საუკუნის კიდევ ერთი ეკზისტენციური აბსურდია...

„გუშინწინ, 26 ივნისს, დილით ადრე, თითქმის ოთხ საათზე თ. ივ. მაჩაბელი გამოვიდა სახლიდან და აღარსად ჩანს“ — იუწყებოდა „ცნობის ფურცელი“ 1898 წლის 28 ივნისს...

ერთნი მაჩაბლის გვამს მტკვარში „პოულობდნენ“, მეორენი ხელისუფალთაგან დევნილ კანადისაკენ მიმავალ „დუხობორებში“, სხვანი არხანგელსკის ახლოს, რომელიღაც მონასტერში... კიდევ სხვაგან და სხვაგან...

სამწუხაროდ, არც ერთი ცნობა-ვარაუდი არ გამართლდა...

ქართული პრესა კიდევ დიდხანს „ბორგავდა“ და ვერაფრით ივიწყებდა მომხდარს, რადგან, როგორც „კვალი“ მოგვიანებით წერდა — „ივ. მაჩაბელი პატარა კაცი არ ყოფილა, რომ მისი დაკლება არაფრად ჩაეგდო საზოგადოებას“...

იშვიათია, მწერალს კლასიკოსის გვირგვინი მხოლოდ თარგმანებით მოეპოვებინოს... ივანე მაჩაბელი ამ თვალსაზრისითაც უნიკალურია...

მწიგნობრობა და ინტელექტუალიზმი მემკვიდრეობით გადმოსულა მასზე... პაპის „მადლიან“ ბიბლიოთეკაში აღმოუჩენია და წაუკითხავს ყოველივე ის, რამაც დასაბამი მისცა მის სულიერსა და გონებრივ ამაღლებას...

საღვთო წერილის კითხვა-შემეცნებაში კიდევ უფრო ადრე განაფუსა...

„ცხრა თუ ათი წლისა ვიქნებოდი, როდესაც პირველად ვნახე ვანო მაჩაბელი — იგონებდა ეკატერინე გაბაშვილი — გ. ერისთავის ეკლესიაში წირვა იდგა... უცებ ხმა გავარდა სამოციქულოს სულ პაწაწინა ბავშვი კითხულობსო და ხალხი უფრო აჩოჩქოლდა, ეკლესიის შესავალს მიაწყდა. მამაჩემმა ფეხი აუჩქარა და რამდენიმე წამის შემდეგ ეკლესიაში შემიყვანა.

ხატების წინ მრავალი სანთელი ენთო, მაგრამ ეკლესიაში მაინც ბნელოდა, ბინდში მკაფიოდ მოჩანდა ხელში აყვანილი რვა წლის ბავშვი, რომელსაც მარჯვენა ხელში დიდი კელაპტარი ეჭირა და წინ გადაშლილ უშველებელ წიგნს კითხულობდა...

სიზმარივით ჩამრჩა სინათლის შუქით განათებული მშვენიერი ბავშვის გაფითრებული სახე. დიდრონი მომწვანო თვალებით შემკული და ქერა ხუჭუჭა თმით გადაფენილი სპეტაკი შუბლი...

ის არაბავშვური სახის გამომეტყველებით დაშტერებოდა წიგნს და მაღალი ხმით გარკვევით კითხულობდა სწორედ იმ კილოთი და ტონით, რომლითაც ჩვეულებრივ სამოციქულოს კითხულობენ... ხალხი გაკვირვებული უცქერდა და უსმენდა“...

ეს ნორჩი, ეკლესიური ბავშვი დაიდგამს მოგვიანებით ქართველი დიდი მოღვაწისა და შემოქმედის ეკლიან გვირგვინს და ამასოფლად სასოებით დასტოვებს განძს, რაიც აღარავის მისცემს მისი დავიწყების უფლებას...

ინგლისური ენის შესწავლისა და შექსპირის თარგმნის ოცნება მოწაფეობისას ასდევნებია... ამ სანუკვარი მისწრაფების აღსრულებაში გიმნაზიის პედაგოგს — პეტრე უმიკაშვილს შეუსრულებია განსაკუთრებული როლი...

ინგლისურის სერიოზულ შტუდირებას პეტერბურგის უნივერსიტეტში შესვლისთანავე შესდგომია და მალევე საკმაოდ განაფუსა...

პეტერბურგშივე, ბანკის საქმეებზე ჩასულ ილია ჭავჭავაძისათვის წარუდგენია ვანო მაჩაბელი მის ძმას ვასილ მაჩაბელს... იქვე გადაწყვეტილა ილიასა და ვანოს ერთად დაესრულებინათ „მეფე ლირის“ თარგმნა...

სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებიდან: „ილია რომ პეტერბურგიდან დაბრუნდა, მის ქებასა და აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა — ვანო ისეთი განვითარებულია, ქართული ენა, ლიტერატურა მშვენივრად აქვს შეთვისებული, შესანიშნავად იცის ევროპული ენები, განსაკუთრებით ფრანგული და ინგლისური“...

საქართველოში დაბრუნებისთანავე, ილიამ მას „ივერიის“ მეორე რედაქტორობა ჩააბარა და ამით საზოგადოებას კიდევ ერთი ინტელექტუალური „ვარსკვლავის“ დაბადება ამცნო... ამ უნივერსალური პიროვნების გამოჩენა სულიერი განახლების სიმბოლოდ წარმოედგინა ერის მოძღვარს...

დროება დაბეჯითებით მოითხოვდა სულიერსა თუ ინტელექტუალურ პრაგმატიკას და ერთგვარ დეკონსტრუქტივიზმსაც კი... ყველაფერი მზად იყო გენერალური შეტევისათვის...

საზოგადო მოღვაწენი დიდ ენციკლოპედისტებად გარდაისახნენ და ერთდროულად იქცნენ ფინანსისტებად და ჟურნალისტებად, პედაგოგებად და მეურნეებად, პუბლიცისტებად, თეატრმცოდნეებად და თვით მსახიობ-რეჟისორებადაც კი...

ეს იყო ჭეშმარიტად „კულტურტრეგერული“ მოძრაობა, რომლის სტრატეგია ეფუძნებოდა ეროვნული და სოციალური ცნობიერების აქტუალიზაციას, არაცნობიერი კონტექსტებიდან გამოსვლას და მოტივაციათა კონკრეტიზაციას... ხალხში განმანათლებლური იდეების რეალიზაციას და ერის კონსოლიდაციას...

1880 წელს შექმნილმა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორიტეტულმა კომისიამ, პოემის გამოცემის რედაქტორობა ივანე მაჩაბელს მიანდო...

როგორც მირიან ჭყონია იგონებს, კომისიის შექმნა და გიორგი ქართველიშვილის მიერ გამოცემის დაფინანსება, სწორედ ივანე მაჩაბლის ინიციატივით განხორციელებულა...

ერთობ პიკანტურია ამ ისტორიული ინიციატივის იმპულსი და მისი განვითარების პერიპეტიები...

კვლავ მირიან ჭყონიას მოგონებიდან: „ერთ დღეს „დროების“ რედაქციაში ივანე მაჩაბელს ეწვია გ. ქართველიშვილი და უთხრა — „ვანო, ერთი მილიონი მანეთი დამიგროვდა, საქმე ვერ მომიძებნია, აბა ერთი მწერალს და ბანკირს თუ გაქვს ნიჭი, მოსაგები რამ მირჩიო.

— სწორედ დღეს მომივიდა კორესპონდენცია ქართლიდან, პურის მოსავალი კარგია, მაგრამ მყიდველი არ ჩანსო, იყიდე მაგ ფულებით და მოუგებლობა არ იქნებაო, — მიუგო მაჩაბელმა...

გ. ქართველიშვილმაც დაუჯერა და სულ ცოტა ხანში მართლაც მოიგო კაი ძალი ფული. გახარებულმა ქართველიშვილმა მაშინ უთხრა მაჩაბელს: ათი ათასი მანეთი გადამიდია შენს განკარგულებაში, რა საქმესაც მეტყვი, იმას დავახარჯებო. მაჩაბელმა ურჩია „ვეფხისტყაოსნის“ მდიდრულად გამოცემა, ისიც დათანხმდა და საქმე გაიჩარხა“...

ივანე მაჩაბელი, მთელი თავისი არსებით, დიდი თეატრალური მოღვაწის ტიპს ანსახიერებდა... თარგმნილი ქმნილებებით იგი ბრწყინვალედ პასუხობდა ახალაღორძინებული თეატრალური ცხოვრების მაღალ მოთხოვნილებებს...

მისი დიდი საზოგადოებრივი მოღვაწეობის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო ქართული სათავადაზნაურო ბანკი იყო...

ილიამ და მან კოლოსალური ძალა და ენერგია შეალიეს ამ საქმეს...

სამწუხარო ის იყო რომ სწორედ იგი გახდა მათ შორის ჩამოვარდნილი საბედისწერო უთანხმოების მიზეზი... იმ შემზარავი უფსკრულის მიზეზი, რომლის გაჩენამაც ჯერ განამარტოვა, შემდეგ კი შეიწირა კიდეც ერთი მათგანი...

თავიდან კი ყველაფერი ერთსულოვნებითა და კეთილგანწყობით დაიწყო...

სიბეჯითის, ტალანტისა და კრისტალური მორალის გამო მოიწვია ილიამ ივანე მაჩაბელი ბანკში — ჯერ მოლარედ, ხოლო მოგვიანებით — დამფასებლად...

ილიამვე წამოაყენა მისი კანდიდატურა ბანკის ერთ-ერთი დირექტორის თანამდებობაზე...

და, მაინც, რა იყო ამ ორი დიდი ერისკაცის ურთიერთდაპირისპირების რეალური მიზეზი... რა კონცეპტუალური იდეოლოგია გახდა საუკუნის ამ კონფლიქტის მაპროვოცირებელი...

რა ფინანსური სტრატეგიით უნდა წარმართულიყო ბანკის მოღვაწეობა, რა პრიორიტეტებს უნდა მინიჭებოდა უპირატესობა და როგორი უნდა ყოფილიყო ამ ეროვნული საფინანსო ცენტრის ტაქტიკა და იდეოლოგია — აი, პრობლემათა ის წრე, რომლის განხორციელებაზეც ბევრად იყო დამოკიდებული კოლონიადქცეული ქვეყნის შიდა პრობლემები, სასიცოცხლოდ აუცილებელნიცა და მომავალზე ორიენტირებულნიც...

ამ დამქანცველ და ნერვიულ ატმოსფეროში ამოიზარდა პრობლემები, რომელთაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვიეს... ეს უთანხმოებანი შეურიგებელ ოპოზიციად გარდაიქმნა და გაგრძელდა...

ამ ისტორიული კონფლიქტის „სურეალისტურ“ მოტივაციაში განდობილ მირიან ჭყონიას ვარაუდით: „ერთადერთი ქართული გაზეთის („დროების“) რედაქტორობამ დიდი გონებრივი და ზნეობრივი გავლენა მოუპოვა მაჩაბელს მთელს საქართველოში. ის ახლა უკვე ზედმიწევნით მცოდნე იყო ბანკის და საბანკო საქმეების, ბევრ რამეებში უკვე აღარ ეთანხმებოდა ილია ჭავჭავაძეს, რომელიც არ იყო ჩვეული სიტყვის შებრუნებას დირექტორთაგან და როცა ივანე მაჩაბელმა მას დაუწყო ჯერ სიტყვიერი შეკამათება გამგეობის სხდომაზე და მერე გაზეთში შეუდგა საბანკო საქმეების პრინციპულად განხილვას წინააღმდეგ ილია ჭავჭავაძის აზრებისა, ეს არ ეამა უკანასკნელსა“...

ბანკის დირექტორის თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ, ივანე მაჩაბელმა ახალ საქმეებს მოჰკიდა ხელი... ქართული მეურნეობის აღორძინების თადარიგს შეუდგა...

მან, როგორც გამოცდილმა სტრატეგმა მოიმხრო სოფლის ინტელიგენცია და მათი დახმარებით დააფუძნა სასოფლო-სამეურნეო სინდიკატი, რომელმაც დიდი სიკეთე მოუტანა ქართლს... თუ მანამდე უმეტესი წილი ქართლის ჭირნახულისა ჩალის ფასად გადადიოდა მომრავლებული ჩარჩების ხელში, ახლა უკვე სინდიკატის მაღალი ორგანიზაციის წყალობით, მილიონები ეკარგებოდა ჩარჩთა უძირო ჯიბეებს...

ორმოცდაოთხი წლის ივანე მაჩაბელი, ძალზედ საიდუმლო ვითარებაში გაუჩინარდა... გაქრა და ერთგვარ ტრანსპერსონალურ „ფანტომად“ იქცა... ესეც, ალბათ ერთ დროს ეკლესიის წიაღში სამოციქულოს კითხვით შთაგონებულ „გაფითრებული ბავშვის“ ბედისწერა იყო...

გავკადნიერდები და მის გაუჩინარებასთან დაკავშირებით, კიდევ ერთ, ჩემთვის უფრო მისაღებ ვარაუდს მივაპყრობ „მზერას“...

გავიმეორებ, რომ ივანე მაჩაბლის მიერ ორგანიზებულმა სინდიკატმა დიდი სიკეთე მოუტანა ქართლს... საკმაოდ ძლიერ, მდიდარ და გავლენიან „ჩარჩობას“ პირდაპირ მეხად დაატყდა მისი ძალისხმევა... სინდიკატის აშკარად მოსალოდნელი აღორძინება მათთვის ფინანსურ-ეკონომიკური კოლაფსის ტოლფასი იყო... და როცა ივანე მაჩაბლის სინდიკატის გამგეობის თავმჯდომარედ არჩევის ამბავი გაიგეს, ელდა ეცათ თურმე... დაფაცურდნენ, გადასარჩენი გზებისა თუ ბილიკების ძიება დაიწყეს... საიდუმლოების სრული დაცვით ამოქმედდა ყოველი მზაკვრული განაჩენისათვის კარგად აპრობირებული სისხლიანი სადამსჯელო „მანქანა“...

1898 წლის თიბათვის 26-სს ივანე მაჩაბელმა კიდევ ერთი, შესაძლოა მისთვის საბედისწერო ნაბიჯი გადადგა, შეიძინა სამეურნეო იარაღები სინდიკატისათვის... მეორე დღეს იყო განზრახული მათი ადგილებზე მიტანა...

ის მეორე დღე, ოჯახისა და ქვეყნისათვის უმისოდ გათენდა...

„ღამით საწოლ ოთახში შესული დასაძინებლად, მეორე დღეს ის ვეღარსად ნახეს, ვეღარც ცოცხალი და ვეღარც მკვდარი“...

მრავალი რამ ჩვენი ერის საზოგადოებრივი ცხოვრების წარსულიდან ბურუსითაა მოცული... მომავალი კულტურის ფილოსოფია ალბათ უფრო „განწმენდილი“ რეფლექსიებით გააანალიზებს „ტრანსცენდენტური ილუზიებით“ გაზღაპრებულ მოვლენებს და თუნდაც ისტორიის ამ ტრაგიკულ ეპიზოდს ობიექტური სახით წარუდგენს საზოგადოებას...

კონსტანტინე გამსახურდია

კონსტანტინე გამსახურდიას სახელთან ორგანულად ასოცირდება ევროპული კულტურის პარადიგმული ორიენტაციები თუ სტრუქტურული კონფიგურაციები...

დასავლეთიდან ინკორპორირებული და კლასიკად აღიარებული ქართული მოდერნის ერთი იდეოლოგთაგანი, უფართოეს ჰუმანიტარულ ცოდნას მიუნხენის, ბერლინის, ლოზანისა და სორბონის უნივერსიტეტებში დაეუფლა...

1910-იანი წლებიდან ბრწყინვალე ესეებით „რეკლამირებას“ უწევდა ექსპრესიონიზმსა და ნიცშეს ელინიზმს, ვაგნერის მითოჰეროიკასა თუ უაილდისა და გეორგეს ესთეტიზმს...

ანალიტიკოსის სიმძაფრით აღიქვამდა ევროპული მხატვრულ-ფილოსოფიური ცნობიერების პულსაციას, განიცდიდა და ცოცხლობდა ამ შთამბეჭდავი ნოვაციებით...

საგულისხმოა, რომ მისი მენტალური ვექტორი გერმანული სულიერი გამოცდილებისაკენ იხრებოდა... შეიძლება ითქვას, რომ „გოეტეს ცხოვრების რომანი“-ს ავტორი, ქართველ მწერალთა შორის (გრ. რობაქიძესთან ერთად), სრულიად გამორჩეული გერმანოფილი იყო...

გოეთესა და კანტის, ნოვალისისა და ჰელდერლინის, ნიცშესა და ვაგნერის ქვეყანა მას, ალბათ სამართლიანად „ევროპის ინტელექტუალურ დირიჟორად“ მიაჩნდა...

ხანგრძლივი ევროპული „პილიგრიმობა“ მასში ამწიფებდა არა მხოლოდ მხატვრული სიტყვის ხელოვანსა და მოაზროვნეს, არამედ სამშობლოს პატრიოტსა და მისი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლს...

გერმანიაშივე გახდა იგი „საქართველოს გამათავისუფლებელი კომიტეტის“ წევრი... სამშობლოს ეფემერული დამოუკიდებლობის ჟამს კი საქართველოს საელჩოს ატაშე...

ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტად იქნა აღიარებული მისი „ღია წერილი ულიანოვ-ლენინს“, რომელშიც დეკლარირებულია მწერლის რადიკალური ეროვნული სულისკვეთება...

იწვნია შორეულ გადასახლებათა ტანჯვა-წამება და თვით ლეგენდარული „სოლოვკის კუნძულების“ ჯოჯოხეთიც...

სამშობლოში დაბრუნებული იწყებს ინტენსიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას...

მისი პირველი დიდი ქმნილებაა — „დიონისოს ღიმილი“... რომანი, რომელიც იდეოლოგიურად ანგაჟირებული დრო-ჟამის სრულ კონტრასტად წარმოიდგინება...

მასში თავი იჩინა ახლადფეხადგმული ეროვნული მოდერნის სპეციფიკამ... ახალი ყოფიერების დრამატიზმი და მასთან შეუ-

თავსებელი ინდივიდის ეკზისტენციური მარტოობის ფილოსოფიური პრობლემატიკაა მწერლის მიერ აქ წარმოდგენილი...

მისი პროტაგონისტის — ინტელექტუალისა და არისტოკრატის მითოილუზორული წარმოდგენებით აღქმული რეალობანი, არსებითად ვიზიონერის „თეორიული“ თუ „აქსიოლოგიური“ პოლემიკაა ნეგატიური დროის დომინაციურ პარადიგმებთან... თავის განრიდება და გაქცევაა პიროვნების დამთრგუნველი ლაბირინთებიდან...

რომანის საგანგებოდ აქცენტირებულ პრობლემათა იერარქია მკითხველს „სთავაზობს“ მენტალურ სივრცეში მიმდინარე ისტორიული ტრანსფორმაციის დინამიკასა და ეპოქის სტრატეგიას...

XX საუკუნის ევროპის ინტელექტუალური თუ მორალური ინსტინქტებითა და ეროვნული სულიერების რომანტიკული კონოტაციებით გაჯერებული ნარატივი, როგორც ერის ცხოვრების ისტორიის მხატვრული ვერსია, თანამედროვეთა მიერ, ბუნებრივია სრულიად ახალ მოვლენად აღიქმებოდა...

მიუხედავად დისტანცირებისა, რომანის პროტაგონისტი კონსტანტინე სავარსამიძე ავტორის alter ego-დ იაზრება და სამართლიანადაც...

ინდივიდუალური ბიოგრაფიის, ანუ „ბუდის კრიზისის“ იდენტურობა და მსოფლმხედველობრივი ვიზიონების თვალშისაცემი სიახლოვე, ცხადად წარმოგვადგენინებს ამ ქმნილების „ლირიკული გმირის“ ვინაობას...

ამავე პერიოდის ნაყოფია მწერლის თარგმანები — დანტეს, გოეთეს, უიტმენის, რემარკის ქმნილებებისა...

გასული საუკუნის 30-იან წლებში „წარსდგა“ მკითხველის წინაშე რომანი „მთვარის მოტაცება“... მწერლის კიდევ ერთი მხატვრული შედევრი...

შთამბეჭდავი მოტივაციებით აღბეჭდილ მხატვრულ ტექსტში მძაფრი ობერტონებით წარმოისახა უმძიმესი ჟამის ტრაგიკული გრიმასები და სოციუმის შემაძრწუნებელი კონვულსიები... ერის ისტორიული განვითარების ბუნებრივ პროცესთა დამახინჯებისა და მსხვრევის ბრუტალური გამოვლინებები...

წარმართული და ქრისტიანული მითოლოგემებით „პროვოცირებული“ მწერლის ცნობიერება, ეროვნული თვითშემეცნების იმ გრადაციებს ათვალსაჩინოებს, რომელთაც კიდევ უფრო მეტად უნდა გაემძაფრებინათ დრო-ჟამის დემონიზაციის ხარისხი...

საგულისხმოა, რომ ოფიციალური კრიტიკა მხურვალედ მისალმებია „ძველის“ მსხვრევისა და „ახლის“ მაუწყებელ ამ რომანს... თუმც, ენიგმური სტილისტიკით მოდელირებული ეს მხატვრული ტექსტი, უფრო რეკვიემი იყო ქართულ წარმართულ ღვთაებაში — მთვარეში სუბლიმირებული ეროვნული სულისა... გამოტირება იყო წარსულისა და მისი განუმეორებელი თავისთავადობისა...

ისტორიული წარსულის მონუმენტური აღქმითაა აღბეჭდილი რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“...

მისი ფილოსოფიური კონტექსტი და ემბლემატიკა ქრისტიანული სასწაულის — სვეტიცხოვლის აღმართვა და მისი თანმდევი სულიერება, მითოსური იდეალების სემანტიზაცია და საკრალიზაციაა...

ტაძარი, როგორც დრო-სივრცის საზრისი და მაცხოვრის სიმბოლო, როგორც ქრისტიანული სახისმეტყველების მაღალმხატვრული ხატი, მწერლის სულიერ წარმოსახვებთანაა წილნაყარი...

ქრისტიანული ენობრივი მსოფლხედვისათვის ჩვეული მოდულაციები ესთეტიკურ რეალობებად სახიერდებიან და ავტორის შინაგანი სულიერი გამოცდილების უნივერსალიზმზე მეტყველებენ...

ამ სულიერებით გაჯერებული სამყაროს წიაღში ცხოვრობენ რომანის პერსონაჟები, მათში რეალიზდება ინდივიდუალური ყოფიერების დროსთან შესაბამისი გამოვლინებები, მათი მაღალი არისტოკრატიზმიცა და უბრალოებაც, კეთილშობილებაცა და სატანიზმიც...

XI საუკუნის ფეოდალური საქართველო, მწერლის მხატვრულმა წარმოსახვამ, თავისუფლებასგადაჩვეულ თანამედროვეთა ცხოველი ინტერესის საგნად აქცია... პროვოცირება მოახდინა რა მათი დაჩლუნგებული ცნობისწადილისა — გაევლო პარალელი წარსულსა და აწმყოს, ბუნებრივსა და სიმულაციურ ყოფიერებას, ერისა და ადამიანთა ტრაგიკულ ბედისწერათა შორის...

ღრმა და წმინდაა აქ ავტორისეული პიეტეტი თვით სამეფო ღირსებებზე ზეაღმატებულ ქრისტიანულ სათნოებათა მიმართ... კდემით, თანალმობითა და მდუმარე რწმენით აღბეჭდილ დრო-ჟამთა მიმართ...

ფრიად ორიგინალური რაკურსითაა წარმოჩენილი ისტორიული თემატიკა მწერლის რომანში „დავით აღმაშენებელი“... ამ ტეტრალოგიის უფართოესმა სივრცემ მთელი სისავსით აირეკლა XI-XII საუკუნეების აღორძინებული საქართველოს უნივერსალური არტიკულაციები...

აღარაფერს ვიტყვი მისი მცირე პროზაული ჟანრის ქმნილებებზე... მათ გრაციოზულ ესთეტიკასა თუ ფსიქო-ფილოსოფიურ აქცენტებზე... წარმოსახვითი რეალობების მშვენიერებასა და სააზროვნო სტიქიაზე...

ჩემი წარსულის დაუვიწყარ ხილვათა შორის, არის ერთი „სურეალისტური“ კადრი საუკუნის ამ „ფენომენის“ მიმწუხრისა და მასთან ერთად ეპოქის დაისის მოახლოებისა: ლეგენდარული „კოლხური კოშკის“ იდუმალი, ჩამუქებული სივრცე და მასში აბრეშუმის გრძელ ხალათსა და სპარსულ ქოშებში „მორიალე“ ლანდი მოხუცისა... ფირფიტასავით თხელი, უმწეო სილუეტიღა იმისა, ვინაც თავისი ძლევამოსილი მხრებით ატარა XX საუკუნის ქართველი მწერლისა და ერისკაცის კოლოსალური ღირსება...

აწ მხოლოდ დაღლილი და მაინც ამაყი თვალებიღა რომ ავლენდნენ ერთ დროს ბობოქარი ცხოვრების წყურვილს...

გრიგოლ როგაქიძე

ქართველი საზოგადოებისათვის იგი დიდხანს წარმოადგენდა ემიგრაციამდელი მხატვრული ქმნილებების ავტორს... რომელთა შორის იყო ცნობილი „გველის პერანგი“ — მითოპოეტური აზროვნების ეს კლასიკური ნიმუში...

მასში გაცხადდა მწერლის უნიკალური ხატი...

ხატი კულტურულ სიმბოლოთა უკიდეგანო სივრცეებში „მოხეტიალე პილიგრიმისა“, ევროპული ტრანსცენდენტალიზმისა და აღმოსავლური საკრალური სიბრძნის თაყვანისმცემლისა, ეროვნული სულიერების ფანატიკური ჭირისუფლისა...

აბსოლუტური ქართველის სუბსტანცია მასთან საკუთარ პერსონაში იდენტიფიცირდება, მისივე ეკზისტენციის პრიზმაში გაივლის და მისივე ხმით მეტყველებს...

ის არ იყო თვითკმარ, თავისთავში დასრულებულ ჭეშმარიტებათა „ინტერპრეტატორი“, მათი ესთეტიზაციითა და ონტოლოგიზირებით გატაცებული...

მისი სტიქია ადამიანის სულისა და სხეულის ჰეროიზაციაა, ნატურალიზმზე სტილის გამარჯვებაა, ზეემოციურ კომპოზიციათა ქმნაა, ხილულისა და ირეალურის ზღვარზე ბალანსირებაა... ისტორიისა და რასის უწყვეტელობის საკრალიზაციაა...

მას, როგორც ლიტერატურულსა და ინტელექტუალურ მოვლენას თაყვანს სცემდნენ არა მხოლოდ საქართველოში...

მისი გონის დიაპაზონი გაცხადდა არა მხოლოდ მხატვრულ ოპუსებში, არამედ მის ბრწყინვალე კულტუროლოგიურ ფრაგმენტებში, ფილოსოფიურ ესეებსა თუ ქარიზმატულ პერსონალიათა ფსიქოანალიტიკურ პორტრეტებში...

რომანტიკული პოეზიის გამოცდილება მან პროზის ორგანულ „სამკაულად“ აქცია და ამით მეტი ფერადოვნება და არტისტიზმი შესძინა მას... აქედანაა მისი ეზოთერიული გასხივოსნებებისა და ჩვეულებრივში მისტიკურის აღქმის გამოვლინებები...

„გველის პერანგის“ შემოქმედმა დიდხანს იცოცხლა, იღვაწა და აღესრულა უცხოეთში...

სამშობლოსთან ერთად გერმანია იყო მისი კიდევ ერთი შთაგონების წყარო... დიდი ლიტერატურითა და ფილოსოფიით განებივრებულ გერმანელთათვისაც კი, შთამბეჭდავ და მოულოდნელ აღმოჩენად იქცა ქართველი მწერლის მხატვრული ქმნილებები, განსაკუთრებით რომანი — „ჩაკლული სული“...

შუა ევროპის ინტელექტუალური ელიტა აღაფრთოვანა გრიგოლ რობაქიძის ტალანტმა, მისმა გერმანული ენის მხატვრულმა სტიქიამ...

ისიც საგულისხმოა, რომ გერმანული კულტურის მეგაპარადიგმამ — „ფაუსტიანობამაც“ კი (რაც ასე ახლობელი იყო მწერლის მსოფლგანცდისათვის) ვერ დაჩრდილა მასში შორეული სამშობლოს ცხოველი განცდა... ეროვნული ფესვების ძიებისა და განახლების პათოსი...

ვაჟა-ფშაველას შემდეგ გრიგოლ რობაქიძე XX საუკუნის ქართველ მწერალთა შორის ერთი პირველთაგანია, ვინც შეიცნო მითის შთამაგონებელი არსი, მისი სახისმეტყველება და უნივერსალიზმი...

მითოლოგიური რემინისცენციებით იმპულსირებული სახე-სიმბოლოები, მწერლის მხატვრულ ტექსტებს უფართოესი განფენილობის „უფლებას“ ანიჭებენ და თავისში აერთიანებენ პირადულსა და ზოგადს, ლირიკულსა და ეპიკურს, ეროვნულსა და სამყაროულს...

ასე რომ, მითი მასთან სცილდება ოდენ მაპროვოცირებელი დისკურსის საზღვრებს და სამყაროს ლირიკული აღქმითა და მისი სემანტიკური წიაღის წვდომითაა განპირობებული...

მწერლის წარმოსახვებში ასე და ამგვარად რესტავრირდებიან დრო-სივრცის მიერ სახედაკარგულ და ამორფულ „ცივილიზაციათა“ ნანგრევები...

ქართული სულიერი კულტურისა და ეროვნული ცნობიერების ბედი და მის გადარჩენაზე ფიქრი იყო მისთვის მთავარზე მთავარი...

ამ წმინდა ოცნებით შეუერთდა ჩვენს დიდ წინაპართა დამწუხრებულ პანთეონს, ქართული სიმბოლიზმის ეს პირველი „მოციქული“ და მისი თაობის ინტელექტუალური „სარკმელი“...

პავლე ინგოროყვა

ნათელმხილველის წვდომით, კოლოსალური ერუდიციითა და აზროვნების განსაკუთრებული კულტურით იყო აღბეჭდილი პავლე ინგოროყვა...

მისი ინტელექტუალური და საზოგადოებრივი ღვწა ორიენტირებული იყო ეროვნული სულიერი კულტურის სისტემატიზაციასა და ანალიტიკურ განზოგადებაზე...

იგი საზოგადოებას სთავაზობდა ონტოლოგიურ მოდუსებს ეროვნული სულიერი გამოცდილების იმ პრობლემატიზაციათა შესამეცნებლად, რომელნიც არსებითად განაპირობებდნენ მის კულტურულსა და მორალურ იერსახეს...

მისი ხანგრძლივი ცხოვრების ყოველი პრობლემატიკა, თითქოს იმიტომ ჩნდებოდა, რომ ეპისტემოლოგიური მოდალობების ერთ მთლიან საგანძურად ქცეულიყო და საფუძვლად დასდებოდა მის გრანდიოზულ ნაფიქრ-ნააზრევს...

მისი ყოველი ქმნილება მომავალზე ორიენტირებული ინტელექტუალური „გზავნილია“... ამიტომაც იძერწებოდა მეცნიერის ფილოლოგიური ტექსტები დიდი ესთეტის ხელრთვით, რათა აზროვნების ელეგანტური ფორმაც ყოფილიყო გარანტი საუკუნეებში მათი „განფენისა“...



ლიტერატურა, მუსიკა, პოეზია, ისტორიოგრაფია... ფიქრისა და აზროვნების განუსაზღვრელი ჰორიზონტები და წარმოსახვები, კონცეპტები და ინტერპრეტაციები... სწავლული, რომელიც ქმნიდა მონუმენტურ ჰიპოთეზებს, ჭვრეტდა და ამკვიდრებდა კონცეფციებს — ესაც პავლე ინგოროყვას ინტელექტუალური ყოფიერების „რეგულაციებია“...

პოლიტიკური ფორმაციების ცვალებადობანი მასში, როგორც „ქრონიკულ“ ერისკაცში, ვერ ანელებდნენ მაღალი ეროვნული იდეალებით ცხოვრების სურვილს...

მის თვალწინ ინგრეოდა და იშრიტებოდა მომავლის ქართველთა რომანტიკული ოცნებები... ცხადი ხდებოდა ეროვნული სულისა და ენერგიის ტრაგიკული ხვედრი... საყოველთაო ნიჰილიზმის ტრიუმფალური სვლისა და ადამიანთა სრული სუბლიმაციის, ანუ უმოქმედობაში ქრობის სიმპტომები...

თუმც იყვნენ რჩეულნიც, დროის საბედისწერო „კაპრიზებისადმი“ არაადეკვატურნი, კულტურტრეგერთა კლასიკური იდეალების ერთგულნი...

ისინი მაგიური ძალმოსილებით ახორციელებდნენ ეროვნული მხატვრულ-ინტელექტუალური პოტენციის რეანიმაციას...

პავლე ინგოროყვა საუკუნის ამ დიდ „რეანიმატორთა“ შორის წარმოიდგინება...

XX საუკუნის ამ წმინდანის სახებაა აღბეჭდილი ერთ საყოველთაოდ ცნობილ ფოტოზე... მასთან ერთად „ასვეტილან“ ჯერ კიდევ ახალგაზრდანი: კონსტანტინე გამსახურდია, ვახტანგ კოტეტიშვილი და ალექსანდრე აბაშელი...

„შავჩოხოსანთა“ ბრწყინვალე ოთხეულის სულიერ ოპტიმიზმს აქ ჯერ კიდევ არ დასტყობია ინფერნალური ჟამის თანმდევ იმედგაცრუებათა სევდა... საქვეყნო გარჯისა და დაქანცულობის იმ უმძიმეს წელთა სისასტიკე, რაც აწ უკე ღრმადმოხუცებული პავლე ინგოროყვას ტანჯვით დაუნჯებულ მზერაშია გაცხადებული, მის ერთ უკანასკნელ ფოტოზე...

ეპოქის თვალსაჩინო „კარდიოგრამაა“ თითქოს ამ ღვთაებრივი სახით წარმოდგენილი... მასზე აღბეჭდილი მისი და მთელი მისი თაობის ტკივილებიცა და დიდსულოვანი სტოიციზმიც... ეს ის ქართული ჰაბიტუსია, მხოლოდ წმინდანებს რომ უწყალობებს უფალი, რათა მათი „არაღამეული ნათელი“ მოეფინოს „მამულისა ჩვეულებისამებრ სლვას“...

„ლიტერატურულ გარჯასთან დაკავშირებული ერთადერთი დიდი სიხარული მხოლოდ იმ წუთებში გვეძლევა, როცა შთაგონებას ვეძლევით და ვწერთ“ — ალფრედ დე-ვინის ამ აღიარებით დავამთავრებდი დიდი ლიტერატორისადმი მიძღვნილ მცირე ეტიუდს...

ფრანგი რომანტიკოსის ამ ჩანაწერიდან გამომდინარე, მინდა ვიფიქრო, რომ ეგზისტენციურ ნეგაციებთან ერთად პავლე ინგოროყვას ცხოვრება, მისი ლიტერატურული შედევრების სიმრავლიდან გამომდინარე, ბევრზე ბევრი სიხარულებითაც იყო აღსავსე... ამით მაინც იყო იგი უსაზღვროდ ბედნიერი... ბედნიერი იმით, რომ იყო მერჩულეს, რუსთაველის, ბარათაშვილის, ილიასა და სხვა მრავალ ბრწყინვალე ქართველთა „თანამედროვე“... და ამ სანუკვარ ნეტარებაში პოვებდა მორალურ საყრდენს სულიერი ჰარმონიის დასამკვიდრებლად.

დასასრული შემდეგ ნომერში

როსტომ ჩხეიძე

დიდი გევურა

ბორის გაპონოვი
და
მისი ბიოგრაფოსი

ამგვარ სინანულს ბევრი ადამიანი შეუწუხებია და ამჯერად მიხეილ ფიზიკიც გაამჟღავნებდა წუხილს იმის გამო, რომ თავის დროზე არ ეყო მიხვედრილობის უნარი, რათა წამოეწყო დღიური, ჩანაწერები, და გამხდარიყო თავისი მეგობრის ცხოვრებისა და შემოქმედების ერთადერთი მემატიანე.

ეს მეგობარი კი ბორის გაპონოვი გახლდათ, ვის მიერ ივრითზე ამეტყველებული „ვეფხისტყაოსანიც“ მთარგმნელობითი ხელოვნების იშვიათ მიღწევებს შორის შეირაცხებოდა, გმირობადაც კი მოინათლებოდა და მისი მნიშვნელობაც გაიზომებოდა არა მხოლოდ ქართული თუ ებრაული, არამედ მსოფლიო მასშტაბით.

სხვა არაერთი დამსახურებითაც დამშვენებულა მისი ხანმოკლე სიცოცხლე, მაგრამ ეს მაინც სხვა რიგის მოვლენა აღმოჩნდებოდა, ერთი ყველაზე თვალსაჩინო დამადასტურებელი, თუ რას გულისხმობს თარგმანის კონგენიალურობა და სრულყოფილება.

და ეს მიღწევა უნდა დაკავშირებოდა ერთი უაღრესად თავმდაბალი და მოკრძალებული კაცის სახელსა და ყოვლად უჩინარ ყოფას.

თითო-ოროლა ადამიანი თუ გრძნობდა ბორის გაპონოვის იშვიათ სულიერ სიმაღლესა და რჩეულობას.

და მათ შორის მიხეილ ფიზიკიც, ვინც ვერასოდეს აპატიებდა საკუთარ თავს, რომ მაშინვე არ ინიშნავდა უამრავ დეტალსა თუ სურათს, ფრაზასა თუ შთაბეჭდილებას, მოსაზრებასა თუ შინაგანი ჭიდილის გამომხატველ ნიუანსს, რომელთაც ვეღარ შეინარჩუნებდა მეხსიერება. ზოგი პირწმინდად გაქრებოდა, ზოგიც ბუნდოვნადღა აირეკლავდა იმჟამინდელ რეალობას და ზოგიც საგონებელში ჩააგდებდა — ნეტა მართლა ასე იყო თუ უნებურად მივაწერ ან ვასხვაფერებო.

სამწუხაროდ, ადამიანური ბუნებაა ასეთი — გგონია, რომ დრო გაჩერდება და სიკვდილი სადღაც შენს მიღმა იარსებებს ყოველთვის, და ცნობიერება კი მუდამ ისე ცინცხლად და გაუხუნრად შემოინახავს ჩავლილს, თითქოს აგერ-აგერ შეჰყურებო. და მაშ რიღასთვის უნდა ჩაინიშნო რაიმე, თუკი იოლად აღიდგენ, როგორც კი მოიწადინებ... მაგრამ დრო დაუნდობელია და მეხსიერება კიდევ უფრო დაუნდობელი, ნაფშხვენებსღა რომ შეგატოვებს ხელთ, იმათაც მიმოღავებულთ და ნისლში ჩაძირულთ, და ლამის ხელი აგაღებინოს გარდასული სურათების გამოხმობა-შეკოწიწებაზე.

კიდევ კარგი ამ დაბრკოლებას აღარ შეეპუებოდა მიხეილ ფიზიკი და გულმოდგინედ მოჰკიდებდა ხელს იმ ნაფშხვენთა მოძიებასა და შევსებას, გამრთელებასა და სულის შთაბერვას, და კიდეც აქცევდა ჩინებულ წიგნად, რომელსაც მოკრძალებულ სათაურს შეურჩევდა — „სიტყვა ბორის გაპონოვზე“, და სამზეოს კი წარუდგენდა ნიუ იორკის ქართული გამომცემლობის — „მამული“ — წყალობით.

ამგვარად მცირე სტატიებს ასათაურებენ, უფრო საიუბილეო ან ნეკროლოგიური ყაიდის ჩანაწერს, მონოგრაფიული აღნაგობის თხზულებას კი ასე არავინ „იმეტებს“, მაგრამ ავტორი შეგნებულად ავიწროებს თავისი თხზულების ფარგალს და ამითაც მიგვანიშნებს, რომ ვრცელი ნაშრომი ამ პიროვნებასა და მის ღვაწლზე ჯერაც შესაქმნელია, თავის ნაწარმოებს კი გულისხმობს იმ ნაშრომის წინამორბედად, ერთგვარ ბიძგად, საამისოდ მომზადებულ მწერალს აუცილებლად რომ აიყოლიებს და შესაძლოა ბიოგრაფიული რომანიც დააწერინოს ბორის გაპონოვის სულიერ გაქანებასა და სიბობოქრეზე, თორემ მისი ყოფითი ცხოვრება ბევრს არაფერს მიაწვდის მასალად სიუჟეტისათვის, რათა თხრობა გარეგნულადაც ელვარე ეპიზოდებით დაამშვენოს.

ეს ნაშრომი მხოლოდ ლიტერატურულ-კრიტიკული ნარკვევი არ არისო, — მკითხველს შესავალშივე ამცნობს ავტორი, — არამედ ყოველი ჩვენი შეხვედრისა და გულახდილი სჯაბაასის გახსენება, ჩემი მრავალ წლის ნაფიქრალი, რუდუნებით ნაგოგმანები და ნაზად ნაფერები მოგონებებიცაა.

— მინდა მკითხველი შევახედო შემოქმედი ადამიანის იმ უნიკალურ „ლაბორატორიაში“, სადაც ერთპიროვნულად და სრულიად დამოუკიდებლად ყალიბდებოდა ქართულიდან ებრაულად თარგმნის სრულყოფილი მეთოდი-ფენომენი, რომლის მნიშვნელობაც გასცდა ორი უძველესი, თვითმყოფი ერის ენებს, ლიტერატურას და მსოფლიო კულტურის შენაძენად იქცა.

ამ მოსაზრების სრული დაბეჯითებით გაცხადების უფლებას მას მისცემდა ზურაბ კიკნაძის პროფესიული შედარება-ანალიზის გზით გამოტანილი დასკვნა, ჯერ კიდევ 1975 წელს, სამეცნიერო ჟურნალის „მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია)“ პირველ ნომერში გამოქვეყნებული, შეფასება პიროვნებისა, ვინც სრულყოფილად ფლობდა ორივე ენას, მათ შრეებსა და ნიუანსებს, არ გამოეპარებოდა მთარგმნელის დიდებული ხელოვნების დამადასტურებელი რეალიები და შესაფერისადაც წარმოაჩენდა და განაზოგადებდა:

— ეს თარგმანი ორიგინალურ მოვლენად არის შერაცხილი, ისეთ ნაწარმოებად, რომელიც თავისთავად არსებობასა და მნიშვნელობას იპოვებს, ვითარცა დიდი სიახლე თანადროულ ებრაულ პოეზიაში. იგი მართლაც საკვირველი ენობრივი მოვლენაა.

ან კიდევ:

— ებრაული ტექსტი ორიგინალის დამოუკიდებლივ თავისთავადი მოვლენაა თანადროულ ებრაულ პოეზიაში... მშობლიური პოეზიის ამომწურავი ცოდნა ამ თარგმანს დედნის კონგენიალურს ხდის.

მიხეილ ფიზიკის განსაკუთრებით ეს სიტყვათშეთანხმება მოხიბლავდა და აღიტაცებდა: დედნის კონგენიალური.

და მოინდომებდა პოეტის შემოქმედებითი ღვაწლის კიდევ ერთი ასპექტის გამორჩევას.

აგერ პოეტურ-მთარგმნელობითი მიღწევა და მისი შესაფერისი აღიარება უკუაგდებდა — რაოდენ ძალდაუტანებლად — ლიტერატურის თეორიაში გაბატონებულ სტერეოტიპს, თითქოს პოეზიის მიმოქცევის სფერო შემოიფარგლებოდეს ორიგინალის ენის საზღვრებით. ისე ვისთვის სტერეოტიპს და ვისთვის კიდევ — პოსტულატს, ვთქვათ, ბორის სლუცკისათვის, პოეტისა და ნაყოფიერი მთარგმნელისათვის, ვინც ამ გზას მიჰყვებოდა და თეორიულადაც ირწმუნებოდა: პოეზია არ ითარგმნება, ის ერთგულია მშობლიური ენისაო.

მაგრამ თურმე შესაძლებელი გახლდათ შექმნილიყო ახალი შემოქმედებითი მეთოდი თარგმნის ხელოვნების შემდგომი სრულყოფისა და განვითარებისათვის.

თანაც განსაკუთრებით საგულისხმო ის გახლდათ, რომ ეს შეძლო კაცმა, ვინც ცხოვრობდა არაივრითულ გარემოში, ებრაული სულისკვეთების მიღმა.

და მიხეილ ფიზიკისათვის არსებითი და ქრესტომათიული მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ თვით ასეთ

სინამდვილეშიც შესაძლოა შენარჩუნება ებრაული მსოფლშეგრძნებისაც და სულისკვეთებისაც.

და აჰა ასერიგად თვალსაჩინო მაგალითი ბორის გაპონოვისა, ვინც:

— სრულიად დამოუკიდებლად, ერთპიროვნულად გაიაზრა მონუმენტური ქმნილების არსი, ფილოსოფია, მხატვრული განსაკუთრებულობანი და ორგანულად, ნარნარად „ჩაასახლა“ ორიგინალი მთელი თავისი აქსესუარებითა და ნიუანსებით თითქოს უცხო, მაგრამ ნოყიერ ივრითულენოვან გარემოში.

მიყრუებულა ჩვენი მკითხველისათვის ბორის გაპონოვის სახელი და ღვაწლი და სრულიად არაფერს ამცნობს სახელი მიხეილ ფიზიკისა, და ისე გამოდის, რომ ერთი უცნობი მოგვითხრობს მეორე უცნობზე.

მაგრამ ეს ჩვენი მოშლილი კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ბრალია, და ყოველივე აუცილებლად რომ ჩადგება ბუნებრივ კალაპოტში, ერთი პიროვნების დამფასებელნიც შევიქნებით, თორემ მეორისა ხომ გამორჩეულად.

მიხეილ ფიზიკი ოდესღაც „კუტაისსკაია პრავდას“ რედაქციაში მსახურობდა ლიტერატურულ მუშაკად, შემდგომ სოხუმში განაგრძობდა მოღვაწეობას საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტში ენების კათედრაზე, საბოლოოდ პროფესორობასაც რომ მიაღწევდა და კათედრის გამგეობასაც. პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად სამეცნიერო-კვლევით ძიებებშიც ჩაფლულიყო, კონფერენციებშიც მონაწილეობდა და სამეცნიერო ნაშრომებსაც აქვეყნებდა და საგაზეთო სტატიებსაც უხვად ბეჭდავდა. ემიგრაციაშიც მოუწევდა გამგზავრება და ნიუ იორკში დამკვიდრდებოდა.

პატიოსნად, ღირსეულად გამოვლილ გზას ჯერჯერობით თითქოს რაღაც აკლდა, ის, რისთვისაც მთელი ცხოვრება ემზადებოდა და... კიდეც წარმოსახავდა სასახელო მეგობრის ისეთ პორტრეტს, რომელსაც ყოველთვის დაისაჭიროებს ბორის გაპონოვის პიროვნებითა და ღვაწლით დაინტერესებული მკითხველიც და მკვლევარიც.

ამ მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების გეოგრაფიულ გარემოსაც და სულისკვეთებასაც განსაზღვრავს ქუთაისი ანუ ბორის გაპონოვის სიცოცხლის ქუთაისური ხანა, რადგანაც ყველაფერი, რაც დღესდღეობით მისი ლიტერატურული მემკვიდრეობაა — „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის გარდა, ქართველ და რუს კლასიკოსთა ნიმუშების ებრაული ვერსიები, ივრითის ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, არაერთი სამეცნიერო სტატია — ამ ქალაქში შეიქმნებოდა და ისრაელში აქედან მოხვდებოდა და გამომზეურდებოდა, რადგანაც ისტორიულ სამშობლოში ბორის გაპონოვს უკვე პარალიზებულსა და მეტყველებადაკარგულს ჩაიყვანდნენ.

ქუთაისში კი ევპატორიიდან (ყირიმი) აღმოჩნდებოდა, საიდანაც ევაკუირებული იყო მისი ოჯახი მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში, და ჯერ საქართველოს რამდენიმე კუთხეს აფარებდნენ თავს, ვიდრე დამკვიდრდებოდნენ ქალაქში, რომელიც თურმე ბორის გაპონოვის სულიერი ცხოვრების აკვნად უნდა ქცეულიყო, მიუხედავად ყოფის ყოვლად არასახარბიელო პირობებისა — დედასა და მოხუც და ავადმყოფ დიდედა-პაპასთან ერთად დაქირავებულ ნახევრად სარდაფის ორ ოთახში რომ უწევდა არსებობა.

— ოჯახში მუდამ წესრიგი, სისუფთავე და სიმშვიდე სუფევდა. ვერ გაიგონებდით ვერც ხმამაღალ და ვერც ავ სიტყვას. ლაპარაკობდნენ ძირითადად იდიშზე. თუ ვინმე არ მოეწონებოდათ, იტყოდნენ: „ის ჩვენი კაცი არ არის“, ანდა „ის ჩვენი მეგობარი ვერ იქნება“.

გარეგნული წესრიგი და სისუფთავე შინაგანი წესრიგითა და სისუფთავითაც განმსჭვალულიყო.

ბორისს განათლებაც და ლიტერატურული ინტერესებიც პაპისაგან, სამუელ მაზოსაგან, მოსდგამდა, მრავალმხრივ განსწავლული ბრძენკაცისაგან, სოფერობის (მწერალი, წმიდა ტექსტების გადამწერი) ჭეშმარიტ ოსტატად და კალიგრაფად რომ აღიარებულიყო და ზედმიწევნით იცნობდა ივრითსა და იდიშს, იუდაიზმისა და ჰერაისტიკის ფუძემდებლურ წყაროებს.

შინიდან იშვიათად გადიოდა ბერიკაცი — ჯერ ერთი, საწოლს მიჯაჭვული მეუღლე ჰყავდა მოსავლელი, და მეორეც... როგორც მიხეილ ფიზიკის დარჩებოდა შთაბეჭდილება, კიდევ რაღაც ამძიმებდა, შიშს ჰყავდა შეპყრობილი და გამუდმებულ ზემოქმედებას განიცდიდა. და კიდეც გამოარკვევდა მიზეზს ასეთი ჩაკეტილობისა და სიფრთხილისა — მას არ დაკლებოდა რეპრესიები და, მათ შორის, მაგადანის ლაგერი, და მხოლოდ იმისათვის, რომ ებრაელი გახლდათ, რაბი, სიონისტი, ასწავლიდა ივრითსა და იუდაიზმის საფუძვლებს და მოუწოდებდა თვისტომთ, გადასახლებულიყვნენ ისრაელში.

სხვათა შორის, მისი ძმაც — რაბი იაკობ მაზო — თავგამოდებული მოღვაწე ყოფილიყო და სახელგანთქმულიც რუსეთის იმპერიის ებრაულ თემებში თავისი შეუპოვრობითა და დაუმცხრალი სულით. ჯერ მარტო 1913 წელს კიევში გამართულ ანტიებრაულ სასამართლო პროცესში მონაწილეობა რად ღირდა, ექსპერტად რომ მიიწვევდნენ იუდაიზმის საკითხებში და ბრალდებულის დამცველად, და იააკობ მაზოს ჩარევა წარმატებით დაასრულებდა ამ პროცესს.

1919 წელს კი მისი მეთაურობით მიადგებოდა მრავალრიცხოვანი დელეგაცია პროტესტით ანატოლი ლუნაჩარსკის, საბჭოთა კავშირის განათლების მინისტრს, რადგანაც მას ივრითისათვის „რეაქციული“ და „კონტრრევოლუციური“ ენა ეწოდებინა.

ბიოგრაფოსის აღნიშვნისა არ იყოს, ლუნაჩარსკი, როგორც ღრმად განსწავლული პიროვნება — პროზაიკოსი, დრამატურგი, მთარგმნელი, კრიტიკოსი და პოლიგლოტი — ასეთ აბსურდს თავისით არ იტყოდა, მაგრამ ამას ავალდებულებდა ბოლშევიკურ-კომუნისტური აზროვნება და მორალი, მარქსისტული თვალთახედვა, საბჭოური მოთხოვნილებანი... და დიდი გაბედულება იყო საჭირო, რომ ამ „მოსაზრებას“ გამოკამათებოდი. რაბი უკან არ დაიხევდა და განუცხადებდა: რევოლუციას ახდენენ ტროცკები, ხოლო ისჯებიან ბრონშტეინებიო.

— ეს გამოთქმა მეტად პოპულარული იყო, ახლაც გვხვდება პოლიტიკურ დისკუსიებში.

და დაიგულებდა ოთახს თავშესაფრად სემუელ მაზო, და კიდევ — დიდი სულიერი მღელვარებების ასპარეზად. მისთვის ეს აღმოჩნდებოდა არამარტო შეგრძნება, არამედ უკვე მსოფლხედვაც — ოთახი, როგორც სულიერი სამყაროსაკენ გაჭრილი ფანჯარაც და გზასავალიც.

და ეს შეგრძნებაც და უფრო მეტად კი მსოფლხედვაც გადმოეცემოდა ბორის გაპონოვსაც, ოთახი რომ გადაექცეოდა უკიდურესი გაქანებისა და შინაგან ვნებათაღელვათა ყველაზე სანდო და, ამასთან, უვრცეს საყრდენად და ასპარეზად.

თანაკლასელებს გლობუსა შეერქმიათ მისთვის დიდი, მრგვალი თავისა და სავსე, ღაჟღაჟა ლოყების გამო, მაგრამ ბორისი არათუ არ იმჩნევდა ამ მეტსახელს, მისი მომავალი ბიოგრაფოსის შეტყობით, ეგებ სადღაც მოსწონდა კიდეც, რადგანაც შინაგანად ჭვრეტდა, რომ მისი სახელი და ნაღვაწი გადალახავდა პარალელებსა და მერიდიანებს და დიდ აღიარებასაც ჰპოვებდა.

მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში სპარსული ენის განყოფილებაზე ჩაბარება უიღბლო გამოდგებოდა, რადგანაც ეს ინსტიტუტი დაიშლებოდა და სტუდენტებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში გადაანაწილებდნენ.

ბორისს უცხო ენათა პედინსტიტუტში გაამწესებდნენ, მაგრამ იგი ვერ შეეგუებოდა ამ იდეოლოგიურ-კონიუნქტურულ განსაზღვრას მისი ბედისა და მოსკოვში წასვლაზე უარს განაცხადებდა.

ბიოგრაფოსს დაამახსოვრდებოდა მის სარკასტული ფრაზა:

— ეტყობა, გაითვალისწინეს ჩემი ინტერესი ენებისადმი.

და გახსენებისთანავე დასძენდა: იმჟამად ბორისი სრულყოფილად ფლობდა ივრითს, იდიშს, რუსულს, ძველ და ახალ ქართულს, კარგად — გერმანულს, ინგლისურს, სპარსულს, და იწყებდა ესპანურის შესწავლასო.

მოსკოვში გამგზავრებას კი აღარ მოიწადინებდა, მაგრამ რა უნდა ეკეთებინა?

და მეგობრის ამ შეკითხვის პასუხად ამცნობდა იმ გადაწყვეტილებას, რაც თურმე მისი სიცოცხლის საქმედ უნდა ქცეულიყო:

— იმედია, არ დაგვიწყნია ჩემი ორი წლის წინათ გამხელილი ჩანაფიქრი ივრითზე „ვეფხისტყაოსნის“ გადათარგმნის თაობაზე. მექნება საკმაო დრო საწადელი საქმის აღსასრულებლად.

მეგობარი ფრთხილად გამოთქვამდა ეჭვს: ანალოგი არ არსებობს და ნეტა როგორ გაწვდებიო?!

მაგრამ იმას არც გაუკვირდებოდა და არც ეწყინებოდა მიხეილის ეს დაეჭვება, რადგანაც მტკიცედ გადაეწყვიტა — ემუშავა თარგმანზე თუნდაც მთელი სიცოცხლე და მიეღწია მიზნისათვის ყოველგვარი სიძნელის მიუხედავად.

მიხეილ ფიზიკი სპონტანურად ჩანიშნავდა თავის მატიანეში ამ სიტყვათშეთანხმებას: „მთელი სიცოცხლე“ და... შეკრთებოდა ამ უეცარი აღმოჩენით:

— ბორისის სიცოცხლე ფაქტობრივად გაგრძელდა იმდენ ხანს, რამდენიც სჭირდებოდა საწადელის მიღწევას — პოემის გადათარგმნას, მის გამოქვეყნებას და საერთაშორისო აღიარებას...

და მკითხველსაც გაუზიარებდა და გადასდებდა ამ განცდას:

— განა არ არის ეს ზენაარისაგან ადამიანის ბედის წინათგანსაზღვრა?!.

იმჟამად კი მიხეილს რომ შესთავაზებდნენ, გადასულიყო საავტომობილო ქარხნის საუწყებო გაზეთის რედაქციაში, სადაც უფრო მაღალი ხელფასი დაენიშნებოდა, ვიდრე „კუტაისსკაია პრავდაში“ ჰქონდა, მას ლიტერატურული მუშაკის ეს ადგილი თავისი მეგობრისათვის გაემეტებოდა და უზომოდ გაახარებდა — ბორისიც ცოტაოდნავ სულს მოითქვამდა.

არ გაგიკვირდეთ, რომ საგაზეთო მასალების თარგმნის პროცესში ბორისის უნარი და ინტელექტი რომ გამოვლინდებოდა და მისი სახელიც მალევე გახმაურდებოდა, როგორც ქართულიდან რუსულზე მაღალპროფესიული მთარგმნელისა, ეს ერთგვარი უსიამოვნების მიზეზიც გამხდარიყო.

უსიამოვნება მაინც რას უნდა გამოეწვია?

რას და:

მიაწყდებოდნენ ქუთაისელი პოეტები და პროზაიკოსები, ჩვენი ნაწარმოებებიც თარგმნეო. ის კი არა, არაერთი მიხეილსაც მიაკითხავდა შუამდგომლობისათვის. და როდესაც ბორისი ბევრს უარს ეუბნებოდა ჯანმრთელობის მდგომარეობისა ან დროის უქონლობის გამო, წყრებოდნენ: თუკი უჭირს, რატომ არ უნდა ფული იშოვნოსო?

ფული, თორემ დიდძალ თანხას კი მოაქუჩებდა იმ მწირზე მწირი ჰონორარებით!..

მაგრამ მიხეილი კარგად იცნობდა თავის მეგობარს და იცოდა, რომ მას არც ჰონორარი იზიდავდა და არც უჰონორარობა ათქმევინებდა უარს, და ისედაც მიხვდებოდა მიზეზს, ბორისს გულახდილადაც რომ არ გაემჟღავნებინა:

— ნუთუ არ ესმის მწერალს, რომ მთარგმნელმა თარგმანი უნდა გაამდიდროს თავისი აზრებით, სიტყვიერი სახეებით. თარგმანი მდიდრდება, მაგრამ „გამცემი მარჯვენა“ ღარიბდება. განა შემიძლია გავფანტო ჩემი პოეტური არსენალი?.. შენ ხომ იცი, რისთვის მჭირდება ის?

და რუსთველურ შეგონებასაც მოადევნებდა: ხამს მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად აბრკმობდესო.

ეს ყველასაგან განრიდებული, თავის საქმესა და საფიქრალს მიცემული კაცი გარკვეულ ადამიანთა თვალში რაღაც იდუმალის შარავანდით იმოსებოდა და თითოოროლა ახალგაზრდას ძალიანაც ეამაყებოდა მისი ნაცნობობა, და შემთხვევიდან შემთხვევამდე შესაძლოა უცნობებიც ესტუმრებინათ მისთვის.

ბორის გაპონოვის ოთახში ასეთი შემთხვევის წყალობით გივი ალხაზიშვილიც რომ მოხვდებოდა, მაშინ ჯერ სულ რამდენიმე პოეტური პუბლიკაციის ავტორი, წარმოდგენაც არ ექნებოდა, თუ ვინ გახლდათ მისი მასპინძელი, უფრო სწორად, ეგონა, რომ იგი იყო მხოლოდ ავტოქარხნის გაზეთის თანამშრომელი და მოეპოვებოდა ბევრი ძველი წიგნი. და მოგვიანებით, როდესაც აღმოჩნდებოდა, რომ თურმე ბრწყინვალედ ეთარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ და ნაწყვეტებს ამ თარგმანიდან ისრაელის სკოლებში ასწავლიდნენ როგორც საუკეთესოს ენისა და მხატვრულობის თვალსაზრისით, მასთან შეხვედრის დღე ძალდაუტანებლად გამოეყოფოდა სხვა დღეებს, ფრთხილად, თანდათან გამოცალკევდებოდა, როგორც არქეოლოგები გამოცალკევებდნენ ხოლმე ძვირფას ნივთს მიწისაგან ფუნჯისა და თითების ფრთხილი მოძრაობით.

და როდესაც ამ დღის მოსაგონებლად შეიქმნებოდა ესეი „აბრეშუმის შრიალი“, ეს სათაური იქნებოდა კომპოზიციის მთავარი ძარღვი. ახალგაზრდა სტუმარს გაურკვეველი, ძლივს გასაგონი შრიალი თუ შიშინი რომ მოესმოდა, ჰაერი ერთიანად რომ გაეჯერებინა, წამიერად აბრეშუმის ჭიის ხმას მიამსგავსებდა ამ შრიალ-შიშინს, მწვანე ფოთლებს რომ ნთქავდნენ და ნაფლეთებსაც ანადგურებდნენ.

მაგრამ ამ ოთახში აბრეშუმის ჭიას ვერსად დალანდავდა. იდგა მხოლოდ ძველი კარადა და წიგნებით გადაჭედილი მაგიდა, საითაც გაიხედავდი, წიგნები აკოკოლავებულიყო, ოღონდ თითქმის ყველა — ძველი გამოცემა, ვერცერთ ახალ წიგნს ვერ შენიშნავდი. და მერე, გვიან თუ მიხვდებოდი, რომ ეს წიგნები შრიალებდნენ.

ასე უბრალოდ, ასე ბუნებრივად უნდა გაცხადებულიყო, რომ ბორის გაპონოვის ოთახში წიგნები გასულიერებულიყვნენ და, თითქოსდა უძრავად დალაგებულნი, შინაგანად ფეთქავდნენ და ცახცახებდნენ, ღელავდნენ და ანდამატივით მიგაქანებდნენ თავისკენ, და ბორის გაპონოვი უნდა ყოფილიყავი, მათ ერთობლივ სილრმეში რომ ჩაყურყუმელავებულიყავი და ამოგეზიდა და ამოგეზიდა მარგალიტები.

ოთახის ჩაკეტილი და იდუმალად გადახსნილი სივრცე რომ არა, ბორის გაპონოვის ტალანტი და ალღო, გემოვნება და წარმოსახვა ისერიგად ვერ ამოქმედდებოდა და აღზევდებოდა, მის პიროვნულ ხასიათსა და ბუნებას სწორედაც ცხოვრების ეს წესი და ეს სივრცე შეეფერებოდა, მაგრამ ამ — ერთდროულად ჩაკეტილსა და გადახსნილ — სივრცეში არსებობა ბავშვობიდანვე გამოაკლებდა ექსკურსიებსა და

პიკნიკებს და არც შემდგომ იქნებოდა ოჯახურ ლხინთა მონაწილე, ეს გარემოება კი იმ მხრივ იჩენდა თავს, რომ მისი ფოტოსურათები მცირე რაოდენობით თუ შემოგვრჩებოდა.

მიხეილ ფიზიცკის წიგნი მოგვითხრობს, თუ როგორ დაინტერესდებოდა ცნობილი თბილისელი მხატვარი მიშა (მორდეხ) ჯანაშვილი ბორისის ფერწერული პორტრეტის შექმნით, და ეს მას შემდეგ, რაც „ვეფხისტყაოსნის“ ებრაული თარგმანი საქვეყნოდ გახმიანდებოდა. საგანგებოდ ესტუმრებოდა ქუთაისში, მთელ დღეს დაჰყოფდა მასთან და არაერთ ჩანახატს ჩაინიშნავდა. შეპირდებოდა, კიდევ გესტუმრებიო, მაგრამ ამასობაში მხატვარი გადაწყვეტდა მუდმივ საცხოვრებლად ისრაელში გადასვლას, ამის გამო კი დიდი სირთულეები შეექმნებოდა და ბორისთან მეორედ სტუმრობისათვის ვეღარ მოიცლიდა. და თუმც განზრახვას — შეექმნა სახელოვანი თვისტომის პორტრეტული სერია — ხორცს ვერ შეასხამდა, ტილოზე ზეთით შესრულებულ ერთ ნახატს მაინც მოასწრებდა, ხოლო მისი რეპროდუქცია „საბჭოთა ხელოვნების“ ფურცლებზე გამომზეურდებოდა (1989, 4). ამ პუბლიკაციას კი მამის არქივში მიაგნებდა ცისანა ჯანაშვილი და მიხეილ ფიზიცკის გადასცემდა ბორის გაპონოვის ბიოგრაფიის კიდევ ერთი შტრიხით შევსებისათვის.

თვითონ ცისანა ჯანაშვილიც, უკვე აღიარებული პორტრეტისტი, მამის ნაამბობითა და მიხეილ ფიზიცკის გაპონოვური სტატიებით შთაგონებული, შექმნიდა ბორის გაპონოვის პორტრეტს და ორიგინალს გამოუგზავნიდა დავით ბაზოვის სახელობის ქართველ ებრაელთა ისტორიის განახლებულ მუზეუმს თბილისში.

მიხეილ ფიზიცკის ამ მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების გარეკანი სწორედ ამ ნახატითაა დამშვენებული.

მაგრამ მამა-შვილი ჯანაშვილები სულაც არ არიან გამონაკლისნი, რადგანაც არსებობს ბორის გაპონოვის გრაფიკული პორტრეტიც, შესრულებული კარლო ფაჩულიას მიერ, ერთ-ერთი კოლორიტული და სახიერი ნიმუში მისი განთქმული ციკლისა „ჩემი ებრაელი მეზობლები“.

მხატვარი იმავე უბანში ცხოვრობდა, სადაც „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი და სახითაც იცნობდა და ოთახშიც შეეხედა ქუჩიდან დაუფარავი ცნობისწადილით, რადგანაც მისთვის მეტად ანგარიშგასაწევ პიროვნებათაგან სმენოდა ამ უჩვეულო კაცის განსაკუთრებული ტალანტისა და უმნიშვნელოვანესი პროექტის თაობაზე.

და წლების შემდგომ ებრაულ ციკლში წინასწარვე რომ ივარაუდებდა ბორის გაპონოვის პორტრეტსაც, ის გაუხუნარი განწყობილება აღუვსებდა შთაგონებას. თუმც მარტოდენ მეხსიერებას არ დაენდობოდა და თავის მეგობარ მხატვარს ჯეირან ფაჩუაშვილს სთხოვდა ბორისის ფოტოსურათებს, რისი მოძიებაც კი შესაძლებელი გახლდათ.

წიგნებში ჩაფლულად წარმოგვიდგება ამ ნახატზე „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი, არამარტო კარადები რომ გამოუვსია ათასგვარ გამოცემას, მაგიდაზეც უხვად დაზვინულა. ბორის გაპონოვის ზურგსუკან შოთა რუსთველის ვეება პორტრეტი ჰკიდია, მაგიდაზე კი სამოვარი დგას. იმხანად ქუთაისში ყველას ასეთი სამოვარი ედგა და მხატვარი აუცილებლობად მიიჩნევდა ამ დეტალის აღბეჭდვასაც.

შთამბეჭდავი ნახატია, მაშინვე რომ გაგრძნობინებს ამ პიროვნების გამორჩეულობასაც და მის საგანგებო მისიასაც ორ უძველეს და თვითმყოფად კულტურას შორის.

და როდესაც კარლო ფაჩულიას „ჩემი ებრაელი მეზობლები“ 1998 წელს გამოიფინებოდა თბილისში, „ძველ გალერეად“ სახელდებულ სალონში, ბორის გაპონოვის პორტრეტიც ერთბაშად შემოგვანათებდა და დაამშვენებდა იქაურობას.

რეალისტური ნახატია, თუმც ეს სულაც არ გვიშლის ხელს ჯეროვნად შევიგრძნოთ მისი რომანტიკული სული.

* * *

იქ კი, მაშინ...

— არსებობს კი გამოსავალი? — შეშფოთებული ეკითხებოდა მიხეილი მეგობარს, როდესაც ხედავდა, როგორ აწყდებოდა ის აქეთ-იქით მთარგმნელობითი მეთოდების შესწავლა-შერჩევისას და ვერა და ვერ მიეგნო ყველაზე სასურველი კამერტონისა და სტილისტიკისათვის, ყველაზე ზუსტი და სრულყოფილი მეთოდისათვის, რაც შეაძლებინებდა, რომ მისი იდუმალი ხილვა „ვეფხისტყაოსნის“ გამოწყობისა ივრითულ სამოსელში რეალურადაც დადასტურებულიყო.

— არ არსებობს მდგომარეობა, რომლიდანაც არ იყო გამოსავალი, — გვასწავლიან ჩვენი ბრძენკაცნი. უნდა ვეძიო და ვიპოვნო, — მშვიდად, აღუშფოთებლად მიუგებდა ბორისი.

და ეს პასუხი მიახვედრებდა მომავალ ბიოგრაფოსს, რომ ბორისს უკვე მიეგნო გამოსავლისათვის, თანაც სავსებით დარწმუნებულიყო ამ მიგნების სისწორეში და თამამადაც მიჰყვებოდა ამ გზას. დიდი ფანტაზია არ დასჭირდებოდა იმის სავარაუდოდ, რომ იგი შინაგანად შეიგრძნობდა და ესმოდა კიდეც პოემის ცალკეული ტაეპებისა თუ სტროფთა ჟღერადობა მომავალ თარგმანში.

ხოლო რომ სთხოვდა, ბატის ფრთის კონა მიშოვნეო, ეს უჩვეულო თხოვნა კი ძალიან გააკვირვებდა მიხეილს, და მეგობარი განუმარტავდა: მინდა რამდენიმე ფრაგმენტი დავწერო ბატის ფრთის კალმით, ისე, როგორც ოდესღაც წერდნენ, და ჭაშნიკად გავაგზავნო ისრაელშიო.

და მიხეილ ფიზიცკი აღტაცებით დასძენდა: ვისაც ჰქონია სიამოვნება — ეხილა ისრაელში დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ გაპონოვისეული თარგმანი, ყურადღებას მიაქცევდა ნიუანსს, რომელიც არცთუ ხშირად გამოიყენება საგამომცემლო პრაქტიკაში. პოემის ტექსტის ნაწილი, უფრო ზუსტად, დასაწყისის პირველი ოთხი სტროფი, წარმოადგენს ქართული დედნის ფაქსიმილურ ანაბეჭდს. მისი იდენტური ივრითული თარგმანიც ფაქსიმილურადაა დაბეჭდილი პოეტის მიერ ბატის ფრთით დაწერილი ტექსტიდანო.

ოღონდ ვიდრე თარგმანს გზა გაეხსნებოდა გამომცემლობაში, ბორის გაპონოვს ის უნდა გაეგზავნა აბრამ შლიონსკისათვის, გამოჩენილი პოეტისა და აღიარებული მთარგმნელისათვის ივრითზე, პუბლიცისტიც რომ იყო, ივრითის აკადემიის წევრიც 1945 წლიდან და გამომცემლობა „მუშათა ბიბლიოთეკის“ ლიტერატურული რედაქტორიც.

ტექსტის სრული ვერსიის გაცნობა აღაფრთოვანებდა ადრესატს და სასწრაფოდ შეუდგებოდა მისი გამოცემის ორგანიზებასაც და წინასიტყვაობის წერასაც, რომლის პათოსსა და სულისკვეთებას განსაზღვრავდა ეს უმაღლესი შეფასება: სასწაულის სასწაულიაო.

მონოგრაფიის ავტორი მოერიდებოდა მკითხველის გონების გადატვირთვას ორიგინალისა და მისი თარგმანის სპეციფიკურ თავისებურებათა ანალიზის მოხმობით — ცხადია, ეს იმის შიშით, მხატვრულ-დოკუმენტური თხზულებისათვის ნიშანდობლივი თხრობის დინამიკა არ დაბრკოლდესო — და იკმარებდა შლიონსკის იმ ზოგად შეფასებებს, რომლის ზოგიერთი ფრაგმენტი აქაც შეიძლება გავიმეოროთ:

— ეს არის მრავალ და სხვადასხვაგვარ სიშორეთა დაახლოების სასწაული, დაახლოება დროებისა და ადგილების, ფორმებისა და სტილების, წარმოდგენების, ტრადიციებისა და სხვა უამრავი თვისებისა, რომელთაგან უმთავრესია ყოვლისმომცველი გადაულახავი სიშორე ხალხთა ენებს შორის, რადგანაც პოეზიის სამყაროში ენა წარმოადგენს ერთჯერად ერთობლიობას ფორმისა და შინაარსისა...

კიდევ:

— ასეთი სასწაული წილად ხვდა „ვეფხისტყაოსნის“ ებრაულად მთარგმნელს და მისი ღვაწლით ჩვენ პირველად

შევძელით გაგვეცნო ეს ნაწარმოები და მისი შემოქმედი, რომლებიც მოვიდნენ ჩვენთან გარედან და რვა ასწლეულის სიშორიდან ჩვენს სახლშივე გვესაუბრებიან ისე, როგორც ადამიანი თავის თანამედროვეს ესაუბრება...

და კიდევ:

— აღმოსავლეთი აღმოსავლეთს შეხვდა და იმდენად შეეთვისა, რომ ამ კლასიკური ქართული ნაწარმოების ებრაულად გამოცემის კითხვისას... ხანდახან მგონია, რომ წინ გიდევს ებრაული ხელნაწერი, რომელიც თითქოსდა აღმოეჩინოთ რომელიმე განძსაცავში.

შლიონსკის ამ სტატიას ერთად გაეცნობოდნენ მთარგმნელი და მისი მომავალი ბიოგრაფოსი და გაოცებულნი გაუზიარებდნენ ერთმანეთს იმ შთაბეჭდილებას, რომ ადამიანი, რომელმაც არ იცოდა პოემის ენა, არ იცნობდა ამ ენაზე მოლაპარაკე ერს — ქართველებს, მათი ეროვნული ხასიათის თავისებურებებს, ქართულ კულტურას, ისტორიას, ასე ღრმად როგორ ჩაწვდომოდა „ვეფხისტყაოსნის“ არცთუ იოლად გასაგებ არსს.

მიხეილ ფიზიცკი შემდგომშიც არაერთ ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაშრომს გაეცნობოდა მწერლებსა თუ მთარგმნელებზე და აღიარებს: დედანზე, თარგმანის ორიგინალთან შესატყვისობაზე, თარგმანის მნიშვნელობის ზოგადკულტურულ ასპექტზე ასეთი სტრუქტურული ანალიზის მსგავსი არაფერი მინახავსო.

ის უეცარი, ერთბაში შთაბეჭდილება გამოჰყვებოდა გაუხუნრად და გაუნელებლად, თორემ ჯერ მარტო ბორის გაპონოვის ამ თარგმანზე გამოქვეყნებული ზურაბ კიკნაძისეული ანალიტიკური განსჯა სწორედაც იმ უმაღლეს შეფასებას იმსახურებს, თხზულება ქრესტომათიულ მნიშვნელობას რომ იძენს ხოლმე.

საკვირველი ენობრივი მოვლენაო, — ამ ვრცელ რეცენზიაში აცხადებდა ქართველი მკვლევარი.

და იმასაც კიდევ: დედნის კონგენიალური თარგმანიო.

მისი დაკვირვებით, პირველი, რაც შეიძლება შეემჩნია ქართველ მკთხველს ორიგინალთან თარგმანის ზერელე შედარებისასაც, ეს გახლდათ მატერიალური სიახლოვე.

რაღაც უცნაური, მოულოდნელი სიტყვათშეთანხმებაა?

მაინც რას გულისხმობს ზურაბ კიკნაძე მატერიალურ სიახლოვეში?

ეს სულაც არაა ისეთი რამ, რისი განხორციელებაც უსათუოდ უნდა ევალებოდეს მთარგმნელს. და თუ ეს ფაქტი ქართული ენის არმცოდნე ებრაელი მკითხველისათვის შეუმჩნეველი იქნებოდა და თითქოს მხოლოდ მთარგმნელის საიდუმლოდ რჩებოდა, ქართველი მეცნიერისათვის ის წარმოდგებოდა შიფრად, თარგმანში იდუმალად ჩადებულად, ბორის გაპონოვის მიერ ქართულ ენასთან მჭიდრო კონტაქტისა და მისი სიყვარულის დასტურად.

ეს რომ არა, ორიგინალის ტაეპებს ბგერობრივად რატომ უნდა დამთხვეოდა მათი ებრაული ვერსიები?

ერთ შემთხვევაში დედანს თვითონვე უნდა შთაეგონებინა მთარგმნელი, რა აერჩია სარითმო სიტყვად: ეს გახლდათ ე ზ რ ო ს, „ბრძენი ეზროს“, რომელსაც ბორის გაპონოვი, რუსთველოლოგიაში გავრცელებული შეხედულების კვალზე, გააიგივებდა XII საუკუნის ებრაელ პოეტთან მოშე ბენ ეზრასთან და, ბუნებრივია, მნიშვნელობას მიანიჭებდა ამ ფაქტს (არ დაგიდევდა, ყველა რუსთველოლოგი თუ არ იზიარებდა ამ მოსაზრებას) და მასზე ააგებდა მომდევნო რითმებს: ბენ ე ზ რ ა — ი ა ე ზ რ ა — ე ზ რ ა ხ — ე ზ რ ა, რაც ფონეტიკურად ასახავდა დედნისეულ დაბოლოებებს: ე ზ რ ო ს, დაცა ე ზ რ ო ს, ტანად ე ზ რ ო ს, იაბ ე ზ რ ო ს.

მთავარი ისაა, რომ ეს გამონაკლისად სულაც არ დარჩებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ებრაულ ვერსიაში, ერთჯერად ეფექტად, და მკვლევარი არაერთ სტროფს აღმოაჩენდა ამ იდუმალად ჩადებული შიფრის კვალობაზე გაწყობილს.

აგერ თუნდაც ეს სტროფი:

მას ვახსენებდე, ნუ გიკვირს, თქმა მჭირდეს მიწყივ
ა ხ ი ს ა!
მზე თუ ვთქვა მსგავსი მისი და ანუ მისისა ს ა ხ ი ს ა,
ვინ უნახავ-ქმნის გონება ყოველთა კაცთა მ ნ ა ხ ი ს ა;
ვარდი დამჭკნარი ეკალთა შუა, შორს მყოფი, ა ხ, ი ს, ა!

და აგერაც მისი ებრაული ადეკვატის გარეგანი სახე:

ალ-თითმაჰ ქი-ეზქერენნუ ვე-იგნახ ქე-გენახ ო ა ხ,
ლო იდმე ქი-იმ ლა შემეშ ლე-ჰადარ ვე-ჰოდ ვ ა- ხ ო ა ხ
ქოლ-ადამ, აშერ ირ’ენნუ — ეთ ნაფშო იშქახ შ ა ხ ო ა ხ,
ვე-ყათთა ნიდდახ ქა-ვერედ ჰან-ნოველ ბე-შეფად ხ ო ა ხ.

და მკვლევარი აგვიხსნიდა, რომ აქ ბორის გაპონოვისათვის ბიძგის მიმცემი უნდა ყოფილიყო სუბსტანტივიზებული შეძახილი სასოწარკვეთილებისა „ახ“-„ახი“, რაც გამოავლენდა სარითმო ერთეულად მსგავსი ჟღერადობის ებრაულ სიტყვას ო ა ხ — „ჭოტი“ (ხმამიბაძვითი სიტყვა იმავე ა ხ-იდან). ამის გამო პირველ ტაეპში ჩნდებოდა ებრაულისათვის ბუნებრივი სახე: „ნუ გიკვირს, რომ მისი გახსენებისას ჭოტის ხმით ვკვნესი“ (ანალოგიური ეფექტი ჰქონოდა თურმე ხმას ტურისას, როგორც ეს დადასტურებულიყო წინასწარმეტყველ მიქას წიგნში: „ამის გამო მოვთქვამ და ვვალალებ (ელილა), უხამური და ტანშიშველი დავდივარ, ტურების ხმაზე ვკივი“ 1,8).

თარგმანში აისახებოდა ორიგინალისეული მაჯამების უმეტესი ნაწილიც, ხოლო სადაც დედანი არა კარნახობდა ამის აუცილებლობას, მაჯამა სხვა ნებისმიერ სტროფში განხორციელდებოდა და ეს მიიღწეოდა სრულიად ბუნებრივად, ერთი მხრივ, ებრაულ ენაში ისტორიულად შექმნილი ფონეტიკური თავისებურებით და, მეორე მხრივ, ებრაული პოეზიის ტრადიციის წყალობით.

და ზურაბ კიკნაძე კვლავ მოშე ბენ ეზრას ლანდს გამოიხმობდა: მისი ზოგიერთი პოემა მთლიანად მაჯამურადაა გაწყობილიო.

ორი ენის სტიქიაში ღრმად შეჭრა და უღრმესი შრეებისა და ფენების გაშინაგანება შეაძლებინებდა ბორის გაპონოვს „ვეფხისტყაოსნის“ გარეგნული მუსიკალურობის შენარჩუნებასაც და, რაც მთავარია, იდუმალი მელოდიურობის მიგნება-განმეორებასაც, და ლაღად, ძალდაუტანებლად მომჩქეფარე თხრობა ამიტომაც მიიტანდა ებრაელ მკითხველამდე იმ რელიგიურ, ფილოსოფიურ სულსა და მეტაფორულ თავისებურება-მომხიბვლელობას, რისი უხვი მაგალითიც ასე სახიერად და დამაჯერებლად წარმოდგებოდა ზურაბ კიკნაძის ანალიტიკურ ნარკვევში, რომელიც ამ ან რაღაც ამგვარი ფინალით თუ დაგვირგვინდებოდა, ბორის გაპონოვს იმ მოშაირეთა რიცხვს რომ მიაკუთვნებდა, რომელთა გვარიც თვით რუსთველს განესაზღვრა: არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვამცირობა, ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობაო, — და მიედევნებოდა:

— დიდი გმირობაა (ებრაულად რომ ვთქვათ, გ ე ვ უ რ ა, რაც გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა ს ა ც ნიშნავს), ჭეშმარიტად, ბორისდოვ გაპონოვის ღვაწლი.

* * *

გარდაცვალების შემდგომ ბორის გაპონოვსაც გამოუჩნდებოდნენ „მეგობრები“, თავს რომ დასდებდნენ მის კეთილისმყოფელობაზე და მოჰყვებოდნენ პრესის ფურცლებზე ვაივიშს: თავის თავში ჩაკეტილი, ტრაგიკული პიროვნება იყოო; თავის ტალანტსა და უიღბლო ცხოვრებასთან ბო-

ლომდე მარტო დარჩაო; ამქვეყნიდან წავიდა გაუხარლად, როგორც სული ობოლიო...

მწარედ ეცინებოდა ამ სტრიქონების გაცნობისას მიხეილ ფიზიკის: ნეტა წარმოდგენა თუ აქვთ ამ ადამიანებს, ან „ტრაგიზმი“ რას ნიშნავს და ან „მარტოობაო“? მაგათ, მგონი, ნიკოლოზ ბარათაშვილის „სული ობოლიც“ არ იციანო.

ეცინებოდა, რადგანაც ჩინებულად მოეხსენებოდა, რომ ბორისი არავითარ მარტოობას არ განიცდიდა, არც არავითარ ბედის უიღბლობასა და ტრაგიზმს არ შეიგრძნობდა.

რაო, ერთი „მემუარისტი“ რას ირწმუნებოდა?

ბორისს გამოსამშვიდობებლად ვესტუმრე ისრაელში გამგზავრებამდე ორი კვირით ადრე და მასპინძელმა სინანული გამოთქვა აქედან წასვლის გამოო.

არადა, სინამდვილეში სულ სხვაგვარად გახლდათ — ბორის გაპონოვის შესაძლო ალიის თაობაზე მიხეილმა და კიდევ ორიოდე კაცმა თუ იცოდა და არცერთი ამ თემაზე კრინტსაც არა ძრავდა. თანაც... თანაც იმხანად ბორისს ხომ უკვე დაკარგული ჰქონდა მეტყველება?!.

კიდევ კარგი შელამაზებულ, გადასხვაფერებულ, სულაც ყალბ ცნობათა ანაბარა არა ვართ დარჩენილნი და მოგვეპოვება ასეთი სრულფასოვანი, ბორის გაპონოვის სულისაკენ გზის გამკვალავი თხზულება, მიხეილ ფიზიკის სახელით აღბეჭდილი, ის შიშიც რომ კრთის მისი ფურცლებიდან: ხომ არ არის გადაჭარბებული მონოგრაფიის გმირის შეფასება — მისი პიროვნების, მოწოდების, დამსახურების, ნიჭისა თუ ცოდნის? ხომ არ არის გაფეტიშებულიო?

ეს ის შიშია, რაც ყველა ბიოგრაფოსს უნდა ახასიათებდეს და შეფიქრიანებული მოელოდეს პროფესიონალი მკითხველის მსჯავრს, რაც ამ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ მოწონებით გამოიხატება, რადგანაც შეუძლებელია არ გაიზიარო ის შეხედულება, რომ ბორის გაპონოვის პიროვნება და შემოქმედებითი მემკვიდრეობა მაგალითად და ეტალონად დარჩება თაობებს, და თუ რაიმე შეჰფერის მის დიდებულ სულს, შოთა რუსთველის ის სტრიქონებიც, მიხეილ ფიზიკის წიგნის დამაგვირგვინებელ აკორდად რომ შერჩეულა: შენ არგატეხა კარგი გჭირს ზენაარისა, ფიცისა, ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისაო!..

* * *

არ არსებობს მდგომარეობა, რომლიდანაც არ იყო გამოსავალიო, — ეჭვი არ ეპარებოდა ბორის გაპონოვს.

ნინო ჩხიკვიშვილი

„გრონჰოლმის მეთოდი“ ანუ დაბრუნება...

ჟორდი გალსერანის „გრონჰოლმის მეთოდი“ ის პიესაა, თემურ ჩხეიძემ „ბდტ“-ს შემდეგ საქართველოში რომ დადგა და ამით ახალი ერა კვლავ დაიწყო ქართულ თეატრში!

...ანუ თემურ ჩხეიძე საქართველოში საბოლოოდ დაბრუნდა და გვითხრა: მოვედი, სრულიად განსხვავებული, ახალი ესთეტიკით, ახლა ჯერი თქვენზეა, ქართველ მაყურებელზეო! დიახ, ასეთია თემურ ჩხეიძის სტილი — სიახლის (გამძაფრებული) განცდით მოდერნიზმს კლასიკად აქცევს და საეტაპო სპექტაკლებს სთავაზობს (თავის) მაყურებელს. სიტყვა „თავისი“ შემთხვევით არ მიხსენებია, თემურ ჩხეიძეს ნამდვილად ჰყავს ისეთი მაყურებელი, რომელიც ასეთ ესთეტიკას აფასებს, მითუფრო დღეს, როცა, ფსიქოლოგიური თეატრი ჩვენში დიდ ფუფუნებად იქცა, რადგან ქართული თეატრი, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ლამის უკონცეფციოდ დარჩა და მხოლოდ გასართობ არენად იქცა.

ფსიქოლოგიური თეატრი ადამიანის სულში გვახედებს. დაფარულ, საგულდაგულოდ დაგმანულ შრეებს ხსნის, დაკვირვებული ძიების შედეგად რომ ამოტივტივდება ზედაპირზე. თუნდაც ამისთვის ერთგვარი „ფსიქოლოგიური ტესტების“ ამოხსნაც კი დასჭირდეს, როგორც ეს ამ ახალ სპექტაკლში ხდება.

ანონსში ითქვა, რომ ამ სპექტაკლში მრავლადაა სიურრეალისტური მომენტები, ფსიქოლოგიური დეტექტივიც უწოდეს და, თუმც აბსურდად არ მოუნათლავთ, მასში მრავლადაა აბსურდის თეატრისთვის დამახასიათებელი ელემენტებიც. პიესა ეკლექტურია, რაც დამახასიათებელია თანამედროვე ხელოვნებისთვის და ეს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

ცნობილი ესპანელი დრამატურგის ჟორდი გალსერანის პიესის თარგმნა ჩვენმა თეატრალურმა მოღვაწემ თამაზ გოდერძიშვილმა ითავა (სხვაგვარად წარმოუდგენელიც იყო, მისი და ბატონი თემურის ტანდემს ხომ ასე შეეჩვია ქართველი მაყურებელი), მისეული, გამორჩეული ალღოთი მიაგნო სიტყვათა სცენიურ ჟღერადობას (რაც იშვიათობას წარმოადგენს ჩვენს რეალობაში, დღეს სცენიდან დახვეწილ ქართულს, სამწუხაროდ, ხშირად ვეღარ ვისმენთ).

„გრონჰოლმის მეთოდი“ — ეს არის თამაში, თავისი პირობებით. სამი ფსიქოლოგი და პრესტიჟული სამუშაოს მაძიებელი პირი მოქმედი პერსონაჟები არიან. სამუშაოს მაძიებელი ახალგაზრდა მამაკაცი თანდათან ცდილობს გაერკვეს რეალობაში და ყველა მეტოქე ჩამოიშოროს.

თუ თავის დროზე ნიცშემ თქვა, ღმერთი მოკვდაო! თანამედროვე, სუპერგანვითარებული ტექნოლოგიების XXI საუკუნე გვაფრთხილებს, ადამიანიც (თანდათან) კვდება და მის ადგილს რობოტები იკავებენო! უახლეს ფსიქოლოგიურ კვლევათა თანახმად, დადგინდა, რომ ტვინი ერთადერთი ორგანოა, რომლის შეცვლაც, ერთგვარი ფორმირება შესაძლებელია. შეგვიძლია ისეთები გავხდეთ, როგორებიც გვსურს. ემოციები, გრძნობები ვმართოთ. ერთი შეხედვით, ამაში თითქოს ცუდი არაფერია, მაგრამ... ამ ყოველივეს სიკეთესთან ერთად ბოროტების გაღვივებაც შეუძლია. რაკი ეს მიკრომოვლენა არ გახლავთ, ჩვენშიც აქტუალურია ამ პრობლემის წამოჭრა და... ქართულ სცენაზე სხვას ვის შეეძლო ასე სასტიკად, დაუნდობლად ეთქვა ეს, თუ არა თემურ ჩხეიძეს?!

რეჟისორი (როგორც მოსალოდნელი იყო) არანაირ გამოგონილ ეფექტებზე არ აგებს სპექტაკლს, პირიქით, ეგრეთნოდებული თეატრალური სანახაობა ლამის უგულებელყოფილია, მთავარი აქცენტი დასმულია ადამიანის სულიერი ასპექტების წარმოჩენაზე. ურთულესი პროცესია, მგონი, ბატონ თემურს ასე მძაფრად, ასე ულმობლად ჯერ არცერთ სპექტაკლში არ გაუშიშვლებია ადამიანის სული... ამის საფუძველს, რა თქმა უნდა, პიესაც იძლევა: სცენაზე თამაშდება ტრაგედია, სადაც, მართალია, არავინ იღუპება ფიზიკურად, მაგრამ სულიერი განადგურება, დაცემა გარდუვალია!

სპექტაკლის დაწყებამდე საინტერესო სცენოგრაფია (არც ამ სპექტაკლში იყენებს თემურ ჩხეიძე ფარდას, მხატვარი გოგი ალექსი-მესხიშვილი გახლავთ) ძუნწი ფერებით, მაგრამ მეტყველი შტრიხებით მიგვანიშნებს, რომ მოქმედება ჩაკეტილ სივრცეში ვითარდება, ამ ჩაკეტილ სივრცეს მხოლოდ ხანდახან „ხსნის“ ზარდახშის სასიამოვნო ჟღერადობა, რომელიც შორეულ სიყმაწვილეში გაბრუნებს, მაგრამ

ესეც წამიერია, რადგან ამ „ზარდახშაში“ დევს არა რელიკვია, ნივთი, რომელიც ჩვენში დადებით (ხშირად სენტიმენტალურ) ემოციებს აღძრავს, არამედ პიროვნების „სამხილი ტესტები“.

სამუშაო ოთახის ფონზე, აივნის (აივანზე გამავალი ორი კარია) მიღმა, მკრთალ ნათელში მწვანე და ცისფერი მოჩანს. ეტყობა, გარეთ ყვავილები ჰყვავიან, ვინ იცის, სადმე ჩიტებიც გალობენ, მაგრამ შიგნით, ამ ნაცრისფერ გარემოს არაფერი ეტყობა, იმისა, რომ გარეთ ბუნებაა. აქ, ერთ-ერთი პრესტიჟული ოფისის სამუშაო ოთახში, გამაღიზიანებელი ხელოვნური სინათლის ფონზე ჰაერი ისეთი ბლანტია, სუნთქვაც ჭირს, ეს შეგრძნება განსაკუთრებით ფინალისკენ ძლიერდება, როცა ბოლო აკორდად პროჟექტორის კაშკაშა სინათლე, როგორც „დამკვირვებელი თვალი“, ერთ-ერთ პერსონაჟს „ყლაპავს“, მაყურებელთა დარბაზსაც ზვერავს, თითოეული ჩვენგანის სულში ჩახედვას ლამობს და... სწორედ ამ დროს, როცა ფაქტობრივად სცენაზე მოქმედება მთავრდება, ამ უჰაერო ვაკუუმში უეცრად კლასიკური მუსიკის ჰანგები შემოიჭრება, არა როგორც იმედი, არამედ როგორც გამანადგურებელი, უკანასკნელი მეცხრე ტალღა.

აპოლონ კუბლაშვილი (კარლოსი)
ალეკო მახარობლიშვილი (ენრიკე)
ეკა ჩხეიძე (მერსედესი)
ნიკა თავაძე (ფერნანდო)

უანტრაქტო, ორსაათიანი სპექტაკლი მაყურებელს მოდუნების საშუალებას არ აძლევს (საკმარისია ერთ-ერთი პერსონაჟის რეპლიკა გამოგრჩეს და ვეღარაფერს გაიგებ). ახლაც, ამ შემთხვევაშიც თემურ ჩხეიძე ერთნიშნა პასუხებს არ სცემს იმ კითხებზე, რომელიც მაყურებელს უჩნდება...

თავიდან გგონია, მთავარი პერსონაჟი არ არსებობს (თუ არ ვიგულისხმებთ, რომ ე ჭ ვ ი ა სპექტაკლის მთავარი პერსონაჟი და ის სათვალთვალო კამერა, რომელიც ფინალში დიდ, კაშკაშა პროჟექტორად იქცევა), მაგრამ ერთ-ერთი პერსონაჟი, ფერნანდო — ნიკა თავაძე, მაინც გამორჩეულ, ვიტყოდი, მთავარ პერსონაჟად წარმოჩნდება. მთელი პიესა მისი პიროვნების ამოცნობისკენაა მიმართული: ფერნანდო ინტელექტუალური ნაძირალაა, რომელსაც მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებს — ჰქონდეს პრესტიჟული სამსახური, კარგი ხელფასი, დანარჩენი არ აინტერესებს, ზნეობისგან საკმაოდ შორს დგას, მისთვის არ არსებობს სიყვარული, მშობლების პატივისცემა. თანალმობის განცდა ატროფირებული აქვს. გარემო, რომელშიც აღმოჩნდება, როგორც ლაკმუსის ქაღალდი, ისე წარმოაჩენს მას. ფერნანდო ყველა ბარიერს გადალახავს, მაგრამ სამსახურში მაინც არ მიიღებენ!

აქ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი: სპექტაკლის ფინალში ერთ-ერთი პერსონაჟის — მერსედესის — ნათქვამი: *„ჩვენ არ გვჭირდება კარგი კაცი, რომელიც თავს ნაძირლად ასაღებს; ჩვენ ვეძებთ ნაძირალას, რომელიც კარგ კაცს ძალიან ჰგავს“* — მთავარი მაგისტრალური ხაზია, რამაც განსაზღვრა სპექტაკლის მორალი: ნუ ვიცხოვრებთ ჯუნგლის კანონით!

პიესაში, როგორც ბოლოს ირკვევა, დანარჩენი სამი პერსონაჟი დამკვირვებელია, ისინიც არანაკლები ნაძირალები არიან: რეჟისორი პიესის ავტორის ჩანაფიქრს უფრო მეტად ამძაფრებს და გვანახებს, როგორ ზვერავენ ფსიქოლოგები ერთმანეთის პროფესიონალიზმს (რადგან აქაც ჯუნგლის კანონი მუშაობს!). ამიტომაც მათი მოჩვენებითი კონფლიქტიც კი ხშირად რეალურს ემგვანება. მხოლოდ სპექტაკლის ფინალში ხვდება მაყურებელი, რომ ერთადერთი ნიკა თავაძის პერსონაჟი იყო გასაუბრებაზე მისული, დანარჩენები — ფსიქოლოგები — კი მას აკვირდებოდნენ, ამოცანებს სთავაზობდნენ. უცნაურია, მაგრამ ასეა: მხოლოდ ფინალში ირკვევა, თურმე ალეკო მახარობლიშვილის პერსონაჟი — ენრიკე — ლამის სცენაზე გამოჩენისთანავე მიანიშნებდა ფერნანდოს, რომ ეს ყველაფერი თამაში იყო და მას და მხოლოდ მას სცდიდნენ. სწორედ ამიტომაც ხაზგასმულადაა ნაჩვენები სცენაზე ის, რომ ფსიქოლოგთა არცერთი სიტყვა არასდროს შესაბამება მათ ფიზიკურ მდგომარეობასა და მოქმედებას.

პირველივე დავალებისას, ყოველ ნაბიჯზე ფერნარდო თავის ნამდვილ სახეს „აჩვენებს“, ყოველი მომდევნო დავალება უფრო ამძაფრებს მასში აზარტს, თამაშის სურვილს, გამარჯვებისთვის შეუძლია ყველა და ყველაფერი გაანადგუროს. ფინალში ყოველივე კულმინაციას აღწევს, როცა საკუთარ მშობლებზე გამონაგონ ამბავს ჰყვება, ლამისაა ყველაფერი აპატიო, რადგან თურმე პრესტიჟული სამსახური და ხელფასიც მოხუცი მშობლების სანუგეშოდ სდომებია (ამ დროს მაყურებელს ძალიან უნდა, იგი მართლაც კეთილშობილი იყოს). ფერნანდოს — ნიკა თავაძეს საკმაოდ დიდი მონოლოგი აქვს, ცდილობს პარტნიორი (ეკა ჩხეიძე) და მაყურებელი თავის გულწრფელობაში დაარწმუნოს. ამ დროს ხმის ტემბრიც ეცვლება. ჩვენს წინაშეა მოსიყვარულე, მზრუნველი შვილი, მოძრაობაც კი გათვლილია ამ ემოციის გასამძაფრებლად და აქ, ამ სცენაში მსახიობი იყენებს საინტერესო „ნიღაბს“, რომელსაც იოლად შეუძლია, მაყურებლის სათავისოდ გადაბირება, ეს მარტივი ხერხია (თუ ოსტატობაც მოგდევს): თამაშია თამაშის გარეშე!..

საერთოდ, მსახიობებზე საუბრისას შეუძლებლია რომელიმე განსაკუთრებულად გამოყო (რადგან ბატონი თემურის სპექტაკლებში მსახიობთა ანსამბლი ისეა შერჩეული, გაგიჭირდება რომელიმეს ნაცვლად სხვა მსახიობი წარმოიდგინო): ალეკო მახარობლიშვილი თემურ ჩხეიძის ბოლო პერიოდის თითქმის ყველა სპექტაკლში მონაწილეობს და, ამდენად, მისი გამოჩენა ამ ბოლო დადგმაშიც მოულოდნელი არ ყოფილა. ეკა ჩხეიძესა და ნიკა თავაძესაც ბატონ თემურთან მუშაობის საკმაო გამოცდილება დაუგროვდათ. აპოლონ კუბლაშვილი კი პირველად დადგა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე თემურ ჩხეიძის ძალისხმევით და ორგანულად შეერწყა ამ ანსამბლს. ბატონმა თემურმა პირველად იმუშავა მასთან. ახალი, მოულოდნელი პლასტები აღმოაჩინა მსახიობში და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა თავისი კონცეფციის უტყუარობაში: როლების განაწილება მისთვის სპექტაკლის გადაწყვეტასაც ნიშნავს და ამიტომაც არ უყვარს დუბლიორთა სისტემით სპექტაკლის დადგმა.

P.S. ბატონმა თემურმა ერთხელ თქვა, როცა სპექტაკლს ვდგამ, ის აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს უფლის 10 მცნებიდან რომელიმესო.

ეს სპექტაკლი, ჩემი აზრით, უფლის ათივე მცნებას ეხმიანება, რადან მასში ათივე დარღვეულია! რაც მთავარია, უფლის მიერ თავის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანია სულიერად განადგურებული, უფლის მეექვსე მცნება კი მოგვიწოდებს, არა კაც ჰკლაო! და ეს მხოლოდ ფიზიკურ განადგურებას არ ნიშნავს!!!

გივი ალხაზიშვილი

დანაშაულით მკვდარი

არ იცის თავისი მომავალი, თუმცა ყველა ვერსია გათვლილი აქვს, ჯერ ლაზიკა მაქვს ასაშენებელიო, მერე კი მანამდე ვიქნები, ვიდრე ლაზიკა შავიზღვისპირეთში ყველაზე ბრწყინვალე ქალაქი არ იქნებაო. იგი სიმულაციებით საზრდოობს და ტყუილი მისი ცხოვრების წესია, აუცილებელი პირობაა. სწორედ ამიტომ ჯერ თავს იტყუებს, მერე თავის ტყუილს სიმართლედ ასაღებს და მთელი პათოსით გაჰყვირის თუ დაჰყვირის ძალით მორეკილ საწყალ პედაგოგებს და საბიუჯეტო სამსახურების თანამშრომლებს. მათაც ყელში აქვთ ამოსული ამ ტიპის შემაწუხებელი სუპერაქტიურობა. მიუხედავად ჩვენი შეხედულებებისა, ის ნამდვილად ტრაგიკული ტიპია, რადგან უწევს ცხოვრება სიშლეგის და რეალობის ზღვარზე, ამ ორი ნაპირის გამუდმებული მონაცვლეობის რიტმში, და ამიტომაც დახტის მისი ფიქრები ურთიერთგამომრიცხავ უკიდურესობებში. მას არ შეუძლია სიმშვიდე. ეშინია განმარტოებული ფიქრის და სიმშვიდის. არ შეუძლია საკუთარ მეში ჩაეტიოს. მისი ბუნებრივი მდგომარეობა კოლექტიური მეს დამორჩილება და მასზე დაყრდნობით მეგალომანიის დაოკებაა, დროებით მაინც. ახლა კი დადის ორ წერტილს შორის გაბმულ თოკზე, როდის გაწყდება, რომ არ იცის, და შიშიც უჩნდება გულში, რადგან იცის მოწინააღმდეგის დიდი უპირატესობა და ეჭვიც ეპარება, ძალადობით თუ მიაღწევს საწადელს, მაგრამ იხტიბარს არ იტეხს და აგრძელებს რეპრესიებს. თვითონ გაეროშია, მისი ზონდერები და პოლიციელები კი დაძრწიან „ქართული ოცნების“ შტაბებთან, ქუჩებში და ოცნების მაისურიან დიდსა და პატარას სცემენ და იჭერენ. ასეთი რამ არასოდეს მინახავს, კინოშიც კი, რადგან რაც ჩვენში ხდება, ეს რეპრესიაც კი, როგორღაც პაროდიის თუ კარიკატურული სტილისტიკის ელფერს ინარჩუნებს და ალბათ იმიტომ, რომ იგი ამბიციამ და მისმა ქაქანმა გააშარჟა მრავალი ადამიანის თვალსა და ფიქრში. მთელი უცნაურობა სწორედ ესაა, რომ თითქოს იმეორებს რომაელი ნერონის მრავალ თვისებას, მაგრამ მაინც არ არის ნამდვილი ნერონი, უფრო ნერონის კარიკატურაა, თუნდაც იმიტომ, რომ იმპერიის კი არა, ჩვენი ბედკრული ქვეყნის დირექტორია და თამაშობს იმპერატორს, თავის გამოჩენის მასშტაბებიც არ აკმაყოფილებს და მსოფლიო პოლიტიკის ელიტასთან სურს მიახლოება, თან ცდილობს როგორმე მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოხვდეს და საამისოდ ათასნაირ ხრიკებს იგონებს.

მასში ყოველი ნეირონი
ნამდვილად არის ნერონის.

ساااკაშვილს საქართველო იმდენად ახსოვს, რამდენადაც ის არის მისთვის თავის გამოჩენის მთავარი საშუალება.

გუშინ გაეროს ტრიბუნიდან გაისმა ساااკაშვილის სიტყვა. „ძალადობა არასდროს იქნება ლეგიტიმური და უმრავლესობის ნება ყოველთვის უნდა აღსრულდეს. იარაღი, შანტაჟი და სხვა მსგავსი ღონისძიებები არასოდეს იქნება უმრავლესობის სურვილი. ჩვენი პასუხი ამ ყველაფერზე, ამ შიშებზე და საფრთხეზე არის პლურალიზმის კიდევ უფრო გავრცელება, კანონის პატივიცემის კიდევ უფრო გავრცელება. არც კი შემიძლია ვთქვა, როგორი რთულია ეს პროცესი, მაგრამ მისი ალტერნატივა არ არსებობს.“ (ინტერპრესნიუსი, რუსთავი 2-ის სინქრონული თარგმანი).

ეს სიტყვა ერთგვარი პრევენციაა, წინასაარჩევნო დარღვევების გადაფარვაა. რაც ეუთომ ორიოდე დღის წინათ აღნიშნა წინასაარჩევნო დასკვნაში და მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, შეწყვიტოს ძალადობა კონკურენტი პარტიის აქტივისტებზე. უახლოეს ხანში სამოცამდე ადამიანია დაპატიმრებული სტანდარტული მუხლით — პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

პრეზიდენტის სიტყვაში, ჩემი აზრით, იმ სიტყვებმა გამოჟონა, რის ჩადენასაც აპირებს ხელისუფლება. იგი ახსენებს იარაღს სრულიად ულოგიკოდ, რადგან ოპოზიცია აბსოლუტურად უიარაღოა და შემოდინებული ფულიც მითია, როგორც იარაღი, და ეს ყველაფერი იმ ვერსიის ნაწილია, რაც ერთხელ პრეზიდენტმა შეთხზა და დღემდე ცდილობს მსოფლიოს სიმართლედ შეასაღოს საკუთარი გამონაგონი.

ამიტომ არის მწირი და პლაგიატური მათი წინასაარჩევნო პროგრამა და ბიუჯეტი საეჭვოდ დეფიციტური, როგორც სარწმუნო წყაროები იუწყებიან.

რადგან იარაღი ახსენა მიშამ, ე.ი. უახლოეს ხანში სადმე იპოვიან თავის გადამალულ იარაღს, რაზეც ქართულმა ოცნებამ უკვე ხმამაღლა განაცხადა. მიუხედავად ამისა, უარგუმენტოდ, პრეზიდენტის ფანტაზიაზე დაყრდნობით, ისევე შეთხზავენ არჩევნებამდე იარაღის შემოტანის ფაქტს და სახელმწიფო გადატრიალების ალბათობას, როგორც გოგა ხაინდრავას გამოუგონეს საფრანგეთის ჟანდარმერიის სახელით მათივე შეთითხნილი ბრალდება, და ამის საბაბად იქცა ხაინდრავას სტუმრობა პარიზში კანონიერ ქურდ რეზო ლორთქიფანიძესთან. ნაჩვენებია ორიოდ კადრი, რომელშიც ხაინდრავა ორჯერ ჩნდება, საფრანგეთის ჟანდარმერია ადასტურებს მის შეხვედრას ქართველ კანონიერ ქურდთან, ხოლო დანარჩენი, სახელმწიფოს გადატრიალებისთვის მზადება და შავების ჩართვა ამ საქმეში, იმის გამონაგონია, ვისაც ძალიან სურს გაუსწორდეს ხაინდრავას. პრეზიდენტის შურისძიების გამომწვევი მიზეზი ხაინდრავას დოკუმენტური ფილმია, რომელმაც მოიარა მრავალი ქვეყანა და ჩამოხსნა ნიღაბი დემოკრატიის შუქურად წოდებულ ساااკაშვილს და მისი ნამდვილი სახე გამოაჩინა. ამ ფილმში შეკრებილია ნულოვანი ტოლერანტობის სისხლიანი შედეგები გირგვლიანის მკვლელობიდან, ვაზაგაშვილის, რობაქიძის და სხვათა ჩახოცვით გაგრძელებული. დახოცილთა სულები არ მოასვენებს ამ ცრუპენტელა კარიკატურას. არსებობს მეორე მიზეზიც, ახლახან მაესტროში სტუმრადმყოფმა ხაინდრავამ პირდაპირ ეთერში აგინა პრეზიდენტს, ცხადია ესეც გაიგო მიშამ და აღივსო შურისძიების დაუოკებელი სურვილით და მისი დაპატიმრება გადაწყვიტა.

გუშინ, 25 სექტემბერს პროკურატურამ დაკითხა ხაინდრავა და იმავე დღეს გამოუშვა. როგორ ფიქრობთ, გამოუშვებდა ხაინდრავას პროკურატურა, რამე მტკიცებულებისმაგვარი რომ ხელთ ჰქონდეთ?? მტკიცებულებად ვერ გამოდგა მიშას ტვინში დაბადებული რიტორიკა, რომელიც მიაბეს საფრანგეთის ჟანდარმერიას და საერთოდ, ფრანგული ჟანდარმერიის სახელით ილაპარაკეს ეს სისულელეები. როგორც ყოველთვის, ახლაც „ტყუილს მოკლე ფეხი აქვს“.

შსს-ს მორიგ სერიაში, ვიდრე იარაღი გამოჩნდება ან გაისვრის, მანამდე, უნდა გათამაშდეს ეპიზოდი იმ სცენარიდან, რაც მის ავადმყოფ ტვინში იბადება. ასე ცდილობს იგი საკუთარი ფანტაზიის კორექციას და მის არგუმენტად გამოყენებას. გუშინ მთელი ფეისბუკი ღადაობდა ამ ფილმებსა და მის მთხზველებზე.

როგორც ინტერპრესნიუსი იუწყება, გოგა ხაინდრავას დაკითხვის მეორე სერია 27 სექტემბერს არის დანიშნული. სწორედ ამიტომ იგი ვერ მოახერხებს კიევში წასვლას, სადაც მისი ფილმის ჩვენება გაიმართება.

*** დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №19**

რიკარდო მილიორიმ — ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა — შეშფოთება გამოხატა საქართველოში წინასაარჩევნო პერიოდში მომხდარ ფაქტებზე და განაცხადა: „სერიოზული მიდგომა სჭირდება დაკავების ფაქტებსა და მხარეების მიერ გაკეთებულ ბრალდებებს, რომელთა საფუძველზე წინასაარჩევნოდ პოლიტიკური აქტივისტების თამაშიდან გათიშვა ხდება“.

ამონარიდი, **ნინო ქადაგიძის** ინტერვიუდან **„ზურაბ ჟვანიას სიკვდილი ახალაიას, ალანიას და მელნიკოვს უკავშირდება“**(ნათია დოლიძე, გაზეთი „ყველა სიახლე“)

„2004 წელს ზურას დაბადების დღეზე ჩვენთან სტუმრად იყვნენ: სააკაშვილი, მერაბიშვილი, ოქრუაშვილი და ადეიშვილი. ბევრი სტუმარი გვყავდა. ესენი გვიან მოვიდნენ და ცალკე მაგიდის გაშლა დაგვჭირდა. მოკლედ ისე მოხდა, რომ ერთ სუფრასთან მოუწიათ ჯდომა. მახსოვს, მათმა საუბარმა როგორ შემაშფოთა. ამას წინათ ტელევიზიით მიხეილ სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის სატელეფონო საუბრის ჩანაწერი მოგვასმენინეს, რომელშიც ფოტოგრაფების საქმეზე ლაპარაკობდნენ, რომ ვიღაც უშლიდათ ხელს, ამბობდნენ, მოვიშოროთ, ამას ჩავუგდებთ, იმას დავაჭერინებთო... მაშინ ვიფიქრე, დავიღუპეთ-მეთქი.“

ნინო ქადაგიძის მონათხრობი მაფიქრებინებს რომ ყველა ძალადობის ავტორი მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი კი არა, მისი გარემოცვა იყო სააკაშვილთან ერთად. ასე რომ, უახლოეს დროში მათაც მოუწევთ კუთვნილი ხვედრის განაწილება. ლხინში თანაზიარები ჭირშიც თანაზიარები უნდა იყვნენ....

„სააკაშვილისთვის ადამიანი არასდროს ყოფილა მნიშვნელოვანი. ვისაც ამ კაცთან ოდესმე შეხება ჰქონია, ეს უგრძვნია. ჩვენს სახლში სააკაშვილი ოჯახით ცხოვრობდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ვუყურებდი მის ურთიერთობას მეუღლესთან, შვილთან, მერწმუნეთ, ეს მართლაც უცნაური ურთიერთობები იყო... ვფიქრობდი, შესაძლოა სხვისი თანდასწრების გამოა ეს ურთიერთობები ასეთი-მეთქი.. ეს კაცი ოჯახის წევრების მიმართაც კი არ გამოხატავდა სითბოს და ყურადღებას. თითქოს მის პიროვნებაში ეს ნაწილი საერთოდ არ იყო. არ არის ეს კაცი ჯანმრთელი, რაღაც ემოციები აკლია. დაუნდობლობაც აქედან მოდის, თუნდაც ის, რაც ზურას მიმართ, მისი ოჯახის მიმართ გამოიჩინა (ნათია დოლიძე).

ნინო ქადაგიძის ინტერვიუში ზუსტად არის ნაჩვენები სააკაშვილის სულიერი პორტრეტი, ანუ როგორია იგი შინაურ გარემოში. ადრევე ვამბობდი, დავწერე კიდეც, რომ იგი მიზანთროპია, ნინო ქადაგიძეც ამასვე ამბობს თავის ინტერვიუში. ეს ფსიქოტიპი, გლობალურ ძვრებზე ფიქრობს და ავიწყდება ყოველგვარი ადამიანური, გარდა პირადი სურვილებისა და აკვიატებისა, რისთვისაც იგი მზად არის დაიკიდოს მთელი საქართველო და თავისი ახირება ხალხის ნებად გამოაცხადოს. ბაგრატის ტაძრის ხელახალი აშენება და გადახურვა გაიხსენეთ თავისი მწვანე სახურავით. სამწუხაროდ, ალბათ, იუნესკო თავისი სიიდან ამოიღებს ტაძარს, მხოლოდ იმიტომ რომ სააკაშვილმა უარი თქვა რესტავრაციის მიღებულ ნორმებზე და სხვა არქიტექტურული ძეგლი შექმნა. არ ვიცი, არქმევს თუ არა სახელს იგი თავის გატაცებას, მაგრამ, ჩემი აზრით, ის კიჩის თაყვანისმცემელია. ორი მაგალითის დასახელებაც კმარა — წმინდა გიორგის რომელიღაც ასლი თავისუფლების მოედანზე, ბაგრატის ტაძრის გადახურვა და სახურავის მწვანედ შეღებვა — მის გემოვნებაზე მეტყველებს.

ამაზე 2008 წლის ომისდროიდელ დღიურში ვწერდი: ეს ჩვენი ვითომ-ლიბერალი პრეზიდენტი ფეოდალური სამყაროს გადმონაშთივით საუბრობს და აზროვნებს, მისი ლექსიკაც ნაციონალ-პატრიოტულია და შუასაუკუნეების გმირების მაგალითების მიბაძვას გვიკიჟინებს, პარალელურად ჯეო-ბარით მოაქვს თავი, თან ნაციონალ-ბოლშევიკობაც სცადა ხანგრძლივი დროის მანძლზე, კულტურა საკუთარი მხარდამჭერების დონეზე აინტერესებს და ისიც სხვათაშორის და მის კიჩურ გემოვნებას ეწირება მთელი ქვეყანა. რჩება შთაბეჭდილება, რომ იგი თამაშობს სახელმწიფოობანას, რომელსაც პრეზიდენტი კი არა, თავისი შოუმენი სჭირდება, რათა ხალხს შეუქმნას კეთილდღეობის ილუზია. ამ თამაშს იმედგაცრუება და მრავალათასიანი მიტინგები მოჰყვა შარშან ნოემბერში, ხელისუფლებამ რომ სასტიკად დაარბია, რაც ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში გადაიზარდა და მორიგი ფიქციის შედეგად მივიღეთ ის, რაც პროფანაციას უნდა მოჰყოლოდა.

თავისუფლების მოედანზე, საქართველოს ბანკის სიახლოვეს, მიწისქვეშა გადასასვლელის მოპირდაპირე კედელთან, ალბათ გახსოვთ, რამდენიმე ქალბატონი ჩამოჯდებოდა ხოლმე და ჩამვლელებს მიადევნებდნენ: — ოქროს ვიბარებ! ოქროს ვიბარებ! ოქროს ვიბარებ! ხშირად მიწევდა აქეთ ჩავლა და დადევნებულმა ინფორმაციამ — ოქროს ვიბარებ — ამახედა მოოქრული წმინდა გიორგისკენ და გავიფიქრე: ნუ გეშინია, შენ თუ ჩაგიბარებენ ოქროთი მოვაჭრენი ან მეჯართეები, შენი ასლებით მოფენილია მთელი მსოფლიო და მაინც გადარჩები, რადგან შენ ერთ-ერთი მათგანი ხარ, ე.ი. ერთდროულად მრავალ ადგილზე დგახარ და, ამავე დროს, არსად არ ხარ, როგორ ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუში...

90-ანი წლებიდან მოყოლებული ოცდამეერთე საუკუნეშიც, თავისუფლების მოედანზე ზურაბ წერეთლის გამოჩენამდე და მოგვიანებითაც, საქართველოს ბანკის შორიახლოს, პუშკინზე, შინიდან მოტანილ დასაკეც სკამებზე ისხდნენ ქალები და მიახლოებისას, იმის მიხედვით, ვისგან რას მოელოდნენ სავარაუდოდ, შესაბამისი სიძლიერის ხმით თითო-თითოდ, ცალ-ცალკე, ზოგჯერ ჯგუფურადაც — ამოიძახებდნენ

—ოქროს ვიბარებ, ოოქროოს!!!

ვიდრე იქაურობას გაეცლებოდა მგზავრი, რამდენჯერმე მაინც მიწვდებოდა ქალების ამოძახილი.

—ოქროს ვიბარებ!

წმინდა გიორგის მოოქრული ძეგლი მზეზე ბრწყინავდა და ეს ბრწყინვა ნამდვილად მოტივირებული და კიჩური გახლდათ ძეგლივით. ერთხელაც ამ გზაზე მიმავალ დანიელს აეკვიატა ნულოვანი ტოლერანტობის მძიმე შედეგები, სრულიად უდანაშაულოდ დახოცილი ახალგაზრდები და თვალი აუცრემლიანდა. მერე მეგობრის ის ლექსიც გაახსენდა, ასე რომ ეხმიანებოდა არამარტო მის სატკივარს, არამედ საზოგადოტკივილს, რომლის მიჩქმალვა და მიჩუმათებაც გადაწყვიტა ხელისუფლებამ და თუ უფლებადამცველები ამ თემას შეეხე-

ბოდნენ, საშინლად ბრაზობდა ხელისუფალი და მისი დაქვემდებარებული „სასტავი“. დღესაც შეამჩნია დანიელმა ფაშფაშა ქალები, ასაკეც სკამებზე აღარ იყვნენ მოკალათებულები და, ცხადია, აღარც მათი ხმა ჩაესმოდა, მაგრამ მის მეხსიერებაში მაინც გამეორდა ოდესღაცინდელი ექო:

—ოქროს ვიბარებ! — თუმცა იქ უკვე არავინ იყო, მხოლოდ მეეზოვეები ფუსფუსებდნენ და საგულდაგულოდ გვიდნენ თუ ამტვერებდნენ ტროტუარს.

ძეგლთან

პუშკინის ქუჩაზე ფაშფაშა ქალები
იუწყებიან, რომ ოქროს იბარებენ,
თავს ოქროდ ასაღებ და ისევ მიწა ხარ,
ის მიწა, ახლა რომ გაზონში იბარება.

თავს ვერ შეატყუებ, არ ჩაგიბარებენ,
ეს შენი სახეა თუნუქის გეორგინა,
ჩემი ოქრო კი ოქროს მხედარია,
ჩემი ოქროსფერი გიორგუნა.

საქართველოს ბანკთან ჰყვავიან ცაცხვები,
ცაცხვებმა არ იციან სად არ იყვავილონ,
მახსოვს მეგობრის მწარე შეხუმრება,
წლები მომავალში გამორიყავენო

გვამებს ჩამალულებს დარდების მორევში,
რომ წამოედება ხსოვნის ბადეები,
შენ კვდები თანდათან, ასევე თანდათან,
ვერც იგრძნობ, დღე-ღამეს ისე გადაები,

რომ გიჭირს წასვლა წარსულის გასათიბად,
არ გინდა ქუჩაში გამოცალკევება,
ნაცნობი დეკოლტე — ჩიხი პირობითი
და მშიერ თვალების გამოსარკვევებას

უკვირს, რომ ქალები ოქროს იბარებენ,
მხედარი მიხვდება თვალის გაპარებით,
რომ ეიმედება ასლების სიმრავლე
და თან ეშინია ჯართში ჩაბარების.

17. 6. 2008 წ.

„ინერპრესნიუსში“ 27 სექტემბერს გამოქვეყნებული სტატიის მინაწერში თიკა კანდელაკი აღნიშნავს: „ჩემი ინფორმაციით, რუსეთთან მოლაპარაკებაზე მოსკოვში საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია ჩამოფრინდა. ვნახოთ, რით დამთავრდება შეხვედრა.“ სტატიაში გაქარწყლებულია მითი დემოკრატიის შუქურად წოდებულ სააკაშვილზე და წარმოჩენილია მისი რეალური სახე. სიმართლე გითხრათ, არ მახარებს ჩვენი პრეზიდენტის დაკნინება, მაგრამ სიმართლეს ვერსად დამალავ. ციხის კადრების შემდეგ მისი რეპუტაცია და იმიჯი გაქრა. გაეროში სააკაშვილის გამოსვლისას, ცარიელ დარბაზში რამდენიმე აფრიკელი ლიდერი თვლემდა.

ახლა, წინასაარჩევნო ციებ-ცხელებისას, ხმა ამოიღო მერაბიშვილმაც. ვიდრე დუმდა, დუმილი ისეთ იდუმალებას სძენდა, რომ ზოგიერთები მის სიჭკვიანეზე ალაპარაკდნენ.

მერაბიშვილი აქტიურად იმეორებს მისი პირადი დირექტორის ფრაზებს, რომ ოცნების ლიდერი არაფერს ამბობს პუტინზე, საქართველოში ქურდების ჩამოყვანა უნდა, საქართველო უნდა აქციოს რუსეთის ღარიბ გუბერნიად და ათასი სიყალბე, ანუ ის, რაც ნაცებმა შეთხზეს და თვითონ და მისი თუთიყუშები ხშირად იმეორებენ. მათი მიზანი ერთია, ამ ლეგენდებით დააფრთხონ ადამიანები და ხმები წაართვან „ქართულ ოცნებას“. მათ რიტორიკაში ასეთი გეგმა გამოიკვეთა: ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლა არ უნდა დავუშვათ, რადაც უნდა დაგვიჯდეს. ეს პრიმიტიული აზრი თუ გადაწყვეტილება საკუთარმა ტყავმა უკარნახათ და ახლა ათას სისულელეს ტენიან თავიანთი არხების მსმენელებს ისევ და ისევ თავის გადარჩენისთვის. აშკარად ჩანს, რომ არჩევნების გაყალბება საკუთარი პერსონების გადარჩენის ერთადერთ რეალურ გზად მიაჩნიათ და თავიანთ თავს აიგივებენ საქართველოსთან. პირდაპირ ამბობენ: არ დავუშვებთ საქართველო რუსეთის გუბერნიად აქციონ! ეს ტექსტი სინამდვილეში ასე იკითხება: არ შეიძლება ჩვენ აღარ ვიყოთ საქართველოს ხელისუფლებაში, თორემ მძიმე დღეები მოგველის.

ვინ შეაგროვა ამდენი ყბედი,
შეწუხებული სამშობლოს ბედით?!

90-იან წლებში დაწერილი ეს ორსტრიქონედი, ახლაც გამომადგა.

იგი საკუთარ ბედზე მოფიქრალია და თითქოს სამშობლოზე წუხს. საკუთარი დანაშაულების მიჩქმალვა სურს, მაგრამ თუ ხელისუფლებაში არ იქნება, როგორ გადაირჩენს თავს? აი, მთელი ფილოსოფია თუ მთავარი სატკივარი, რაც ამათ უნიჭო ლეგენდებში იკითხება.

ასე რომ, თიკა კანდელაკმა გაამხილა გიგა ბოკერიას სავარაუდო საიდუმლო ვიზიტი მოსკოვში. მანამდე რობერტ სტურუამ განაცხადა: მოსკოვში შეხვედრებს მართავს ბოკერიაო...

ესენი ხელებს შლიან, რა სისულელეა, რეებს იგონებენო?! თავის გადარჩენის უნაპირო მსურვილმა მოსკოვში აფრინა დესპანი, გვიშველეთ, ვიღუპებით! ერთ ხელს ივანიშვილისკენ იშვერენ, გვარწმუნებენ: პუტინის ერთგულია, ერთხელ არ მოიხსენია აუგადო... ხოლო მალულად მოსკოვში გააპარეს დესპანი პუტინთან მოსალაპარაკებლად, ან იქნებ მირონოვთან. რა მნიშვნელობა აქვს ვისთან... მთავარია, რომ ეს ნაბიჯი შიშმა გადაადგმევინა ნაცმოძრაობას. მართლა ბრძანდებოდა ბოკერია კრემლში?! რომელ შიშს ვგულისხმობთ, აბა, რა საკითხავია?! თვითონაც ხედავთ, შავ დღეში არიან... უზნეობის პიკი. ტოტალური სიცრუე, რომელიც ქამელეონივით ცვალებადია და გამუდმებით ფერს იცვლის... არსებობს ძველი და ახალი ტყუილები, საჭიროების მიხედვით ტყუიან.

ახლა მათი აუდიოკომპრომატებზე საუბარიც ზედმეტია. ადანაშაულებენ ხაინდრავას, სანიკიძეს და აჩვენებენ კადრებს თუ როგორ ამოიცნეს ნაცმოძრაობის ერთ-ერთი კოორდინატორი, რომელსაც შსს კრიმინალურ ავტორიტეტად ასაღებს. მერე სხვა ფოტოს აჩვენებენ, შეგვეშალაო. ირკვევა, რომ გუბაზ სანიკიძის საუბარი უშიშროების ყოფილ მინისტრთან დიდი ხნის წინათ გაიმართა და რომ თანამოსაუბრე მრავალი წელია მშვიდად ცხოვრობს ქუთაისში. აშკარად გამოჩნდა ამ უნიჭოთა არაპროფესიონალიზმი. არაკომპეტენტურობა და მორიგი სიცრუე დადასტურდა აგრეთვე საფრანგეთის ჟანდარმერიასთან ურთიერთობაში, რაც აისახა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის დელიკატურ წერილში. საფრანგეთის ჟანდარმერიის უწყების ორწინადადებიანი დასახელება აქციეს ბრალდებად, თითქოს ქართული ოპოზიცია ცდილობს საფრანგეთში მცხოვრები ქურდების დახმარებით დაამხოს საქართველოში ხელისუფლება. ეს უკვე შსს ფანტაზიაა. ისინი დავალებას ასრულებენ და ამიტომ აყალბებენ საბუთებს და იგონებენ ცრუ არგუმენტებს.

სააკაშვილს ძალიან სურს ხაინდრავას დაპატიმრება. არ გამოვრიცხავ, რომ მაინც დაიჭიროს ამ განუკითხაობაში. პროკურატურა და სასამართლო უსიტყვოდ დაუდასტურებს და შეუკერავს საქმეს. ხაინდრავამ მოასწრო და საფრანგეთის საელჩოს ყველაფერი შეატყობინა. არ ვიცი, როგორ დაიცავს ფრანგული კანონმდებლობა ჩვენებური ნერონისაგან.

„საქართველო მუდმივად დგება ფერფლიდან, რამდენჯერაც არ უნდა სცადონ მისი წაქცევა,“— განაცხადა სააკაშვილმა ქუთაისში დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის გახსნისას. პირველი ფრაზა პასუხია ნინო ჟვანიას ახლახან გამოქვეყნებულ ინტერვიუზე, სადაც ნინო ქადაგიძე გაკვირვებულია ...როგორ ახერხებს სააკაშვილი, სრულიად უიმედო ვითარებიდან ფენიქსივით ფერფლიდან აღდგეს... მიშას თავის ტექსტში „აღდგეს“ იქცა „ადგება“-დ, რაც თავისთავად რამდენიმე საინტერესო ნიუანსს შეიცავს.

ასე უპასუხა სააკაშვილმა არამარტო ნინო ქადაგიძეს, არამედ მთელ საქართველოს. საქართველო მე ვარ და ნებისმიერ ვითარებაში აღვდგები ფერფლიდანო, ასე თქვა!

თავისი თანამებრძოლის ქვრივს ასე უპასუხა. ჩვენ კი შეგვახსენა, რომ იგი ყველაფერს კითხულობს და ფრთხილად ვიყოთ, რამე ისეთი არ წამოგვცდეს, მერე რომ არ ვინანოთ.

ფენიქსი ფერფლიდან ჩვენს თვალწინ პირველი ოქტომბრის არჩევნებზე უნდა აღდგეს, როგორც მიშა წერდა, უნდა ადგეს!

მხარდამჭერები კი სააკაშვილს ბევრად ნაკლები ჰყავს, ვიდრე ივანიშვილს, მაგრამ იძალადებს და გააყალბებს. ხელს ვინ შეუშლის?! ის ხომ ძალიან, ძალიან თავისუფალია.. თან იმასაც იტყვის, საქართველოს რუსეთის გუბერნიად ვეღარაოდეს გადააქცევთ, ვერ მოგართვით!!! ნურას უკაცრავადო!!!

რამდენიმე არასასურველ ადამიანსაც ჩააყუდებს, თუ რა თქმა უნდა ეუთო და სხვა დამკვირებლები არჩევნებს ლეგიტიმურად ჩათვლიან.

თუ ახლაც გაგვყიდა დასავლეთმა, მე არ ვიცი, რა გვეშველება...

დღეს როგორც იქნა გამოჩნდა ბოლო დღეებში, ქართული ოცნების კოორდინატორების, საუბნო თუ სხვა საარჩევნო უბნების დამკვირვებელთა უკანონო, სერიული დაპატიმრებების სამართლებრივი შეფასება.

Human Rights Watch – „ადმინისტრაციული დაკავების წესის ბოროტად გამოყენებით საქართველო არღვევს საერთაშორისო ვალდებულებას.“

გერმანული კვლევითი ცენტრი ორსა—კვლევის თანახმად, „ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, გამოკითხულთა 65% „ქართულ ოცნებას“, 25% კი ნაციონალურ მოძრაობას მისცემდა ხმას...“

ორსა-ს წარმომადგენლის განცხადებით, აგვისტოს კვლევასთან შედარებით, “ქართული ოცნების” პროცენტული მაჩვენებელი 16%-ით გაიზარდა, „ნაციონალების“ „18“-ით შემცირდა...

აღნიშნული კვლევა 20-დან 25 სექტემბრის ჩათვლით პერიოდს მოიცავს.

29 სექტემბერს თბილისსა და ქუთაისში გაიმართება კოალიცია „ქართული ოცნების“ მანიფესტაცია. დარწმუნებული ვარ, უამრავი ადამიანი მოვა თბილისსა და ქუთაისში.

მიშამ დაასწრო ბიძინას და დღეს 28 სექტემბერს გამართა ნაცმოძრაობის შეკრება დინამოს სტადიონზე, მაგრამ რად გინდა, ერთი სტადიონი ხალხიც ვერ მოაგროვა და ისინიც ძალით, სულ ბუზღუნ-ბუზღუნით წამოვიდნენ ექსკურსიაზე. ჩამოიყვანეს პედაგოგები, რაიონებისა და სოფლების გამგეობების თანამშრომლები, რეზერვისტები, პრობაციონერები, მაშველები და მეხანძრეები, მუნიციპალიტეტის მუშები, მესაფლავეები, ახალი სასაკლაოდან ყასბები, ბენზინგასამართი სადგურების თანამშრომლები, ანუ ყველა იმ ბიზნესის ხალხი, რომელიც მიშას ექვემდებარება, მექისეები გოგირდის აბანოდან, მზარეულები და მიმტანები რესტორნებიდან, დღიური მუშები გზათა მშენებლობებიდან, ზონდერები, სექს-ინდმეწარმეები მთელი საქართველოდან და რა თქმა უნდა სოდი და კუდი, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პოლიცია სრული შემადგენლობით, ოჯახის წევრებთან ერთად; ავტოსადგურების და რკინიგზის მუშაკებს რეისები გაუუქმეს და დინამოზე უკრეს თავი..

ერთი სტადიონი ხალხით უნდა არჩევნებში გამარჯვება??

რაც ხდება, მკაცრი ლოგიკის შედეგია. უმრავლესობამ უარი უთხრა ჩამოშლილ ხელისუფლებას. დაგროვდა უამრავი ამაზრზენი ფაქტი; აღარ ჩამოვთვლი, მაგრამ ყველა და ყველაფერი გადაფარა პატიმართა წამებამ, პატიმრების ცემამ და ცოცხებითა და დუბინკებით გაუპატიურების საშინელმა პრაქტიკამ, რაც მშვენივრად იცოდნენ გათავისუფლებულმა მინისტრებმა და ყინჩად მზირალმა პრეზიდენტმა, რომელიც მთელ ძალ-ღონეს დებდა გამეჩხერებული ნაცმოძრაობის წინასაარჩევნო საქმიანობაში. დაპეპლილი მამალივით დადის, ჩაილაპარაკა დანიელმა და ხელი ჩაიქნია..

მაინტერესებს აეროპორტში საზღვარგარეთის რეისებზე ბილეთების შეძენის დინამიკა.

მისი/მათი ბოლო იმედი პირველ ოქტომბერს მასტ ქერის გამორთვაა. არ გამოვრიცხავ პროვოკაციებსა და ტერორს. ასე თუ მოხდა, ეს იქნება მათი სასიკვდილო გაფართხალება. სააკაშვილმა სხვაზე ბევრად უკეთ იცის, როგორ აკოწიწებენ და კრებენ ხალხს იძულებით მთელ საქართველოში, მაგრამ იხტიბარს არ იტეხს: „აბა, შეხედეთ რამდენი ვართ?!“ ეს სპექტაკლი თანამოაზრეების და მერყევი ადამიანების გადმოსაბირებლად სჭიდება, და კიდევ იმის არგუმენტად, რომ აუ, რამდენი ვართ, შესძახოს ცრუ სიამაყით. სიცრუეს ხმის ტემბრი ამჟღავნებს, გასცემს და ინფორმაციას შინაარსს უცვლის.

ბრალი ამ ხალხისა, ვინც ამის მხარეზეა და ეწირება ცრუ რწმენას, ბრალი იმათი, ვინც შიშმა, სამსახურის დაკარგვის შიშმა მოიყვანა აქ და საერთოდ, რა საბრალოა ეს მიტინგების და წინასაარჩევნო შეკრებების კოორდინატორ-აქტივისტები... ვინ გაუბედავს და ვინ ეტყვის სიმართლეს, რომ ახლა საკაშვილის მექანიკური მოძრაობები და უაზრო ქაქანი კიდევ უფრო დაბლა სცემს ნაცმოძრაობის რეიტინგს. ვინც მას მიეკარა ყველა ჩაიძირა. ეს არის ლიდერის დევალვაციის უდაბლესი საფეხური, ზღვის დონიდან რამდენიმე მეტრის ქვეშ, საიდანაც ცდილობს ამოძვრეს, მაგრამ საკუთარი ურთიერთგამომრიცხავი მოძრაობები ისევ დაბლა ეწევა ჭაობის სიღრმეში. ჭაობმა ჩასჭიდა მკლავები და ისე ჩაიხუტა გულში, რომ თავს ვეღარ აღწევს. მაინც ცდილობს დაუსხლტეს საკუთარ თავს, გამუდმებით ერთპარტიულ ჭაობს რომ ეყრდნიბა და სადაც იძირება დღითიდღე...

„ამომრჩეველთა ლიგა“

„ამომრჩეველთა ლიგის“ წარმომადგენელი საქართველოს მასშტაბით 1200 საარჩევნო უბანზე ხმებს პარალელურად დაითვლის. გარდა ამისა, „ამომრჩეველთა ლიგა“ 400 უბანზე საეგზიტპოლო გამოკითხვას ჩაატარებს ყველა წესის დაცვით. გამოიკითხება ყოველი მეშვიდე ამომრჩეველი. გამოკითხვა ანონიმურობის სრული დაცვით განხორციელდება“, განაცხადა კოკა გუნცაძემ.

„ამომრჩეველთა ლიგა“ ეგზიტპოლის შედეგებს 1 ოქტომბერს, 20. 00 საათზე გამოაქვეყნებს, ხოლო პარალელური დათვლის შედეგებს 1 ოქტომბერს, დღის ბოლოს შეაჯამებს.

29 სექტემბერი

ყველაზე სახიფათო დღე ორი ოქტომბერია. თუმცა შესაძლოა პირველ ოქტომბერსაც გვიან ღამით გამოვარდეს და თავი გამარჯვებულად გამოაცხადოს. აბა, რუსებს ხომ ვერ დაუტოვებს მის აშენებულ ქვეყანას?! აუცილებლად გააყალბებს, ეჭვიც არ მეპარება, ფეხზე ჰკიდია უცხოელი დამკვირვებლე-

ბი. შეიძლება ბელორუსიიდან მოწვეული მონიტორები გამაზოს და მათ ცრუ დასკვნებს დაეყრდნოს. ტყუილად ხომ არ გააბრუნა ამერიკელ დამკვირვებელთა რომელიღაც ჯგუფი და ჩაანაცვლა ბელორუსებით. ეს გათვლილი ნაბიჯებია, რომელსაც ცრუ შედეგი უნდა მოჰყვეს.

„ამომრჩეველთა ლიგა“ თუ პარალელური დათვლის შედეგებს – პირველ ოქტომბერს დღის ბოლოს გამოაქვეყნებს, ხოლო ეგზიტპოლებს გაცილებით ადრე, მაშინ თუ რამეს აპირებენ ნაცები, თადარიგს ადრე დაიჭერენ.

ხელისუფლება არჩევნების შემდეგ გათიშავს ოპოზიციურ მაუწყებლებს და მოსახლეობის დიდი უმრავლესობა დარჩება ინფორმაციულ წყვდიადში. ეს დრო ყველაზე მოსახერხებელია იმ ხალხზე შურისძიებისთვის, ვინც სავარაუდოდ გაყალბებული ხმების დასაცავად გამოვა ქუჩაში. სათუო სცენარის შედეგი ამ ხელისუფლების სრული კრახი იქნება. მერე წავლენ და გაიკრიფებიან ქვეყნიდან, მაგრამ...

მინაწერი: ვინ გაარჩევს ჭორსა და მართალს? დეზიმფორმაციას წაგებულები ავრცელებენ. თუმცა არ გამოვრიცხავ სააკაშვილისგან ცალკეულ შურისმაძიებლურ, დაუნდობელ ქმედებებს.

ზეიმი

დღეს თავისუფლების მოედანზე მივედი ადრიანად და წერეთლის წმინდა გიორგის კიჩთან დავეყუდე.. ჩემსავით უამრავი ადამიანი მოქცეულა და მოედანი, რუსთაველის გამზირი გადაჭედილი იყო და უწყვეტად გრძელდებოდა ხალხის სხვადასხვა ნაკადის შემოდინება და ბოლოს ფეხისმოსაცველი ადგილიც აღარ დამრჩა.

მე არ მახსოვს ამდენი ადამიანის თავშეყრა ცხრა აპრილის საპროტესტო აქციისა და ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდის გარდა, ასეთი გრანდიოზული მანიფესტაცია არასოდეს ყოფილა. ბედნიერი, გაღიმებული ადამიანები, ძალადობას გამორიდებული ხალხი სახეგანათებულები მოიწევდნენ რუსთაველის გამზირისკენ და ყველა ცდილობდა ტრიბუნასთან მიახლოებას, მაგრამ უადგილობის გამო თანდათან შეგუბდა დინება და ლამის ზემელამდე გადაიჭედაო მთელი სივრცე, როგორც თვითმხილველები ამბობენ.

ახლა ამათი შეკავება, შეჩერება, მათი გადაწყვეტილების ჩაკვლა აღარავის შეუძლია. ასეთი მშვიდობიანი ფერისცვალება არასოდეს მინახავს.

მახსენდება დაუვიწყარი თოთხმეტი აპრილი, 9 აპრილი და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე, მაშინაც გადაჭედილი იყო მთელი რუსთაველი და ასეთივე შემართება მეფობდა. ხალხის ოდენობას ვერ შევადარებ, რადგან ასე ზუსტად შეუძლებელია მეხსიერებით აღვიდგინო მაშინდელი სურათი, თან მაშინ ვინ ითვლიდა გუგლის მეშვეობით მომიტინგეებს. ეს საქმე კაგებეს ხელში იყო და ალბათ მათი მეხსიერება ინახავს ასეთ ფაქტებს. მე მახსოვს უამრავი ადამიანი და განათებული გულები. ახლაც, გულანთებული ადამიანები ეშურებოდნენ აქეთკენ, ყველა თავის ადგილს პოულობდა, თუმცა საყრდენი ერთი ჰქონდათ მოლოდინით დამუხტულებს.

მოვიდა ბიძინა და გუგუნმა გადაუარა მთელ ქალაქს, შეძახილებმა და ყიჟინამ გადაუარა მომიტინგეებს.

მივხვდი, რომ სააკაშვილის ბაირამობა დასრულდა, მაგრამ შიშის განცდა მაინც არ მტოვებდა. შიში — არა საკუთარი ბედის, არამედ ამ ხალხის გამო, რომელიც ხელცარიელი, იმედით გამსჭვალული, მშვიდობიანად გამოხატავდა თავის ნებას და ამ ნებას ვეღარავინ წაართმევდა. დევნიდნენ, აპატიმრებდნენ, სამსახურებიდან აძევებდნენ, ოჯახის წევრებს უსამსახუროდ უტოვებდნენ და ასე უსახსროდ და რეჟიმის წნეხიდან გამოღწეული ადამიანები თავს იყრიდნენ თავისუფლების მოედანზე, რუსთაველის გამზირზე, სადაც უნდა დამთავრებულიყო სააკაშვილის ტრაგიკომიკური მმართველობის რეჟიმი. უცნაურია, მაგრამ მისი ყოველი ქმედება — სასტიკიც კი — რატომღაც იძენდა გროტესკის ელფერს და არასერიოზული განწყობა ეუფლებოდა ყველას, დიდსა თუ პატარას, ინტელექტუალს თუ მევენახეს, კაცს თუ ქალს. გროტესკი ჩაუდგა კვალში სააკაშვილის გაავებულ ქმედებებს და დაუნდობლად დასცინოდა ნაკლულ რეჟიმს, რომელსაც ადამიანურობა არათუ აკლდა, არამედ არც მოიაზრებოდა მათ საქციელში და ემგვანებოდნენ დაქოქილ რობოტებს, მუტანტურ არსებებს, რადგან ადამიანობადაკარგული ტიპები კარგავენ ყველაფერს, რასაც მათთვის სიბრალული, თანადგომა ან თანაზიარება ერქვა ოდესმე. პარტიული ბრძოლა ელიტარული კორუფციის თანხლებით უამრავ დანაშაულს სჩადიოდა მთელი ერის წინაშე და სტატისტიკის მანიპულაციით და უახლესი მითების გამოგონებით იოლად გადიოდა ფონს, მაგრამ ვირტუალური რეალობა — სინამდვილეში ფუტურო და არარეალური — მალე იფშვნებოდა ადამიანების თვალწინ და კომპიუტერული თამაშების პერსონაჟებად წარმოდგენილი ასიათასები თანდათან აზრზე მოვიდნენ და შეიზიზღეს ის, ვინც თოჯინებივით ექცეოდა ადამიანებს და თავის ნებასურვილზე აბურთავებდა მათ ბედსა და მომავალს. ისინი ახლა ამ მოედნისკენ მოედინებოდნენ ყველა ქუჩით, რუსთაველს და თავისუფლების მოედანს რომ შეერთვის. ამდენი ხალხის იმედების აღსრულება უმძიმესი ტვირთია და ძნელად შესასრულებელი. მივხვდი, რომ ჩემი შიში სწორედ ამ ალბათობას უკავშირდებოდა და წინმსწრები დასკვნების გამოტანას და დახვავებას თავი ვანებე, მაგრამ უფრო გვიან, საზეიმო მიტინგის დასრულების შემდეგაც არ მომეშვა დაეჭვების ეს განცდა, თუმცა სიხარულიც თავისას მკარნახობდა. პირველად ვნახე ბერას სიმღერაზე აცეკვებული მოხუცები და თვალი ამიცრემლდა, ცოტაც და უკონტროლო ბგერები ამოაღწევდა ხორხიდან და თავს ძალა დავატანე, არ ავღმუვლებულიყავ. მათი გაბრწყინებული თვალები არასოდეს დამავიწყდება. მივხდი, რომ სიცრუით გადაღლილი ხალხი სიმართლეს, ღირსების დაბრუნებას, იმედს და დაუმადლებელი ლუკმაპურისთვის დასაქმებას თხოულობდა, სხვას არაფერს, სრულიად არაფერს.

დანიელის მინაწერი: თუ ხვალ არჩევნები კიდევ გაყალბდა და თუ კიდევ ჩააფურთხეს ხალხს სულში, და თუ ამის შემდეგ კიდევ ერთხელ დაუკანონეს სიყალბე, მაშინ ჩათვალეთ, რომ საქართველო საბოლოოდ გატეხეს წელში და ყოველგვარი შეთქმულების თეორიის აკვიატების გარეშე, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მენტალობის წაშლას, ჩვენს სამუდამო დაბეჩავებას, გაქრობას აღასრულებენ. ამაზე დაფიქრებაც არ მინდა. ვერ წარმომიდგენია მთელი საქართველოს გაცუცურაკება, დაცინვა, აბუჩად აგდება, დამცირება, გაპარტახება, დაკნინება, უარყოფა, მიფუჩჩება, მიყურისძირება, კედელთან მიჭყლეტა, ბალახივით მოცელვა, გაბითურება, დაჩოქება...

მაინც ვერ დაგვაჩოქებთ! თქვენი დედაც...! და აქ გამოიკვეთა ქართული ფონეტიკური -ტყ- კომპლექსი, როგორც სიცოცხლის ჩასახვის და აღორძინების უ-ტყ-უარი საშუალება.

ტყ-უილად არ უსწავლებია მზექალა შანიძეს ჩემთვის ძველი ქართული ენის გრამატიკა და არამარტო ჩემთვის. თუმცა გრამატიკის ცოდნის გარეშეც იოლად ახერხებენ ქართველები მოძალადის მამა-პაპურად შეკურთხებას და დაკიდებას!

ყველაზე გასაკვირი, რაც დღეს დანიელს თავს გადახდა, ერთი ქალბატონის გაწიწმატება და გაუწონასწორებელი რეაქცია იყო, არჩევნებში ივანიშვილის კოალიციის მოსალოდნელ გამარჯვებაზე რომ სიტყვა დაძრა დანიელმა, ეს ქალბატონი კინაღამ ტანსაცმლიდან ამოძვრა, მაგრამ დანიელმა ხელი შეუშალა მთლიანად გაეძრო გახუნებული ძონძები. რამდენიმე არგუმენტი შეაგება ქალბატონს პრეზიდენტის ქცევებისა და ქმედების უზარმაზარი კოლექციიდან, და რომ ვერ უპასუხა დანიელს, წამოწითლდა, ხმა აუკანკალდა და დაბალ ხმაზე ჩაი-

ლაპარაკა, თანამოსაუბრის გასაგონად, ისე, რომ ზედაც არ შეუხედავს სიბრაზით ანთებულს: "ვაიმე, როგორ მჭირდებოდა სააკაშვილის ერთპარტიული პარლამენტის შენარჩუნება. ახლა მოვლენ ისინი, გოიმები და ზედმეტად ტრადიციონალისტები და არავინ იცის, რას გააკეთებენ, რას ჩაიდენენ..." დანიელი ვერ მიხვდა, რაში უნდა დაჭირვებოდა ამ ასაკოვან ქალბატონს, შვიდ ათეულ წელს გვარიანად გადაცილებულს, ნაცმოძრაობის უმრავლესობის შენარჩუნება პარლამენტში, რაც უკვე შეუძლებელი იყო, როგორც თვითონვე თვლიდა. ისიც კი იცოდა, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა აღარ ეყოლებოდა სააკაშვილს და ის სხვები, ბიძინას კოალიცია რითი ემუქრებოდა, ვერაფრით ახსნა. სამარშრუტო ტაქსში გაუნათდა გონება და ლოგიკურად დალაგდა მიზეზი, რისთვისაც წუხდა დედა. მისი შვილი ხომ ცისფერია თუ რაღაც მსგავსი ან უარესი?! ე.ი. ახალი ხელისუფლების ლოიალობის არ სჯერა სექსუმცირესობასთან მიმართებაში.. აა, ხედავ რა ხდება?! მთელი ქალაქი ჭორაობდა მის ვაჟიშვილზე — „გეი კი არა, მგონი უარესიაო". ეს უარესი რას ნიშნავდა, ვერ ხვდებოდა...

30. 09. 2012

ნაცმოძრაობის განცხადება

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ხვალ ამომრჩეველთა მოწვევის კამპანიას განახორციელებს. მის შესახებ დღეს „ნაციონალების" პრესსპიკერმა ჩიორა თაქთაქიშვილმა პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ამომრჩევლის მობილიზაციისა და მოწვევის კამპანიის ფარგლებში მხარდამჭერების ავტოტრანსპორტით უზრუნველყოფასაც გეგმავს. თანხები კი მოძრაობის საარჩევნო კამპანიის ფონდიდან იქნება გაღებული."

ამ მოძრაობებს ალბათ კარგად დააკვირდება ათასობით დამკვირვებელი. ამ განცხადების და მაჭავარიანის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ აღიდგინა, უფრო შეივსო ამომრჩეველთა რიგები და ტოლს არავის დაუდებს, შემდეგ კიდევ ერთხელ გამიმტკიცდა ვარაუდი, რომ ესენი ხვალ არჩევნებს აუცილებლად გააუქმებენ, ან ტოტალურად გააყალბებენ, თუ მიუშვეს, ცხადია. ამ ეჭვს ამყარებს პარტიის წევრებისა და აქტივისტების უბნებზე გადაყვანა და უბნების მისადგომებთან განლაგება, როგორც გვაუწყებენ განცხადებით.

ბ. ს. რამდენიმე დღეა ტელევიზიებით აცხადებენ, რომ არ არის ავტოსადგურებში საკმარისი ტრანსპორტი, მოქალაქეები რომ თავიანთ რაიონებში გადაიყვანონ. მიზეზი ის გახლავთ, რომ სამარშრუტი ტაქსების უმრავლესობა დაიქირავა ნაციონალურმა მოძრაობამ „ამომრჩეველთა მობილიზაციისა და მოწვევისათვის."

გვიან ღამით შემზარავი ამბავი გავრცელდა მეცხრე არხით. გურჯაანის რაიონში, სოფელ კოლაგში, ცხრა თვის ჩვილი ვერ ნახეს ოთახში, სადაც დედამისმა დააძინა, და ბოლოს, ძებნის შემდეგ, წყლით სავსე ქვევრში იპოვეს ჩამხრჩვალი. ვინ ჩაიდინა ეს გაუგონარი დანაშაული, არავინ იცის. მანანა ბერეკაშვილი, გურჯაანის რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატი, ავრცელებდა ინფორმაციას, რომ იმავე ოჯახში, სადაც ეს უბედურება მოხდა, დილით მოლოტოვის კოქტეილი შეაგდეს, რამაც ხანძარი გააჩინა ბინაში. ოჯახის დიასახლისი, როგორც ამბობდნენ, „ქართული ოცნების" კოორდინატორია.

არ ვიცი, ძიება რაიმეს მიაკვლევს და გამოააშკარავებს დამნაშავეს, თუ ამ უცოდველი ჩვილის მკვლელსაც ხელს დაიფარებს....

ღირს კი მაჟორიტარის მანდატის მოპოვება ჩვილის სიცოცხლის ფასად?! წარმოუდგენელი დაუნდობლობა და სისასტიკე გამომჟღავნდა, რომელსაც ჰყავს თავის შემკვეთი და აღმსრულებელი.

როგორც ირკვევა, ჩვილის მამა მეორე დღეა პოლიციაშია დაკითხვაზე და არ ჰყავს ადვოკატი. ასეთი გაუგონარი ძალადობა სუფევს გურჯაანში.

ძალადობა, ძალადობა, ძალადობა...

1 ოქტომბერი

მოულოდნელად საარჩევნო უბანთან შეკრებილ ადამიანებს, თავის ხმებს რომ იცავდნენ გამყალბებლებისგან, თავს დაესხა სპეცრაზმი და ცრემლსადენი აირით და რეზინის ტყვიებით მიმოფანტა. ამაზრზენი სანახავია ხალხის დარბევის კადრები, არადა უამრავჯერ შევსწრებივარ მსგავს ძალადობას 9 აპრილიდან მოყოლებული დღემდე, აწ უკვე დამოუკიდებელ საქართველოში. ხაშურში ხდებოდა ეს საშინელი ამბავი და, როგორც გაირკვა, საარჩევნო უბანში არსებული შედეგების გაუქმება იყო ნაბრძანები. აქ კენჭს იყრიდა ვალერი გელაშვილი — პრეზიდენტ სააკაშვილისგან დასჯილი და საქართველოდან გაძევებული სუბიექტი. მახსოვს, ნიღბიანებმა რომ სცემეს ქუჩაში, ისე სცემეს, ხელახლა ააწყეს ნაწილ-ნაწილ დაშლილი ადამიანი. ამ სისასტიკის ავტორი, როგორც ქვეყანა ამბობდა, სააკაშვილი იყო. ...და აი, ახლაც გამოჩნდა ცნობილი ფიგურანტი, სათავისოდ რომ ვერ შეცვალა არჩევნების ბედი და ახლა სპეცრაზმის მეშვეობით შეეცადა ასე თავხედურად დაერბია ამომრჩევლების თავშეყრა და გაეუქმებინა იმ საარჩევნო უბნის მონაცემები, სადაც ვალერი გელაშვილმა გაიმარჯვა. ეს ჭირვეული ადამიანი, რომელიც სისასტიკით და დაუნდობლობით გამოირჩევა, ნებისმიერი საქმის კეთებისას თამაშობს არასრულწლოვანი ბავშვივით. არ უყვარს არავითარი რჩევის მოსმენა, საერთოდ რაიმეს გაგონება და დამოუკიდებლად პოულობს გადაწყვეტილებას და თავნებობს.

ხაშურში სპეცრაზმის გამოჩენა მისი ისტერიის ექოდ გაისმა, რომელმაც მიაღწია გორს, ქუთაისს, საქართველოს არაერთ რეგიონს, დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ხმებს იცავდნენ ამომრჩევლები გამყალბებლებისგან, ეს კი, მთავარი გამყალბებელი, ცდილობდა ძალადობით შეეცვალა, გადაეწერა არჩევნების მოსალოდნელი შედეგები. ვფიქრობ, გარკვეულწილად მოახერხა კიდეც და თავის პარტიას დამატებითი ხმები არგუნა.

თავად განსაჯეთ, როგორი გადაწყვეტილება მიიღო უფროსმა: ყველა საარჩევნო უბანში, სადაც მისთვის არასასურველი შედეგები დაფიქსირდა, „სპეცრაზმის" გამოყენებით, ე.ი. ძალადობით შეეცვალა სურათი ან საერთოდ ფანჯრიდან გადაეყარა დანაკუწებული საარჩევნო ბიულეტენები და კიდევ ერთხელ დაეკიდათ ხალხის ნება.

ერთი შეხედეთ, რა მედიდურად საუბრობენ ეს ტიპები, ახლა უკვე ოპოზიციის წარმომადგენლები. „ჩვენ ხალხის ნებას ვცემთ პატივს, თორემ თქვენ ვინ ხართ. ეს მშვიდობიანი არჩევნები და ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემა ჩვენი დამკვიდრებულია". ტრაბახობენ, რომ არჩევნების შედეგებს პატივს სცემენ და რომ ასეთი საქციელით დემოკრატიის დამკვიდრებას შეუწყვეს ხელი. როცა ასე საუბრობენ, დიდკაცური შემართებით აგრძელებენ, ხალხის ნებას ვცემთ პატივს, თორემ...

სულ აღარ ახსოვთ საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერით ჩადენილი დანაშაულებები, ქუჩაში დახვრეტები, წართმეული საკუთრებები, ნულოვანი ტოლერანტობით წახალისებული მკვლელები, ჩახოცილი ახალგაზრდები და ამავე ნულოვანი ტოლერანტობით წაქეზებული ჯალათები, დუბინკებით და ელექტრო-შოკით აღჭურვილები.

რეზინის ხელკეტებით და ცოცხებით გაუპატიურებული და ნაწამები ადამიანები, ხელს რომ აფარებდნენ ეს გაზულუქებული ტიპები და ახლაც რომ გაფხორილები ბურტყუნებენ,

ჩვენ დამსახურებაა ასეთი არჩევნები რომ ჩატარდაო. დემოკრატიას ჩვენ ვამკვიდრებთო. იძალადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. უცხოელმა დამკვირვებლებმაც გაიგეს და გაბაზრდა, თუმცა ესენი არაფერს დაგიდევენ. „ხალხის ნებას ვცემთ პატივს“, ეს ფრაზა მოგზაურობს ბაგიდან ბაგეზე, ტელეეკრანებზე, სახლებსა და ქუჩებში და ბოლოს, იმასაც გვაჩვენებენ, როგორ შეკრთნენ, დაიბნენ, უთვალავი ადამიანის პროტესტის ხმა რომ მისწვდა მათ დახშულ ყურთასმენას, ბედნიერი ცხოვრების ოაზისებს. მანიფესტაციიდან გავრცელებულმა ყიჟინამ შეაშფოთა და დააფრთხო.

1 ოქტობერს „სპეცრაზმის“ ღამეული რეიდები საარჩევნო უბნებზე გახლდათ სააკაშვილის რეჟიმის მიერ დამკვიდრებული დემოკრატიის ბოლო აკორდები. რამდენად ბოლო, ეს კიდევ დასადგენია.

მეცხრე არხმა პირდაპირ ეთერში აჩვენა ხაშურის ერთ-ერთი უბნის დარბევა, ფარებით, ჩაფხუტებით, ხელკეტებით და ავტომატებით შეიარაღებული სპეცრაზმელები. ხალხის შეძახილები, კივილი: მხუთავი გაზიიი! ისვრიან! სპეცრაზმმა გადააბოტა ადამიანებს, მიფანტ-მოფანტა და გზა საარჩევნო უბნისკენ გაკვალა. ეს კადრები დაუვიწყარია ისევე, როგორც ხარატიშვილის განცხადება, რომ არ იცის, რა მოხდა ხაშურში და არ აქვს ინფორმაცია, როცა მთელი საქართველო მისჩერებოდა ღია ეთერში საარჩევნო უბნისა და მოდარაჯე ამომრჩევლების ბარბაროსულ დარბევას.

ხალხსა და სპეცრაზმს შორის ჩადგნენ მღვდლები და დაიცვეს ადამიანები. ნიღბიანები არც მათ ეპუებოდნენ, მაგრამ შედარებით გაუბედავად ძალადობდნენ. უცნაური რამ მოხდა ჩვენში, ეკლესიაც კი ლამის ორად გაიყო, ხელისუფლების მხარს იჭერდნენ ის სასულიერო პირები, რომელთაც დასაკარგი გააჩნდათ — ან მთავრობის ნაჩუქარი ჯიპებით დაქროდნენ ან საბჭოეთიდან გადმოყოლილი ჩეკისტური წარსულის გახსენება აფრთხობდათ. სასულიერო პირთა უმრავლესობა ხალხთან იდგა. ხელისუფლების აპოლოგეტთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქუთათელ-გაენათელი ეპარქიის წინამძღოლი და ფოთისა და ხობის მთავარეპისკოპოსი ბერბიჭაშვილი, რომელმაც ფოთის ეკლესიის კედელზე წინასაარჩევნო პლაკატებად პრეზიდენტის ფოტოები გააკრა. მიუხედავად ასეთი პრეცედენტებისა, მრევლის ერთგული მღვდლები ბევრად ჭარბობდნენ და მათი ვაჟკაცობა, ხელჩართულ მიწევ-მოწევაშიც რომ გამოიჩინეს, დაუვიწყარია.

ცესკო ფეხს ითრევდა და ზოზინით ითვლიდა ხმებს, იმიტომ რომ მისატაცებელი იყო ის უბნები, სპეცრაზმმა რომ გაიტაცა ბიულეტენები და იძულებით ხელმოწერილი საუბნო ოქმები. დავალებას მშვიდად ასრულებდა ხარატიშვილი და კუსავით მოძრაობდა, სიტყვებს ვერ წარმოთქვამდა, მხოლოდ ეძებდა და ვერ პოულობდა. მე ვხედავდი მძევალს, რომელიც იძულებული იყო ფეხი აეთრია და პროცესი გაეჭიანურებინა.

მთელი ძალაუფლება ისევ პრეზიდენტის ხელშია, რადგან ახალ პარლამენტს ჯერ უფლებამოსილება არ გააჩნია და, არც არავითარი ბერკეტი. სწორედ ამიტომ ნიშნის მოგებით ქირქილებენ ოპოზიციონერები, მაგალითად ბ-ი ბაქრაძე, ყოფილი სპიკერი: „ძალიან მაინტერესებს, როგორ შეასრულებს კოალიცია იმ სოციალურ დაპირებებს, რომელსაც ასე უხვად გასცემდა საარჩევნო კამპანიის პერიოდში. დამერწმუნეთ, ჩვენ სათითოდ ჩავუჯდებით ყველა დაპირებას, რამდენად შეასრულებს ოცნება.“

ამ განცხადებაში იკვეთება მოსალოდნელი დესტრუქცია, რასაც შეხმატკბილებულად „მოახერხებს“ პრეზიდენტი და მისი ყოფილი უმრავლესობის გაოპოზიციონერებული ნარჩენები. ყველა ქორი მათ რიგებშია და მე უკვე ვგრძნობ, ხელს როგორ შეუშლიან ისინი ახალარჩეულ პარლამენტს საქმიანობაში. ეს რომ მოსალოდნელია, არ უნდა გაგვიკვირდეს, და რევანშის აღებას რომ ეცდებიან, ესეც მოსალოდნელია.

არ ვიცი, როგორ გაართმევს თავს „ქართული ოცნება“ ამ მეტად რთულ რეალობას.

რამე უნდა იღონონ, უნდა შეძლონ, აბა, რასაც პირდებოდნენ ამომრჩეველს, როგორ შეასრულებენ დანაპირებს?! იმედი მაქვს რომ თანდათან ყველაფერი დალაგდება. ხელოვნური კრიზისიც მოსალოდნელია, რადგან ეგენი თუ რამეში არიან ძლიერები, ეს შავი პიარი და დესტრუქციაა.

მე ერთხანს ვეღარ გავადევნებ თვალს მიმდინარე პროცესებს, რადგან ისევ მწერლობას უნდა მივუბრუნდე. თუ რამე ჩავიწერე, მხოლოდ იმიტომ რომ, მკითხველამდე მიაღწიოს ამ უაღრესად დაძაბული დღეების ექომ და არასოდეს განმეორდეს ერთპარტიული ჯოჯოხეთი, როცა ზედმეტი ძალაუფლება აშლეგებს და გადააგვარებს, სახეს უკარგავს ანადგურებს, ნებისმიერ ლიდერსა და რიგით წევრს, და, რაც მთავარია, ხალხს, რომელსაც დენზე მიბმული ნაგავივით მობეზრდა დენზე მიბმული ავტოკრატის ისტერიული ქაქანი.

ვიდრე დავბრუნდები, გადაიკითხეთ რას ფიქრობს სააკაშვილი ბავშვებზე და ახალ საპატიმროზე:

კატუა ტერეზას მომზადებული კოლაჟი პრეზიდენტის გამოსვლებიდან;

„ყველაზე მეტად ჩვენი ბავშვები მიყვარს, რადგან მათ მთლიანად ესმით ჩემი“...

„ხშირად მეც, ბავშვების მსგავსად, მიყვარს ფანტაზია და ლამაზი რაღაცების დახატვა, ოღონდ ამას მერე ვასრულებ ხოლმე. მე ვისურვებდი, რომ ყველა ამ ბავშვის ფანტაზიაც კი ასრულებულიყოს. მე მინდა, ყველა მათგანს შთავაგონოთ, რომ საქართველო თვითეულ ჩვენგანს გეკუთვნის“...

„მაგრამ მთავარი მოთხოვნა არის ის, საქართველოში მცხოვრები ყველა ბავშვი ინგლისურენოვანი გახდეს“...

„ყველაზე პოპულარული ბავშვებში ვარ. ჩემი მთავარი ელექტორატი სწორედ ბავშვებია. პარლამენტში კანონის გატანის შანსი თუ გამომიჩნდა, სამი-ოთხი წლის ბავშვებს აუცილებლად უნდა მივცეთ ხმის უფლება. მაშინ სულ „ნაციონალური მოძრაობა“ გაიმარჯვებს. ვხუმრობ, ამას ნამდვილად არ ვაპირებ“...

6 ნოემბერს, ინტერპრესნიუსის ცნობით, რუსთავის ქალთა საპატიმროს გახსნისას პრეზიდენტმა დააგემოვნა პატიმართა საკვები და ბრძანა: ასე შესაძლოა საქართველოში ბევრი ოჯახი ვერ იკვებებოდესო... ასეთი სიმართლე წამოსცდა პრეზიდენტს რუსთავის საპატიმროს გაპიარებისას. როგორც ჩანს რუსთავის ქალთა საპატიმროში უკეთესი საყოფაცხოვრებო პირობებია, ვიდრე დანარჩენ საქართველოში.

პ.ს. საქართველოს თითქმის ყველა ქალაქსა და სოფელში, ყველა უბანში თითო-თითო ჭიაკოკონა დაინთო შეღამებისას. როგორც გაირკვა, გამგეობების, საკრებულოების, საარჩევნო უბნებიდან მორჩენილ, არასასურველ დოკუმენტაციას წვავდნენ უცნობები. ტელეობიექტივი რომ მიუახლოვდა ერთ-ერთ კოცონს, უცნობები უფრო აჩქარდნენ და ბენზინი დაუნანებლად მიასხეს მოგიზგიზე ცეცხლს. ფერფლად უნდა ქცეულიყო ყველა საბუთი, რომელთა გამოჩინება, გამჟღავნება ასე საშიში იყო იმ ჩინოვნიკებისა და მათი ზემდგომებისთვის, ამჟამად რომ ქამელონივით ფერს იცვლიან და ახალ რეალობასთან მორგებას ან ქვეყნიდან დათესვას აპირებენ.

როგორც ზუგდიდის მაგალითზე დადასტურდა, ამ საბუთებში ჭარბობდა პრობაციონერთა და ზონდერების სიები და მათი სამავნებლო, დესტრუქციული დავალებები: საარჩევნო პროპაგანდის ჩაშლის გეგმები სხვადასხვა რაიონებში, პრობაციონერთა გამოყენება საარჩევნო სომხურ თუ ქურთულ კარუსელებში, ოპოზიციური ლიდერების ცემა, ნებისმიერი

საშუალებით მათი პროვოცირება, გამოწვევა და არეულობის მოწყობა, ქვების დაშენა დამიზნებით და ა.შ.

დანიელმა წარმოიდგინა მთელს საქართველოში გამყალბებელთა მჩხიბაობით შედგენილი საზიზღარი მაკულატურით გაჩენილი ჭიაკოკონები და თავისთვის ჩაილაპარაკა: არული კუდიანებს! არული კუდიანებს! არული კუდიანებს!

2 ოქტომბერი

გამოიკვეთა „ქართული ოცნების“ სრული უპირატესობა თბილისში, მაჟორიტარულ საარჩევნო ყველა ოლქში და მთლიანად საქართველოში — პროპორციული არჩევნების ეგზიტპოლებში!

არჩევნების შედეგებმა ძალიან გამახარა... გაცილებით უკეთ, თავისუფლად ვსუნთქავ და მსუბუქად დავაბიჯებ. ამასვე ამბობს თითქმის ყველა ადამიანი, ვისაც ვიცნობ და ვინც შეხვედრისთანავე მილოცავს გამარჯვებას და ვერ მალავს უსაზღვრო თავისუფლებით და საერთო ბედნიერებით მონიჭებულ აღფრთოვანებას. მიხეილ სააკაშვილმა რესპუბლიკის მასშტაბით მაჟორიტარული და პროპორციული წესით არჩევნებში თავი დამარცხებულად სცნო. სახეწაშლილი საუბრობდა. ჩემს და მრავალთა გასაკვირად თავი ოპოზიციონერად გამოაცხადა. კი, ასე თქვა: ოპოზიციაში მივდივარო! ადრე, როცა უმრავლესობაში იყო, თვითონ მხოლოდ უმრავლესობის პრეზიდენტად მიიჩნევდა თავს, ახლა, როცა შეიცვალა ვითარება, იგი მხოლოდ ოპოზიციის ანუ ნაცმოს პრეზიდენტია.

წინასაარჩევნო პერიოდიც ამ ნიშნით მიმდინარეობდა, მოყოლებული კარალეთიდან კახეთით დასრულებული. ნაცმო ქვის ხანის მეთოდებს იყენებდა და მათი აქტივისტები ქვებს დამიზნებით ესროდნენ მოწინააღმდეგეებს. ჩაქოლვის მცდელობა გათამაშდა კარალეთში და იგივე განმეორდა სიღნაღსა და კახეთის ზოგიერთ რაიონში. ნაცმო ალისტრახოების ინსტიტუტს დაეყრდნო და ხალხზე ზეგავლენის, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ძალადობის ახალი გზა მოიძია. სააკაშვილი თავისი უწყვეტი და სახიფათო რიტორიკით შეეცადა შეგნებულად ორად გაეხლიჩა ქვეყნის მოსახლეობა არჩევნებამდე გაცილებით ადრე, და თავის სიმპატიებს არც მალავდა, როცა მორჩილ, პირობით უმრავლესობას ხვდებოდა ქუჩაში თუ შენობაში, სტადიონსა თუ სპორტის სასახლეში, რთველში, როცა სიმბოლურად მოინახულებდა სოფლის მეურნეობის სავარგულებს, რაც მისთვის იმდენად უცხო გახლდათ, რომ ერთი სული ჰქონდა, იქაურობას გასცლოდა, სადმე გადაკარგულიყო. ახალი ადამიანის იდეით შეპყრობილი ნაცმო ცდილობდა მენტალური რევოლუცია უჩქარესი ტემპით მოეხდინა და, ნაცვლად ნებაყოფლობითი პროცესისა, თავსმოხვეული, ძალადობრივი მეთოდებით ჭრიდა და კერავდა ყველაფერს, დაწყებული პირველი კლასიდან მეთორმეტეს ჩათვლით. ახალი ადამიანის ჩამოყალიბების ფორსირება ხელოვნური და მტანჯველი პროცესი გახლდათ, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდული ფენა შექმნეს, ყველა პრივილეგიით რომ სარგებლობდა, განსხვავებით მათგან, ვინც თვითმართველობიდან თავს შორს იჭერდა. ამათ ანაკლიაში დაატარებდნენ გასართობად და დასასვენებლად, ხოლო მეორე, განზეგამდგარი, სხვაგვარად მოაზროვნენი გარიყული ჰყავდათ და რა იცოდნენ, რომ მთელი საღი აზრი სწორედ იქ მწიფდებოდა და რომ საპყრობილეში გამოაშკარავებულ სადისტურ წამებებსა და ხელკეტებით გაუპატიურების ამაზრზენ კადრებს სწორედ ეს სტუდენტები გააპროტესტებდნენ და მათი მეშვეობით ჩაეყრებოდა საფუძველი ახალ, პოლიტპარტიებისაგან შორს მდგომ სტუდენტურ მოძრაობას. ყველაზე მეტად მათი გამოჩენა გამიხარდა, თუ არ ვცდები, „ლაბორატორიად“ იწოდებოდნენ, მათთან ერთად იყვნენ თანამოაზრეები და აგრეთვე ნაცმოს დაქვემდებარებული თვითმართველობის წარმომადგენლები ცდილობდნენ მათთან შერევას, ერთად გამოსვლას, მაგრამ ახლოს არ გაიკარეს.

რამდენი წელი გავიდა, რაც სტუდენტური მოძრაობა აღარ გამოჩენილა ქალაქში?! სხვა ქარი, სხვა ძალა, სხვა იმედი მოიტანეს და ეს განცდა იმდენად გადამდები აღმოჩნდა, რომ მუნჯმა ენა ამოიდგა, შეშინებული გათამამდა და პროტესტით აღივსო და შიშის დაძლევის თანდათანობითი პროცესი, ივანიშვილმა რომ დაიწყო, მთელმა საქართველომ აიტაცა.

სნობი ცალკე დარჩა — სნობის ესთეტიკაში ჩაძირული, ეგოისტური ზრახვების მომსახურედ, ყველაფერზე მოქირქილედ, ყველაზე მაღლა მდგომად, რადგან განათლებული ათეიზმი საკუთარ ხელობას აღმერთებს და ნარცისობა მისი ბუნებრივი მდგომარეობაა.

ნეობოლშევიკურ პარტიას გაუჩნდა ნეოკომკავშირული ორგანიზაცია და, რაც ყველაზე საოცარია, შემთხვევითი კონტაქტისას ყველა დიდგულა, მედიდური, საკუთარ ძალაუფლებაში დარწმუნებული ახვარი ბრძანდებოდა.

გაორებული საზოგადოება, გაორებული სტუდენტობა, გაორებული მწერლობა, გაორებული სპორტსმენები, გაორებული ნებისმიერი პროფესიის ადამიანები, გაორებული პოლიტიკური ნიშნით, ცუდებად და კარგებად, ჩარეცხილებად და სანიმუშოებად. ასეთი ახალგაზრდების სანიმუშო ტიპი გახლდათ ამხანაგი ვარძელაშვილი. ამათ გამოზარდეს და ამათ ერთგულებდა. არჩევნებისას თავის ამფსონებთან ერთად დარბოდა სამტრედიის რაიონში დავალების შესასრულებლად. კახი კალაძის, მაჟორიტარობის კანდიდატის, დამარცხების კამპანიას ხელმძღვანელობდა. ახლდა კიდეც თან ყოფილი მოკრივეები, კახი კალაძის მომხრეები რომ უფრო ადვილად ეცემათ და წესრიგი დაემყარებინათ. იგი უფრო ზონდერი იყო, ვიდრე მინისტრი. ჯერ ყურმოჭრილ მონად მუშაობდა პარტიის ბოსებთან, სიგარეტზე ან სხვა წვრილმანზე აგზავნიდნენ და ასე თამაშ-თამაშ მინისტრად მოგვევლინა, „ზონდერკამანდირობას“ რომ ითავსებს და დასასჯელს სჯის, ასრულებს პარტიულ დავალებას. ეს ფსევდოინტელექტუალები თბილ ოთახებში სხედან და ბუჟბუჟებენ, კონფორმისტულ ნეხვზე ამოსული გოგრებივით უჩანთ ამოჩრილი თავები და საკუთარ კეთილდღეობაზე მზრუნველებს აღარავინ და არაფერი ახსენდებათ, განყენებულ თემებზე ბჟუტურისა და არსებული პარტიის დესპოტურ ქმედებათა გამართლების გარდა. ესენი ყვერებით უნდა დაკიდოს შთამომავლობამ, ეს ნეხვის ჭიები, რა თქმა უნდა ყვერები თუ გააჩნიათ... დანიელმა რაც გაიფიქრა, ფიქრშივე წაშალა, შეკრთა, შურისძიება ხომ არ მალაპარაკებსო, მაგრამ წამოწყებული წარმოსახვა მექანიკურად გაგრძელდა:ადვილი შესაძლებელია, რომ დაკიდების პროცედურას უიმისობის მარტივი მიზეზის გამო გადაურჩნენ განსაკუთრებულად ნაზი ინტელექტუალები. ინტელექტუალეთი — კიდევ ერთხელ გავიხსენებ ამ სიტყვას, აბა, სხვაგვარად რა ვუწოდო საკუთარ ამქართან მოკეკლუცე ტიპებს, რომელთაც სათავისო პუბლიკის ცრურიტორიკით აღფრთოვანება ასაზრდოებთ.

საშინელი ამბავი მოხდა გუშინ ზუგდიდში. მოედანზე, სადაც საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა, გაჩერდა ტაქსი, ცოტა ხანში დაიძრა და წავიდა. აღმოჩნდა, რომ უყურადღებოდ დარჩენილი სამი წლის ბავშვი, ვიდრე დედა მოიძიებდა, მანქანის ქვეშ შემძრალა. ვერც მძღოლი ხედავდა, ვერც დედა, ვერც სხვა ვინმე ღვთისნიერი და ასე უბედურად დაიღუპა ბავშვი ბორბლებქვეშ.

ქვევრში ნაპოვნი ცხრა თვის ჩვილი გამახსენდა — გურჯაანის რაიონში. ეს ორი ტრაგედია ერთმანეთს ემატება და სიმწარით მავსებს. ჩნდება ცდუნება, სიმბოლური დატვირთვა ვეძებო ორი უმანკო ბავშვის ბრმა სიკვდილში, მაგრამ სპეკულაციისგან თავს ვიკავებ, რადგან ზუსტად ვერავინ იტყვის, რა მოხდა, რატომ გაიწირა ორი პატარა არსება?! ერთი დაუდევრობას ემსხვერპლა, მეორე კი, ცხრა თვის ბავშვი, გაურკ-

ვეველ ვითარებაში აღმოჩნდა წყლით სავსე ქვევრში. შეუძლებელია ამ ცოდვამ არ შეაწუხოს, არ დატანჯოს ის, ვინც ეს ჩაიდინა. დამნაშავის ძებნას არ ვაპირებ, რადგან ზოგადად იგი ცნობილია და მისი სახელია საყოველთაო ფსიქოზი, რომელსაც თავისი ავტორი ჰყავს.

არ მინდა დავიჯერო, რომ ჩვილი ქვევრში ვიღაცამ ჩაახრჩო, და რომ ეს შემზარავი ეპიზოდი ირიბად მაინც უკავშირდება საარჩევნო ბატალიებს. გამოძიების შედეგი უცნობია ყველასთვის და პოლიციურ ვერსიებსა და კულისებში ჩაიკარგა. ვერასოდეს გავიგებთ, რა მოხდა გურჯაანში, თუმცა რჩება კი რაიმე დაფარული მზისქვეშეთში?!

არის რაღაც ბედისწერული ამ ორ შემზარავ შემთხვევაში. უნდა დავფიქრდეთ და ყველამ საკუთარი ცოდვა იდარდოს და მოინანიოს. თითქოსდა მშვიდობიანად ჩატარებულ არჩევნებს წინ უძღოდა მაშინდელი ოპოზიციის სადისტური მეთოდებით შევიწროება, ცემა-ტყეპა, ქვების დაშენა, ანგარიშების დაყადაღება, სატელიტური თეფშების დაპატიმრება და გაუგონარი ჯარიმები, დანარჩენი ცივილიზებული სამყარო რომ გააოცა და მათი რეაქციით შემკრთალებმა შეამცირეს, კი არ შეწყვიტეს ძალადობა, უბრალოდ შეცვალეს ძალადობის ფორმები და მეთოდები.

ალისტრახო და მისი და-ძმანი ნაცმოს შვილები არიან. ყველას ერთად ალისტრახოები ჰქვია, რადგან მათი სახელების აქ ჩამოჭიკჭიკებას არავითარი აზრი არ აქვს და ისტორიული მეხსიერებისთვის კოლექტიური ალისტრახოს სახელით უნდა დარჩეს.

ნაციონალური პარტიის ბოლო შეხვედრა, ალბათ, მათი პარტიის და პარტიული ლიდერების ბედს ეხებოდა. ვინ გაიგებს რაზე საუბრობდნენ. არსებული კონსტიტუცია აჩენს რევანშით ცდუნების საშუალებას, მეტადრე მაშინ, როცა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ იგი ოპოზიციაში მიდის. როცა ქვეყანას ოპოზიციონერი პრეზიდენტი ჰყავს და იგი საქართველოს ერთი ნაწილის, უმცირესობის პრეზიდენტია და მეორე ნაწილს, უმრავლესობას, როგორც ადრე, ახლაც მტრად მიიჩნევს; ხომ წარმოგიდგენიათ რა ტიპის მმართველობა იქნება ჩვენში...

ზოგი გასაქცევად ემზადება, ნაწილი ჩადენილი დანაშაულის შიშით ქვეყნიდან გადახვეწას აპირებს, რადგან მიეცა საშუალება გაერიდოს საკუთარ დანაშაულს. იგრძნო, ახალი ხელისუფლება რომ ჯერ ფორმალურად არსებობს და დასამალად უკეთესი დღეები შეიძლება აღარც გაუთენდეს?!.. ხოლო მეორე ნაწილი, მოჩვენებითად უდანაშაულო კონფორმისტები, ცხადია, დარჩებიან საქართველოში და პარლამენტის წევრობანას ითამაშებენ და იოცნებებენ ყოფილი პრეზიდენტის ხელახალ რეანიმაციაზე.

ეს ტიპი შურისმაძიებელი და გულნამცეცაა, ვიდრე ოპოზიციაში უდგას ამომრჩეველთა უმრავლესობას, ანუ ხალხს, ყოველთვის შეეცდება მის ხელში არსებული საშუალებებით იხიმანდროს და სარევანშოდ იჩალიჩოს. ვიდრე ოპოზიცია ხბოს აღტაცებით, ხმამაღლა ფიქრობდა, რომ პოლკოვნიკი ჯანჯღავა დაენიშნა თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის უფროსად, ამასობაში სააკაშვილმა ამ პოსტზე ბრიგადის გენერალი კალანდაძე გაამწესა და ამით ოპოზიციას უთხრა: „მე ვარ და ჩემი ნაბადი, რასაც მინდა, იმას გავაკეთებ.“ ყველაფერი მოსალოდნელია მისგან, მეტადრე იმ კონსტიტუციით აპელირება, მისთვის რომ შეკერეს პალიკოებმა და სხვა მჩხიბავებმა. არ ვიცი, რა მოხდება პრეზიდენტისა და პარლამენტის მოსალოდნელი დაპირისპირების შემდეგ, ერთი რამ კი ნათელია — გამუდმებული ხელისშეშლა გაგრძელდება მანამ, სანამ სააკაშვილი ხალხის ოპოზიციაში დარჩება. ოპოზიციის ნაცვლად მე ვერ ვიფიქრებ გამოსავალზე, იმიტომ კი არა, რომ ჩემთვის სულერთია, არამედ იმიტომ, რომ საშინლად მომბეზრდა პათოლოგიის კარნახით განხორციელებული შიზოიდური ეპიზოდებით შეკოწიწებული ცხოვრება, რომელიც დაუსრულებელ ავადმყოფურ პროცესს ემსგავსება.

მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, ყოველდღიურად ვიგებთ ემიგრაციაში მინისტრების გაქცევის ამბავს. თითქმის ყველა ძალოვანი მინისტრი გაიქცა. კუდის და სოდის მაღალჩინოსნებზე აღარაფერს ვამბობ, არც რკინიგზის დეპარტამენტის ეზუხბაიაზე ვლაპარაკობ. წარმოიდგინეთ პრეზიდენტი, რომელსაც თითქმის ყველა მინისტრი გაექცა საზღვარგარეთ, თვითონ კი პრეზიდენტად ზის და მამა აბრამის ბატკანივით თვალებს აცეცებს, თითქოს არაფერი ხდება. ყველაზე ადრე იუსტიციის მინისტრი ადეიშვილი დაითესა. ჯერ თქვეს, რომ გერმანიაში ნახეს, მერე კი გაასწორეს, არა, ავსტრიაშიაო.

პრეზიდენტმა ახალი ბრძანება გამოსცა და ყველა ქართველ მაღალჩინოსანს, დარჩენილ მინისტრებს და გაქცეულებსაც, გენპროკურორსა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და სხვებს, მათ ბრწყინვალეებს ერთწლიანი დიპლომატიური პასპორტები ჩამოურიგა. ერთი წელი ხომ დასჭირდებათ სახლ-კარის შესაძენად და მოსაწყობად, ბიზნეს გარემოს გასათავისებლად ან სულაც უკან დასაბრუნებლად, თუ რევანში შედგება. კი, რევანშზე ფიქრი არ ასვენებთ, მაგრამ პარტია ყინულივით შემოადნათ და ფეისბუკზე გამწარებულები უხმობენ პარტიაში შესვლის მსურველებს. მეტი არაა ჩემი მტერი, იქ ვინმე შევიდეს. თუ შევა და ალალ იყოს!

დღეს, 21 ოქტომბერს, ქუთაისში, ახალ, ნაწილობრივ დასრულებულ შენობაში ჩატარდება ახალი პარლამენტის პირველი სხდომა. დაესწრება ძველი და ახალი მთავრობა, პატრიარქი, დიპლომატიური კორპუსი და ა.შ. სხდომას გახსნის ოპოზიციონერი პრეზიდენტი სააკაშვილი და იგი წარადგენს ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, ბიძინა ივანიშვილს, რომლის დათხოვნის გეგმებს აქედანვე აწყობს და საჭირო ვითარებას ელოდება. ბიძინა ივანიშვილს წარადგენს ის პრეზიდენტი, რომელმაც მომავალ პრემიერ-მინისტრს მთელი წელი მოქალაქეობა არ აღირსა და დაუყადაღა საქართველოში არსებული თითქმის მთელი ქონება, ვისი ბრძანებითაც „ზონდერები“ იბრძოდნენ ქვებით და ხელკეტებით და მთელმა საქართველომ ნახა ბიძინას თავგატეხილი და დასისხლიანებული მხარდამჭერები ქართლსა თუ კახეთში, იმერეთსა თუ სამეგრელოში, სრულიად საქართველოში. პრეზიდენტი დაბეჯითებით აცხადებს, რომ მისი პოზიციები რადიკალურად განსხვავდება „ქართული ოცნების“ შეხედულებებისგან. სადაც კი სიტყვის თქმის საშუალებას იპოვის, აუცილებლად აღნიშნავს შეუთავსებლობას ახალგამარჯვებულ კოალიციასთან. თითქოს მომხრეებს უტოვებს რევანშის იმედს და ისინიც მიმალულები, მიყუჩებულები ელიან სანატრელ ჟამს.

დიდი დიღმის ხეივნებში სეირნობისას ასეთ ფრაზას მოვკარი ყური: საქართველო დაღუპვის გზაზეა, საქართველო აუცილებლად დაიღუპება. — თქვა უცნობმა ქალბატონმა და გადაიკისკისა.

—ვინ თქვა, რომ საქართველო დაიღუპება?

ყოყმანის შემდეგ ქალბატონმა გამიმხილა: ბენდუქიძემ თქვა „მაესტროზე“, თქვენ არ მოგისმენიათ?!

—არა, არ მომისმენია. ბენდუქიძის დაღუპვას უფრო დავიჯერებ ვიდრე საქართველოს დაღუპვას!

—ბენდუქიძეს რა დაღუპავს?? აბა ვნახოთ, თუ არ დეიღუპება საქართველო ამგენის ხელში?! — ქალმა ისევ გადაიკისკისა, მანამდე მოასწრო ჩემი გაკენწლვა, მაგრამ არ ავყევი.

— თუ მართლა გჯერათ, რომ საქართველო დაიღუპება, თქვენ რა გიხარიათ, თქვე უბედურებო?!

—ამათ ხელში აუცილებლად დეიღუპება. ვნახოთ თუ გინ-

და.. ისევ ხითხითი... ძლივს ვიპოვე პაუზა და შევუღრინე: "ნავხოთ!" რატომღაც ზემოიმერულად მოვუქციე, ალბათ დედაჩემის ბაბუის, კორბეულელი ანტონ კაპანაძის სულმა მიკარნახა.

ეს ქალბატონი დამარცხებული პარტიის აქტივისტი გამოდგა. აქტივისტებს ხომ აფინანსებენ და პრივილეგიებს ურიგებენ ნეობოლშევიკები და ესენიც თავგადაკლულნი იცავენ საკუთარ ჯიბეს და ფეხზე ჰკიდიათ სამართლიანი არჩევნები და ქვეყნის მომავალი. დამარცხების შემდეგ ისღა დარჩათ ცრუგანგაშით დააშინონ არასმცოდნეები. ავისმომასწავებელ ინფორმაციას ავრცელებენ, თესავენ, ცვლიან, აუარესებენ, თხზავენ და იცინიან ჩაკეცვამდე.

თავი იჩინა სოციალური პროექტების მხარდაჭერამ ხელისუფლებისგან, ლამის რეალური გახდა, თუმცა ვნახოთ, რამდენად რეალური იქნება კომუნალური ხარჯების შემცირება და პენსიის გაზრდა სტაჟისა და დამსახურების მიხედვით. ეგრევე აფუთფუთდნენ ბენდუქები: ეგენი დაღუპავენ ქვეყანას. დაღუპვისკენ მიჰყავთ საქართველო. მალე საქართველო აღარ იქნებაო!

პანიკას ჰყავს თავისი დამკვეთი და შემსრულებელი და ეს ფარული დირიჟორი რევანშისტული ვნებაა, რომ არ ჩამცხრალა ოპოზიციონერი პრეზიდენტის მზერასა და გულში, მეტადრე მექანიკურად წამოსროლილ წინადადებებში, რომ ვეღარ აკონტროლებს. რა, იმის დავიწყება შეუძლებელია, პირჯვრის გადასახვას რომ ცდილობდა სახეწაშლილი სააკაშვილი. შუბლის ნაცვლად მხარზე ისახავდა ჯვარს და ამას უკვე პირჯვარი კი არა, მხარჯვარი უფრო ერქვა. რელიგიასა და ყოველგვარ მეტაფიზიკურს, ყოველგვარ ზნეობრივ კატეგორიებს გარიდებული პრეზიდენტი თავს კომფორტულად გრძნობდა ნაცსექტაში, სადაც თვითონ იყო ბელადი და ნებისმიერი სურვილის იოლად ამსრულებელი. აშენა ახალგაზრდული ბანაკები. ზაფხულობით მიერეკებოდა სტუდენტებს ეროვნულ-პატრიოტული თემატიკის გაძლიერებული თანხლებით, თან ბუჩქებისკენ მოუწოდებდა და თან ანტიქართულ საქმეს ხლართავდა სინამდვილეში. ბურების, ინდოელების, ჩინელების და სხვათა ჩამოსახლება დაიწყო ქართლსა და კახეთში. თემქაზე ჩინური ქალაქის მშენებლობა დაიგეგმა — იქვე საგარეუბნო სოფლებიანა, და ეს ბედნიერი სააკა არც მოგვიაზრებს სააკაოში. ის ხომ გავარკვიეთ, რომ საქართველოში პატიმრებივით კარგად ბევრი ოჯახი რომ არ იკვებება, ახლა იმასაც უნდა შევეგუოთ, რომ მთელ საქართველოში წარმატებით განხორციელდეს დანარჩენი მსოფლიოს მრავალი ეთნოსის ჩასახლება და გული მშენებარე ლაზიკით დავიიმედოთ.

ლაზიკის იდეაც ვიღაცისთვის აუცანცლია და არ იმჩნევს ქურდობას, უბრალოდ ხელს გააყოლა ის, რისი განხორციელებაც თვითონ მოინდომა ბავშვური აღტკინებით.

პანკისის სასაკლაო ასე არ ჩაივლის!!

რამდენიმე ხანია, რაც ვანო მერაბიშვილი სამი დღით დაგვემშვიდობა და საზღვარგარეთ გაეშურა „მივლინებით", კვალიფიკაციის ასამაღლებლად. აღარ ჩამოდის. გაშპა, უფრო სწორად – გაიცურცლა სხვებივით. შაშკინმა რეკორდი მოხსნა, უკანმოუხედავად, თავქუდმოგლეჯილი გავარდა, ისე, რომ არაფერი დაუბარებია მშობელი ხალხისთვის, მოცოცხა და შეძვრა ინტერპოლის სიაში... თუმცა, კი არ შეძვრა, შეიპარა და ავი ბედის მომლოდინედ ჩამოყალიბდა ეს წარმატებული მინისტრი, მიშას ხომ მზე და მთვარე მაგაზე ამოსდიოდა?! ვითომ არაფერი ხდება, დამნაშავე მინისტრები გარბიან, მათი პრეზიდენტი კი თავის ადგილას ზის და, თვითონაც რომ არ სჯერა, ისე „განაგებს" ქვეყანას კი არა, საკუთარ უმცირესობას ანუ უმეცრებას და სააკაოს, ასე დავარქვათ მის სამეფოს! ესეც მიჰყვება გაქცეულებს.. არა მგონია, ცოლეურებთან შეაფაროს თავი და მშვიდ სიბერეს დაელოდოს ეს დაუდეგარი, ესა!!! კრწანისში ხომ არ დავუმეზობლოთ ბატონ ედუარდს, მაინც მისი გამოზრდილია?!

ვანო აღარ ბრუნდება. მე კი მეგონა, ეს პატიოსანი კაცი მაინც დარჩებოდა შინ და თავჩაქინდრული რამდენიმე სიტყვას ჩაილუღლუღებდა. არა, ესეც თვალს მიეფარა. გაუჩინარდა. საზღვარგარეთ მივდივარო და, რომელ ქვეყანაში გაიცურცლა — არ დაიბარა, თითქოს საზღვარგარეთი ვანოს სამეზობლოს არ აღემატებოდეს, და თვითონ უნდა მივხვდეთ, ისე თქვა: ორი-სამი დღით მივდივარ აქვე, საზღვარგარეთ და მალე დავბრუნდებიო. ბევრი ვეძახე, მაგრამ არ ბრუნდება, საყოფაცხოვრებო საკითხს იგვარებს და სად სცალია ჩვენთვის. მოკლედ, მთელი ფეისბუკი მკითხაობს: ჩამოვა, არ ჩამოვა, ჩამოვა, არ ჩამოვა, და ვინ რას იგლეჯს, არავინ იცის, აბა, ამ შემოდგომაზე გვირილას ვინ იშოვის სამკითხაოდ?!

იქნებ აბასთუმნის ტყეში დაბინავდა და სულაც არ იმალება, უბრალოდ სიმარტოვე მოენატრა და დაეყუდა ბერივით სულის განსაწმენდად.

მართლა რომ დაბრუნდეს, რას ვიხალისებ...

სააკაშვილმა ხომ დაურიგა თავის ხელქვეითებს დიპპასპორტები, დააფრთიანა და უცხოეთში გასაფრენად შეამზადა...

წინარე პოლიტიკური ემიგრაციები 1921 წელს და 1991-92 წლებში ბევრად უფრო არაკომფორტულად გამოიყურება, ვიდრე 2012 წლის ძალოვანი მინისტრების კოლექტიური თუ ინდივიდუალური დათესვები. ჟორდანიას და გამსახურდიას მთავრობებისგან განსხვავებით, ესენი არ არიან პოლიტიკური დევნილები, ჩვეულებრივი კრიმინალები ბრძანდებიან.

ვანო დაბრუნდა! აწი რაღა გვიჭირს. რეჟიმის დემონტაჟი გრძელდება.

პ.ს. ვშიშობდი, მმართველ ძალას არ წარემართა საკუთარი ქმედებები ისე, როგორც პინოჩეტმა არგენტინაში, როცა დაამხეს ლეგიტიმური ხელისუფლება, მოკლეს ალიენდე, ათასობით ტყვე დაყარეს უზარმაზარ სტადიონებზე, ბევრი დახვრიტეს და მანამდე მართავდა სამხედრო დიქტატურა ჩილეს, ვიდრე მეტ-ნაკლებად არ დამშვიდდა ვითარება ქვეყანაში და ვიდრე არ ჩატარდა არჩევნები, რის მერეც სამოქალაქო ხელისუფლებას დაუბრუნეს წართმეული ძალაუფლება.

მიმავიწყდა ჩილეს მაგალითი, რადგან ვთვლიდი, რომ ვერ გაბედავდნენ და არც რესურსი ეყოფოდათ, მაგრამ როგორც კი გია ნოდიას წერილი — „რა შეეშალა ნაციონალურ მოძრაობას" — წავიკითხე ელექტრონულ ჟურნალში „ტაბულა", მაშინ აღვიდგინე ჩემი ვარაუდები, რაც ნოდიას წერილშიც გაისმა: „პინოჩეტიშვილის" გზა, როგორც დაწუნებული, თუმცა ამ გზას ჰყავდა თავისი მხარდამჭერები. ამ თემაზე ჩვენში არსებობს აღიარებული ვერსია იმის თაობაზე, რომ პინოჩეტის გზა ამართლებს და შეიძლება ავითვისოთ, როგორც სანიმუშო მაგალითი და ვაქციოთ სტადიონები კონცლაგერებად, როგორც ჩილეში მოხდა თავის დროზე. ამ გზის მომხრენი მიიჩნევდნენ, რომ ღირს ათასების სისხლის დაღვრა უკეთესი მომავლისთვის.

ეს გეგმა გულდასმით შეენახათ ნაციონალური პარტიის ლიდერებს, მაგრამ ვერ გაბედეს მისი განხორციელება, ან უბრალოდ საამისო რესურსი ნამდვილად არ გააჩნდათ, თორემ უკან არ დაიხევდნენ. სამაგიეროდ, მოახერხეს კარგად დამარცხება ანუ არჩევნების იმ დონეზე წაგება, რომ ხმათა 40% მაინც მიიღეს, თუმცა, სავარაუდოდ, 20 % აცანცლეს კოალიციას, როგორც ირწმუნებიან.

საყრდენი წერტილი, რითაც შეიძლებოდა სააკაშვილის ამოტრიალება, თვითონ სააკაშვილმა შექმნა ცხრაწლიანი დაუღალავი შრომის შედეგად. როგორც ჩანს, მისი გარჯა მისთვის და ჩვენი ქვეყნისთვისაც უაღრესად ნეგატიური გამოდგა. ფაქტი ჯიუტია! სამწუხაროდ, მას და მის მომხრეებს უჭირთ ამის აღიარება, თუმცა ძალიან კარგად იციან...



ნობელის პრემიის ლაურეატი, ირლანდიელი პოეტი შეიმას ჰინი მიიჩნევს, რომ პოეტობა მშობლების კონტრასტულმა თვისებებმა გადააწყვეტინა: მამას ლაპარაკი არ უყვარდა, დედის ენაწყლიანობაზე კი ლეგენდები დადიოდა.

შეიმასის პოეზია ამ ნიადაგზე ამოზრდილი „კამათია საკუთარ თავთან". ჯერ ქალაქ დერიში, ირლანდიის ჩრდილოეთში არსებული წმ. კოლუმბას, ირლანდიელი მისიონერის (VIს.), სახელობის კოლეჯი, შემდეგ კი დედოფლის სახელობის ბელფასტის უნივერსიტეტი დაამთავრა. იქ შესწავლილმა ლათინურმა და ირლანდიურმა დიდწილად განაპირობა მისი პოეტური აქტივობა, ეთარგმნა ვერგილიუსი და შუა საუკუნეთა ირლანდიური ტექსტები, და ყოფილიყო აშშ-ს ყველაზე სახელგანთქმულ უნივერსიტეტთა პროფესორი.

მეოცე საუკუნის სამოციან წლებში გაჩენილი ინტერესი მისი პერსონისადმი დღემდე არ დამცხრალა. არც 1995 წელს გამოხატული ნობელის პრემიის კომიტეტის მოტივაცია გაქარწყლებულა: „ლირიკული მშვენიერებითა და ღრმა ეთიკურობით გამორჩეული თხზულებებისათვის, რომლებშიც განდიდებულია ყოველდღიური სასწაულები და ცოცხალი წარსული".

შეიმას ჰინი

თხრა

თითს და ცერს შორის მოქცეული ჯმუხი კალამი,
იარაღივით გამოცდილი და კომფორტული, ისვენებს ახლა.
ფანჯრებში აღწევს შეურყვნელი ხმაური მიწის —
მამაჩემია.
ვხედავ იმის დაძაგრულ სხეულს;
ყვავილთა მწკრივებისკენ როცა იხრება,
ოცი წელი აკლდება თითქოს —
მაშინაც ასე იხრებოდა სწრაფად, რიტმულად
და კარტოფილს თხრიდა და თხრიდა.
ტალახი ისე ჩაჰკვდომია უხეშ ფეხსაცმელს, როგორც
ნიჩაბი, მუხლების წინ გაწოლილ მიწას.
ფესვიანად თხრის მამაჩემი დაძარღვულ ღეროს,
ასუფთავებს პრიალა ბოლქვებს,
ცვივა ახალი კარტოფილი
და ხელებს მოსწონთ მათი ცივი, ცივი სიმყარე.
ღმერთს გეფიცებით — კაცს უპყრია ხელში ნიჩაბი,
როგორც — ღირსება საკუთარი მამაკაცური.
ბაბუაჩემი დღეში თურმე იმდენ ტორფს ჭრიდა,
რამდენსაც ერთად თუ შეძლებდნენ სოფლის კაცები.
ერთხელ რძით სავსე ბოთლი წავუღე,
თავდაცული გაჟღენთილი ქაღალდის კორპით.
წამოიმართა დასალევად
და იმავე წამს დაენარცხა ტორფის სველ და
ვეება ნაჭრებს,
მხრებზე მიწაშერჩენილი ჩასრიალდა ქვევით, სულ ქვევით
ხარისხიანი ტორფის საძებნად.
ერთი სიტყვით, ბაბუაც თხრიდა.
ობმოდებული კარტოფილის ცივი სურნელი,
მყრალი ჭაობის წუმპე
სველი ტორფის მოკლე ნაჭრები ცოცხალ ფესვებად
ინასკვება და ჩემს თავში იღვიძებს თითქოს.
მაგრამ არა მაქვს ნიჩაბი, რომ მეც მათ გზას მივყვე.
თითს და ცერს შორის მოქცეული ჯმუხი კალამი ისვენებს ახლა.
მე ამით გავთხრი.

პურიტანების რეკვიემი

ანაფორათა ჯიბეები სავსეა ქერით,
საჭმელი არ გვაქვს, არ გვახურავს თავზე არც ჭერი,
ჩვენს ქვეყანაში მივდიოდით — ვინ გვაჩქარებდა!
მღვდლები თხრილებში ღამეს ვტეხდით მაწანწალებთან.
დარბაისელი ხალხი სულ რომ გართობას ითხოვს,
მათ მსგავსად, მიწყივ ბედისწერას ვხვდებოდით თითქოს!
თირკმელს გვიწყლულებს და მხედარი შუბით გვცემს ლაღად,
ჩვენ კი ქვეითი ჯარისათვის საქონელს ვდაღავთ.
კავალერიას გზას ვუკაფავთ, ვიდრე მოგვკლავენ,
ვინეგას მთაზე შეიყრება ვიდრე კონკლავი.
ვიღაც მტრის ტყვიას ემალება, ვიღაც ტყვედ არი,
არტილერიის ნაკვალევზე ჩნდება ცხედარი.
ჩვენ — არც სუდარა და არც კუბოს დაბალი ჭერი...
ჩვენს სამარეზე აგვისტოში იზრდება ქერი.

ოდენესკა

ჯოზეფ ბროდსკისადმი

გულის სიმებდახლეჩილს გწვავდა ძველი ტაეპი
და ოდენის მახეში შენი ნებით გაები.
მაგ მარცვლებით ცვარავდი ლექსს — უგრძესს და უნათლესს,
მათ იეითსს მარადი სავანე გაუნათეს.
ახლა შენთვის მოვმცდარვარ, აღაპზე ვარ წვეული —
დგას იანვრის 28, ოცდარვაჯერ წყეული...
მეც მაგ საზომს ვიპოვნი სათაყვანო ხატებად,
შენეული სტრიქონი ისევ დაიბადება.
აწ შენსავით, მეც ვიხმობ გულის ხმას და გონებას:
ჯოზეფ, კარგი ლექსი ხომ ამით აიწონება.
დროს სევდა ჰყავს ძმობილად. სევდა არც ლექსს შორდება.
რაც ოდესღაც ყოფილა, ისევ განმეორდება.
ყინვა — ყრუ და მუდმივი სდევს პოეტის შარაგზას,
აეროპორტს დუბლინის ხელმეორედ ჩარაზავს.
ხელმეორედ მოედო სუსხი გულის ნათურებს
და შენს მკერდში, პოეტო, ყინვა დაისადგურებს.
ყინვა თითქოს ცულია და მის დარტყმას მოველი,
ბრუნავს მიწა სრულიად, მეორდება ყოველი.
სულს წინ სევდა მიუძღვის, ლექსს რომ იხვევს ნისლებად,
წიგნი ჰორაციუსის ისევ გადაიშლება,
სუსხი ისევ ეცდება, რომ სიცოცხლე განდევნოს,
სითბო შემოეცლება გოროზ მთავარანგელოზს,
ხელახლა გაგვაცურებს ორპირი თვის ანკესი,
კვლავ მოგვისევს ავსულებს ჯოჯოხეთი დანტესი.
მასაჩუსეთსს ვიხსენებ, რომ გამლეშე არაყით,
გული ძლივს რომ ვიჯერეთ სმითა და ლაპარაკით...
თუმც გონება ხურდება, თითქოს ახლაც შევთვერი,
შენ არ დაგიბრუნდება ძველებური ელფერი.
შენთან ერთად ჩაკლულა შეკურთხება კაცური,
გალექსილი სხარტულა, მჭახე და უწმაწური.
გახსოვს, ფინეთს ვეწვიეთ — უცნაურად მხიარულს,
კინაღამ შევეჩვიეთ ლენინის გზით სიარულს!
აწ წიგნს ვეღარ გადაშლი ველური გაშმაგებით,
გონებასთან თამაშით ვეღარ დაიდაგები,
აწ ვეღარ გაცხარდები ენით, სათაყვანებით,
სიტყვის ავტოსტრადებით, ლექსის ავტობანებით,
შენ ინგლისურს ტანჯავდი, ტანკად გესხა ჯავშანი,
ბოლო წუთებს ხარჯავდი თურმე სუნთქვაგამშრალი.
შენს გზას, ალბათ, დრო ასცდა, ყველა ფეთქავს შენსმეტი,

ენას არ აღმოაჩნდა შენთვის წამი ზედმეტი.
არ ახსოვდი იმ ღამეს... იქნებ დღესაც მტერია?
გაგახსენებ გილგამეშს — იქ ხავსი და მტვერია.
ტკბილი და სათაყვანო გელის შენი ოდენი...
სიკვდილია სამყარო, მტვერი მარტოოდენი.
ვერ იქნები მდუმარი... შენ ხომ ენას თან ახლდი!
გახდი მისი სტუმარი! მისი პურით დანაყრდი!

სურვილის ხე

ვფიქრობდი მასზე, ვით სანუკვარ სურვილის ხეზე,
რომელიც მოკვდა.
ვხედავდი, როგორ გადავიდა სასუფეველში მისი ფესვები,
დაძარღვული მისი რტოები...
ძირს ეფინება ანარეკლი ყველაფერი იმის,
რაც გარდასულა მკვრივი ვარჯით, პრიალა კანით:
ფული, სარჭები და ფრჩხილები რომ იღვრებიან,
ვით — კუდიანი ვარსკვლავები ცის სამჭედლოდან.
და მე ვიხილე ხე, ღრუბლებში ამოწვერილი,
ხე, რომლიდანაც მიცქეროდა ათასი სახე.

მიმდევარი

მამაჩემი მუშაობდა ცხენით და გუთნით,
დიდ გუთანსა და წვრილ კვალს შორის იმისი მხრები
აფრებივით გაჭიმულიყო.
კუთავდა ცხენი, დასძაბვოდა რომელსაც ენა.

ო, მამაჩემი ჭეშმარიტი ექსპერტი გახლდათ.
გადახრილიყო ქარის მიმართულებით და ფოლადის სოლს
ამაგრებდა.
სახეზე სველი ოფლის გუნდი ტრიალდებოდა და ტაატით
ძირს ეშვებოდა.
მზერა მიწისკენ მიემართა, ზუსტ კვლებს ავლებდა.
როდესაც ლურსმანს თუ რაღაც მის მსგავსს ფეხს წამოვკრავდი,
დროდადრო ზურგზე შემისვამდა.
მაყვინთინებდა თავის მძიმე სამუშაოში და კვლავ ზევით
მექაჩებოდა.
და მე მსურდა, გავზრდილიყავი,
მეც დამეხნა, მეც მომესინჯა მასავით მკლავი...
მაგრამ მხოლოდღა ის შემეძლო, რომ გავყოლოდი
მის ფართო აჩრდილს ფერმის გარშემო.
და მე ვიყავი აბეზარი, სწრაფი და ანცი,
ხან ვტლიკინებდი, ხან მორჩილად ძირს ვვარდებოდი.
მაგრამ დღეს კი მამაჩემია,
ვინაც ჩემს უკან მობარბაცებს და აღარ წავა.

ღამის გზა

ჩვეულებრიობის სურნელი ასდის საფრანგეთისაკენ
მიმავალ ღამეულ გზას: წვიმა და თივა მანქანიდან
გამობოლქვილ ქაფქაფა ნაკადს ჰაერში ისვრის.
გზის მაჩვენებელს ფერი ადევს თეთრი, სასტიკი:
მონრეალი, აბევილი, ბიუვო ...
ის ადგილები, შენი სახელის წარმოთქმას რომ ითვალისწინებს...
ღამეულ გზაზე კომბაინი მიღოღავს ოხვრით.
ცეცხლი, ტყისპირებს მოდებული, ტაატით იწვის.
ციცქნა კაფეებს ერთმანეთის წაბაძვით ხსნიან.
მე გამუდმებით ვფიქრობდი შენზე.
სამხრეთისაკენ,
ათასობით კილომეტრი როცა გავლიე,
და იქ მივედი, სადაც იტალიას თავისი ბარძაყი მიუდია
საფრანგეთისთვის,
შენ ჩემთვის გახდი ჩვეულებრივი.

ორაკული

ფუტურო ხეებს ნება-ნება კანს ააცლიან,
და ეს ხმა უფრო ნაცნობია, ვიდრე — ძახილი,
შენი სახელი, ჩვეულებრივ, კორდებს რომ წვდება.
შენ შეგიძლია კანის აცლის ხმა გაიგონო,
როცა ხეები გეჯარვიან და გეძახიან:
მათი ყოველი ნაპობიდან გამოკრთის პირი და ყურები,
ჭაობებში კი მათ მუშტებს და ხორხსაც შეამჩნევ.

სიმღერა

ელავს ცირცელი ვით ასული ტუჩშეღებილი.
ბილიკებსა და მთავარ გზას შორის
წვიმამოფრქვეულ მანძილიდან
თხმელის ხეები ლერწმებს შუა ჩარიგებულან

როგორც დიალექტს, ტალახიანს შევამჩნევ ყვავილს,
ხოლო უკვდავას, როგორც მჭევრ და სრულყოფილ სიტყვას
და სწორედ იმ წამს ჩიტის ჭიკჭიკი
დაემსგავსება იმ მუსიკას, აქ რომ იღვრება.

უცხო ნაყოფი

აი, გოგონას თავი ვით ამოთხრილი გოგრა
მრგვალსახიანი, მოიისფრო კანით და ასეთივე ქვებით —
კბილებით.

მის თმას მოაცილეს სველი მრავალძარღვა
და მისი სპორების შესწავლას შეუდგნენ
გაანიავეს მისი კანის მშვენიერება,
ცხიმი მოაშორეს მალეხრწნად საუნჯეს:
მისი გატეხილი ცხვირი ტორფის ბელტივით მუქი იყო,
თვალის ფოსოები ისეთი ცარიელი ვით აუზი მიტოვებული.
დიოდორე სიცილიელმა აღიარა.
თანდათან შვება როგორ იპყრობდა და მოსწონდა იმის ყურება,
მოკლული,
დავიწყებული,
უსახელო,
საშინელი თავწაკვეთილი გოგონა
თუ რარიგად ჩაშტერებოდა
მოღერებულ ცულს, მომავალ გაწმინდანებას
და ამის მხილველი როგორ გრძნობდა პატივისცემას.

ადრეული განწმენდა

ექვსი წლის ვიყავი, როდესაც ჩემ თვალწინ კნუტები ჩაახრჩვეს.
დენ თეგართს აღმოჰხდა: „გაძვალტყავებული ნეხვის
გუდურები!“
სათლში რომ ძირავდა. ლითონის ზრიალმა მათი ხმა ჩაახშო.

უსუსურ ბრჭყალებით ბოლომდე წვალობდნენ და
სუნთქვას ნაპარავს

წყვეტდნენ საბრალონი, წყალსაქაჩ ტუმბოზე როს
ენარცხებოდნენ.
ბოლოს კი დამფრთხალი კნუტების ფართხალი
წყლის ჭავლმა დაფარა.
„ასე ურჩევნიათ, რასაკვირველია!“ — თქვა დენმა მღელვარედ.
ხელთათმანებივით ღვიოდნენ ისინი, წყლიდან რომ იღებდა
და იქვე, მახლობლად, ყრიდა სანეხვეზე, უძრავთ და ელვარეთ.

უცებ შემეშინდა, როცა გარს ვუვლიდი შეფოთლილ მწვანე ხეს
და როცა ეზოში სისველედ განტოტვილ სამ ნარჩენს ვუცქერდი,
ხატულა ლაქებად, რომლებიც ხვატიანს შერწყმოდნენ სანეხვეს.

მერე დამავიწყდა. თუმც წვერს იმახავდნენ კვლავ შიშის ისრები,
დენი რომ ხაფანგით ხან ვირთხებს იჭერდა, ხან ყვავებს ხოცავდა,
ხანაც ნაყულფარი ბებერი ქათმების ცვიოდა კისრები.

ყალბი სენტიმენტი კვლავ უადგილოა. უტყვად და ურისხვოდ
მხრებს თუ ავიჩეჩავ, როდესაც ლეკვები წყალს ეტანებიან,
„ცალტვინა ძუკნები“, ვფიქრობ, და აგიხსნით,
თუ რასაც ვგულისხმობ:

ქალაქმა იქნება შეძლოს აცილება სასტიკი მითების
და იქნებ, სიკვდილი მთლად არაბუნებრივ ქმედებად ჩათვალოს,
სოფლად კი, ფერმებში, უნდა შევაჩეროთ
ზრდა პარაზიტების.

ინგლისურიდან თარგმნა
გია ჯოხაძემ

„უნივერსიტეტის კვარტეტი“ — ასე მოვიხსენიებთ მომღერალთა ჯგუფს, რომელსაც 30 წელზე მეტია არ უმღერია, მაგრამ მათთვის, ვისაც ახსოვს ეს მშვენიერი მანდილოსნები, ისინი დღესაც მღერიან. შემთხვევითი არ არის, რომ კვარტეტის კონცერტის შესახებ დაწერა ვთხოვეთ თამარ მიქაძეს — მწერალს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს, დიმიტრი ყიფიანის სახელობის მედლის მფლობელს... მის თვალწინ დაარსდა კვარტეტი, მის თვალწინ ჩაიარა მისმა ისტორიამ. და, რაც მთავარია, თამარ მიქაძეს მიჰყავდა ის მშვენიერი საღამო დედა-უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში.

თამარ მიქაძე

ჩვენს სამღერალს ვინ იმღერებს...

ამა წლის 9 ივლისი ლამაზი და განსხვავებული დღე იყო მათთვის, ვინც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, საღამოს 7 საათზე კონცერტს დაესწრო. შეიძლება მონატრებაც დავარქვათ ამ შეხვედრას.

საღამოს მასპინძლობდა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის, ადრე გოგონათა, ამჟამად, — ქალთა კვარტეტი, რომელიც 1976 წელს შეიქმნა და რომელმაც განუმეორებელი ჟღერადობით, შესანიშნავი რეპერტუარითა და შესრულებით დაარსებისთანავე დაგვამახსოვრა თავი. ამ თვისებების წყალობით იმ წლებში ფილოლოგიის ფაკულტეტი პირველობას არავის უთმობდა. გოგონათა კვარტეტს ხშირად იწვევდნენ სხვადასხვა კონცერტსა თუ ღონისძიებაზე.

ყველა თაობას თავისი სათქმელი აქვს, რომელსაც ზოგი წერით გამოხატავს, ზოგიც ხატვით... გოგონებმა სიმღერით თქვეს... და ეს იყო ჩვენი თაობის სიხარულის, ტკივილის, ყველანაირი ემოციის გამომხატველი სათქმელი.

საღამო უნივერსიტეტის 95-ე წლისთავს მიეძღვნა, გვინდოდა, როგორც უნივერსიტეტელებს, გაგვეხსენებინა 75-80-იანი წლები, როცა სტუდენტები ვიყავით და ყველაფერთან ერთად მის კედლებში მეგობრობას, ურთიერთპატივისცემას, მოყვასისა და ქვეყნის სიყვარულს ვსწავლობდით.

მას შემდეგ 35 წელი გავიდა... ისტორიისათვის წამის წამი, ადამიანისათვის მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრებისა...

* * *

ეს ყველაფერი კი 1975 წელს დაიწყო, როცა საუნივერსიტეტო ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს ფილოლოგიის ფაკულტეტის ორი გოგონა — ნატო შარვაძე და გულიკო ქსანდოპულო; ხოლო მეორე წელს, უნივერსიტეტის პროფესიულ დღეს, უნივერსიტეტის კაფეში მოწვეულნი იყვნენ ყველასათვის ცნობილი ჩიქოვანთა მომღერალი ოჯახის წევრები — მარიკა და გიგლა ჩიქოვანები. მათთან ერთად კი უჩვეულო ხმის ნატა გუნციკიძე. გოგონებმა სწორედ აქ აღმოაჩინეს ერთმანეთი. ეს იყო საქმის კეთილი დასაწყისი.

კვარტეტის შექმნის იდეა გულიკო ქსანდოპულოს ეკუთვნის. რა თქმა უნდა, მარტო სურვილი არ იყო საკმარისი. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ზურაბ ჩიქოვანმა ითამაშა, რომელმაც თავისი სტუმართმოყვარე ოჯახის კარი უშურველად გაუღო ახალგაზრდებს და ნამდვილ საშემსრულებლო ხელოვნებას აზიარა.

ხმათა ნაირფეროვანი პალიტრა იყო ის მასალა, რომელმაც კვარტეტის რეპერტუარი განსაზღვრა. მარიკა ჩიქოვანის ლირიკული სინაზით გამორჩეული ხმა, ნატო შარვაძის დაბალი, ხავერდოვანი, შესანიშნავი ბანი, რომელიც ქალის კვალობაზე ძლიერად, მყარად და საიმედოდ ჟღერდა, გულიკო ქსანდოპულოს გასაოცარი რაკრაკა, უნატიფესი, მაღალი ჟღერადობით გამორჩეული და ნატა გუნციკიძის დაბალი, უჩვეულო ობერტონებით გაჯერებული ხმა.

კვარტეტის პირველი სიმღერა იყო კომპოზიტორ ნუნუ გაბუნიას „მგონია ყველა კოკობი“, რომელიც ბატონმა ზურაბმა მათ თავადაც შეასწავლა და რომლის შესრულებასაც თავის დროზე დიდი წარმატება ხვდა წილად. კვარტეტის რეპეტიციები უმეტესწილად ჩიქოვანთა ოჯახში ტარდებოდა. საოცარი სითბოთი და ხელგაშლილობით ხვდებოდნენ მასპინძლები სტუმრად მისულ გოგოებს. ბატონი ზურაბის ხელმძღვანელობით თანდათან იხვეწებოდა საშემსრულებლო მანერა და ისინი წარმატებას წარმატებაზე აღწევდნენ.

35 წლის განშორების შემდეგ მოგვეცა შესაძლებლობა მოგვესმინა როგორც ძველი რეპერტუარი, ისე ახალი სიმღერები, რომლებიც წლების განმავლობაში მხოლოდ მეგობრების ვიწრო წრეში თუ გაჟღერებულა...

კონცერტის ჩატარების იდეა ჩვენს თანაკურსელსა და მეგობარს **ნინო ჭუმბურიძეს** ეკუთვნის. მოგეხსენებათ, იდეა საქმის ნახევარია. მანვე ითავა ამის ორგანიზება. საღამოს წაყვანა მე შემომთავაზეს...

* * *

კონცერტი დაიწყო...

საღამო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ გახსნა, სცენაზე მოიწვია

მარიკა ჩიქოვანი, ნატა გუნციკიძე, ნატო შარვაძე და გულიკო ქსანდოპულო

კვარტეტის წევრები და აკომპანიატორი ზურაბ ქურდაძე. ზურაბმა — თავისი პაპის, ზურაბ ჭუმბურიძის ნიჭიერმა და ღირსეულმა მოსახელემ, რეპეტიციებზე ძალიან შეგვაყვარა თავი და ახალგაზრდული ენერგიაც შემოიტანა.

შესრულდა იშხნელების რამდენიმე სიმღერა.

მარიკა ჩიქოვანმა მისთვის ჩვეული სიდარბაისლით მოგვითხრო, როდის დაამშვენა იშხნელთა სიმღერებმა მათი რეპერტუარი; დიდი სიყვარულით ისაუბრა წამყვანზე — თქვენს მონა-მორჩილზე. გაიჟღერა დიმიტრი ყიფიანის სახელმაც, რასაც, ჩემდა სასიხარულოდ, დარბაზი მქუხარე ტაშით გამოეხმაურა.

ნატა გუნციკიძემ გამორჩეული სითბოთი გაიხსენა ჩიქოვანთა ოჯახის თავკაცი — ზურაბ ჩიქოვანი, რის შემდეგაც შესრულდა ვფიქრობ, დღის საპროგრამო სიმღერა „ჩემს სამღერალს ვინ იმღერებს“.

სიმღერა „მარწყვის ტუჩა“ ფილოსოფოსმა თამაზ ბუაჩიძემ უძღვნა თავის მომავალ მეუღლეს. ამ საინტერესო ისტორიაზე ამომწურავად ისაუბრა **ნატო შარვაძემ.**

საღამო დაამშვენა მომღერალმა **გია ნაცვლიშვილმა,** რომელმაც მოიგონა კვარტეტთან ერთად გატარებული დღეები და იმღერა კიდეც.

თავისი შთაბეჭდილება გაგვიზიარა პოეტმა, ლიტერატორმა **ანდრო ბუაჩიძემ,** რის შემდეგაც შესრულდა მისი მეუღლის **ნატა გუნციკიძის** საავტორო ნაწარმოებები.

ვისაუბრე ნატას შექმნილ სიმღერებზე, გავიხსენე ჩვენი შეხვედრა ორი წლის წინათ ქვიშხეთში, სადაც პირველად მოვუსმინე მას და აღფრთოვანებული დავრჩი. ისიც აღვნიშნე, როგორ ჩუმად მიპასუხა კითხვაზე: „ვინ არის ავტორი?“ — „მე“. ეს „მე“ — ისე უპრეტენზიოდ გაისმა ამ ამბიციებით გაჯერებულ სივრცეში, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი საზოგადოებრივი აზრის გაძლიერების აუცილებლობაში. უფრო მეტად მოვეფეროთ ერთმანეთს, ცოტა მეტი... შემოქმედებით ადამიანებს... ეს მხოლოდ სიკეთით დაგვიბრუნდება-მეთქი — მივმართე დარბაზს.

ტკივილის გარეშე არც ცხოვრება არსებობს, არც შემოქმედება...

გულიკო ქსანდოპულომ ძალიან თბილად ისაუბრა აფხაზეთზე, გაიხსენა ნატა და თამაზ ბაძაღუების ოჯახი... შესრულდა აფხაზური სიმღერა „ვარადო“.

შეიძლება ადრე გოგონების ხმებში მეტი ჟღერადობა იყო, მაგრამ დღევანდელ დღეს ეს ხმები დიდი გამოცდილების მატარებელია... პირადი თუ ქვეყნის ჭირ-ვარამით გაჯერებული.

გასაკვირი არ არის, რომ ფილოლოგთა რეპერტუარის ტექსტები ასე გემოვნებითაა შერჩეული: გალაკტიონი, ანა, ალექსანდრე საჯაია, ფილოსოფოსი ზურაბ კაკაბაძე...

შესრულდა ნიჭიერი პოეტის, უდროოდ წასული ახალგაზრდის დათო კვიტაიშვილის ტექსტზე შექმნილი სიმღერა „ორი ციცინათელა“. დარბაზში იმყოფებოდნენ დათოს ოჯახის წევრები, მამა — ბატონი ემზარი და და — ნინო.

როგორც წამყვანმა იმ დღის შესაჯამებლად ანდერსენის ზღაპრიდან გავიხსენე პასაჟი, როცა პრინცესა იწუნებს სურნელოვან ვარდს, შემდეგ მგალობელ ჩიტს, იმ მიზეზით, რომ ნამდვილია, ბუნებრივი.

სამაგიეროდ, მოსწონს ბრჭყვიალა, ხელოვნური ნივთები.

ვფიქრობ, იმ დღისა და საერთოდ ცხოვრების არსიც ესაა — განვასხვავოთ ნამდვილი ყალბისაგან; სიცრუე — სიმართლისაგან. არ მოგვატყუოს ბრჭყვიალა, გამოგონილმა ფერებმა.

იმ დღეს რაც სცენაზე ხდებოდა, ყველაფერი გულწრფელი, ნამდვილი და გულიდან გამოსული იყო...

საღამო ისევე ლამაზად დასრულდა, როგორც დაიწყო, იშხნელების სიმღერით — „ლაჟვარდ ცაზე“.

კონცერტი დამთავრდა, ემოცია არა ცხრებოდა... სცენაზე კურსელები, მეგობრები, უცნობებიც კი ამოდიოდნენ...

იყო სიხარული, სიყვარული, ცრემლი. ჩვენი თაობის ერთ-ერთმა პოპულარულმა წარმომადგენელმა ფილოლოგმა ზურა გოშაძემ ექსპრომტად ლექსიც დაწერა, რომელსაც ავტორის ნებართვით შემოგთავაზებთ:

ექსპრომტი ფილოლოგების კვარტეტს

ამდენ შუღლსა და ამდენ მტრობაში
ამდენ ბოროტში, ამდენ ავსულში,
თქვენ დაგვაბრუნეთ სტუდენტობაში,
გადაგვასახლეთ ლამაზ წარსულში.

გაგვიხალისეთ ისევ ის ბაღი
ის ძველი სცენაც გაათბეთ ჰანგით,
კვლავ მოგვეფერა ცხოვრება ლაღი,
უდარდელობის შეგვასვით ბანგი.

სულ სხვანაირად აძგერდა გული
შეჩერებული წამიც ჩვენია
და გაგვახსენდა ის სიყვარული,
დღეს რომ ჭაღარად შემოგვრჩენია.

თითქოს გაიხსნა ცა მოგონებად
ზოგსაც ცრემლები სდიოდა ღვარად,
რისი ქალობა — თქვენ გოგონებად
უბერებელნი დარჩებით მარად.

სხვაგვარი იყო ის დღე ივლისის
და თქვენთან ერთად მღეროდა მთვარეც,
თქვენით ხარობდა ჩვენი თბილისიც
თქვენ გაგიმარჯოთ, თქვენ გენაცვალეთ!!!

დაე ეს დღე ყოფილიყოს დასაბამი მომავალი შეხვედრებისა, 80-იანი წლების თაობის სათქმელის გამოხატვისა...

ჩვენ თუ არა, ჩვენს სამღერალს ვინ იმღერებს?!

ვარლამ შალამოვი

ბუკინისტი



ღამის მორიგეობიდან დღისაზე გადამიყვანეს — ნაღდი დაწინაურებაა, ფეხმოკიდება, იღბალი სახიფათო, მაგრამ მხსნელ გზაზე, სანიტარს („სნეულთაგან“) რომ ერგება წილად. არც კი შემინიშნავს, ჩემი ადგილი ვინ დაიკავა — იმხანად ძალ-ღონე აღარ დამრჩენოდა ცნობისმოყვარეობისათვის. ჩემს ყოველ შერხევას ვზოგავდი, ფიზიკურსა თუ სულიერს — მეტი რაღა გინდათ, უკვე მომიწია მკვდრეთით აღდგომა და მშვენივრად ვიცოდი, რაოდენ ძვირი გიჯდება არაფრის მაქნისი ცნობისმოყვარეობა.

მაგრამ ღამეულ ძილ-ბურანში მაინც მოვკარი თვალი ფერმკრთალ, ტურტლიან პირისახეს, წითური, გაბარდღული ჯაგარი რომ მოსდებოდა, განურჩეველი ფერის თვალთა ღრმულებს, მოკრუნჩხულსა და მოყინულ თითებს, რომლებიც გამურული ქვაბუნის სახელურს ჩაბღაუჭებოდნენ. საავადმყოფოს ბარაკში ჩამოწოლილი ღამე ისეთი ბნელი და ბლანტი იყო, რომ ბენზინის ლამპის მოლიფლიფე ალს, თითქოსდა ქარით შეჯანჯღარებულს, არ ძალუძდა გაენათებინა ტალანი, ჭერი, კედელი, კარი, იატაკი და გამოსტაცებდა წყვდიადს მთელი ღამის მარტოოდენ პანია ნაფლეთს: ტუმბოს კუთხეს და ზედ ჩაქინდრულ ფერმკრთალ სახეს. ახალ მორიგეს ეცვა იგივე ხალათი, რომლითაც მე ვმორიგეობდი, ბინძური და დაფლეთილი ხალათი, საზიარო ხალათი სნეულთათვის. ეს ხალათი დღისით საავადმყოფოს პალატაში ეკიდა, ღამით კი მორიგე სანიტარი „სნეულთაგან“ დაბამბულ ქურთუკზე წამოიცვამდა ხოლმე. ფლანელი უჩვეულოდ თხელი იყო, სინათლე ატანდა — და მაინც არ სკდებოდა: ავადმყოფები შიშობდნენ თუ ვერ ახერხებდნენ განძრევ-გამონძრევას, თორემ ხალათი ნაკუწ-ნაკუწ დაირღვეოდა.

შუქის ნახევარწრე ქანაობდა, ციმციმებდა, ცვალებადობდა. გეგონა, რომ სუსხი, და არა ქარი, და არა ჭავლი ჰაერისა, არამედ თავად სუსხი აქანავებდა ამ შუქს მორიგე სანიტრის ტუმბოზე. სინათლის ლაქაში ქანაობდა შიმშილით შელახული სახე, მოკრუნჩხული, წვირიანი თითები დაფათურობდნენ ქვაბუნის ფსკერზე — დაეძებდნენ იმას, რასაც კოვზით ვერ ჩაავლებდი. თითები, თუნდაც მოყინული, უგრძნობელი თითები უფრო ეიმედებოდა, ვიდრე კოვზი — მე მივხვდი ფათურის არსს, ჟესტის ენას.

ეს ყველაფერი რათ უნდა მცოდნოდა — მე ხომ დღის სანიტარი ვიყავი.

მაგრამ რამდენიმე დღე გავიდა და — ნაჩქარევი გამგზავრება, მოულოდნელი აჩქარება ბედისა უეცარი გადაწყვეტილებით — სატვირთოს ძარა, ყოველი ძრაობა რომ ანჯღრევდა იმ ავტომანქანისა, რომელიც მიფორთხავდა უსახელო მდინარის მოყინულ კალაპოტში, ის კი ტაიგის ნაზამთრალით მიიზლაზნებოდა მაგადანისაკენ, სამხრეთისაკენ. ორნი სატვირთოს ძარაში მაღლა ავარდებიან და მერე კაკუნით ეცემიან ფსკერზე, შეშის ნაპობივით გადაგორ-გადმოგორდებიან. ბადრაგი კაბინაში ზის და მე არ ვიცი, ვინ მირტყამს — ფიცარი თუ ადამიანი. ერთ-ერთი დაპურებისას მეზობლის ხარბი წკლაპუნი მეცნო და ისიც ვიცანი — მოკრუნჩხული თითები, ფერმკრთალი და წვირიანი პირისახე.

ჩვენ უბრად ვიყავით — მეც და ისიც ვშიშობდით, რომ არ დაგვეფრთხო ჩვენი იღბალი, პატიმრის იღბალი. მანქანა ჩქარობდა — გზამ ერთი დღე-ღამე იკმარა.

ორივენი საფერშლო კურსებზე მივემგზავრებოდით, ლაგერიდან გაგვამწესეს. მაგადანი, საავადმყოფო, კურსები — ყოველივე ეს თითქოს ნისლში იყო, თეთრ კოლიმურ ბინდბუნდში. არის რაიმე ნიშანსვეტები, საგზაო ნიშანსვეტები? ორმოცდამეთვრამეტე მუხლს იღებენ? მხოლოდ მეათე პუნქტს იღებენ. და მანქანის ძარაში ჩემს მეზობლად მყოფი რომელი პუნქტია? ისიც მეათე — „ანტისაბჭოთა აგიტაცია“.

გამოცდა რუსულ ენაში. კარნახი. ნიშნებს აცხადებენ იმავე დღეს. ხუთიანი. წერითი სამუშაო მათემატიკაში — ხუთიანი. ზეპირი გამოცდა მათემატიკაში — ხუთიანი. „სსრკ კონსტიტუციის“ სიფაქიზენი მომავალ კურსანტებს არ გვეხებოდა — ეს ყველამ წინასწარვე იცოდა... ვიწექი ნარებზე, ტურტლიანი, ჯერ ისევ საეჭვოდ ტილიანი — სანიტრად მუშაობა ტილებს ვერ სპობდა, — ან ეგებ მეჩვენებოდა და ეგ იყო. ტილიანობა — ერთ-ერთი ფსიქოზია ლაგერში ყოფნისას. ტილები დიდი ხანია აღარ გყავს, მაგრამ თავს ვერაფრით ვერ აიძულებ, რომ მიეჩვიო არა აზრს (აზრი რა არი?), არამედ გრძნობას, რომ ტილები აღარა გყავს; ასე იყო ჩემს ცხოვრებაში ორჯერაც და სამჯერაც. ხოლო კონსტიტუცია, ან ისტორია, ანდა პოლიტეკონომია — ყოველივე ეს ჩვენ არ გვეხება. ბუტირკის ციხეში, ჯერ კიდევ გამოძიებისას, კორპუსის მორიგე დაგვყვიროდა: „რაში გეკითხებათ კონსტიტუცია? თქვენი კონსტიტუცია — ესაა სისხლის სამართლის კოდექსი“. და კორპუსის მორიგე მართალი ბრძანდებოდა. დიახ, სისხლის სამართლის კოდექსი იყო ჩვენი კონსტიტუცია. მას შემდეგ რამდენი ხანი გასულა. თითქოს ათას წელს ჩაუვლია. მეოთხე საგანი — ქიმია. ნიშანი — სამიანი.

ახ, როგორ მიაწყდნენ ტუსაღი კურსანტები ცოდნას, სადაც ფსონად იდო სიცოცხლე. და სამედიცინო ინსტიტუტთა ყოფილი პროფესორები აზვავდნენ, რათა მხსნელი მეცნიერება ტვინში ჩაეტენათ უბირთათვის, რეგვენთათვის, რომლებიც მედიცინით არასოდეს დაინტერესებულან — მეკუჭნავე სილაიკინიდან თათარ მწერალ მინ შაბაიმდე...

ქირურგი, თხელი ტუჩების ბრეცვით, გვეკითხება:

— ვინ გამოიგონა პენიცილინი?

— ფლემინგმა! — ამას მე როდი ვპასუხობ, არამედ — ჩემი მეზობელი რაიონული საავადმყოფოდან. წითური ჯაგარი გაუპარსავს. ავადმყოფურად ფუნთუშა ლოყები კი დარჩენია (ალბათ სუფს მიაძღა — გამიელვებს თავში).

წითური კურსანტის განსწავლულობამ გამაოგნა. ქირურგი დალხენილ „ფლემინგს“ აკვირდება. ვინა ხარ შენ, ღამის სანიტარო? ვინა ხარ, ვინ?..

— რას აკეთებდი, ვიდრე დაგიჭერდნენ?

— მე კაპიტანი ვარ. საინჟინრო ჯარების კაპიტანი. ომის დაწყებისას გამაგრებული რაიონის უფროსი გახლდით. საჩქაროდ ვაგებდით სიმაგრეებს. ორმოცდაერთი წლის შემოდგომაზე, დილის ბური რომ გაიფანტა, უბეში დავინახეთ გერმანული რეიდერი „გრაფ ფონ შპეე“. რეიდერმა ჩვენი სიმაგრეები მიჯრით დაცხრილა. და წავიდა. მე კი ათი წელი მომისაჯეს.

„თუკი არ გჯერა, იყო და არა იყო რაო“. მჯერა. ვიცი აქაური ადათ-წესები.

ყველა კურსანტი ღამეებს ათენებდა მეცადინეობაში, მთელი ვნებით სიკვდილმისჯილისა, უცებ სიცოცხლის იმედი რომ უწყალობეს, ცოდნას ისრუტავდა, ისისხლხორცებდა.

მაგრამ ფლემინგი უფროსობასთან რაღაც საქმიანი შეხვედრის შემდეგ გამხიარულდა, ბარაკში მეცადინეობაზე რომანი მოიტანა, მოხარშულ თევზს მიირთმევდა — ნასუფრალს სხვისი ლხინიდან, და წიგნს დაუდევრად ფურცლავდა.

ფლემინგმა ჩემი ირონიული ღიმილი დაიჭირა და თქვა:

— სულერთია — უკვე სამი თვეა, რაც ვნათლდებით, — ყველას, ვინც კი კურსებს მოერგო, გამოშვება ყველას ერგება, დიპლომებს ყველას დაგვირიგებენ. თავი რისთვის უნდა გავიგიჟო? დამეთანხმე!

— არა, — მივუგე პასუხად, — მე მინდა ვისწავლო მკურნალობა ადამიანისა. ნამდვილი საქმე შევისწავლო.

— ნამდვილი საქმე ისაა, რომ იცხოვრო.

ამჯერად გამოირკვა, რომ ფლემინგის კაპიტნობა — მხოლოდ ნიღაბია, კიდევ ერთი ნიღაბი ამ ფერმიხდილ ნაციხარ სახეზე. ნიღაბი კაპიტნობა როდი იყო — ნიღაბი გახლდათ საინჟინრო ჯარები. თურმე ფლემინგი, კაპიტნის ჩინით, გამომძიებლად მსახურობდა შინსახკომში. ცნობები გადმოიწურებოდა, წვეთ-წვეთად გროვდებოდა — უკვე რამდენიმე წელია. ეს წვეთები დროს ითვლიდნენ, მსგავსად წყლის საათისა. ანდა ეს წვეთები გამოძიებაში მყოფის შიშველ კეფას ეცემოდა — წყლის საათები ოცდაათიანი წლების ლენინგრადის დილეგებში. ქვიშის საათი ტუსაღთა სეირნობის დროს ითვლიდა, წყლის საათი — აღიარების დროს, გამოძიების დროს. ქვიშის საათების მოჩქარეობა, წყლის საათების აუტანლობა. წყლის საათი წუთებს როდი ითვლიდა, წუთებს როდი ზომავდა, არამედ — ადამიანის სულს, ადამიანის ნებისყოფას და, ანდაზისა არ იყოს, წვეწვეთობით ანადგურებდა, ღრღნიდა როგორც კლდეს. გამომძიებელთა ამ ფოლკლორს ოცდაათიან წლებში, ეგებ ოციანებშიც, დიდი გასავალი ჰქონდა.

სიტყვები კაპიტან ფლემინგისა წვეთწვეთობით შეგროვილიყო და განძი გამოდგა ფასდაუდებელი. თავად ფლემინგიც ფასდაუდებლად მიიჩნევდა მას — რატომაც არა!

— შენ იცი, ჩვენი დროის ყველაზე დიდი საიდუმლო რა არი?

— რა არი?

— ოცდაათიანი წლების პროცესები. როგორ ამზადებდნენ. მაშინ ხომ ლენინგრადში ვიყავი. ზაკოვსკისთან. პროცესების მომზადება — ესაა ქიმია, მედიცინა, ფარმაკოლოგია. ნებისყოფის დათრგუნვა ქიმიური ხერხებით. ასეთი ხერხები — რამდენიც გნებავს. და ნუთუ შენ გგონია, თუკი ნებისყოფის დამთრგუნველი ხერხები არსებობს — მათ არ გამოიყენებენ. ჟენევის კონვენცია დაუშლით თუ რა?

ნებისყოფის დამთრგუნველ ხერხებს ფლობდე და გამოძიებისას, „შინაგან ფრონტზე“, არ გამოიყენო — ეს უკვე უზომო კაცთმოყვარეობა იქნებოდა. ესე ჰუმანიზმი დაიჯერო მეოცე საუკუნეში — შეუძლებელია! აქაა და მხოლოდ აქ ოცდაათიანი წლების პროცესთა საიდუმლოება, ღია პროცესთა, ღია რომ იყო უცხოელი კორესპონდენტებისათვის და ნებისმიერი ფოიხტვანგერისათვისაც. ამ პროცესებზე არავითარი „ორეულები“ არა ყოფილან. პროცესთა საიდუმლოება გახლდათ საიდუმლოება ფარმაკოლოგიისა.

...მე ვიწექი ორსაწოლიანი სისტემის მოკლე, მოუხერხებელ ნარებზე დაცარიელებულ კურსანტთა ბარაკში, მზის სხივებით რომ იყო გამჭოლილი, და ფლემინგის აღსარებებს ვუსმენდი.

დიახ, ცდები ადრეც იყო — მაგალითად, მავნებელთა პროცესებზე. რამზინისეული კომედია კი ფარმაკოლოგიას მხოლოდ ოდნავ ეხება.

თხრობა ფლემინგისა წვეთ-წვეთად ჟონავდა — მისივე საკუთარი სისხლი ხომ არ ეწვეთებოდა ჩემს გაშიშვლებულ მეხსიერებას? ეს სადაური წვეთები იყო — სისხლისა, ცრემლისა თუ მელნისა? არა, არც მელანი ყოფილა და არც ცრემლები.

— რა თქმა უნდა, იყო შემთხვევები, როცა მედიცინა უძლურია. ან ხსნარის დამზადება არასწორად უანგარიშიათ. ანდა მავნებლობაა. მაშინ — ორმაგი დაზღვევა. წესისამებრ.

— ახლა ნეტა სად არიან ეგ ექიმები?

— ვინ იცის? ალბათ, მთვარეზე...

საგამოძიებო არსენალი — ეს უკანასკნელი სიტყვაა მეცნიერებისა, უკანასკნელი სიტყვა ფარმაკოლოგიისა.

ეს არ ყოფილა კარადა „ა“ — Venena — საწამლავები და არც კარადა „ბე“ — Heroica — „ძლიერმოქმედნი“... კაპიტან ფლემინგის მედიკამენტები კი ნეტა სად ინახებოდა? დანაშაულთა კარადაში თუ სასწაულთა კარადაში?

კაცმა, რომელიც განაგებდა დანაშაულთა და სასწაულთა კარადებს, მეცნიერების უმაღლეს მიღწევათა კუთვნილებას, მხოლოდ ლაგერის საფერშლო კურსებზე შეიტყო, რომ ადამიანს ღვიძლი აქვს ერთი, რომ ღვიძლი წყვილი ორგანო არაა. შეიტყო სისხლის მიმოქცევის შესახებ — ჰარვეიდან სამასი წლის შემდეგ.

...საიდუმლოება იმალებოდა ლაბორატორიებში, მიწისქვეშა კაბინეტებში, აქოთებულ ვივარიუმებში, სადაც ცხოველები ზუსტად ისევე ყარდნენ, როგორც მაგადანის ბინძური ტრანზიტკის პატიმრები ცხრაას ოცდათვრამეტ წელს. ბუტირკის ციხე, ამ ტრანზიტკასთან შედარებით, ქირურგიული სისუფთავით კრიალებდა, იქ სუნი იდგა საოპერაციოსი და არა — ვივარიუმისა.

მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა აღმოჩენა მოწმდება, უპირველეს ყოვლისა, მათი სამხედრო მნიშვნელობით — სამხედროთი — სამომავლო აზრითაც კი — ვარაუდის შესაძლებლობაში. და მხოლოდ ის, რასაც გენერლები განთესავენ, ომს რაც არა სჭირდება, გადაეცემა საერთო მოხმარებას.

მედიცინა და ქიმია, ფარმაკოლოგია დიდიხანია სამხედრო აღრიცხვაზე იმყოფებიან. ექსპერიმენტის, დაკვირვების გამოცდილება მუდამ გროვდებოდა მთელი მსოფლიოს ტვინის ინსტიტუტებში. ბორჯიას საწამლავები მუდამ იყო პრაქტიკული პოლიტიკის იარაღი. მეოცე საუკუნემ მოიტანა ფარმაკოლოგიურ, ქიმიურ საშუალებათა უჩვეულო აყვავება, ფსიქიკას რომ განაგებენ.

მაგრამ შიშის მოსპობა თუკი წამლით შეიძლება, ათასჯერ მეტად არის შესაძლებელი საწინააღმდეგო — ადამიანის ნებისყოფა დათრგუნო ნემსებით, სუფთა ფარმაკოლოგიით, ქიმიით, ყოველგვარი „ფიზიკის“ გარეშე, რომელიც გულისხმობს ნეკნების ჩალეწვასა და ფეხქვეშ ამოდებას, კბილების ჩამსხვრევასა და პაპიროსის ჩაქრობას გამოძიებაში მყოფის სხეულზე.

ქიმიკოსები და ფიზიკოსებიო — ასე ეძახდნენ გამოძიების ამ ორ სკოლას. ფიზიკოსები — ესენი არიან, ვინც ფიზიკურ მოქმედებას ქვაკუთხედად მიიჩნევდა — სამყაროს ზნეობრივი საწყისის გაშიშვლების ხერხს ცემა-ტყეპაში ხედავდა. გაშიშვლებული სიღრმე ადამიანური არსისა — და ეს ადამიანური არსი რაოდენ ბილწი და უვარგისი აღმოჩნდებოდა ხოლმე! არა მარტო ნებისმიერ ჩვენებათა მიღება იყო შესაძლებელი ცემა-ტყეპით. მათრახქვეშ ჩნდებოდა გამოგონებანი, აღმოჩენები მეცნიერებაში, წერდნენ ლექსებს, რომანებს. შიში ცემა-ტყეპისა, ულუფის კუჭისმიერი სკალა დიდ მიღწევებს ქმნიდა.

ცემა-ტყეპა საკმაოდ საფუძვლიანი ფსიქოლოგიური იარაღია, საკმაოდ ეფექტური.

ფრიად სასარგებლო იყო სახელგანთქმული და ფესვგადგმული „კონვეიერი“, როდესაც გამომძიებლები ერთიმეორეს ენაცვლებოდნენ, პატიმარს კი ძილს არ აცლიდნენ. ჩვიდმეტი დღე-ღამე უძილოდ და კაცი ჭკუაზე შეიშლება — ეს სამეცნიერო დაკვირვება გამომძიებელთა კაბინეტებიდან ხომ არ ამოუხაპიათ?

მაგრამ ქიმიური სკოლაც არ ნებდებოდა.

ფიზიკოსებს შეეძლოთ, რომ სათანადო მასალით მოემარაგებინათ „საგანგებო თათბირები“, ყველანაირი „ტროიკები“, მაგრამ ფიზიკური მოქმედების სკოლა ღია პროცესებისათვის არ გამოდგებოდა. ფიზიკური მოქმედების სკოლა (ვგონებ, ასე ამბობდა სტანისლავსკი) ვერ შეძლებდა დაედგა ღია, სისხლიანი თეატრალური სპექტაკლი, ვერ შეძლებდა მოემზადებინა „ღია პროცესები“, რომლებმაც თავზარი დასცა მთელ კაცობრიობას. მსგავს სანახაობათა მომზადება ძალუძდათ ქიმიკოსებს.

მაშინდელი საუბრიდან ოცი წლის შემდეგ ჩემს მონათხრობში უნდა ჩავწერო საგაზეთო სტატიის სტრიქონები:

„ზოგიერთი ფსიქოფარმაკოლოგიური აგენტების გამოყენებისას შესაძლებელია, რომ გარკვეული ხნით ადამიანს სავსებით გავუქროთ, მაგალითად, შიშის გრძნობა. ამასთან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მისი ცნობიერების სიცხადე სრულიადაც არ ირღვევა...

კიდევ უფრო მოულოდნელი ფაქტები გამომჟღავნდა შემდგომში. იმ ადამიანებს, რომელთა ძილის „ბე-ფაზებს“ ხანგრძლივად თრგუნავდნენ, მოცემული შემთხვევისას ზედიზედ ჩვიდმეტი ღამის განმავლობაში, დაეწყოთ ფსიქიკური მდგომარეობისა და ქცევის სხვადასხვა დარღვევათა წარმოქმნა“.

რა არის ეს? ნაფლეთები შინსახკომის რომელიმე სამმართველოს რომელიმე ყოფილი უფროსის ჩვენებიდან მოსამართლეთა გასამართლების სასამართლო პროცესზე? თუ სიკვდილისწინა წერილი ვიშინსკისა ან რიუმინისა? არა, ეს გახლავთ აბზაცები სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის სამეცნიერო სტატიიდან. მაგრამ ყოველივე ეს — და ასჯერ მეტიც! — ცნობილია, შემოწმებულია და გამოყენებულია „ღია პროცესების“ მომზადებისას ოცდაათიან წლებში.

ფარმაკოლოგია იმდროინდელი საგამოძიებო არსენალის ერთადერთი იარაღი არ ყოფილა. ფლემინგმა დაასახელა გვარი, რომელიც ჩემთვის კარგად იყო ცნობილი.

ორნალდო!

აბა რა: ორნალდო იყო ცნობილი ჰიპნოტიზიორი, ოციან წლებში ხშირად რომ გამოდიოდა მოსკოვის ცირკებში, და არა მარტო მოსკოვისაში. მასობრივი ჰიპნოზი — ორნალდოს სპეციალობა გახლდათ. არსებობს ფოტოსურათები მისი სახელმოხვეჭილი გასტროლებისა; ილუსტრაციები წიგნებში, ჰიპნოზს რომ ეძღვნება. ორნალდო — რა თქმა უნდა, ფსევდონიმია. მისი ნამდვილი გვარია სმირნოვი ნ. ა. ეს იყო მოსკოველი ექიმი. აფიშები და ფოტოსურათები მრგვალი ტუმბოს მთელ სიგრძე-სიგანეზე. სვიშჩევ-პაოლოს იმხანად ფოტოსალონი ჰქონდა სტოლეშნიკის შესახვევში. ვიტრინაში ეკიდა ადამიანის თვალთა ვეება ფოტოსურათი ასეთი წარწერით: „ორნალდოს თვალები“. დღემდე მახსოვს ეს თვალები, მახსოვს ის სულიერი აფორიაქება, რომელიც მეუფლებოდა, როდესაც ვუსმენდი ან ვხედავდი ორნალდოს საცირკო გამოსვლებს. ჰიპნოტიზიორი გამოდიოდა ოციანი წლების დამლევამდე. არსებობს ორნალდოს გამოსვლათა (ბაქო, 1929) ფოტოსურათები. მერე შეწყვიტა გამოსვლები.

— ოცდაათიანი წლების დამდეგიდან ორნალდო — საიდუმლო სამუშაოზეა შინსახკომში.

ამოხსნილი საიდუმლოების ჟრუანტელმა დამიარა ტანში.

ხშირად, ყოველგვარი საბაბის გარეშე, ფლემინგი აქებდა ლენინგრადს. უფრო სწორად, აღიარა, ძირძველი ლენინგრადელი არა ვარო. როგორც ირკვევა, ოციანი წლების შინსახკომის ესთეტებმა იგი პროვინციიდან გამოიხმეს, როგორც ესთეტთა ღირსეული ცვლა. მას დახვეწილი გემოვნება ჩაუნერგეს — ჩვეულებრივ სასკოლო განათლებაზე ფართო. არა მარტო ტურგენევი და ნეკრასოვი რომ სცოდნოდა, არამედ ბალმონტიც და სოლოგუბიც, არა მარტო პუშკინი, არამედ გუმილიოვიც.

— „და თქვენ, მეფის ნაგაზებო, ოქროს რომ ინახავდით ბნელ ნავსადგურში“. არ მეშლება?

— არა, ყველაფერი სწორია.

— მერე აღარ მახსოვს, როგორაა. მე — მეფის ნაგაზი ვარ? სახელმწიფო ნაგაზი?

უღიმოდა — თავის თავსა და თავის წარსულს — და მოწიწებით მიამბო, როგორც პუშკინისტი გვიამბობს იმას, თუ როგორ ეჭირა ხელში ბატის ფრთა, რომლითაც დაწერილია „პოლტავა“, — ფლემინგი თურმე შეხებია „გუმილიოვის საქმის“ საქაღალდეებს და ამ საქმეს „ლიცეისტთა შეთქმულება“ უწოდა. ეგებ გეფიქრა, თითქოს მან ხელი მიაკარა ქაბაბს ქვას — ისეთი ნეტარება, ისეთი განწმენდა ჩანდა მისი სახის ყოველი ნაკვთიდან, რომ ჩემდაუნებურად გავიფიქრე — ესეც ხომ გზა არის, რომელიც პოეზიას გაზიარებს. გასაოცარი, უიშვიათესი ბილიკი ლიტერატურულ ფასეულობათა შეცნობისა... გამომძიებლის კაბინეტში. პოეზიის ზნეობრივ ფასეულობებს ამ გზით, რასაკვირველია, ვერ ჩასწვდები.

— წიგნებში, უწინარეს ყოვლისა, ვკითხულობ შენიშვნებს, კომენტარებს. მე შენიშვნათა კაცი ვარ, კომენტართა კაცი.

— და ტექსტს კი არ კითხულობ?

— ხანდახან, როცა მოვიცლი.

ფლემინგისა და მისი თანამშრომლებისათვის კულტურის ზიარება შესაძლებელი იყო — რაგინდ მკრეხელურადაც არ უნდა ჟღერდეს — მხოლოდ საგამომძიებლო მუშაობაში. ლიტერატურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ადამიანებთან ნაცნობობა შერყვნილი, მაგრამ რაღაც მაინც ნამდვილი, ნაღდი რამ არის, ათასი ნიღბითაც კი არ იჩქმალება.

აი, მთავარი მაუწყებელი იმდროინდელი მხატვრული ინტელიგენციის საქმეებზე, ყოველგვარი „მემორანდუმებისა“ და მწერალთა ცხოვრების მიმოხილვების მუდმივი, დაკვირვებული, კვალიფიციური ავტორი იყო — და ეს სახელი მხოლოდ ერთი შეხედვითაა მოულოდნელი — გენერალ-მაიორი იგნატიევი. ორმოცდაათი წელიწადი მწყობრში. ორმოცი წელიწადი საბჭოთა დაზვერვაში.

— ეს წიგნი „ორმოცდაათი წელიწადი მწყობრში“ მაშინღა წავიკითხე, როდესაც მის მიმოხილვებს გავეცანი და თავად ავტორთანაც წარმადგინეს. თუ ის წარმიდგინეს, — დაფიქრებით ლაპარაკობდა ფლემინგი. — „ორმოცდაათი წელიწადი მწყობრში“ ურიგო წიგნი როდია.

ფლემინგს გაზეთები, საგაზეთო ცნობები, რადიოგადაცემები მაინცდამაინც არ უყვარდა. საერთაშორისო მოვლენები ნაკლებად იტაცებდა. სულ სხვა საქმეა — მოვლენები საშინაო ცხოვრებიდან. ფლემინგის მთავარი გრძნობა იყო — გულბნელი ჯავრი იმ პირქუშ ძალაზე, რომელიც გიმნაზისტს შეჰპირდა, უსასრულობას მოიცავო, მაღლა ატყორცნა და მერე ურცხვად და უგზოუკვლოდ გადმოისროლა უფსკრულში, — მე ვერაფრით ვერ დამემახსოვრებინა მართებული დასასრული ჩემი ბავშვობისდროინდელი სიმღერისა „გრიალებდა, ბრიალებდა მოსკოვური ხანძარი“.

ზიარება კულტურასთან — თავისებური იყო. რაღაც ხანმოკლე კურსები, ექსკურსიები ერმიტაჟში. კაცი იზრდებოდა და წამოიზარდა გამომძიებელი-ესთეტი, რომელიც შოკში ჩააგდო იმ ტლანქმა ძალამ, ოცდაათიან წლებში „ორგანოებს“ რომ მოაწყდა; კაცი, რომელიც აღგავა, გაანადგურა „ახალმა ტალღამ“, უხეშ ფიზიკურ ძალას რომ ეთაყვანებოდა და არა მარტო ფსიქოლოგიური დახვეწილობანი ეზიზღებოდა, არამედ „კონვეიერებიც“ კი ანდა „ფეხმდგომელა“. ახალ ტალღას უბრალოდ მოთმინება არა ჰყოფნიდა რაღაც სამეცნიერო გამოთვლისათვის, უმაღლესი ფსიქოლოგიისათვის. თურმე ჩვეულებრივი ცემა-ტყეპით უფრო მარტივად შეგიძლია მიიღო შედეგები. ზოზინა ესთეტები თავად წავიდნენ მთვარეზე. ფლემინგი შემთხვევით დარჩა ცოცხლებში. ახალ ტალღას ლოდინის დრო არ მოეპოვებოდა.

მშიერი ბრჭყვიალება ფლემინგის თვალებში ცხრებოდა და პროფესიონალის დაკვირვებულობამ ისევ ამოიღო ხმა...

— გესმის, კონფერენციის დროს გიყურებდი. შენ რაღაცას შენსას ფიქრობდი.

— მე მხოლოდ მინდა ყველაფერი დავიხსომო, დავიხსომო და აღვწერო.

რაღაც სურათები ირწეოდა ფლემინგის უკვე დასვენებულ და დაწყნარებულ ტვინში.

...ნერვულ განყოფილებაში, სადაც მუშაობდა ფლემინგი, იყო გოლიათი ლატვიელი, რომელიც სრულიად ოფიციალურად სამმაგ ულუფას იღებდა. ყოველთვის, როდესაც გოლიათი ჭამას იწყებდა, ფლემინგი პირისპირ მიუჯდებოდა ხოლმე

და მისი მძლეთამძლე თოხლაობის შემყურე აღტაცებას ვერ მალავდა.

ფლემინგი ვერა და ვერ შელეოდა თავის ქვაბუნას, სწორედ იმ ქვაბუნას, რომელიც ჩრდილოეთიდან ჩამოიტანა... ეს ავგაროზი არისო. კოლიმური ავგაროზი.

ნერვულ განყოფილებაში ბლატარებმა კატა დაიჭირეს, დაკლეს და მოხარშეს. ფლემინგი, როგორც მორიგე ფერშალი მიიპატიჟეს — ტრადიციული „მოქონვა“ — კოლიმური ქრთამი, კოლიმური კალიმი. ფლემინგმა ხორცი მიირთვა და კატაზე არაფერი უთქვამს. ეს კატა ქირურგიული განყოფილებიდან იყო.

კურსანტებს ეშინოდათ ფლემინგისა. მაგრამ ესეცაა, ნეტა ვისი არ ეშინოდათ? ფლემინგი უკვე ფერშლად, შტატიან „ლეპილად“ მუშაობდა საავადმყოფოში. ყველას მტრული განწყობა ჰქონდა მის მიმართ, უფრთხოდნენ ფლემინგს, გრძნობდნენ, რომ იგი უბრალოდ ორგანოთა მუშაკი როდი ბრძანდებოდა, არამედ — რაღაც უჩვეულოდ მნიშვნელოვანი, საზარელი საიდუმლოების მფლობელი.

მხატვარი ალექსანდრე სლოვინსკი

მტრული განწყობა გაიზარდა, საიდუმლოება უფრო გასივდა ახალგაზრდა ესპანელ ქალთან შესახვედრად ფლემინგის მოულოდნელი გამგზავრების შემდეგ. ესპანელი ქალი ნაღდი ესპანელი იყო, ასული ესპანეთის რესპუბლიკის მთავრობის რომელიღაც წევრისა. მზვერავი, პროვოკაციების ქსელში გახლართული, ვადამისჯილი და გადმოსროლილი კოლიმაზე სულის ამოსახდელად. მაგრამ გამოირკვა, რომ ფლემინგი მის ძველ და შორეულ მეგობრებს, მის უწინდელ თანამშრომლებს არ დავიწყებოდათ. მას რაღაც უნდა გაეგო ესპანელი ქალისგან, რაღაც დაედასტურებინა. სნეული კი არ ელოდება. ესპანელი ქალი გამოკეთდა და ეტაპით გაგზავნეს ქალთა საბადოზე. უეცრად ფლემინგი საავადმყოფოში მუშაობას წყვეტს, ესპანელ ქალთან შესახვედრად მიემგზავრება, ორი დღე-ღამე დაძრწის ათასვერსიან საავტომობილო ტრასაზე, სადაც მანქანები ნაკადად მიედინებიან და ყოველ კილომეტრზე ოპერატიულ მუშაკთა საგუშაგოებია. ბედი უღიმის ფლემინგს და შეხვედრიდან სრულიად მშვიდობიანად ბრუნდება. ეს საქციელი რომანტიკულად მოგეჩვენებოდათ, ლაგერში გაჩენილი სიყვარულით რომ იყოს შთაგონებული. ვაგლახ, ფლემინგი სიყვარულის გულისათვის არ მოგზაურობს, გმირულ საქციელს სიყვარულის გამო არ სჩადის. აქ მოქმედებს ძალა, სიყვარულზე გაცილებით ძლიერი უმაღლესი ვნება და ძალა იგი ფლემინგს უვნებლად გაატარ-გამოატარებს ლაგერის ყველა საგუშაგოებზე.

ფლემინგი მრავალგზის იხსენებდა ცხრაას ოცდათხუთმეტ წელს — მკვლელობათა უეცარი ნაკადი. სავინკოვის ოჯახის დაღუპვა. ვაჟიშვილი დახვრიტეს, ხოლო ოჯახი — ცოლი, ორი ბავშვი, სიდედრი — ლენინგრადიდან გასახლებას უარობდა. ყველამ დატოვა წერილები — სიკვდილისწინა წერილები ერთმანეთს. ყველამ თავი მოიკლა და ფლემინგის მეხსიერებამ შემოინახა სტრიქონები ბავშვის ჩანაწერიდან: „ბებია, ჩვენ მალე მოვკვდებით“.

ათას ცხრაას ორმოცდაათ წელს ფლემინგმა მოათავა თავისი ვადა „შინსახკომის საქმის“ მიხედვით, მაგრამ ლენინგრადში არ დაბრუნებულა. ნებართვა ვერ მიიღო. ცოლი, რომელიც მრავალი წელია ინახავდა „ფართობს“, ლენინგრადიდან მაგადანში ჩავიდა, მაგრამ ვერსად ვერ მოეწყო და უკან გაემგზავრა. მეოცე ყრილობის წინ ფლემინგი ლენინგრადში დაბრუნდა — სწორედ იმავე ოთახში, სადაც კატასტროფამდე ცხოვრობდა...

მაგარ ხლაფორთში იყო ჩაბმული. ათას ოთხასი — პენსია ნამსახურობისათვის. „სპეციალობით“ სამუშაოს რომ დაბრუნებოდა, საფერშლო განათლებით გამდიდრებულს მაინც ვერ მოუხერხდა. გამოირკვა, რომ ძველი „მუშაკები“, ამა საქმეთა ყველა ვეტერანი, ყველა ცოცხლად დარჩენილი ესთეტი დაუთხოვიათ და პენსიაზე გაუშვიათ — უკანასკნელი შიკრიკის ჩათვლით.

ფლემინგმა სამსახური დაიწყო — წიგნების გადამრჩევლად ბუკინისტურ მაღაზიაში ლიტეინი პროსპექტზე. ფლემინგი თავს მიიჩნევდა რუსული ინტელიგენციის ღვიძლ შვილად, თუმცა ესოდენ თავისებურ ნათესაურ კავშირსა და ურთიერთობაში იმყოფებოდა. ფლემინგს არ ეწადა, რომ თავისი ხვედრი ბოლომდე გამოეყო რუსული ინტელიგენციის ხვედრიდან, შესაძლოა გრძნობდა, რომ მხოლოდ ურთიერთობა წიგნთან შეუნარჩუნებდა საჭირო კვალიფიკაციას, თუკი უკეთეს დღეთა დადგომამდე მიაწევდა.

კონსტანტინ ლეონტიევის დროს „საინჟინრო“ ჯარების კაპიტანი, ალბათ, მონასტერში აღიკვეცებოდა. მაგრამ წიგნის სამყაროც, სახიფათო და ამაღლებული სამყარო — მსახურება წიგნისა შეფერადებულია ფანატიზმით, — როგორც ყოველგვარი მწიგნობრული მოყვარულობა, განწმენდის ზნეობრივ ელემენტს შეიცავს. გუმილიოვის ყოფილი თაყვანისმცემელი, გუმილიოვის ლექსებსა და მისსავე ბედს დართული კომენტარების მცოდნე, აბა ვახტიორად ხომ არ გამწესდებოდა! ანდა ახალი სპეციალობით — ფერშლად? არა, ბუკინისტობა სჯობსო.

— ვხლაფორთობ, დღემუდამ ვხლაფორთობ. რომი!

— არა ვსვამ.

— ახ, როგორი უიღბლობაა, როგორი უხერხულია, რომ არა სვამ. კატია, ის არა სვამს! გესმის? ვხლაფორთობ, მე კიდევ დავბრუნდები ჩემს სამუშაოზე.

— თუკი შენ დაბრუნდები შენს სამუშაოზე, — გალურჯებული ტუჩებით ამოთქვა კატიამ, ფლემინგის ცოლმა, — მე თავს ჩამოვიხრჩობ, ხვალვე თავს დავიხრჩობ.

— ვხუმრობ. სულმუდამ ვხუმრობ. ვხლაფორთობ-მეთქი. დილიდან დაღამებამდე ვხლაფორთობ. რაღაც განცხადებანი შემაქვს, ვდავაქარობ, ჩავდივარ ხოლმე მოსკოვში. მე ხომ პარტიაში აღმადგინეს. მაგრამ რომ იცოდე როგორ...

ფლემინგის უბიდან თავი ამოყო დაჭმუჭნილი ფურცლების გროვამ.

— წაიკითხე. ეს — დრაბკინას მოწმობაა. იგარკაზე მყავდა.

„შავი ორცხობილების“ ავტორის მოწმობას თვალი გადავავლე:

„ლაგპუნქტის უფროსად ყოფნისას კარგად ეპყრობოდა ტუსაღებს, რის გამოც მალე დააპატიმრეს და ვადა მიუსაჯეს“.

ვფურცლავდი ჭუჭყიან, გაწეპილ, უფროსობის დაუდევარი თითებით მრავალგზის გადაფურცლულ დრაბკინას „ჩვენებებს“...

ფლემინგი თავზე მადგა, პირიდან რომის სუნი ამოსდიოდა, ხრინწიანი ხმით ამიხსნა, ლაგერში არ გავფუჭებულვარო — აგერ, — დრაბკინაც კი ამას ადასტურებსო.

— შენ ყოველივე ეს გჭირდება?

— საჭიროა. ამით ცხოვრებას ვავსებ. ანკი ეგებ, ეშმაკმა უწყის... დავლიოთ?

— არა ვსვამ-მეთქი.

— ეხ! ნამსახურობისათვის. ათას ოთხასი. მაგრამ ეს კი არ მჭირდება...

— გაჩუმდი, თორემ თავს ჩამოვიხრჩობ, — დაიყვირა კატიამ, ფლემინგის ცოლმა.

— ეგა გულით სნეულია, — ამიხსნა ფლემინგმა.

— თავი აიყვანე ხელში. წერე. სიტყვა გემარჯვება. წერილებს ვატყობ. და მოთხრობა, რომანი — ეს ხომ სწორედ გულახდილი წერილებია.

— არა, მე მწერალი არა ვარ. ვხლაფორთობ-მეთქი.

დორბლით დამიშხეფა ყური და რაღაცას, მთლად აბდაუბდას ჩამჩურჩულებდა, თითქოსდა არავითარი კოლიმა არ ყოფილა და ოცდაჩვიდმეტ წელს ფლემინგმა თავად გაატარა ჩვიდმეტი დღე-ღამე გამოძიების „კონვეიერში“ და მის ფსიქიკას შესამჩნევი ბზარები გაუჩნდა.

— ახლა ბლომად გამოსცემენ მემუარებს. მოგონებებს. მაგალითად, იაკუბოვიჩის „გარიყულთა სამყაროში“ გამოვიდა. კარგია, რომ გამოსცემენ.

— შენ მოგონებები დაწერე?

— არა. მე მინდა, რომ ერთი წიგნი ვურჩიო გამოსაცემად. იცი, რომელია? ლენიზდატში შევიარე — მითხრეს, შენი საქმე არ არისო...

— მაინც რომელ წიგნს ამბობ?

— სანსონის ჩანაწერები, პარიზელი ჯალათისა. აი, ეს იქნებოდა, რაც იქნებოდა — მემუარი!

— პარიზელი ჯალათისა?

— დიახ. მახსოვს — სანსონმა თავი მოკვეთა შარლოტა კორდეს და ლოყებზე ხელს უტყაპუნებდა. მოკვეთილ თავს კი ლოყები შეეფაკლა. და კიდევ: მაშინ „მსხვერპლთა მეჯლისებს“ აწყობდნენ ხოლმე. ჩვენში „მსხვერპლთა მეჯლისებს“ არ აწყობენ?

— „მსხვერპლთა მეჯლისები“ — ეს თერმიდორს მიეკუთვნება და არა საერთოდ ტერორისშემდგომ ხანას. სანსონის ჩანაწერები კი — ნაყალბევია.

— განა მაგაშია საქმე — ნაყალბევია თუ არა. იყო ასეთი წიგნი. დავლიოთ რომი. უამრავი სასმელი მიგემია და რომი ყველაზე უკეთესია. დიახ, რომი. იამაიკური რომი.

ცოლმა სადილი „გააწყო“ — ზვინები რაღაც მსუყე ხორაგისა, რასაც გაუმაძღარი ფლემინგი თითქმის თვალის დახამხამებაში ნთქავდა. დაუცხრომელი ღორმუცელობა ფლემინგს სამარადისოდ ჩაუსახლდა სხეულში, როგორც ფსიქიკური ტრავმა — ათასობით სხვა ყოფილი ტუსაღის მსგავსად — სამარის პირამდე.

საუბარი რაღაცნაირად შეწყდა, ჩამოწოლილ ქალაქის ბინდ-ბუნდში ჩემს ყურთან მომესმა ნაცნობი კოლიმური წკლაპუნი.

მე ვფიქრობდი სიცოცხლის ძალაზე — ჩამალული რომ იყო ჯანსაღ კუჭსა და ნაწლავებში, ჩანთქმის უნარში — კოლიმაზე სწორედ ეს იყო ფლემინგის დაცვითი რეფლექსი სიცოცხლისა. განურჩევლობა და სიხარბე. განურჩევლობა სულისა, გამომძიებლის მაგიდასთან რომ შეიძინა, ესეც სამზადისი იყო, თავისებური ამორტიზატორი ამ კოლიმურ დაცემაში, სადაც არავითარი უფსკრული ფლემინგს არ აღმოუჩენია — ყოველივე ეს ადრეც ხომ იცოდა და ამან გადაარჩინა — ზნეობრივი ტანჯვა-წვალება შეუსუსტა — თუკი ეს ტანჯვა-წვალება გააჩნდა! არავითარი დამატებითი სულიერი ტრავმები ფლემინგს არ განუცდია — უარესიც უნახავს, გვერდით მყოფთა დაღუპვას გულგრილად უყურებდა და მზად იყო, მარტოოდენ საკუთარი სიცოცხლისათვის ებრძოლა. სიცოცხლე გადარჩენილ იქნა, მაგრამ ფლემინგის სულში დარჩა რაღაც მძიმე კვალი, რომელიც უნდა წაეშალა, მონანიებით განეწმინდა. მონანიება კი — წამონაცდენია, ნახევრადმინიშნება, თავის თავთან საუბარი ხმამაღლა, სინანულის გარეშე, გმობის გარეშე. „უბრალოდ არ გამიმართლა“. მაგრამ მონათხრობი ფლემინგისა მაინც მონანიება იყო.

— წიგნაკს ხედავ?

— პარტბილეთია?

— დიახაც. ახალთახალი. მაგრამ ყველაფერი მარტივად როდი აეწყო. მარტივად არ მომხდარა-მეთქი. ნახევარი წლის წინათ ოლქკომი განიხილავდა ჩემი პარტიული რეაბილიტაციის საკითხს. სხედან, მასალებს კითხულობენ. ოლქკომის მდივანი, ეგ ჩუვაში ეგა, ამბობს, უნდილად ეგრე, ტლანქად:

„მაშ ყველაფერი ცხადია. დაწერეთ გადაწყვეტილება: აღდგენილ იქნას სტაჟის გაწყვეტით“.

პირდაპირ გული დამეწვა: „სტაჟის გაწყვეტითო“. თავში გამიელვა — თუკი ახლავე არ განვაცხადებ, რომ გადაწყვეტილებას არ ვეთანხმები, შემდგომში მუდამ დამამუნათებენ — „ნეტავი რატომ დუმდით, როდესაც თქვენს საქმეს განიხილავდნენ? თქვენ ხომ პირადად გიბარებენ განხილვაზე სწორედ საიმისოდ, რომ დროულად განაცხადოთ, გამოთქვათ თქვენი...“ მე ხელსა ვწევ.

„აბა, რა გინდა?“ — უნდილად ეგრე, მკვახედ.

მე ვამბობ:

„გადაწყვეტილებას არ ვეთანხმები. მე ხომ ყველგან, ყოველ სამუშაოზე ამ წყვეტილობის ახსნა-განმარტებას მომთხოვენ“.

„დახეთ, როგორი ცქვიტი ყოფილხარ, — ამბობს ოლქკომის პირველი მდივანი. — შენ იმიტომა ხარ ასე თამამად, რომ მატერიალური ბაზა მოგეპოვება — ნამსახურობისათვის რამდენს იღებ?“

ის მართალს ბრძანებს, მაგრამ სიტყვას ვაწყვეტინებ და ვამბობ: ვითხოვ სრულ რეაბილიტაციას სტაჟის გაუწყვეტლად.

ოლქკომის მდივანი უცებ ამბობს:

„შენ რაო, რას გვაწვები? რას ცხარობ? შენ ხომ ხელები იდაყვამდე სისხლში გაქვს ამოსვრილი!“

სისხლმა ტვინში ამასხა.

„თქვენ კი რაო, — ვეუბნები, — თქვენ არა გაქვთ სისხლში ამოსვრილი?“

ოლქკომის მდივანი ამბობს:

„ჩვენ აქ არ ვყოფილვართ“.

„და იქ, სადაც ოცდაჩვიდმეტში იყავით, იქ სისხლში არ ამოგისვრიათ?“

პირველი მდივანი ამბობს:

„კმარა ლაქლაქი. ჩვენ შეგვიძლია, რომ კენჭი ხელახლა ვყაროთ. გაბრძანდი აქედან“.

ტალანში გამოვედი და გადაწყვეტილება გამომიტანეს: „პარტიულ რეაბილიტაციაზე უარი ეთქვას“.

ნახევარი წელიწადი ვხლაფორთობდი მოსკოვში. გადაწყვეტილება გააუქმეს. მაგრამ მხოლოდ ის — თავდაპირველი ფორმულირება მიიღეს: „აღდგენილ იქნას სტაჟის გაწყვეტით“.

იმან, ვინც მოახსენებდა ჩემს საქმეს პარტკონტროლის კომიტეტს, მითხრა: ოლქკომში არ უნდა გეყეფაო.

სულ ისევ ვხლაფორთობ, ვდავაქარობ, მოსკოვში ჩავდივარ ხოლმე და ვცდილობ, რომ ჩემი გავიტანო. დალიე!

— არა ვსვამ-მეთქი.

— ეს რომი არ გახლავთ, კონიაკია. ხუთვარსკვლავიანი კონიაკი. სპეციალურად შენთვის.

— მოაშორე ბოთლი.

— ეგეც მართალია, მოგაშორებ, წავიღებ, თან წავიყოლიებ. ნუ გეწყინება.

— არ მეწყინება.

გავიდა კიდევ ერთი წელიწადი და ბუკინისტისგან უკანასკნელი წერილი მივიღე:

„ლენინგრადში ჩემი არყოფნისას უეცრად გარდაცვლილა ჩემი ცოლი. ნახევარი წლის შემდეგ ჩავედი. ვნახე საფლავის ბორცვი, ჯვარი და სამოყვარულო ფოტო — კუბოში მწოლიარე. ნუ დამძრახავ სისუსტისათვის, საღ-სალამათი ვარ, მაგრამ ვერაფერი გამიწყვია — ვცხოვრობ, როგორც სიზმარში, ცხოვრების ინტერესი დავკარგე.

ვიცი, ეს გამივლის — ოღონდ დროა საჭირო. იმ საბრალომ სიცოცხლეში რა ნახა? ციხე-ციხე სიარული ცნობებისა და ამანათებისათვის? საზოგადოებრივი ზიზღი, ჩემთან ჩამოსვლა მაგადანში, — გაჭირვებული ცხოვრება, და ახლა კი — ფინალი. მაპატიე, მერე უფრო მეტს მოგწერ. დიახაც მე ჯანსაღი ვარ, მაგრამ განა ჯანსაღია ის საზოგადოება, რომელშიც მე ვცხოვრობ?

სალამი“.

რუსულიდან თარგმნა
თამაზ ნატროშვილმა

ადა ნემსაძე

პოეზია — „დუმილი, რომელიც ლაპარაკობს“

(მირიან ებანოიძის ახალი პოეტური რკალი)

უმბერტო ეკო თავისი „ვარდის სახელის“ ბოლოთქმაში წერს: „პოსტმოდერნისტულ მანერას ისე ვუყურებ, როგორც შეყვარებული კაცის საქციელს, რომელსაც უაღრესად განათლებული ქალი უყვარს და იცის, ვერ ეტყვის „თავდავიწყებით მიყვარხარო“, რადგან იცის, რომ ქალმა იცის (და ქალმაც იცის, რომ კაცმაც იცის): ეს სიტყვები ლიალას დაწერილია. თუმცა გამოსავალი მაინც არსებობს. შეუძლია უთხრას: „როგორც ლიალა იტყოდა, თავდავიწყებით მიყვარხარ“.

იტალიელი მწერლისა და სემიოლოგის ეს სიტყვები, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო განმარტებაა პოსტმოდერნისტული ლიტერატურის პოეტიკისა იმათ შორის, რაც დღეს-დღეობით არსებობს. სამყაროში ახალი არაფერია, ყველაფერი უკვე დიდი ხანია ითქვა. პოსტმოდერნისტი ავტორი ამ უკვე ნათქვამს გვეუბნება ხელახლა, სხვისი სიტყვისა და საკუთარის სინთეზით. სწორედ ეს აზრი გებადება, როცა მირიან ებანოიძის ლექსებს კითხულობ, თან იმის განცდაც გიპყრობს, უკვე ნაფიქრისა და ნათქვამის ახლებურად თქმის რა უსაზღვრო შესაძლებლობანი აქვს მხატვრულ სიტყვას.

ასე, ერთი შეხედვით, ნაცნობ, ხშირად ნაფიქრ პრობლემებს დასტრიალებს იგი. ლექსში „ომი“ საკუთარ თავთან, ადამიანის მიერ საკუთარ ქვეცნობიერთან გამართული ჭიდილია ასახული, ადამიანებს, ცასა და მიწას შორის დაპირისპირებაა ნაჩვენები. „ეს არის ომი, მაგრამ მტერი არსად არა სჩანს...“ — აცხადებს ავტორი. სწორედ ამიტომაც ეს ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული ომია... რეალობასა და საზღვარს მიღმა სამყაროშიც კი, სადაც ადამიანის გონება მხოლოდ წარმოსახვით თუ შეაღწევს, გრძელდება ეს დაუსრულებელი ომი.

მირიან ებანოიძის ლექსებში, ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი ბურუსშია გახვეული, ნათელი ფერები აქ იშვიათად გამოკრთება. მის მხატვრულ სამყაროში თითქოს ორი რეალობაა მოცემული, ერთი ის, რაც „ნახატზე ხდება“, „ღრუბლებს მიღმა“ ანუ მიღმურ სამყაროში, ხოლო მეორე, აქვე, ჩვენ გვერდით არსებული რეალობაა. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ორივე სამყაროში ძალადობა და ტკივილია გამეფებული, „მარჯვნივ, მარცხნივ, ფლანგებისკენ ყველგან ომია...“ ამ უსასრულო და უსაზღვრო ომში, სადაც „ყველგან თავდასხმაა“ და არსად დაცვა, მითუფრო ძნელდება გამარჯვება, გამარჯვების იმედიც კი ნელ-ნელა ინავლება, თუმც უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორი ყოველთვის ინარჩუნებს იმედისა და რწმენის პაწაწინა მარცვალს, რომელიც უსასრულო სევდით გადაღლილ ადამიანს (კაცობრიობას) უნუგეშოდ არ მიატოვებს:

წმინდა გიორგი გვეხმარება მივუახლოვდეთ —
ეს ქმნილებაა
შენს წინ დგას და სიკვდილთან მიდის...
ის არასოდეს ამბობს — გუშინწინ
ხელოვნური ნათურის შუქზე საკუთარ სისხლს
წვალებით და ზეიმით აქცევს...

სწორედ ეს იმედია, სიცოცხლის არსებობას აზრს რომ ანიჭებს და ადამიანს კვლავ სწყურია იგი, თუმც, ავტორის ღრმა რწმენით, ამ ჭიდილს, ამ მარადიულ დაპირისპირებას — ომს — დასასრული არასოდეს ექნება, ეს კანონზომიერებაა, რომელსაც სამყაროს ფილოსოფიური ჭვრეტის შედეგად შეიცნობს ადამიანი:

გულებში ადგილს მოძებნის თოვლი... ეშვება ფარდა...
საგამოფენო დარბაზებში თოვს სინათლეზე ირიბად,
ნაზად
მოხუცმა პლედი შეიბერტყა, ნელა წამოდგა, გაუყვა
ქუჩას...
ომი გრძელდება ვარსკვლავებში, უხმაუროდ, ჩუმად,
ფარულად...

განსხვავებული პოეტური დისკურსი გვხვდება ლექსებში „ყვავი“ და „სამზარეულოს საგა“. „ყვავი“ ტიპური პოსტმოდერნისტული ნიმუშია, რომელშიც ავტორი აქტიურად მიმართავს ინტერტექსტუალობას. მის მხატვრულ ქსოვილში ჩანს სხვადასხვა ეპოქის ავტორთა ფრაზები, რომლებიც ერთგვარი ხიდის ფუნქციას ასრულებს, ოღონდ ამით მთავარი სათქმელი პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელ ირონიულ-პაროდიულ ელფერს იძენს და არა რეალურ დროთა კავშირს, არამედ მის პაროდიულ ვარიაციას წარმოადგენს:

ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, რათა ვიყო ყვავი
და სიგარეტს ვეწეოდე.
ჩვენ ამ ჩხავილში სამშობლოს დუმილს ვაყურადებთ
ცა ერთ წერტილში შეგუბდა და ჩამოყალიბდა.
აყვავდი ტურფა ქვეყანავ.

ლექსში *ყვავის ჩხავილი* და *დუმილი* ის ოპოზიციაა, რომელიც სამყაროს დასაბამიდან იღებს სათავეს. ღრმა ტროპული სახე *ყვავის ჩხავილი* მიგვანიშნებს მის ამოუწურავ კონოტაციურ მნიშვნელობებზე. ზოგადად, სიმბოლური აზროვნება იმითაა განსაკუთრებით მიმზიდველი პოეტებისათვის, რომ ის შეიძლება შეიცავდეს ერთმანეთისაგან განსხვავებულ მნიშვნელობებს, ხშირად ერთმანეთთან დაპირისპირებულსაც. მაგრამ აღნიშნული სიმბოლო — ყვავის

მირიან ებანოიძე

ჩხავილი — წარმოუდგენელია დადებით კონოტაციებს აღძრავდეს. ის შავის, სიბნელის, ბოროტების, უბედურების მომასწავებელი წინასწარმეტყველებაა თითქოს და ლექსშიც სწორედ ამგვარ ილუზიას აჩენს. ემოციურ დაძაბულობას აძლიერებს ის ფაქტი, რომ ამ უბედურების საპირისპიროდ მხოლოდ დუმილია და არა ქმედება, თუნდაც ძალზე პასიური. ამგვარი გააზრება იწვევს უაღრესად ტრაგიკულ განცდას ლექსის კითხვისას, რაც თანდათანობით უფრო და უფრო მაღალ რეგისტრში გადადის:

გკითხულობთ, გხედავთ, გამარჯობა ყვავო, ჩვენა ვართ.
საკუთარ ჩრდილში შემეშალე, ვეღარ გიცანი.
თვალს გარიდებ — ვერა, ვერ ვხედავ, არც არსებობ —
სხვა თავის თავთან, არაფერი, უმნიშვნელო,
როგორც სამყარო...

ყველაზე ყურადსაღები აქ მნიშვნელობათა კრიზისია, რომელიც პედალირებულია ფრაზაში. ლექსის ლირიკული გმირი წუთიერად, მაგრამ მაინც იგივეობის ნიშანს სვამს ყვავსა და საკუთარ თავს შორის — „საკუთარ ჩრდილში შემეშალე, ვაღარ გიცანი“ — მიმართავს იგი ყვავს. ეს XXI საუკუნის საკუთარ ყოფიერებაში დაეჭვებული ადამიანის სულიერი კრიზისის მაჩვენებელიცაა და პიროვნული თვითიდენტობის შეუძლებლობის ნიშანიც, ან სიგნალი მაინც, რომელიც განგაშის ზარივით გაისმის ლექსში.

თუმც ავტორი უსაშველობის განცდას ანელებს ფინალისკენ: ის, რომ ყვავი „ვერ იქცა ბედისწერად, ყორნად ვერ შედგა, გმირი ვერ გახდა, ისტორია არსად ახსენებს...“, მინიშნებაა — ბოროტების საზღვრები დაუსაბამო და ყოვლისმომცველი არ არის. სამყაროში გადარჩენისათვის კიდევ არის შანსი, თუკი ადამიანი ბრძოლის სურვილს არ დაკარგავს და თუკი დუმილზე ხელს აიღებს. მაგრამ ის ქარი, რომელიც გამუდმებით ქრის ლექსის დასაწყისიდანვე, მკითხველს არ უტოვებს დამშვიდების საშუალებას, პირიქით, თითქოს მის გამოსაფხიზლებლად უფრო და უფრო ძლიერდება. ლექსს ასევე ტიპური პოსტმოდერნისტული დასასრული აქვს, სადაც შეინიშნება ირონია როგორც საკუთარი თავის, ისე სამყაროს მიმართაც.

პირობას გაძლევ —
იქროლებს ქარი საქართველოს ყველა ტექსტებში.
შენი მზერა დაისერება ტყის უთვალავი ბილიკებით და
ნანგრევებში
ისტორია ამოიჩხავლებს.

როგორც ყველა პოსტმოდერნისტული მანერით დაწერილი ტექსტი, „სამზარეულოს საგაც“ აღბეჭდილია მარადიულ პრობლემათა ირონიულ-პაროდიული დამუშავებით. უსისტემობა, იერარქიის მოშლა, რაც თანამედროვე ადამიანისთვის მოწესრიგებული სამყაროს ნანგრევებად ქცევამ და დეფორმირებამ გამოიწვია, შესაბამისად გადავიდა მხატვრულ ტექსტშიც. სტრუქტურას ჩაენაცვლა რიზომა, ტექსტს — ინტერტექსტი, თხრობის მოწესრიგებულობასა და ერთგვაროვნებას — ეკლექტიზმი. ამ ყველაფრის მიღმა კი შეიმჩნევა იმ დიდ ტკივილთა და პრობლემათა ხაზგასმა, რაც დრომ მოიტანა. ლექსის სათაურიც — „სამზარეულოს საგა“ — ამაზე მიუთითებს.

საგა, თავდაპირველად ისლანდიური და ნორვეგიული ლიტერატურის ჟანრი, რომელიც მოგვითხრობდა სკანდინავიის ხალხთა ლეგენდარულ გმირებზე, შემდგომ კი ევროპულ ლიტერატურაში რომანის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახედ იქცა, თანამედროვე ეპოქაში დაუკავშირდა ყველაზე ნაკლებად ლიტერატურულ და შემოქმედებით ადგილს — სამზარეულოს. ეს ერთი მხრივ, დიდი ლიტერატურის კულინარიულ, მდარე ხარისხის პროდუქციად ქცევაზეც მიგვითითებს, ხოლო, მეორე მხრივ, უზუსტესად გამოხატავს ეპოქის სულისკვეთებას. ამიტომაც პოსტმოდერნისტულ ლექსში ხშირად წავაწყდებით ასეთ ფრაზებს:

საღამოს სკამზე ჩამოჯდება თავად ელენე
და ტროას ამბებს გაიხსენებს ჭიქა ყავაზე.

ან კიდევ:

განჯინის კარებს შორის დუმილი
ჩაეჭედა და მოვიყვანეთ ხელოსანი, რათა აეხსნა
ხმა როგორ უნდა ამოგვეღო
ისე, რომ არსად გამქრალიყო, რასაც ვიტყოდით,
კარადა რომ არ დაერღვია უსარგებლოდ
გაღებულ ბგერას,
ტრადიცია რომ არ დაგვმხობოდა.
და სწორედ მაშინ ჩვენ ვიპოვეთ მურაბები გადამალული.

ფილოსოფიური პოეზია ბარათაშვილისა და ვაჟას ქვეყანაში, რა თქმა უნდა, გასაკვირი არ არის. თუმც ამ ორი პოეტის შემოქმედებაც საუკეთესო ნიმუშია, თუ როგორი ზომიერი გამოყენება სჭირდება ფილოსოფიურ პრობლემებს („წყევლა-კრულვიან საკითხავებს“, ილიას რომ დავესესხოთ), რათა მათ ლექსს სიმსუბუქე და პოეტურობა არ დაუკარგონ. ეს „ბეწვის ხიდი“ ურთულესი გასავლელია და შეუმცდარად მასზე გავლა მხოლოდ ძალზე ნიჭიერ შემოქმედთ ძალუძთ. მირიან ებანოიძის ლექსებს ეტყობა, რომ ავტორი ცდილობს ამას, მაგრამ ხანდახან მაინც წაუცდება ხოლმე ხელი (ამაში „დამნაშავე“, შესაძლოა, ბატონი მირიანის ფილოსოფოსობაც იყოს), რის გამოც პოეტური ფრაზა ზოგჯერ მოქნილობასა და ელასტიკურობას კარგავს.

უდავოდ ხაზგასასმელია მირიან ებანოიძის პოეზიის მეტაფორული სამყარო. მისი მხატვრული სახეები მოგწონს და გაოცებს მოულოდნელობით, შეიძლება ვთქვათ, „პოსტმოდერნისტული“ მოულოდნელობით („ნისლში კივილი იგუდება, თავის თავს კოცნის“, „მარტოობის კედლებიდან აივანზე გადარბის კატა“, „ლუდი აიას სარეკლამო აბრაზე ვჯდები და მლაშე ცრემლებს შენს სახეზე გადავაგორებ“, „ჭაღის სინათლე ნალექივით დარჩა სიზმრებში“, „მისმა მარცხენა ყვრიმალმა სინანული შემოგვთავაზა“...). ამ ყველაფერთან ერთად კი არ შეგვიძლია, გულისტკივილით არ აღვნიშნოთ: თანამედროვე პროზისა და პოეზიის ერთ-ერთ ძირითად სუსტ წერტილად რჩება ენასთან დამოკიდებულება, რაც ენობრივი ნორმებისა და სწორი გრამატიკული ფორმების უგულებელყოფაში გამოიხატება („წაუსმევს კარაქს“, „დადევი ბურთი“...). რაც უნდა მნიშვნელოვან სათქმელს ინახავდეს მხატვრული ტექსტი და ღრმა ტროპული სახეობრიობით იყოს რეალიზებული, ერთი გაუმართავი სიტყვაც კი ზოგჯერ ლაზათს უკარგავს მთელ ფრაზას. კარგი იქნება, თუკი დღევანდელი შემოქმედნი, რომელთაც მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწერლო ტრადიციის გაგრძელება და მომავალი თაობებისთვის გადაცემა იტვირთეს, ამ ნიუანსსაც მიაქცევენ ყურადღებას.

* * *

ალექსანდრ ლისენკოს მემუარისტულ ჩანაწერებში გახსენებულია, თუ როგორ მიიწვიეს ბორის სპასკი ირლანდიის ერთ ქალაქში ერთდროული თამაშის სეანსის ჩასატარებლად. როდესაც მანქანა მინდორში გავიდოდა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი გაჩერებას ითხოვდა, გადავიდოდა და ცოტას გაისეირნებდა.

უკან მობრუნებული ასე აუხსნიდა თანამგზავრებს თავის ამ მოულოდნელ საქციელს:

— მხოლოდ მაშინ მიმაჩნია თავი ამა თუ იმ ქვეყანაში მყოფად, როდესაც მიწაზე დავდგამ ფეხს და არა ასფალტზე.

რომანტიკული ბუნებისა რომ გახლდათ!..

და ქრესტომათიულ გაკვეთილსაც რომ დაგვიტოვებდა.

თბილისში რომ მოუწევდა ყოფნა მიხაილ ტალთან პრეტენდენტთა მატჩის დროს, ალბათ რას იჯერებდა გულს ბაღებსა თუ პარკებში სიარულით, რათა მიწა ძალუმად შეეგრძნო და საქართველოში ყოფნაც ბოლომდე შეეთვისებინა.

ჯერჯერობით არავის მემუარული ჩანაწერები ამის თაობაზე არაფერს გვამცნობს.

თუმც ჯერ კიდევ ვინ იცის, სად რა აღმოჩნდეს და რომელიმე მემუარულ ჩანაწერსა, დღიურსა თუ კერძო წერილში ამოვიკითხოთ, თუ რა აღტაცებული გაიძახის ბორის სპასკი: ახლა კი ნამდვილად საქართველოში ვარო.

ეს რომ მომხდარიყო, ყოვლად წარმოუდგენელია, ქართველ თანამგზავრთაგან რომელიმეს ძალდაუტანებლად არ წამოჰგონებოდა გალაკტიონის სტრიქონები: ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე, რაა მამულიო?! — და კიდევ უფრო აღეფრთოვანებინა სახელოვანი სტუმარი; და ასეთი რომანტიკული ბუნების კაცს შეუძლებელია ეს სურვილიც არ გასჩენოდა: ცვრიან ბალახზე აქამდეც კი უნდა გამევლო ფეხშიშველას, მაგრამ გვიანი არც ახლა იქნებაო...

ეგებ მის ჩანაწერებშიც მიაგნოს ვინმემ ამ სურვილის რეალობად ქცევას: გული ვიჯერე ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა სიარულით, ერთი ქართველი პოეტის თქმისა არ იყოსო.

ნუ გავამტყუნებთ, სახელი რომ არც დამახსოვრებოდეს.

ეს ყველაფერი ოცნებაა, როდესაც ძალიან გინდა შენი მწერლები სხვებზეც ახდენდნენ დიდ შთაბეჭდილებასა და ზეგავლენას, ვაჟა-ფშაველათი ალენ დელონის აღტაცებისა არ იყოს, მაგრამ ის საგულისხმო დეტალი ხომ მაინცაა რეალობა, მინდორში ლაღად გავლილი ბორის სპასკი თანამგზავრებს თავის სიხარულს რომ უზიარებს: ახლა კი ნამდვილად ირლანდიაში ვიმყოფებიო!..

ისე... დეტალი ვითომ?!.

* * *

ავტობიოგრაფიულ რომანში „ცამეტი წელიწადი კინოში“ აკაკი ბაქრაძე იხსენებს, რომ მის შეკითხვაზე: ახლა რომ შემოგთავაზონ, რაც გნებავთ და როგორც გნებავთ გადაიღეთო, რის გადაღებას ისურვებდითო? — მიხეილ ჭიაურელს ასე მიუგია:

— ავიღებდი პარტიის ისტორიის მოკლე კურსს და რომელიმე თავს ფილმად დავდგამდი.

ამას კარგად მოეხსენებოდა, თუ როგორ შეალია წლები სერგეი ეიზენშტეინმა „კაპიტალის“ ფილმად გადაღების ოცნებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. და ახლა ქართველი რეჟისორის პასუხი რომ გააკვირვებდა და — თუმც თქმით არაფერს ეტყოდა — გაოცება სახეზე აესახებოდა, ის გაიცინებდა და უამბობდა ბავშვობისდროინდელ ამბავს, თუ როგორ იქირავა მამამისისაგან ცხენი სოფლის მღვდელმა, რათა ბალდახინში შეება, მაგრამ როდესაც პროცესია სასაფლაოსაკენ გასწევდა და გზად ამათ სახლს ჩაუვლიდა, ცხენი, არც აციებდა და არც აცხელებდა, შემოუხვევდა და თავის ბალდახინ-მიცვალებულიანად ეზოში შემოვიდოდა, გაჩერდებოდა და გაქირზე დადგებოდა. რას აღარ იღონებდნენ — ხან ეფერნენ, ხან ურტყეს, ხან გამოხსნეს, ხან შეაბესო — მაგრამ არა და არა, ცხენი ეზოდან ფეხს არ მოიცვლიდა. ბოლოს, მეტი ჩარა რომ აღარ იყო, სასახლეს მხრებზე შეიდგამდნენ და ისე წაასვენებდნენ მიცვალებულს სასაფლაოზე.

— იმ ცხენივითა ვარო, — დასძენდა მონათხრობს სახელოვანი რეჟისორი, — რაც უნდა შემომთავაზოთ, რა უფლებაც მომცეთ, რა ასპარეზიც გინდა გამიშალოთ, ჩემი ეზოდან ფეხს უკვე ვეღარ გადავდგამო.

აკაკი ბაქრაძე თავის მხრივ დაურთავს: მართალს ამბობდა. განა მისი ნათქვამის უტყუარი დასტური არ არის ფილმი —„ამბავი ერთი ქალიშვილისაო“? — და მეტად საგულისხმო ფსიქოლოგიურ ვითარებად განაზოგადებს რეჟისორის სიტყვებს, მაგრამ ამჯერად საგულისხმო ისაა, მიხეილ ჭიაურელი პარტიის ისტორიის მოკლე კურსის რომელიმე თავის გადასაღებადაც რომ გახლდათ მზად.

სადამდე შეიძლება მივიდეს მორალურად გატეხილი ადამიანი!..

და თურმე ამგვარი აბსურდული აზრი მხოლოდ მას არც გასჩენია.

ვახტანგ ჭელიძის ჩანაწერებში („ტკბილ-მწარე ამბები“) გახსენებულია, რომ ვასილ მჟავანაძის დროს ერთ-ერთ პარტიულ კონფერენციაზე როგორ გამოვიდა სიტყვით აკაკი ხორავა — სახელოვანი მსახიობი და იმჟამად რუსთაველის თეატრის დირექტორი — და როგორ აღუთქვა კონფერენციას ხანგრძლივი და მგზნებარე ლაპარაკის შემდეგ: პარტიის ისტორიის მოკლე კურსის მიხედვით დავდგამ სპექტაკლების ციკლს — რვა თავს რვა სპექტაკლადო.

საცოდაობა იყოო, — დასძენს მწერალი, — შეშინებული კაცის უზნეო მოქმედება. აკაკი ხორავა არა ყოფილა ისეთი უჭკუო, რომ არა სცოდნოდა ამ განცხადების გაუგონარი აბსურდულობა. ეს იყო შიში, დიდი ხნიდან გამოყოლილი შიში (ამბობდნენ, მენშევიკების გვარდიაში იყო და ძლივს გადარჩაო). შიშმა მიიყვანა ამ დღემდეო.

მთლად ის დროც აღარ იყო, მაინცდამაინც აუცილებელი ყოფილიყო პარტიის ისტორიის მოკლე კურსის ამეტყველება ფილმად თუ სპექტაკლად, თორემ ამათ იქნებ ცილაობაც მოსვლოდათ, რომელი დაასწრებდა და პირველად შეასხამდა ხორცს ამ ჩანაფიქრს, წვეთივით რომ აირეკლავს ეპოქის საზარლობასა და აბსურდულობას, ერთი მხრივ, და მონურ მორჩილებას, მეორე მხრივ.

ოღონდ აქ ერთ გარემოებასაც დავუკვირდეთ.

მიხეილ ჭიაურელი და აკაკი ხორავა ხომ ის ხელოვანნი არიან, სტალინის დავალება მთელი თავიანთი შემოქმედებითი

უნარის გამოყენებით რომ აღასრულეს და კინოფილმი „გიორგი სააკაძე“ ისეთ ემოციურ ქმნილებად აქციეს, ზეგავლენა რომ მოახდინეს ადამიანების ფსიქიკაზე და გაორებული, მოღალატე კაცის სახე გმირად და იდეალად ჩაუბეჭდეს.



ფილმმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ამ საბჭოური მიზნის აღსრულების გზაზე, ნამდვილი გმირის ცრუგმირით ჩანაცვლება რასაც ჰქვია.

ვერც ისტორიის სახელმძღვანელოში ტენდენციურად მოთხრობილი ბიოგრაფია დიდი მოურავისა იქონიებდა ასეთ ზემოქმედებას საზოგადოებრივ ცნობიერებაზე.

ვერც ანა ანტონოვსკაიას უზომოდ გაწელილი და ბუტაფორიული რომანი, უფრო კი რომანების სერია.

ფილმს ამ მხრივ მეტი ზეგავლენის ძალა მოეპოვება ხალხის დასაბნევად და... აჰა, კიდევ ერთხელ დადასტურდა ეს აზრი „გიორგი სააკაძის“ მაგალითზე.

ყალბმა ბიოგრაფიამ სრულიად გადაყლაპა გიორგი სააკაძის ტრაგიკული ცხოვრების ჭეშმარიტი ქარგა და გაორებული კაცი ასე წარმოსდგა მონუმენტურ ფიგურად და სწორედაც იდეალად, ერთბაშად რომ გადაფარა ჭეშმარიტი გმირები და ზნეობრივი ღირებულებანი და საზოგადოების ერთი ნაწილი ჯერაც ვერ გამორკვეულა ამ საბურველიდან.

ეს საბურველი კი ვისი შექმნილია?

უშუალოდ იმ ადამიანების, რომელნიც... პარტიის მოკლე კურსის ამეტყველებაზეც კი ოცნებობდნენ ფილმად და სპექტაკლად.

ვაი და ვაგლახ!..

ისე ნეტა მოესწროთ და გვეხილა აბსურდის კიდევ ერთი ზეიმი — სხვა ზეიმებზე კიდევ უფრო აღმატებული...

ხომ უნდა გქონდეს საშუალება იხილო, სადამდე შეიძლება დაეცეს ხელოვანი.

* * *

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტრადიციადქცეული სამეცნიერო რესპუბლიკური კონფერენცია იმართება — „კლასიკოსთა გაკვეთილები“.

გიორგი გოგოლაშვილისა და იოსებ ჭუმბურიძის გარეშე აღარც ჩატარდება ახალი და ახალი თავყრილობებიც — აგერ, ნიკო ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილიც მათმა მონაწილეობამაც უნდა დაამშვენოს.

თელავის უნივერსიტეტიდან ოთარ ჩხეიძისა და ჩემს წიგნებს ითხოვენ ბიბლიოთეკისათვის და ბარემ ამათ ვატან. ცხადია, ნამდვილ მკითხველებად აღიარებული ლექტორებისთვისაც წინასწარვე მაქვს გადადებული ეგზემპლარები.

ესენი ყუთს რომ გადმოიღებენ მანქანის საბარგულიდან, ნიკო ოთინაშვილიც დაინტერესდება, კონფერენციის მონაწილეებს გორიდან რომ შემატებია. — ეს წიგნები არც მე მაქვსო, — განაცხადებს და მოინდომებს თავისთვის გადაწყობას. გიორგი და იოსები აუხსნიან, რომ ეს ცალები თელავისთვისაა გამიზნული და აქედან ვერცერთს ვერ შეელევიან. მაგრამ ნიკოს გული ნუ დაწყდება — გორის უნივერსიტეტისათვის წიგნების გადარჩევისას მისი მხურვალე მოწადინება აუცილებლად იქნება გათვალისწინებული. თანაც, დიდხანს არ მოუწევს ლოდინი. აგერ ცოტა ხანში გორის უნივერსიტეტში ხომ უნდა გაიმართოს იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, ეს ორნი იქაც აუცილებლად მიიღებენ მონაწილეობას, ჯერ მარტო როგორც იაკობ გოგებაშვილის სახელისა და ღვაწლის დიდი მოამაგენი, და ბარემ თვითონვე ჩაუტანენ იქაურებისათვის საჩუქრად შერჩეულ წიგნებსაც.

მხატვარი ზაალ სულაკაური

ნიკო დიდად გახარებულია.

სხდომა ჩამთავრდება და მონაწილეებს ისეთ სუფრასთან იწვევენ, თელაველებს რომ სჩვევიათ.

იოსებ ჭუმბურიძე ხელებს იბანს და ნიკოც წამოადგება თავზე:

— ბატონო სოსო, როგორ გაგიბედოთ და... იქნებ „შავი ჩოხაც“ წამოგეძღვანიებინათ...

ჩემს ბიოგრაფიულ რომანს გულისხმობს ქაქუცა ჩოლოყაშვილზე, იოსებს ძალიან რომ მოსწონს, მაგრამ ამ წუთს ვერ ივარაუდებს, თანამოსაუბრე რას სთხოვს. ზეპირმეტყველებისას, მოგეხსენებათ, წინწკლები არ დაისმის. და ნიკოს ნათქვამს პირდაპირ მიიღებს. და პირდაპირ რომ მიიღებს, ირიბულადაც ჩაეკითხება:

— ვერცხლის სირმებით გნებავს თუ?..

და როდესაც გაირკვევა, თუ რის წამოღებას სთხოვენ, ბევრსაც იცინებს და სუფრაზეც მოჰყვება ხალისით.

მასპინძელთა შორის როინ ჭიკაძეცაა — ამ კონფერენციების ერთ-ერთი სულისჩამდგმელიც და უცვლელი მონაწილეც, ამ ქალაქის კოლორიტული პიროვნება, იუმორითაც რომ დიდად გამოირჩევა. აი, ის, მოკლე ბარათსაც რომ დაურთავდა „ჩვენი მწერლობის“ რედაქციაში გამოგზავნილ ნანული კუპატაძის სტატიას „ცხადი და სიზმარი ზაირა არსენიშვილისა“: ერთი ძველი სიმღერისა არ იყოს, — „ცოლი გამიდიდგულდაო“, მე კიდევ უარესი დამემართა — ბიოლოგი ცოლი გამილიტერატორდა, თუმცა არცთუ უსაფუძვლოდ, ვინაიდან ამ მხრივ მას უკვე აქვს მცირე გამოცდილებაო.

ეს ფრაზები ერთ რამედ ღირდა და სტატიასთან ერთადაც დაიბეჭდებოდა ჩვენი ჟურნალის 2011 წლის მე-19 ნომერში.

და ახლა იოსების მონაყოლზე სუფრაც რომ გამხიარულდება, ბატონი როინი მეტად სერიოზული იერით განუცხადებს:

— „შავ ჩოხას“ რა უშავს, კიდევ კარგი „თეთრი დათვი“ რომ არ მოგთხოვა.

„თეთრი დათვი“ მატიანე ქართლისას 24-წიგნიანი ციკლის ერთ-ერთი რომანია და... ამ წუთას — კომიკური ეფექტისათვის — ყველაზე შესაფერისი გასახსენებლად.

როინ ჭიკაძეც იქნებოდა, რომ ამისთანა შემთხვევა ხელიდან გაეშვა!..

კომუნიზმი მეჭეჭივით გაქრება

მასპინძელიც გაოცებამ შეიპყრო და სტუმარიც.

მასპინძელი იყო წითელი არმიის ახალგაზრდა ოფიცერი, რომელიც იმ დღეს მორიგეობდა იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადში დაბინავებულ საბჭოთა სამხედრო მისიაში.

ხოლო სტუმარი გახლდათ რუსი ემიგრანტი, სამოცდაათ წელს მიღწეული გაჭაღარავებული კაცი აწოწილი ფიგურით, რომელიც ნებაყოფლობით ტყვედ ბარდებოდა წითელ არმიას.

იდგა 1945 წლის მაისი. მთელი ევროპა ზეიმობდა განთავისუფლებას ფაშისტური უღლიდან.

წითელი არმიის ოფიცერი გაოგნებით შეჰყურებდა სტუმარს, დაჟინებით რომ იმეორებდა: ახლავე დამაპატიმრეთ, მე ვასილი ვიტალიევიჩ შულგინი გახლავართო.

მასპინძელი გულდასმით კითხულობდა ძებნილ პირთა სიებს, მაგრამ შულგინის გვარი იქ არსად ჭაჭანებდა. ახალგაზრდა ოფიცერმა უმწეოდ გაშალა ხელები, როგორ უნდა დაგაპატიმროთ, როდესაც თქვენი დანაშაული არ ვიცი. შეგიძლიათ აქედან წაბრძანდეთ, ჩვენ არ გიცნობთ და თქვენთან არაფერი გვესაქმებაო.

სტუმარი უსიტყვოდ დაემორჩილა თავაზიან განკარგულებას. სხვა რა გზა ჰქონდა — რევოლუციამდელ რუსეთში სახელგანთქმულ პოლიტიკურ მოღვაწეს ოცდაათი წლის შემდეგ, ჩანს, სამშობლოში აღარ იცნობდნენ.

მაგრამ ასე იოლად ვერ შეელეოდა თავის გულისწადილს. ბედი მეორე დღესაც სცადა და ამჯერად გაუმართლა. იცნეს, დააფასეს!

საწერ მაგიდასთან იჯდა არცთუ ახალგაზრდა პოლკოვნიკი. როგორც კი შულგინმა თავი წარუდგინა, იგი ზეზე წამოიჭრა, ჯიქურ მივარდა სტუმარს, საყელოში მოქაჩა და დაუღრიალა:

— ეს თქვენა ბრძანდებით შულგინი?! „პოგრომების“ ორგანიზატორი და საბჭოეთის მოსისხლე მტერი?

— როგორც იქნა, მიცნეს, — შვებით აღმოხდა სტუმარს.

სასწრაფოდ ჩასვეს თვითმფრინავში და მოსკოვს გაისტუმრეს.

როგორც გამოირკვა, საბჭოთა კავშირზე თავდასხმის წინ ჰიტლერის დამქაშებმა რუსულ ემიგრანტულ წრეებში ესოდენ პოპულარული ფიგურა, სტაჟიანი „ანტისოვეტჩიკი“, დაუყოვნებლივ მიიპატიჟეს ბერლინში, ჩვენი ჯვაროსნული ლაშქრობა აკურთხეო. მაგრამ თავის სამშობლოში მოფაშისტო რეაქციონერად შერაცხულმა შულგინმა, სულით და ხორცით ანტიკომუნისტმა, ნაცისტებს ანუ მამალ ანტიკომუნისტებს, სრულიად მოულოდნელად, ცივი უარი სტკიცა. მისი აზრით, გერმანელთათვის სულერთი იყო, წითელი იქნებოდა რუსეთი თუ თეთრი, ისინი მხოლოდ ვრცელი ტერიტორიების დაპყრობას ესწრაფოდნენ და რუსეთი რუსებისათვის, ცხადია, არ ემეტებოდათ.

ომის წლები შულგინმა შეუმჩნევლად, უხმაუროდ და განმარტოებით გაატარა იუგოსლავიის ერთ მივარდნილ, პატარა სოფელში. ომის დამთავრების შემდეგ გადაწყვიტა დაბრუნება საბჭოთა კავშირში, რომლის გამარჯვებაც სასტიკ, სისხლისმღვრელ ომში ფრიად ესალბუნებოდა მის ველიკოდერჟავულ სულისკვეთებას. დიახ, მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ თავისი სიცოცხლე დაემთავრებინა სანატრელ სამშობლოში — თუნდაც საპყრობილეში.

მოსკოვში ჩაფრენილს მყისვე ლუბიანკაზე უკრეს თავი და საქმის გამოძიებას შეუდგნენ.

შულგინმა ასე მიმართა — ვისაც ჯერ არს:

— ტყუილუბრალოდ დროს რატომ კარგავთ? ცალკე საკანში დამაბინავეთ, ქაღალდი და კალამი მიბოძეთ, ჩემი ცხოვრების ისტორიას თავადვე დავწერ, თქვენ არ შეგაწუხებთ, დაწვრილებით მოგითხრობთ ყველა ჩემს დანაშაულს საბჭოთა ხელისუფლების წინაშე.

თხოვნა შეუსრულეს. რამდენიმე ასეული ფურცელი შეავსო. ეხერხებოდა წერა. თავის დროზე ხომ პოპულარულ გაზეთს რედაქტორობდა.

სხვათა შორის, შულგინი იმყოფებოდა იმ დელეგაციაში, რომელიც ეახლა რუსეთის უკანასკნელ იმპერატორს უმორჩილესი თხოვნით — გადადექიო! ახლა იხსენებდა, რომ იმპერატორი სრულიად რუსეთისა ნიკოლოზ II ჭადრაკის თამაშით იყო გართული და როცა სტუმართა ვიზიტის მიზანი შეიტყო, გახარებულმა წამოიძახა: ღმერთო ჩემო, ბოლოს და ბოლოს, ეს დამთავრდა!

შულგინის სიტყვით, ის იყო „ყველაზე დიდი კრეტინი რომანოვების დინასტიიდან“. მემარჯვენე ნაციონალისტი და თავგადადებული მონარქისტი, რასაკვირველია, ვერ იტანდა იმ უნიათო გვირგვინოსანს, ვისი წყალობითაც რევოლუციების უფსკრულში გადაიჩეხა ვეებერთელა იმპერია.

გასული საუკუნის 20-იან წლებში მოსკოვში გამოცემულ იქნა ემიგრანტ შულგინის სამი წიგნი: „დღეები“, „1920 წელი“ და „სამი სატახტო ქალაქი“. საოცარია, მაგრამ საბჭოთა ცენზურამ ამ უკანასკნელსაც მისცა ვიზა — მიუხედავად ჩხვლეტისა სტალინის მისამართით: „მართალია სტალინზე ამბობენ, რომ ვარდისფერი ვირის პოვნა უფრო იოლია, ვიდრე ჭკვიანი ქართველისა, მაგრამ სასოწარკვეთას არ ვეძლევი. ხომ შევასწავლეთ ლენინს „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა?“

...იჯდა ბოსფორის პირას სამშობლოდან გაქცეული, დამარცხებული და დევნილი შულგინი. იჯდა ბოსფორის პირას მჭმუნვარე და უიმედოდ, უნუგეშოდ ეგებებოდა ახალ 1921 წელს. იჯდა ბოსფორის პირას და თავს იქცევდა წინასწარმეტყველებებით. როგორც ირკვევა, წინასწარმეტყველის ნიჭითაც იყო დაჯილდოებული, ემარჯვებოდა.

წინასწარმეტყველება პირველი: „წითლებს მხოლოდ ეჩვენებათ, რომ ისინი იბრძვიან „ინტერნაციონალის“ სადიდებლად. სინამდვილეში, გაუცნობიერებლად, ისინი სისხლს ღვრიან საიმისოდ, რათა აღადგინონ „ღვთივკურთხეული სახელმწიფო რუსეთისა“. ისინი თავიანთი წითელი არმიებით მოძრაობენ ყოველმხრივ მანამდე, ვიდრე მიაღწევენ მყარ მიჯნებს, სადაც დაიწყება სხვა სახელმწიფო ორგანიზმთა მტკიცე წინააღმდეგობა. და ეს იქნება ბუნებრივი საზღვრები მომავალი რუსეთისა“.

წინასწარმეტყველება მეორე: „ბოლშევიკები მოამზადებენ სრულიად რუსეთის თვითმპყრობელის მოვლინებას. ეს არ იქნება არც ლენინი და არც ტროცკი. მათი ბაგაჟი, მათი ხუნდები — სოციალიზმია. ისინი ვერ უარყოფენ სოციალიზმს, რომლის მეოხებით მოიპოვეს ძალაუფლება და ზურგით უნდა ათრიონ ეს ტომარა. და მაშინ მოვა ვინმე, რომელიც აიღებს მათ სისასტიკეს, მაგრამ არ აიღებს მათ ტომარას. ის იქნება ჭეშმარიტად წითელი თავისი ნებისყოფით და ჭეშმარიტად თეთრი — დასახული ამოცანებით. ის იქნება ბოლშევიკი თავისი ენერგიით და ნაციონალისტი თავისი მრწამსით. და ყველაფერი, რაც ახლა ხდება, მთელი ეს საშინელებანი, რაც თავს დაატყდა რუსეთს, ეს მხოლოდ მშობიარობაა — საზარელი, ძნელი, უზომოდ მტანჯველი. დიახ, მშობიარობაა თვითმპყრობელისა! განა იოლი საქმეა შობა სრულიად რუსეთის ჭეშმარიტი თვითმპყრობელისა?!“

ეს სტრიქონები დაწერილია 1920 წლის დამლევს სტამბოლში, დაბეჭდილია 1927 წელს ლენინგრადში — გრიფით „ბიბლიოთეკა ყველასთვის“.

თავად განსაჯეთ, აუხდა თუ არა წინასწარმეტყველებანი შულგინს. უკვე სამშობლოში დაბრუნებული 1945 წელს ასე უცხადებდა ლუბიანკაზე თავის ზედამხედველებს, ჩინიანთა თუ უჩინოთ: „სტალინის წინამძღოლობით ჩვენი ქვეყანა გახდა მსოფლიო იმპერია. სწორედ მან მიაღწია იმ მიზანს, რისკენაც ისწრაფოდა რუსთა არაერთი თაობა. კომუნიზმი მეჭეჭივით გაქრება, მაგრამ იმპერია იცოცხლებს! ინტერნაციონალი ჩაირეცხება, მაგრამ საზღვრები დარჩება! სამწუხაროა, რომ სტალინი არ არის ნამდვილი მეფე — საამისოდ მას ყველა მონაცემები გააჩნია. თქვენ, კომუნისტები, რუსულ სულს არ იცნობთ. ხალხს აქვს თითქმის რელიგიური მოთხოვნილება, რომ წინ წაუძღვეს მამა, ვისაც შეიძლება ენდო“.

1956 წელს შულგინი ციხიდან გამოუშვეს. კიდევ 20 წელიწადი იცოცხლა. გარდაიცვალა 98 წლისა...

ციხეში — 365 წლით

ოდესმე თუ გსმენიათ, რომ მოსამართლეს თავისი განაჩენი, მკაცრი და ულმობელი, ლექსად დაეწეროს? რასაკვირველია, არაფერი ამის მსგავსი არც არასოდეს მომხდარა და არც არასოდეს მოხდება. დიახ, განაჩენის ლექსად დაწერა, რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია, მაგრამ ბუნებაში მოიპოვება მძაფრი პათეტიკით შემკული ტექსტი, რომელიც ამერიკელ მსაჯულს შეუთხზავს თავისი განაჩენის ორნამენტად და რომელიც გაფიქრებინებს, მისი ავტორი შექსპირის შორეული შთამომავალი ხომ არ არისო? აბა თავად განსაჯეთ, როდესაც ბრალდებულის ამგვარ პორტრეტს იხილავთ: „ეს ადამიანი წარმოადგენს ბოროტების ბანალურ განსახიერებას, ესაა არარაობა სულით ხორცამდე, ვისაც არაფერი გააჩნია წმინდა; ვისი მთელი ცხოვრების აზრი ისაა, რომ დროულად იყნოსოს, თუ საით უბერავს ქარი, რათა უმალვე მოიხვეჭოს სარგებელი მოახლოებული ქარიშხლიდან; ვინც ერთგულად მისდევს ერთადერთ მცნებას: ჩემს შემდეგ ქვა ქვაზე ნუღარ დარჩენილაო, ჩემს შემდეგ თუნდაც წარღვნამ წაიღოს მთელი ქვეყნიერებაო...“

მაშ ასე, ბრალდებულის სკამზე ზის ჯონ უოკერი, აშშ სამხედრო-საზღვაო ძალების ოფიცერი (გადამდგარი), დაპატიმრებული 1985 წელს. ბრალად ედება შპიონაჟი საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ. ჩამოყალიბებული ჰქონდა მსტოვართა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: თავისი ვაჟი, უმცროსი გადამწერელი მაიკლ უოკერი; თავისი უფროსი ძმა, კაპიტან-ლეიტენანტი არტურ უოკერი და უოკერის ოჯახგარეთა პირი, უფროსი რადისტი ჯერი უიტვორთი.

ყველანი მსახურობდნენ აშშ სამხედრო-საზღვაო ძალებში.

უოკერის საქმე (უფრო ზუსტად —უოკერთა საქმე) ყველაზე მსხვილი საჯაშუშო საქმე იყო აშშ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიაში, ხოლო სამშობლოსთვის მიყენებული ზარალი ყველაზე სერიოზული გახლდათ. ჯონ უოკერმა ოჯახის ორი წევრი (ძმა და ვაჟიშვილი) არ იკმარა და სხვა წევრთა ჩაბმასაც ლამობდა, მაგრამ ამაზე — ცოტა ქვემოთ, მანამდე კი...

ჯონ უოკერი ამ სარფიან, მაგრამ უაღრესად სახიფათო გზას დასდგომია ჯერ კიდევ 1967 წელს, როდესაც თავისი ფეხით გამოცხადებულა საბჭოთა საელჩოში, ვაშინგტონში რომ არის გამწესებული, და ნებაყოფლობით შეუთავაზებია თავისი სამსახური.

არავინ აშანტაჟებდა, როგორც ხდება ხოლმე, არავინ დამუქრებია, დედას მოგიკლავთო, შენს ცოლს შენს თვალწინ ნამუსს ავხდითო, შვილებს წაგართმევთო, სახლ-კარს გადაგიბუგავთო, თუკი ბოროტების იმპერიის სამსახურში არ ჩადგებიო...

არავინ აცდუნებდა ლამაზ-ლამაზი რუსი ალქაჯებითა თუ სხვა ამქვეყნიური სიამეებით.

არაფერი ამის მსგავსი! უბრალოდ კაი ცხოვრება სწყუროდა, ტკბილი ცხოვრება, ჰოლივუდის შედევრებიდან რომ იცოდა. იმაზე უკეთესი ეზმანებოდა, ვიდრე ერგებოდა წილად სან-დიეგოს სამხედრო-საზღვაო სასწავლო ცენტრში არსებული რადისტთა სკოლის დირექტორის მოადგილეს (მანამდე ატომურ წყალქვეშა ნავზე მსახურობდა).

ხელი მიუწვდებოდა ზესაიდუმლო კრიპტომასალებზე და საბჭოთა გასამრჯელო უხვად ჩაუყაჭეს ჯიბეში. სასრაფოდ გახსნა ორი კომერციული ფირმა, აგრეთვე — ბარი და რესტორანი.

აიწყო ტკბილი ცხოვრება ჯონ უოკერმა, ხოლო გამოძიების ფედერალურ ბიუროს (ეფ-ბი-აი) ამასობაში ტკბილად ეძინა.

ცოლი ვერ წამოაგო ანკესზე და მერე თავისი ასულის გადაბირება სცადა. ლორა უოკერ-შნაიდერი მსახურობდა აშშ არმიაში. ერთ მშვენიერ დღეს დაორსულდა და სამხედრო სამსახური უნდა მიეტოვებინა. მამა ჩასჩიჩინებდა, ახლავე გაიკეთე აბორტი, რომ არმიაში დარჩე და ჩემი დავალებანი შეასრულოო. არწმუნებდა, მომავალში მაინც არაფერი გეჭყანება სახეირო, სხვა არაფერში ვარგიხარ, იშვიათი შტერი ხარო.

უფრო წარმატებული გამოდგა ვაჟიშვილის გადაბირება. 1982 წელს მაიკლი, მამის კარნახით, სამხედრო-საზღვაო ფლოტში გამწესდა, ავიამზიდ „ამერიკა“-ზე, უმცროს გადამწერლად. მყისვე ამცნო მამას, რომ საიდუმლო მასალებზე მიუწვდებოდა ხელი. მამამ: ზედმეტი ფული არაფერს დაგიშავებს. სადაც მე ფულს მიხდიან, იქ ბლომად აქვთო.

ერთხელაც მაიკლმა კიტელქვეშ ჩაიკუჭა საიდუმლო დოკუმენტები და უვნებლად გამოიტანა ხომალდიდან. მამამ ასწავლა ფოტოაპარატის ხმარება მიკროფოტოგრაფირებისათვის. წამდაუწუმ აფრთხილებდა შვილს: დედამ არ იყნოსოს, თორემ გაგვყიდისო.

ჯონ უოკერი ამაყობდა თავისი არალეგალური მოღვაწეობით. თავის რუს მეპატრონეებს სწერდა: „ჩვენი ორგანიზაციის მოქმედ თუ პოტენციურ წევრთაგან არც ერთი არ განიცდის იმ კლასიკურ პრობლემებს, რომლებიც აწვალებენ მრავალთ, მსგავსი საქმიანობით რომ არიან დაკავებული. ჩვენს შორის არ არიან არც ნარკომანები, არც ალკოჰოლიკები, არც ჰომოსექსუალები. ჩვენ ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული მოწიფული ადამიანები ვართ და გაგვაჩნია შესაძლებლობანი, რომ უშიშრად გამოვიმუშავოთ ჩვენი გასამრჯელო“.

1984 წლის ნოემბერში უკვე გაყრილმა ცოლმა, ქალბატონმა ბარბარამ (ქალბატონ ლორას დაჟინებით) ყოფილი ქმარი დააბეზღა გამოძიების ფედერალურ ბიუროში.

უოკერზე თვალთვალი დააწესეს. ხოლო 1985 წლის 10 მაისს დაკავეს დანაშაულის ადგილზე, როდესაც ვაჟიშვილის მიერ აწაპნილ დოკუმენტებს ათავსებდა სამალავში. იქვე შენიშნეს საბჭოთა ვიცეკონსული ალექსეი ტკაჩენკო, რომელიც იძულებული გახდა, რომ სამ დღეში სამუდამოდ დაეტოვებინა ნეტარი შეერთებული შტატები.

აშშ თავდაცვის მინისტრმა კასპარ უაინბერგერმა, ჯონ უოკერის საქმესთან დაკავშირებით, განაცხადა: „რუსებმა მოიხვეჭეს ინფორმაცია ჩვენი შეიარაღებისა და ელექტრონულ მოწყობილობათა შესახებ, ჩვენი საწყლისნო, წყალქვეშა და საჰაერო ძალების სასწავლო მომზადების შესახებ, ჩვენი საბრძოლო მზადყოფნისა და საომარი ტაქტიკის შესახებ. ჩვენ უკვე ვხედავთ იმის აშკარა ნიშნებს, რომ რუსებმა იციან ყველა ასპექტი ჩვენი დოქტრინისა, ზღვაზე საბრძოლო მოქმედებათა წარმოებას რომ ეხება. და ჩვენთვის ახლა ნათელია, რომ ყოველივე ზემოთქმული პირდაპირ უკავშირდება უოკერთა ჯაშუშურ საქმიანობას“.

ბარაქალა, ამხანაგო ჯონ უოკერ! ხუმრობა საქმეა, შენი მოღვაწეობით თვით თავდაცვის მინისტრი უძლეველი სუპერსახელმწიფოსი შეაშფოთო და შეაწრიალო?!

ბარაქალა, ძვირფასო ამხანაგო ჯონ უოკერ! ხუმრობა საქმეა, შენი მოღვაწეობით ისე ააღელვო თავდაჭერილი მსახური თემიდასი, რომ ჰომეროს-შექსპირივით ამეტყველდეს და ცივსისხლიანი ვერდიქტი ლამის წყევლა-კრულვას დაამსგავსოს, ხანდახან ბაზრის დედაკაცებს რომ სჩვევიათ. ალბათ ბრძანებთ, ეს თქვენი უცნაური სათაური რაღას ნიშნავსო? ეს ჩვენი უცნაური სათაური კი იმას ნიშნავს, რომ უოკერთა საოჯახო ბიზნესის ფრიად წარმატებულ სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, მისტერ ჯონ უოკერს მიუსაჯეს პატიმრობა, არც მეტი და არც ნაკლები, 365 წლით.

რაო, არ ეკუთვნოდა? სამას სამოცდახუთი კი არა, ათჯერ სამას სამოცდახუთიც ეკუთვნოდა!

ისე, რავარია?! როგორ მოგწონთ ესოდენ ბრძნულად აწონ-დაწონილი და უკიდურესი სიზუსტით გამოთვლილი ვადა პატიმრობისა? და რომც არ ვიცოდეთ, სად მოხდა ეს, რომელ ქვეყანაში, მაინც მივხვდებით უჭოჭმანოდ, ვინაიდან — არის ასეთი ქვეყანა, მას ამერიკა ჰქვია...

„მედეათეკას“ ორიგინალურ გარემოში, ვაკის პარკის სიმწვანით შემოსუდრულში, გაიმართა **ზაალ სამადაშვილის** ნოველების, მოთხრობების, მინიატურებისა და დღიურების დიდტანიანი კრებულის **„60“** („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“) წარდგინება. ეს საერთო სახელწოდება პირდაპირ მიანიშნებს ავტორის ასაკს, წიგნში კი თავმოყრილია მწერლის 30-წლიანი შემოქმედებითი გზის ნაყოფი, უფრო ზუსტად ერთი რკალი — თბილისური სურათები და ანარეკლები 80-90-იანი და ახალი საუკუნის ათწლეულის საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ლიტერატურული ცხოვრებისა. კრებულის კომპოზიციური სტრუქტურა სწორედ ამ სამ ათწლეულს ეყრდნობა და ხელშესახებად წარმოაჩენს მწერლის სტილურ ძიებებსა და დაუოკებელ სწრაფვას წიგნის კულტის დასამკვიდრებლად.

წარდგინება უჩვეულოდ მალე მოთავდა. ავტორმა ორიოდე სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა და წაიკითხა **ანა კორძაია-სამადაშვილის** მცირე ესეი, შეთხზული კრებულისაგან მოგვრილი სახელდახელო შთაბეჭდილებებით.

ეს იყო და ეს. ზოგიერთ ლიტერატორს აშკარად გულს დააკლდა, ახალი წიგნის — ამ მართლაც არაორდინარული მოვლენის — განსჯისა და შეფასების საშუალება რომ არ მიეცა, თუმც შეუძლიათ თავიანთი მოსაზრებანი წერილობით ჩამოაყალიბონ, რათა „60“ ერთი მცირე გამოხმაურების ამარა არ დარჩეს. ჩვენ გვაქვს იმ რანგის საალიტერატურო კრიტიკა და გვყავს ისეთი კრიტიკოსები, რომ ასეთი წიგნების მხატვრული ღირსებანი შესაფერისადაც წარმოაჩინონ და ისეთივე სანდო მეგზურები იყვნენ მკითხველისათვის ამ კრებულის გააზრებაში, როგორი სანდო მეგზურიც თვითონ ზაალ სამადაშვილია ლიტერატურის უკიდეგანო სავალებზე.